







IX კლასი
სამხედრო საქმე

საქართველოს
თავდაცვის სამინისტრო

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სამხედრო საქმე

IX კლასი

მოსწავლის წიგნი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
თბილისი
2026

სამხედრო საქმე
IX კლასი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

წიგნზე მუშაობდნენ:

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის
დოქტრინების განვითარების ცენტრის სამუშაო ჯგუფი:

პოლკოვნიკი კახაბერ ჭაფოძე
პოლკოვნიკი რევაზ ნიკოლეიშვილი
ქეთევან ოსეფაიშვილი
გვანცა მღვდელაძე
გიორგი გერმისაშვილი

რედაქტორი – ნათია ნაჭყებია
დამკაბადონებელი – მზია ლეკვეიშვილი

სახელმძღვანელო განკუთვნილია IX კლასის მოსწავლეებისთვის და
შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

© საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2026
ISBN 978-9941-8-8947-9

მის.: თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. N20.
ტელ.: (995) 0322723535; ელფოსტა: pr@mod.gov.ge

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი





თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სამხედრო ფიცი

მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ რა სამხედრო სამსახურში:

ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი საქართველოს წინაშე;

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები;

ვფიცავ, მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველი;

ვფიცავ, შევინახო მონდობილი სამხედრო საიდუმლოება, შევასრულო სამხედრო წესდების ყველა მოთხოვნა და მეთაურის ბრძანება;

ვფიცავ, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის;

თუ ამ ფიცს გავტეხ, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

გვფარავდეს ღმერთი.



სარჩევი

I თემა

ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება 7

1. საქართველოს თავდაცვის ძალები და სამხედრო სამსახური 8

2. სამხედრო განათლება 33

3. სამწყობრო მომზადება 46

4. ინდივიდუალური აღჭურვილობა, შეიარაღება და იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები 56

5. ტაქტიკის მნიშვნელობა და საფუძვლები 74

6. სამხედრო ინჟინერია 88

II თემა

საერთაშორისო თავდაცვა და უსაფრთხოება 107

7. საერთაშორისო ორგანიზაციები 108

8. მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში 124

III თემა

საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება 131

9. ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება 132

10. ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება 156

11. მასობრივი დაზიანების იარაღი 164

12. სამოქალაქო უსაფრთხოება და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები 179

13. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება 200

IV თემა

სამხედრო ტოპოგრაფია და ბუნებაში გადარჩენა 217

14. სამხედრო ტოპოგრაფია. ადგილზე ორიენტირების ხერხები. მანძილის გაზომვა სხვადასხვა ხერხით 218

15. ბუნებასთან პირისპირ 245

საქართველოს ეროვნული გმირები 262

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საბაზო საფეხურის IX კლასის მოსწავლეებისთვის და სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წიგნის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს მოზარდებში სამხედრო საქმის საფუძვლებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებას. კურსის ფარგლებში მოსწავლეები დეტალურად გაეცნობიან საქართველოს თავდაცვის ძალების როლსა და მნიშვნელობას, სამხედრო განათლებისა და სამსახურის არსს, ინდივიდუალურ აღჭურვილობას, ტაქტიკისა და სამხედრო ინჟინერიის საფუძვლებს, სამხედრო ტოპოგრაფიას, ბანაკის მოწყობის პრაქტიკულ ხერხებსა და ბუნებრივი თუ ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის პრინციპებს.

სახელმძღვანელოში ინტეგრირებული თემატური მასალების ძირითად წყაროდ გამოყენებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ციფრულ პლატფორმაზე განთავსებული ოფიციალური უწყებრივი დოკუმენტები – დოქტრინული პუბლიკაციები: საველე სახელმძღვანელოები, წვრთნის ცირკულარები და ტექნიკური ბიულეტენები. აღნიშნული სპეციალიზებული სამხედრო ლიტერატურა საგანმანათლებლო მიზნებისთვის ადაპტირდა მოსწავლეთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სასწავლო თემები, სადისკუსიო შეკითხვები, განსახილველი შემთხვევები (ქეისები), პრაქტიკული აქტივობები და მრავალფეროვანი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა კომპლექსური უნარების განვითარებაზე. კერძოდ, აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობს შემოქმედებითი, ანალიტიკური, სტრატეგიული და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, აგრეთვე ისეთი პრაქტიკული და კოგნიტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა სივრცეში ორიენტირება, რუკის გამოყენება და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

სწავლა-სწავლების პროცესში თვალსაჩინო მასალის გამოყენების მიზნით სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არქივისა და საქართველოს ეროვნული არქივის თემატური ფოტომასალა. სახელმძღვანელოში არსებული ვიზუალური სქემების ნაწილი სპეციალურად ამ გამოცემისთვის მომზადდა, ზოგიერთი მათგანი კი გენერირებულია ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით. ამასთანავე, ძირითადი მასალა გამდიდრებულია დამატებითი ციფრული საგანმანათლებლო რესურსებით – თემატური ვიდეორგოლებით, ფილმებითა და საინფორმაციო მასალებით, რომლებზე წვდომაც შესაძლებელია თითოეული საკითხის ბოლოს განთავსებული QR კოდების საშუალებით.

პირობითი ნიშნები


იმსჯელეთ


ეს საინტერესოა


შეკითხვები


პრაქტიკული აქტივობა


შემთხვევის ანალიზი


დავალება



I თემა

ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება

1. საქართველოს თავდაცვის ძალები და სამხედრო სამსახური

იმსჯელეთ

გაეცანით გენერალ ალექსანდრე ჩხეიძისა და სუნ ძის ციტატებს და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე:



„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ომი ძალთა გამოცდაა მთელი ერის და არა მისი რომელიმე ნაწილის და ორგანიზაციაც შეიარაღებულ ძალთათვის უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც ერს მისცემს საშუალებას ყველა თავისი ძალა გამოიყენოს.“

გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე
(1919-1921 წწ. ქართული სამხედრო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი)



„ბრძოლაში დახელოვნებულები ჯერ თავად ხდებოდნენ უძლეველნი და შემდეგ ელოდებოდნენ იმ მომენტს, როდესაც მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობა მიეცემოდათ.“

„უძლეველობის მიღწევა ჩვენზეა დამოკიდებული, ხოლო მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობას თავად მოწინააღმდეგე გვაძლევს.“

სუნ ძი ძვ. წ. 544-496 წელი
(ჩინელი მხედართმთავარი და ფილოსოფოსი, „ომის ხელოვნების“ ავტორი)

შეკითხვები

- რა არის თითოეული მოსაზრების მთავარი იდეა?
- რა მსგავსება და განსხვავებაა მოსაზრებებს შორის?
- რომელი ავტორის მოსაზრებას ემხრობით? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, ეროვნული უსაფრთხოება კონკრეტული მოქალაქის უსაფრთხოებასაც გულისხმობს? პასუხი დაასაბუთეთ.
- როგორ ფიქრობთ, რა კავშირი აქვს თავდაცვის ძალებს ეროვნულ უსაფრთხოებასთან?

მსოფლიო ისტორიას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფოების არსებობა უკავშირდება გადარჩენისთვის ბრძოლასა და მეტოქეობას. ამ პროცესში ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა შეიარაღებული ძალა. საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და ახლაც უკავია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობაში, რადგან ჩვენი ქვეყნის მდგრადობაზე დიდწილად არის დამოკიდებული მთელი რეგიონის უსაფრთხოება.

რეგიონული უსაფრთხოება ნიშნავს რეგიონში მდებარე ქვეყნების მოქალაქეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვასა და განვითარებას. მისი საფუძველი ეროვნული უსაფრთხოებაა. ეს არის სახელმწიფოს უნარი, დაიცვას მოსახლეობა, სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები სხვადასხვა სახის საფრთხისგან. ამისთვის საჭიროა ქვეყნის შესაძლებლობებისა და რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენება.

ეროვნულ და რეგიონულ უსაფრთხოებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო უსაფრთხოება. თუკი ეროვნული უსაფრთხოება ეხება კონკრეტული ქვეყნის დაცვასა და სტაბილურობას, ხოლო რეგიონული უსაფრთხოება მოიცავს მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და საერთო საფრთხეებზე რეაგირებას, საერთაშორისო უსაფრთხოება უზრუნველყოფს სახელმწიფოებს შორის მშვიდობას, სტაბილურობასა და თანამშრომლობას.

ამგვარად, საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოება ერთმანეთზე დამოკიდებული სისტემებია. გლობალური სტაბილურობა აძლიერებს რეგიონებს, ხოლო ძლიერი და სტაბილური ქვეყნები ქმნიან უფრო უსაფრთხო საერთაშორისო გარემოს. სწორედ ამ მჭიდრო კავშირის გამო, თითოეულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ისეთი კანონები, ინსტიტუტები და მექანიზმები, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას. უსაფრთხოების სისტემა განსაზღვრავს ქვეყნის ინტერესებსა და გამოწვევებს. ინტერესების დასაცავად და გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელია ძლიერი სამხედრო ძალა. საქართველოში ამ მნიშვნელოვან როლს თავდაცვის ძალები ასრულებს. ის იცავს ქვეყნის დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას. განვიხილოთ, როგორ არის მოწყობილი თავდაცვის ძალები, როგორ იმართება და რა ფუნქციებს ასრულებს.





საქართველოს თავდაცვის ძალები

საქართველოს თავდაცვის ძალები სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, რომელიც იცავს ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალები არის ეროვნული თავდაცვის სისტემის პოლიტიკურად ნეიტრალური, შეიარაღებული სამხედრო ინსტიტუცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ატარებს აუცილებელ და პროპორციულ სამხედრო და სხვა სახის ღონისძიებებს. თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც აერთიანებს სამოქალაქო ოფისსა და თავდაცვის ძალებს.

თავდაცვის სამინისტროს დანიშნულებაა:

- საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობა;
- მისი მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება;
- ქვეყნის დამოუკიდებლობის ნებისმიერი ხელყოფისა და შესაძლო აგრესიის მოგერიება.

თავდაცვის სამინისტროს მეთაურობს მინისტრი. მინისტრი სამოქალაქო პირია, რომელიც სამოქალაქო ოფისის მეშვეობით გეგმავს და წარმართავს სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკას, უზრუნველყოფს დემოკრატიულ კონტროლს თავდაცვის ძალებზე. თავდაცვის მინისტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მართვას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური. საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, საქართველოს მთავრობის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. თავდაცვის ძალების მეთაურის კანდიდატურას საქართველოს მთავრობას წარუდგენს თავდაცვის მინისტრი. კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამხედრო წოდება და განათლება. იგი ანგარიშვალდებულია თავდაცვის მინისტრის, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის წინაშე.

საინტერესოა, თუ ვინ ერთიანდება საქართველოს თავდაცვის ძალებში და რა სახეობებისგან შედგება. საქართველოს თავდაცვის ძალები შედგება რამდენიმე სახეობისგან, ესენია: სახმელეთო ძალები, საჰაერო ძალები, სპეციალური ოპერაციების ძალები, ეროვნული გვარდია. მათი დანიშნულებაა განსხვავებულ საბრძოლო გარემოში სამხედრო ოპერაციების განხორციელება ან/და თვისებრივად განსხვავებული საბრძოლო ფუნქციების შესრულება. თავდაცვის ძალების სახეობების ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები მრავალფეროვანია, განვიხილოთ თითოეული სახეობა:

სახმელეთო ძალები – თავდაცვის ძალების სახმელეთო კომპონენტი (გარდა სპეციალური ოპერაციების ძალებისა და ეროვნული გვარდიისა), რომელიც აერთიანებს საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპერატიულ სარდლობებს. მათი ძირითადი დანიშნულებაა განსაზღვრული ოპერაციის რაიონში მისდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მართვა, კონტროლი და დასახული ამოცანების შესრულება;

საჰაერო ძალები – თავდაცვის ძალების საჰაერო კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობას. მისი ძირითადი დანიშნულებაა საჰაერო სივრცეში დასახული ამოცანების შესრულება, თავდაცვის ძალების ქვედანა-





სახმელეთო ძალები



საჰაერო ძალები



სპეციალური ოპერაციების სარდლობა



ეროვნული გვარდია

ყოფების საავიაციო მხარდაჭერა და ქვეყნის საჰაერო სივრცის დაცვა;

სპეციალური ოპერაციების ძალები – მისი დანიშნულებაა სპეციალური ოპერაციების ჩატარება, თავდაცვის ძალების სხვა ქვედანაყოფების მხარდაჭერა;

ეროვნული გვარდია – მისი ძირითადი დანიშნულებაა ტერიტორიული რეზერვისა და სამობილიზაციო რეზერვის მართვა.

საქართველოს თავდაცვის ძალების სახეობები

- სახმელეთო ძალები
- საჰაერო ძალები
- სპეციალური ოპერაციების ძალები
- ეროვნული გვარდია

როგორც გავიგეთ, საქართველოს თავდაცვის ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და დაცვა. ამასთან, თავდაცვის ძალებს სხვა მნიშვნელოვანი მისიაც აკისრია, რომელიც საომარი მოქმედებების გარდა, ეპიდემიის, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შემთხვევების დროს პროცესებში ჩართვას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები თვითნებურად არ მიიღება და საჭიროებს სპეციალურ თანხმობას, კერძოდ:

- კრიზისული ან საომარი სიტუაციებისას თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი;
- ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისა და ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას.

გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში არსებული სტრუქტურული ერთეულები საომარი მდგომარეობის დროს ძლიერდება კონკრეტული ძალოვანი კომპონენტებით სხვადასხვა სამინისტროდან, რაც ეფექტურ ქმედებებს განაპირობებს.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ფორმირება ერთგვარი „საწყისი გამოცდა“ იყო ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის. 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა, მას ჯერ არ ჰყავდა სრულად ჩამოყალიბებული სამხედრო ძალა. თუმცა ახალი სახელმწიფოს არსებობა პირდაპირ იყო დამოკიდებული იმაზე, შეძლებდა თუ არა საკუთარი ტერიტორიის დაცვას.

ამ პერიოდში ქვეყანა რთულ მდგომარეობაში იყო: კავკასიაში არეულობა სუფევდა, ყოფილი რუსეთის იმპერიის არმია დაშლილი იყო, ხოლო მეზობელი სახელმწიფოები და სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებები საფრთხეს ქმნიდნენ. სწორედ ამან განაპირობა არმიის შექმნა, რაც გახდა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

საქართველოს არმიის ბირთვი თავდაპირველად შეადგინეს იმ ქართველმა სამხედროებმა, რომლებიც ადრე რუსეთის იმპერიის ჯარში მსახურობდნენ. მათ ჰქონდათ გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალი ჯარის ორგანიზებისთვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, რომელიც არმიის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სარდალი გახდა.

არმიის ფორმირება რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა:

- რეგულარული ჯარის შექმნა (ქვეითი, კავალერია, არტილერია);
- სახალხო გვარდიის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო მოქნილი და სწრაფი რეაგირების ძალა იყო;
- სამხედრო განათლების განვითარება, რათა მოემზადებინათ ახალი ოფიცრები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო გვარდიას, რომლის ერთ-ერთი ლიდერი იყო ვალიკო ჯუღელი. გვარდია ხშირად მონაწილეობდა როგორც შიდა წესრიგის დაცვაში, ისე სამხედრო ოპერაციებში.

არმიის ფორმირების პროცესში საქართველოს მოუწია რამდენიმე სამხედრო კონფლიქტში ჩართვაც, მაგალითად, ბრძოლები სომხეთთან, ბოლშევიკურ ძალებთან და სხვადასხვა რეგიონში ამბოხებების ჩახშობა. ეს ყველაფერი ახალ არმიას პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევდა, თუმცა ასევე დიდ სირთულეებს ქმნიდა.

მიუხედავად მხოლოდ სამწლიანი არსებობისა (1918–1921), საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ტიპის არმიის შექმნას. არსებობდა ფორმები, სამხედრო წოდებები, დისციპლინა და სტრუქტურა – ანუ ყველაფერი, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს სჭირდება.





1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით დასრულდა ამ არმიის არსებობა. მიუხედავად ამისა, იმდროინდელმა გამოცდილებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მომავალ სამხედრო განვითარებაზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არმია იყო არა მხოლოდ სამხედრო ძალა, არამედ დამოუკიდებლობის დაცვის სიმბოლო – მცდელობა, პატარა ქვეყანას საკუთარი ძალებით ეარსება რთულ საერთაშორისო გარემოში.

დავალება

მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება საქართველოს თავდაცვის ძალების შესახებ, ამიტომაც თქვენი სურვილისამებრ მოამზადეთ **მოხსენება, სტატია** ან **ვიდეორგოლი** საქართველოს თავდაცვის ძალების შესახებ, რომელსაც წარუდგენთ სასკოლო საზოგადოების წევრებს.

მოხსენებაში/სტატიაში/ვიდეორგოლში წარმოაჩინეთ:

- რატომ არის მნიშვნელოვანი თავდაცვის ძალები? რა როლი აქვს?
- ახსენით, რატომ არის თავდაცვის ძალები დაყოფილი სხვადასხვა სახეობად და რა ფუნქცია აქვს თითოეულს?
- დაასაბუთეთ, რატომ წარმოადგენს თავდაცვის ძალები ეროვნული უსაფრთხოების ფუნდამენტურ საფუძველს? მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.
- როგორ ხედავთ საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებას მომავალში? თქვენი ხედვა დაასაბუთეთ.



სასარგებლო რესურსები

სამხედრო სამსახური

იმსჯელეთ

- რა გსმენიათ/იცით სამხედრო სამსახურის შესახებ?
- რა კავშირი შეიძლება არსებობდეს მოქალაქეობასა და სამხედრო ვალდებულებას შორის?
- რატომ არის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო სამსახური?

საქართველოში სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვის ვალდებულება თავდაცვის ძალებს ეკისრება. სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს შეიარაღებული დაცვის ვალდებულებას და დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებას, მაშინაც კი, თუ სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სამხედრო სამსახურის მიზანია ქვეყნის დაცვისა და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამხედრო სამსახურში ადამიანი ძლიერდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მენტალურად, უყალიბდება პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, სწავლობს, როგორ იმოქმედოს რთულ სიტუაციაში, როგორ დაიცვას საკუთარი თავი და გარშემომყოფები. გარდა ამისა, სამხედრო სამსახური ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და იამაყოს იმით, რომ იცავს მის უსაფრთხოებას.





იმსჯელეთ

- უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს რეგულარული და სარეზერვო სამხედრო სამსახური?

როგორც უკვე იცით, საქართველო მდებარეობს რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, ამიტომ ქვეყანას სჭირდება ჯარი, რომელიც ერთდროულად იქნება **მაღალპროფესიული და რაოდენობრივად საკმარისი**. რეგულარული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ძალიან კარგად მომზადებული არიან, მცირე რაოდენობის გამო დიდ საფრთხეს შეიძლება ვერ გაუმკლავდნენ. ხოლო რეზერვს, რომელიც უზრუნველყოფს რაოდენობას, ხშირად აკლია გამოცდილება და თანამედროვე სამხედრო უნარები.







სწორედ ამიტომ, საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტია შერეული მოდელი – **რეგულარული და სარეზერვო სამხედრო სამსახური.** ამ სისტემაში რეგულარული სამხედრო სამსახურის ჯარისკაცები წარმოადგენენ ჯარის ბირთვს – ისინი მუდმივად გადიან მომზადებას, ფლობენ თანამედროვე ტექნიკას და მზად არიან სწრაფი რეაგირებისთვის. პარალელურად, რეზერვი ქვეყანას საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად გააძლიეროს თავდაცვის ძალები და ეფექტურად იმოქმედოს ფართომასშტაბიანი თავდაცვის ან საგანგებო სიტუაციების დროს.

შერეულ მოდელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: მოსახლეობის დიდი ნაწილი იღებს საბაზისო სამხედრო გამოცდილებას, რაც ზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ერთგვარად აძლიერებს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასაც.

საბოლოოდ, შერეული სისტემა საქართველოსთვის ქმნის ბალანსს – მშვიდობიან დროს ქვეყანას ჰყავს მცირე, მაგრამ ძლიერი პროფესიული ჯარი, ხოლო კრიზისის ან ომის შემთხვევაში შეუძლია სწრაფად გაზარდოს ძალები და ეფექტურად დაიცვას საკუთარი ტერიტორია, მოსახლეობა და ქვეყნის სუვერენიტეტი. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში არსებული სამხედრო სამსახური ორი სახისაა – **რეგულარული და სარეზერვო** სამხედრო სამსახური.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ნინოს ამბავს და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ნინო დაიბადა ქუთაისში, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახში. ბავშვობიდან გამოირჩეოდა დამოუკიდებლობით, პასუხისმგებლობის გრძნობითა და სამართლიანობის მძაფრი აღქმით. მისი ოჯახის წევრები არ იყვნენ სამხედრო პირები, თუმცა მამა ხშირად უყვებოდა ისტორიებს ქვეყნის დაცვის მნიშვნელობაზე, რაც ნინოსთვის თანდათან გახდა ღირებულებითი საფუძველი.

ნინოს არჩევანი ერთ კონკრეტულ ფაქტორს არ უკავშირდებოდა – ეს იყო რამდენიმე მიზეზის ერთობლიობა: ქვეყნის სამსახურის სურვილი, თვითრეალიზაცია, სტაბილური და განვითარებაზე ორიენტირებული კარიერა.

ნინოს სამხედრო ინტერესები პირველად რეალურ გზად ჩამოყალიბდა, როდესაც მან სწავლა დაიწყო კადეტთა სამხედრო ლიცეუმში. ეს პერიოდი მის ცხოვრებაში იყო გარდამტეხი ეტაპი, როდესაც მან პირველად შეიგრძნო სამხედრო დისციპლინა და რეჟიმი.

ლიცეუმში სწავლისას ნინომ შეისწავლა სამხედრო ეთიკისა და დისციპლინის საფუძვლები, გაი-

არა ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება, გამოიმუშავა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ეს გამოცდილება გახდა საფუძველი მისი შემდგომი პროფესიული არჩევანისთვის.

ნინოს არჩევანი ერთ კონკრეტულ ფაქტორს არ ეფუძნებოდა – ეს იყო რამდენიმე მოტივის ერთობლიობა: ქვეყნის სამსახურის ძლიერი სურვილი, საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა რთულ გარემოში, სტერეოტიპების დაძლევა სამხედრო სფეროში, სტაბილური და განვითარების შესაძლებლობაზე ორიენტირებული კარიერა.

ამ მოტივაციით მან გააგრძელა გზა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.

აკადემიაში ნინომ მიიღო სამხედრო განათლება და პარალელურად შეისწავლა საერთაშორისო ურთიერთობები. სწავლის პერიოდში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, ფიზიკური გამძლეობით, ლიდერული უნარებით ჯგუფურ დავალებებში.

აკადემიის დასრულების შემდეგ მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და დაიწყო სამსახური ქვეით ქვედანაყოფში.

ნინოს კარიერა ეტაპობრივად განვითარდა: ის ჯერ იყო ოცეულის მეთაური, შემდეგ ასეულის მეთაურის მოადგილე და ბოლოს – ასეულის მეთაური.

მსახურების პერიოდში მან მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სწავლებებში და მუშაობდა მრავალეროვან გარემოში, რაც დაეხმარა კომუნიკაციისა და კოორდინაციის უნარების გაძლიერებაში.

ნინოსთვის სამხედრო სამსახური მხოლოდ პროფესია არ არის – ეს არის მისი მოწოდება. მისი მიზანია **პროფესიული განვითარება, ქალთა როლის გაძლიერება თავდაცვის ძალებში და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აქტიური მონაწილეობა.**



ქალთა ჩართულობას თავდაცვის სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს, ქალთა როლზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 2000 წელს მიიღო რეზოლუცია „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“. აღნიშნულ რეზოლუციაში ხაზგასმულია ქალთა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტების პრევენციისა და მოწესრიგების, აგრეთვე, მშვიდობის მშენებლობის საკითხებში. მშვიდობისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების ნაწილში ქართველ ქალთა ჩართულობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალების რაოდენობა წლების განმავლობაში იმატებს, რაც დასტურდება არაერთი კვლევითა და პუბლიკაციით.



შეკითხვები

- რა კავშირი აქვს ნინოს ღირებულებებს მის გადაწყვეტილებებთან?
- შეადარეთ და გააანალიზეთ ნინოს სამხედრო განათლების გზა – ლიცეუმიდან სამხედრო აკადემიამდე. რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ნინო? როგორ გაუმკლავდა გამოწვევებს? რომელი თვისებები და უნარები გამოადგა ყველაზე მეტად?
- ნინოს მაგალითზე, ახსენით, რა კავშირი აქვს სამხედრო განათლებას სამხედრო სამსახურთან?
- დაასაბუთეთ, რატომ არის ქალთა ჩართულობა მნიშვნელოვანი თავდაცვის ძალებში?
- თქვენი აზრით, ნინოს ისტორია რა გავლენას მოახდენს თავდაცვის ძალებში გაერთიანებული ქალების მოტივაციაზე?
- რა გასწავლათ ნინოს ისტორიამ სამხედრო სამსახურის, მიზანდასახულობის, პასუხისმგებლობისა და კარიერული განვითარების შესახებ?

როგორც ვხედავთ, სამხედრო სამსახური როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსაც შეუძლიათ. სამხედრო სამსახურში ყოფნა დაკავშირებულია პირად და ქვეყნის ინტერესებსა და ღირებულებებთან, ასევე პიროვნულ და კარიერულ განვითარებასთან. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სამხედრო სამსახურის როლი და მნიშვნელობა, გავეცნოთ რეგულარულ და სარეზერვო სამხედრო სამსახურზე მნიშვნელოვან ცნობებს.





რეგულარული სამხედრო სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სწრაფი რეაგირება კრიზისებზე, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა, რაც ჯარს საშუალებას აძლევს, მიიღოს მნიშვნელოვანი გამოცდილება და შეუწყოს ხელი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ ქვეყნებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია რეგულარული ჯარის არსებობა. განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც რთულ რეგიონში მდებარეობენ ან მუდმივი საფრთხის წინაშე დგანან. რეგულარული ჯარი ასეთი ქვეყნების დაცვას უფრო ეფექტურს ხდის.

საქართველოში რეგულარული სამხედრო სამსახური მოიცავს: წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურსა და პროფესიულ სამხედრო სამსახურს.





წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური



პირს სამხედრო მოსამსახურის სტატუსი აქვს:

ა) წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ან სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევის დღიდან სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებამდე;

ბ) პროფესიულ სამხედრო სამსახურში ან აქტიურ რეზერვში თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებამდე;

გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სამხედრო სასწავლებელში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებამდე;

დ) სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე დაწესებულებაში სამხედრო თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებამდე.



წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში მოქალაქეებს იწვევენ მთელი წლის განმავლობაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე დადგენილი რიგითობით. სამხედრო სამსახურში გაწვევამდე კი მათ უტარდებათ ფიზიკური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სპეციალური შემოწმება. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქის ასაკი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება 18 წლიდან 27 წლამდე პი-

რი, რომელიც იმყოფება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და არ აქვს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების ან წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების საფუძველი.



2. პირს, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი და:

ა) იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე, მაგრამ არ გაუვლია წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ენიჭება რიგითის სამხედრო წოდება და ირიცხება თავდაცვის ძალების რეზერვში;

ბ) არ იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე, აღნიშნული ფაქტის გამოვლენისთანავე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ენიჭება რიგითის სამხედრო წოდება და ირიცხება თავდაცვის ძალების რეზერვში.



წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ყოფნის/მსახურების ვადები და შესაბამისი ანაზღაურება განსხვავებულია. საჭიროებისამებრ, აღნიშნული ვადები და ანაზღაურება იცვლება.

სამხედრო ფიცი – საზეიმო დაპირება (ფიცი) – ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი, რომელსაც დებს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (მოქალაქე) სამხედრო სამსახურში გაწვევის (სამხედრო სასწავლებელში მიღების) დროს.





მრავალ სახელმწიფოში სამხედრო ფიცი არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და მორალურ-პოლიტიკური აქტი. დადგენილი წესით, სამხედრო ფიცის დადება ექვემდებარება უპირობო შესრულებას.

სამხედრო ფიცის შინაარსი და დადების რიტუალი ასახავს თავდაცვის ძალების ისტორიულ და ეროვნულ ტრადიციებს, სამხედრო ფიცის ტექსტი უნდა იყოს მიღებული კანონმდებლობით.

ეს საინტერესოა

ფიცის დადების წესი აქვთ: პრეზიდენტს, ჯარისკაცს, მოსამართლეს, პროკურორსა და აღმასრულებელს, ნოტარიუსს, პოლიციელს, მებაჟეს, ადამიანის უფლებათა დამცველს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეს, ექიმს.

პროფესიული სამხედრო სამსახური



პროფესიული სამხედრო სამსახური შეიძლება იყოს კონტრაქტზე დაფუძნებული, ნებაყოფლობითი ვადიანი სამხედრო სამსახური, და არასაკონტრაქტო – უვადო სამხედრო სამსახური. პროფესიული სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრება სამხედრო მოსამსახურესთან გაფორმებული კონტრაქტით. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეს შეუძლია წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური მოიხადოს პროფესიული სამსახურის სახითაც.



სამხედრო საქმე „ოქროს ხანის“ საქართველოში

დავით IV აღმაშენებლის სამხედრო რეფორმამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული ჯარის სტრუქტურა. დავითის არმიის ძირითად ნაწილს „სამეფოს სპა“ წარმოადგენდა, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულიდან ანუ საერისთავოებიდან იკრიბებოდა. ცალკე იყო მეფის პირადი გვარდია – მონასპა. ქართული არმია ოთხ სადროშოდ იყოფოდა. წინამებრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯვარელნი, ახალციხელნი და მათთან ერთად ცენტრში იდგნენ მესხნი, კლარჯნი და სომხითარნი. მარჯვენა ფლანგზე სრულიად ლიხთ-იქითნი, აფხაზ-ჯიქებითურთ, ხოლო მარცხენაზე ჰერ-კახნი იყვნენ განწესებული. მეფის ალამთან ქართლელნი და მონასპა იდგა. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ რეზერვსაც წარმოადგენდა.

დავითის ისტორიკოსის თქმით, მეფემ სამხედრო რეფორმის შედეგად ჯარს „დაუდგინა სპასალარნი და მმართებელნი“. დავითის მიერ დანიშნულ „მმართებლებში“ უნდა იგულისხმებოდნენ „ასისთავები“ და „ათასისთავები“. მთელ ამ სისტემას კი სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სახელის შემოტანას დავით IV აღმაშენებლის სახელს უკავშირებენ. ამირსპასალარს ექვემდებარებოდა როგორც საერისთავო, ისე სამეფო დომენიდან გამოსული ლაშქარი. „ოქროს ხანის“ საქართველოს სამხედრო უწყებაში, ამირსპასალარის გარდა, შედიოდა, მისი მოადგილე ამილახორი, რომელსაც სამეფო თათბირზე – ვაზირობაზე დასწრების უფლებაც ჰქონდა. ასევე: ჩუხჩარხი, მეჯინიბეთუხუცესი, მეაბჯრეთუხუცესი, მერემეთუხუცესი, ზარდახნის უხუცესი, ზარდახნის მოლარე და სხვა.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფო კარის მიერ ხშირი იყო შემთხვევები უცხო ქვეყნის მეომრების დაქირავებისა.

ა) ერთჯერადი დაქირავება, როდესაც მეომრები ჩამოდიოდნენ ერთი კონკრეტული დავალების შესასრულებლად;

ბ) როდესაც სამეფო კარი ხანგრძლივი კონტრაქტით ქირაობდა მეომრებს.

ჯარისკაცის დაქირავება მსოფლიოში აპრობირებული ფორმა იყო. მაგალითად ბიზანტიაში, ვარანგთა (ვიკინგების) გვარდიას იმპერატორის სამყოფლის დაცვა ევალებოდა. საქართველოში ასეთი ფუნქციები დაქირავებულ მეომრებს არ გააჩნდათ. მხოლოდ, გიორგი III-ის დროს მცირე ხნით მნიშვნელოვნად დაწინაურდა ყივჩაღური გვარდია. სხვა შემთხვევაში დაქირავებული მეომრები რაიმე განსაკუთრებული უფლებებითა და პრივილეგიებით არ სარგებლობდნენ.



საქართველოს თავდაცვის ძალების სარეზერვო სამხედრო სამსახური






ქვეყნის თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია ორგანიზებული რეზერვი. თავდაცვის ძალების შესაძლებლობის ზრდა და საბრძოლო მოქმედებების დროს დანაკარგების შევსება დამოკიდებულია კარგად მომზადებული რეზერვის არსებობასა და მის მობილიზაციაზე.

შეიარაღებულმა კონფლიქტებმა საქართველოს უახლეს ისტორიაში და ქვეყნის წინაშე არსებულმა საფრთხეებმა, მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან დაპირისპირების დიდმა ალბათობამ ნათლად დაგვანახა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი და ეფექტური სამხედრო სარეზერვო სისტემის არსებობის საჭიროება.

თავდაცვის ძალების რეზერვი იქმნება სამხედრო ძალების გასაძლიერებლად და მხარდასაჭერად.

სარეზერვო სამხედრო სამსახური მოიცავს აქტიურ სარეზერვო სამხედრო სამსახურსა და სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს.



როგორია აქტიური რეზერვის შემადგენლობა?

აქტიური რეზერვი შედგება ტერიტორიული და სპეციალისტთა რეზერვისგან.

ტერიტორიული რეზერვი

ტერიტორიული რეზერვი იქმნება მცირე სამობილიზაციო დროში თავდაცვის ძალების დამატებითი საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის, რაოდენობრივი ზრდისა და ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების მიზნით. ტერიტორიული რეზერვი შედის თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში და ორგანიზებულია ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებში, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება სამანევრო ელემენტებისგან, აგრეთვე დასახული ამოცანებისა და გეოგრაფიული არეალისთვის მორგებული ტერიტორიული ქვედანაყოფებისგან. ტერიტორიული რეზერვი კომპლექტდება იმ პირებით, რომლებიც აკმაყოფილებენ აქტიური რეზერვისტისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სპეციალისტთა რეზერვი

სპეციალისტთა რეზერვი იქმნება თავდაცვის ძალების სპეციფიკური მოთხოვნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შესაბამისი სამოქალაქო სპეციალობის მქონე პირებისგან. სპეციალისტთა რეზერვში შეიძლება ჩაირიცხოს მაღალი კვალიფიკაციის, შესაბამისი

სპეციალობის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს მისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სპეციალისტთა რეზერვში შესაბამისი ფორმითა და პირობებით შეიძლება ჩაირიცხოს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

როგორია სამობილიზაციო რეზერვის შემადგენლობა?

სამობილიზაციო რეზერვი შედგება მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო და ზოგადი სამობილიზაციო რეზერვისგან.

მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვი

მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვი იქმნება თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების რეზერვისტებით დაკომპლექტების/შევსების, მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების, აგრეთვე თავდაცვის ძალების საბრძოლო ძალთა სტრუქტურის გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით. მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვში მიიღება თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირი (მათ შორის ის, ვინც გაიარა წვევამდელთა ეროვნული სამსახური ან აქტიურ რეზერვში იმსახურა არანაკლებ 3 წელი). ასევე მაღალი მზადყოფნის რეზერვში ჩაირიცხებიან რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების ან სტუდენტის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამაგავლილი პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სამხედრო წოდება. პირი უნდა აკმაყოფილებდეს სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს. რაც შეეხება ვადებს, მაღალი მზადყოფნის სამობილიზაციო რეზერვში ყოფნის ვადაა 10 წელი და აღნიშნულ რეზერვში ჩარიცხვას არ ექვემდებარება პირი, რომლის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნიდან გასულია 10 წელი ან 10 წელზე მეტი.

ზოგადი სამობილიზაციო რეზერვი

ზოგადი სამობილიზაციო რეზერვის მიზანია თავდაცვის ძალების გაძლიერება და დანაკარგების შევსება. იგი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მომზადებული სამობილიზაციო რეზერვი და მოუმზადებელი სამობილიზაციო რეზერვი.



პრაქტიკული აქტივობა

1. 25 წლის ლევანი კერძო სექტორში მუშაობს და ოჯახის მთავარი მარჩენალია. წვევამდელთა ეროვნულ სამსახურში გაწვევის ცნობის მიღების შემდეგ იგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დადგა: როგორ შეეთავსებინა ოჯახზე ზრუნვა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა.

დილემა: რა უნდა იყოს ლევანისთვის პრიორიტეტი: კერძო სექტორში შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახური თუ ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა?

სამხედრო სამსახური მას სთავაზობს სამედიცინო დაზღვევას, ყოველთვიურ გარკვეულ ფინანსურ ანაზღაურებას, ასევე მოქნილ და მკაფიოდ განსაზღვრულ გრაფიკს: 6-თვიანი პროგრამის არჩევის შემთხვევაში, სამუშაო დღე 17:00 საათზე სრულდება და შაბათ-კვირას თავისუფალია, ხოლო 8-თვიანი პროგრამა სამ დღეში ერთხელ სამსახურს გულისხმობს. გარდა ამისა, მას კერძო სექტორში სამუშაო ადგილი უნარჩუნდება. ასეთი რეჟიმით ლევანს ეძლევა თუ არა შესაძლებლობა, სამხედრო სამსახურის პარალელურად, ყოველგვარი იძულების გარეშე, პირნათლად მოიხადოს ვალი ქვეყნის წინაშე და, იმავდროულად, კვლავ უზრუნველყოს ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა?

2. ნიკამ გადაწყვიტა საკუთარი სურვილით დარეგისტრირდეს და ნებაყოფლობით გაიაროს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური. მეგობრები ეკითხებიან, რატომ არ ელოდება გამოძახებას, რა სარგებელს მიიღებს ამ გადაწყვეტილებით? პატრიოტული განწყობის მიუხედავად, ხომ არ აჯობებს, სამოქალაქო სექტორში დასაქმდეს?

დილემა: რა იქნება უფრო მნიშვნელოვანი ნიკასთვის: პირადი მოტივაციის საფუძველზე წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა თუ მეგობრების გავლენით უარის თქმა?

სამხედრო წოდებები

იმსჯელეთ

- რა ინფორმაცია გაქვთ სამხედრო წოდებებზე? მოიყვანეთ მაგალითები.
- თქვენი აზრით, რატომ სჭირდება ჯარს იერარქიული სისტემა?
- თქვენი აზრით, სამხედრო წოდება მხოლოდ სტატუსია თუ...? (განავრცეთ თქვენი მოსაზრებებით)
- თქვენი აზრით, რა არის უფრო მნიშვნელოვანი წოდების მისაღებად – გამოცდილება თუ განათლება?

სამხედრო სამსახურზე როდესაც ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით სამხედრო წოდებებს, რადგან სამხედრო წოდებები პერსონალურად მიეკუთვნება სამხედრო მოსამსახურეებს და თავდაცვის ძალების რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს. სამხედრო წოდებების მინიჭება განსაზღვრულია მათი სამსახურებრივი მდგომარეობით, სამხედრო ან სპეციალური მომზადებით, ნამსახურობით, თავდაცვის ძალების სახეობის, ჯარების გვარეობის,

სპეციალური ჯარებისა თუ სამსახურისადმი კუთვნილებითა და დამსახურებით.

სამხედრო წოდებები აუცილებელი პირობაა პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედრო კადრების შერჩევისა და განაწილების სწორი ორგანიზაციისათვის, მათი მყარი სამსახურებრივ-სამართლებრივი მდგომარეობისათვის. სამხედრო წოდებები განსაზღვრავს ურთიერთობებს სამხედრო მოსამსახურეთა შორის დაქვემდებარებისა და უფროსობის მიხედვით, დაკავებული თანამდებობების შესაბამისად, სამხედრო სამსახურსა და რეზერვში ყოფნის ზღვრულ ასაკს. სხვადასხვა ქვეყანაში სამხედრო წოდებებს აქვს ეროვნულ ტრადიციებთან დაკავშირებული თავისებურებები.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ირაკლის ისტორიას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ირაკლიმ სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება დაეკავშირებინა სამხედრო სფეროსთან და ჩააბარა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. აკადემიაში სწავლის პერიოდში იგი გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, დისციპლინითა და ლიდერული უნარებით.

აკადემიის წარმატებით დასრულების შემდეგ ირაკლის მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და დაიწყო სამსახური საქართველოს თავდაცვის ძალებში. თავდაპირველად იგი დაინიშნა ოცეულის მეთაურად, სადაც ხელმძღვანელობდა 38 სამხედრო მოსამსახურეს. ამ ეტაპზე მან შეიძინა პრაქტიკული გამოცდილება ქვედანაყოფის მართვაში.

შემდგომ წლებში ირაკლი ეტაპობრივად დაწინაურდა: გახდა ასეულის მეთაური, შემდეგ ბატალიონის შტაბის ოფიცერი და მოგვიანებით – ბატალიონის მეთაური. თითოეულ საფეხურზე იგი გამოირჩეოდა ორგანიზებულობით, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარითა და პირადი შემადგენლობისადმი ზრუნვით.

მისი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საერთაშორისო გამოცდილება. ირაკლი მონაწილეობდა სამშვიდობო მისიებში ავღანეთსა და ერაყში, სადაც ქართველ სამხედროებთან ერთად ასრულებდა რთულ ამოცანებს. ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვნად განავითარა მისი პროფესიონალიზმი, გააუმჯობესა ლიდერული უნარები და ასწავლა მრავალეროვან გარემოში მუშაობა.

განათლების მხრივ, ირაკლი მუდმივად ცდილობდა განვითარებას. გაიარა სხვადასხვა სამხედრო კურსი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, მათ შორის ნატოს სტანდარტების მიხედვით მომზადების საკარიერო პროგრამები. ეს დაეხმარა მას თანამედროვე სამ-

ხედრო სტრატეგიებისა და მართვის მეთოდების ათვისებაში.

წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შედეგად, ირაკლი დაწინაურდა და მიაღწია პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. საბოლოოდ იგი დაინიშნა ბრიგადის მეთაურად, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობაა ტაქტიკურ დონეზე. ამ პოზიციაზე იგი ხელმძღვანელობს ასეულობით და ზოგჯერ ათასობით სამხედრო მოსამსახურეს, გეგმავს ოპერაციებს და უზრუნველყოფს ქვედანაყოფის საბრძოლო მზადყოფნას.

ირაკლისთვის ქართულ ჯარში სამსახური მხოლოდ პროფესია არ არის. ეს არის მისი მოწოდება და პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე. მისი თქმით, მან ეს გზა აირჩია, რადგან სურდა დაეცვა თავისი ქვეყანა, ემსახურა ხალხისთვის და ყოფილიყო იმ სისტემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. მისთვის სამხედრო ფორმა სიმბოლოა ღირსების, ერთგულებისა და პასუხისმგებლობის.

ირაკლის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სამხედრო კარიერაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია განათლება, დისციპლინა, პრაქტიკული გამოცდილება და ძლიერი შინაგანი მოტივაცია. ირაკლის მაგალითი ადასტურებს, რომ მიზანდასახული ადამიანი შეძლებს ეტაპობრივად მიაღწიოს მაღალ სამხედრო თანამდებობას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის სამსახურში.


შეკითხვები

- დააკავშირეთ ირაკლის კარიერული გზა თქვენს წარმოდგენებთან სამხედრო სამსახურის შესახებ. როგორ შეიცვალა ან განმტკიცდა თქვენი ხედვა?
- შეადარეთ ირაკლის კარიერული განვითარება სხვა პროფესიული განვითარების გზებს (თქვენთვის ნაცნობ მაგალითებს). რა არის საერთო და რა განსხვავებული?
- ახსენით, როგორ დაეხმარა ირაკლის განათლება, პრაქტიკული გამოცდილება და საერთაშორისო გამოცდილება პროფესიულ ზრდაში ?
- ირაკლის ისტორიის მიხედვით, დაასაბუთეთ ის, თუ რა არის წარმატების მთავარი საფუძველი სამხედრო კარიერაში? (მოიყვანეთ ერთი ან რამდენიმე ფაქტორი).
- ჩამოაყალიბეთ თქვენეული ხედვა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ახალგაზრდამ საქართველოში სამხედრო კარიერის განვითარებისთვის?
- ივარაუდეთ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სამხედრო კარიერა მომავალში და რა ახალი უნარ-ჩვევების ქონა შეიძლება გახდეს აუცილებელი?

სამხედრო სამსახურში სამხედრო წოდებებს, მართლაც, რომ დიდი როლი აკისრია, ამიტომაც ყველა სამხედრო მოსამსახურეს ენიჭება სამხედრო წოდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. მორიგ სამხედრო წოდებებს სამხედრო პირები თანამიმდევრობით, საფეხურის გამოტოვების გარეშე იღებენ.

რიგით-კაპრალთა და სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო წოდებები და დაწინაურების ვადები

რიგით-კაპრალთა შემადგენლობა




სერჟანტთა შემადგენლობა



ოფიცერთა შემადგენლობა

საკონტრაქტო პროფესიული სამხედრო სამსახურის უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის წოდებებია: ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი.

უფროს ოფიცერთა შემადგენლობის წოდებებია: მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი.



უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობის წოდებებია: **ბრიგადის გენერალი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი და გენერალი.** უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების მისანიჭებლად ვადა არ დგინდება.



აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოსამსახურეს (გარდა რიგითებისა და კაპრალების შემადგენლობისა) სამხედრო სამსახურის პერიოდში სამხედრო წოდება განსაკუთრებული დამსახურებისათვის შესაძლებელია მიენიჭოს ვადამდე. სამხედრო მოსამსახურეს, აგრეთვე რეზერვში მყოფ ან გადამდგარ პირს, სამხედრო წოდება შეიძლება ჩამოართვას მხოლოდ სასამართლომ.



პრაქტიკული აქტივობა – ინტერვიუ

ინტერვიუსთვის შეარჩიეთ მეწყვილე, მონაცვლეობით მოირგეთ ჟურნალისტისა და სამხედრო მოსამსახურის როლი და ჩაატარეთ ინტერვიუ. ინტერვიუს დაწყებამდე ინდივიდუალურად მოამზადეთ შეკითხვები.

შეკითხვების ნიმუში:

- რა სახის სამხედრო სამსახურში იმყოფებით? რა წოდება გაქვთ?
- რა ეტაპების გავლაა საჭირო აღნიშნულ სამხედრო სამსახურში მოსახვედრად?
- რა კონკრეტული ვალდებულებები გაქვთ ?
- რატომ გადაწყვიტეთ სამხედრო სამსახურში ყოფნა?
- როგორ უკავშირდება თქვენი სამსახური ქვეყნის უსაფრთხოებას?



ეს საინტერესოა

სამხედრო წოდებები

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წელს, ოფიცრები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იმ წოდებებით მსახურობდნენ, რაც მათ რუსულ არმიაში ჰქონდათ. თავდაპირველად, მათი წოდებების მომატება დამსახურების მიხედვით ხდებოდა.

1919 წლის 31 ივლისს მიღებული კანონის „სამხედრო პირთა ხარისხების შესახებ დებულების შეცვლის“ თანახმად, საქართველოს რეგულარულ ჯარში სამხედრო წოდების მინიჭება თანამდებობის შესაბამისად ხდებოდა. რეგულარულ ჯარში ოფიცერთა შემდეგი თანამდებობები დაწესდა:

გენერალი – პირი, რომელიც მეთაურობდა ბრიგადას ან ეკავა უფრო მაღალი თანამდებობა, ან ეკავა თანაბარი თანამდებობა სამხედრო უწყების სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში.

პოლკოვნიკი – ერთეულის უფროსი ან პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა ეკავა სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში.

მაიორი – ერთეულის უფროსის თანაშემწე, დამოუკიდებელი ნაწილის უფროსი და პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა ეკავა სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში.

კაპიტანი – გუნდის (ასეული) უფროსი ან პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა ეკავა სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში.

უფროსი ლეიტენანტი – გუნდის უფროსი ოფიცერი.

ლეიტენანტი – ყველა სხვა უმცროსი ოფიცერი.

რიგითი ჯარისკაცების შემადგენლობაში უნტერ-ოფიცრები მოიხსენიებოდნენ, როგორც ნაცვლები.


სახალხო გვარდიაში არ არსებობდა ოფიცერთა წოდებები და მეთაურები ქვედანაყოფების მიხედვით იწოდებოდნენ. მაგალითად: ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაური, ათასეულის მეთაური.

დავალება

აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო სამხედრო წოდება და ამ წოდების შესახებ მოამზადეთ **პრეზენტაცია**.

პრეზენტაციაში წარმოაჩინეთ:

- რატომ აირჩიეთ ეს კონკრეტული წოდება?
- შეადარეთ ეს და რომელიმე სხვა წოდება ერთმანეთს, რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?
- რატომ უნდა ჰქონდეს პირს ამ წოდების შესაბამისი გამოცდილება, პასუხისმგებლობა, უნარ-ჩვევები და თვისებები?
- როგორ უკავშირდება ეს წოდება სამხედრო სამსახურს?
- რატომ არის ეს წოდება მნიშვნელოვანი სამხედრო სამსახურში?
- კიდევ რა ინფორმაციის ქონას ისურვებდით ამ წოდების ირგვლივ?
- როგორ დააინტერესებდით თანამოქალაქეებს სამხედრო სამსახურით? სამხედრო წოდებებით?



საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ესკიზები. 1919 წელი.

სასარგებლო რესურსები

2. სამხედრო განათლება

იმსჯელეთ

გაეცანით მოსაზრებას და იმსჯელეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე.

„სწავლა და განათლება“ და არა მხოლოდ „წვრთნა და ვარჯიში“, „ფიქრი და აზროვნება“ და არა მხოლოდ „დამახსოვრება და მიბაძვა“, „რწმენა და ღირსება“ და არა მხოლოდ „რიდი და მოვალეობა“, „ეროვნული სულისკვეთება და პატრიოტიზმი“ და არა მხოლოდ „შიში და მორჩილება“.

შეკითხვები

- როგორ შეიძლება დაეხმაროს განათლება ადამიანს სამომავლო გეგმების განხორციელებაში?
- რა გსმენიათ სამხედრო განათლების შესახებ? მოიყვანეთ მაგალითები ისტორიიდან ან თანამედროვე რეალობიდან.
- როგორ ფიქრობთ, როგორ შეუძლია მოქალაქეს სამხედრო განათლების მიღება? მოიყვანეთ მაგალითი.
- ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ, თუ რა მთავარი ღირებულებები და უნარები უნდა ჰქონდეს სამხედრო პირს? რატომ?
- ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?





სამხედრო განათლება არის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელსაც ეუფლება ადამიანი თავდაცვის ძალებში და აქვს შესაძლებლობა, გახდეს წარმატებული/პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე. თავდაცვის სამინისტროს განათლების სისტემა, სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო პირთა სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წამოადგენს, რომლის მიზანია სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა განათლების მიღება/გაღრმავება მათი სამსახურებრივი მოვალეობის, სპეციფიკისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად.



სამხედრო განათლება არ არის მხოლოდ ბრძოლის წესების ან იარაღის გამოყენების შესწავლა, არამედ კომპლექსურ ცოდნას (ლიდერობა, ტაქტიკა, დისციპლინა, ფიზიკური მომზადება და სხვ.) მოიცავს. სამხედრო განათლება ადამიანს აძლევს შესაძლებლობას განვითარდეს, როგორც პროფესიონალი და დაწინაურდეს ეტაპობრივად (მაგ.: გახდეს ოფიცერი, მართოს ქვედანაყოფი).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამხედრო განათლება მხოლოდ ჯარში არ გამოიყენება. თავდაცვის ძალები სამხედრო მოსამსახურეებს (და არამარტო) აძლევს ისეთ პროფესიულ ცოდნას, რომელიც მათ სამოქალაქო ცხოვრებაშიც გამოადგებათ.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ნამდვილ ისტორიას კოტეს შესახებ და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

კოტემ სამხედრო კარიერა დაიწყო წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურით. თავდაპირველად მისი მოტივაცია არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული. როგორც ბევრი მისი თანატოლი, ისიც მოვალეობის მოხდის მიზნით წავიდა ჯარში. თუმცა სამსახურის პერიოდში ის პირველად გაეცნო სამხედრო გარემოს, დისციპლინას, გუნდურ მუშაობასა და პასუხისმგებლობას, რამაც მასში ნელ-ნელა გააღვივა ინტერესიც და სურვილიც, საკუთარი თავი ამ სფეროში უფრო სერიოზულად გამოეცადა.

სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ მან გადაწყვიტა, გაეგრძელებინა კარიერა თავდაცვის ძალებში და გააფორმა კონტრაქტი. იგი მოხვდა საბრძოლო ქვედანაყოფში, სადაც გამოავლინა ტექნიკური უნარები და სწრაფად სწავლის უნარი. სწორედ აქ გაუჩნდა ინტერესი თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით, უპილოტო საფრენი

სისტემების მიმართ.

კოტეს პოტენციალის გათვალისწინებით, მას მიეცა შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინა საერთო-საჯარისო ცენტრის უპილოტო და კონტრუპილოტო სისტემების სასწავლო სკოლაში, სადაც გაიარა უპილოტო საფრენი სისტემების შემსწავლელი კურსი. აღნიშნული კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს – ფრენის მართვას, ოპერაციების დაგეგმვას, სამიზნეების დაკვირვებას, აგრეთვე კონტრუპილოტო სისტემების გამოყენებას.

სწავლის დასრულების შემდეგ ის დაბრუნდა საბრძოლო ქვედანაყოფში უკვე როგორც უპილოტო საფრენი აპარატის ოპერატორი. მან წარმატებით გააგრძელა სამსახური და გაახანგრძლივა კონტრაქტი ორი ვადით. ის მონაწილეობდა სხვადასხვა სწავლებასა და ოპერაციულ დავალებაში, სადაც მისი როლი მნიშვნელოვანი იყო დაზვერვის მიმართულებით.

რამდენიმე წლის გამოცდილების დაგროვების შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გაეგრძელებინა სამხედრო კონტრაქტი და სამსახური სამოქალაქო სექტორში გააგრძელა. მისი სპეციალიზებული ცოდნა და გამოცდილება მოთხოვნადი აღმოჩნდა კერძო სფეროშიც, რის შედეგადაც დასაქმდა კერძო კომპანიაში უპილოტო საფრენი აპარატის ოპერატორად. მისი სამუშაო მოიცავს: ნაკვეთის შეფასებას (ფერმერთან ერთად), მარშრუტის დაგეგმვას, ქიმიკატის მომზადებას, უპილოტო საფრენი აპარატის გაფრენასა და გაფრქვევას, უპილოტო საფრენი აპარატის ბატარეების მართვას, აპარატის მომსახურებას.

სამოქალაქო სამსახურში მან წარმატებით გამოიყენა სამხედრო გამოცდილება – დისციპლინა, ტექნიკური სიზუსტე და სწრაფი აზროვნება. ახლა იგი იყენებს უპილოტო საფრენ აპარატებს სოფლის მეურნეობაში აგროტექნიკური პროცესების ოპტიმიზაციისთვის.

ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სამხედრო სამსახურში მიღებული ცოდნა და უნარები წარმატებით გამოიყენონ სამოქალაქო ცხოვრებაში და იქცეს პროფესიულ წარმატებად.

შეკითხვები

- როგორ უკავშირდება კოტეს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გამოცდილება მის შემდგომ პროფესიულ არჩევანს სამოქალაქო სექტორში?
- როგორ განსხვავდება კოტეს მოტივაცია სამხედრო სამსახურის დასაწყისში და მისი პროფესიული მიზნები გამოცდილების დაგროვების შემდეგ?
- როგორ ახსნით, რომ სამხედრო გარემოში მიღებულმა გამოცდილებამ კოტეს კარიერული მიმართულება შეცვალა?
- რატომ შეიძლება ჩაითვალოს კოტეს სამხედრო გამოცდილება მნიშვნელოვან საფუძვლად მისი შემდგომი პროფესიული წარმატებისთვის?
- ვინ და როგორ უნდა შეუწყოს ხელი კოტესნაირ სამხედრო მოსამსახურეებს დაგროვილი ცოდნის სხვადასხვა სფეროში რეალიზებაში? რა რჩევებს/რეკომენდაციებს შესთავაზებდით სახელმწიფოს?

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ სამხედრო განათლების მიღება შესაძლებელია სპეციალურ სამხედრო სასწავლებლებში. საქართველოს თავდაცვის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **კადეტთა სამხედრო ლიცეუმს.** მისი მთავარი დანიშნულებაა მოზარდებში სამხედრო-სამოქალაქო ღირებულებების, დისციპლინის, ლიდერობისა და პატრიოტიზმის განვითარება.

ლიცეუმში მომზადებულ კადრებს შემდგომში შეუძლიათ სწავლის გაგრძელება **დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში** ან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამისად, იგი არის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი ზოგად განათლებასა და პროფესიულ სამხედრო განათლებას შორის და ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის მომავალი ოფიცრების აღზრდას.





კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმი დაარსდა 2010 წლის 2 აგვისტოს, ქალაქ ქუთაისში. არსებული სასწავლებლის წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ის, რომ 2026 წელს ლიცეუმი გაფართოვდა და აღმოსავლეთ საქართველოში დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული. შესაბამისად, 2026 წლის თებერვლიდან სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმს გააჩნია ორი სტრუქტურული ერთეული: გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა (გარდაბანი, სოფ. კრწანისი) და გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა (ქუთაისი, ავტომშენებლის 51). სკოლები პანსიონის ტიპის სასწავლებლებია, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტუ-

რით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. ლიცეუმში სწავლება მიმდინარეობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებით.

ლიცეუმში ყველა პირობაა შექმნილი კადეტების პატრიოტული, ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის. კადეტები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით. კადეტებს სასწავლო გეგმის გავლის შემდეგ გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი, აგრეთვე დაწყებითი სამხედრო მომზადების სერტიფიკატი.

ყოველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ კადეტებს უტარდებათ სასწავლო გეგმის შესაბამისი პრაქტიკული და საველე მეცადინეობები, სასწავლო წლის დაწყებამდე კი გადიან საადაპტაციო პერიოდს.

ეროვნული თავდაცვის აკადემია



სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნისა და სამინისტროსთვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების, აკადემიური უმაღლესი და სამხედრო განათლების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადებას.



1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია შეიქმნა, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის პირველ სექტემბერს მიიღო. აკადემიაში ჩარიცხულ ახალგაზრდებს თავდაპირველად კურსანტები, შემდეგ კი მსმენელები ეწოდათ. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდეგ, ეროვნული თავდაცვის აკადემია დაერქვა. 2014 წლიდან აკადემიაში ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში ჩარიცხულ მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკრების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.



აკადემიაში საგანმანათლებლო მიმართულებით ფუნქციონირებს:

ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები:
ა.ა. ბაკალავრიატი;
ა.ბ. მაგისტრატურა.
ბ) დამატებითი საგანმანათლებლო ერთეულები:
ბ.ა. უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა;
ბ.ბ. იუნკერთა სასწავლო ბატალიონი.



2003 წლის 20 თებერვალს აკადემიას დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლის ნოემბერში სასწავლებელი ქალაქ გორში გადაიტანეს. 2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. 2010 წლის 8 დეკემბერს აკადემიამ, თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიიღო. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნულ თავდაცვის აკადემიას მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

ეს საინტერესოა

გაეცანით ინფორმაციას პირველი ქართული სამხედრო სასწავლებლის შესახებ.

პირველი ქართული სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება უკავშირდება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდს. ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა საკუთარი ეროვნული არმიის შექმნა იყო, რაც პროფესიონალი ოფიცრების მომზადებას მოითხოვდა.

ამ მიზნით 1919 წელს თბილისში დაარსდა თბილისის იუნკერთა სკოლა – პირველი ქართული სამხედრო სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მომავალი არმიის ოფიცრებს. აქ სწავლა მოიცავდა როგორც სამხედრო დისციპლინებს (ტაქტიკა, იარაღის გამოყე-


ნება, სტრატეგია), ასევე ზოგად განათლებას.

სკოლაში სწავლობდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც „იუნკრებს“ უწოდებდნენ. მათ შორის განსაკუთრებული გმირობით გამოირჩეოდნენ ის იუნკრები, რომლებიც 1921 წელს თბილისის დაცვის ბრძოლების დროს სამშობლოს დაცვას შეეწირნენ.

იუნკერთა სკოლა არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, არამედ პატრიოტიზმისა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების ცენტრი. მისი კურსდამთავრებულები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს სამხედრო ისტორიაში.

როგორია სამხედრო სამსახურში კარიერული განვითარების შესაძლებლობები?

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახური იწყება საწყისი საბრძოლო მომზადების გავლით, რომელიც სამხედრო განათლების მნიშვნელოვანი ნაწილია. საწყის საბრძოლო მომზადებას გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, რომელიც ექვემდებარება წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას. საწყისი საბრძოლო მომზადებისას სამხედრო მოსამსახურეები ფიზიკურად ძლიერდებიან, ეჩვევიან დისციპლინასა და წესრიგს, იძენენ იარაღის გამოყენების საბაზისო უნარებს და გადიან სამხედრო-სამწყობრო მომზადებას.



პროფესიონალ ჯარისკაცს შეუძლია კარიერული განვითარება სერჟანტის ან ოფიცრის მიმართულებით.

სერჟანტთა კარიერულ განვითარებას უზრუნველყოფს ეტაპობრივი სამხედრო განათლების სისტემა. მომზადება იწყება კაპრალის საკანდიდატო პროგრამით, შემდეგ მოიცავს უმცროსი სერჟანტის, სერჟანტის, უფროსი სერჟანტისა და მასტერ-სერჟანტის სამხედრო განათლების დონეებს. თითოეული ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ სამხედრო მოსამსახურე იძენს შესაბამის საშტატო თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო განათლებასა და უნარ-ჩვევებს.

სერჟანტთა კარიერული განვითარება



საერთო ჯამში, თავდაცვის ძალებში სხვადასხვა დონის პროფესიული სამხედრო განათლების მიღებაა შესაძლებელი ოფიცერთათვის.

პროფესიული სამხედრო განათლება მოიცავს **საწყის, ძირითად, შუალედურ და უმაღლეს** სამხედრო განათლებას.



- **ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლება**, რომელსაც ეუფლებიან დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში; აკადემიის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ოფიცრის პირველადი წოდება – ლეიტენანტი.



- **ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება**, რომელიც მოიცავს ორ საფეხურს: I – **ოფიცრის ძირითადი კურსები** (ოცეულის მეთაური) – და II – **კაპიტნის საკარიერო კურსები** (ასეულის მეთაური). აღნიშნულ კურსებს ოფიცრები გადიან წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო-საჯარისო ცენტრის ჯარების გვარეობების (ქვეითი, საარტილერიო, საინჟინრო და სხვ.) შესაბამის სკოლებში.




- **ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება**, რომელსაც ეუფლებიან მოქმედი სამხედროები წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია და მოემზადონ მაღალ თანამდებობებზე დასანიშნად (ბატალიონის მეთაური).



- **ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლება,** რომელსაც ეუფლებიან სამხედროები თავდაცვის სამინისტროს სსიპ ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამაზე (ბრიგადის მეთაური და უფრო მაღალი თანმდებობა). ეს არის პროფესიული სამხედრო განათლების სტრატეგიული (ყველაზე მაღალი) დონე.

პრაქტიკული აქტივობა

შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სამხედრო განათლების რომელიმე სახეობა ან საფეხური და მოამზადეთ მისი მნიშვნელობის შესახებ 5-7-წინადადებიანი მოკლე პრეზენტაცია. ახსენით, რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი და რა შესაძლებლობებს ქმნის პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის?


ოფიცერთა კარიერული განვითარება
ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლება
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
4 წელი
ოფიცრის
საკანდიდატო კურსი
1 წელი
რეზერვის უმცროს ოფიცერთა
მომზადების პროგრამა
2 წელი (შაბათსა და კვირას)
ლეიტენანტი
ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება
(ოცეულის/ასეულის მეთაური)
წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის
საერთო-საჯარისო ცენტრი
უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი
(12 სპეციალობა)
კაპიტნის საკარიერო კურსი
(11 კურსი)
ძირითადი სამხედრო განათლების
I საფეხური (ლეიტენანტი)
ძირითადი სამხედრო განათლების II
საფეხური (უფროსი ლეიტენანტი / კაპიტანი)
ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება
(ბატალიონის მეთაური)
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი
(მაიორი)
ოფიცერთა უმაღლესი განათლება (უწყებათაშორისი)
(ბრიგადის მეთაური და უფრო მაღალი თანამდებობა)
თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
(ვიცე-პოლკოვნიკი/პოლკოვნიკი)



„არ არის ტყვია, რომელიც მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“.

გენერალი გიორგი კვინიტაძე

ქართველი იუნკრები

„დიდი გამძლეობა აღმოაჩნდა ქართველ ერს! მისი სულიერი სიმტკიცე არ შეირყა!... არ შეირყა მისი რაინდული მხნეობა... მას მოსტაცეს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მაგრამ ვერ გატეხეს! ვერც დაიმონებენ...“

რემონ დიუგე, XXს. ცნობილი ფრანგი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე.

„ლომებივით იბრძვიან იუნკრები ყველა ნაწილიდან. იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტს... ისინი ჩაუსაფრდებიან წუნკალა მტერს და მთელ დღე-ღამეს, როგორც ზღვის ტალღებს, უკუაქცევენ ბოლშევიკების იერიშებს...“

რეზო გაბაშვილის რეპორტაჟი უშუალოდ ფრონტის ხაზიდან.

გენერალი გიორგი კვინიტაძე 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საქართველოში დაბრუნდა და ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდა, იყო ქართული არმიის მთავარსარდალი. მეთაურობდა ქართულ ჯარს ოსმალეთის (1919), სომხეთის (1918), წითელი არმიის (1921) წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში.

1919 წელს გენერალ კვინიტაძის ინიციატივით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) დადგენილებით, თბილისში დაარსდა ქართველ იუნკერთა ორწლიანი სასწავლებელი. იქ, ძირითადად, ქართველ თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდა სულ 182 იუნკერი („უნკერ“ გერმანულად თავადაზნაურული წარმოშობის უნტერ-ოფიცერს ნიშნავს). ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა.

სამხედრო სკოლის სახელი და მისი მნიშვნელობა არ გამოჰპარვიათ საქართველოს დაუძინებელ მტრებსაც. აზერბაიჯანის იოლი გასაბჭოებით გათამამებული ბოლშევიკები 1920 წლის მაისის დასაწყისში წითელი დროშის აღმართვას საქართველოშიც ესწრაფოდნენ. სამხედრო სკოლას თავს დაესხნენ 2 მაისს, ღამით. სკოლამ თავდასხმა ღირსეულად მოიგერია. რამდენიმე საათის შემდეგ იუნკერთა სიმამაცეზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა. თავდასხმის მოგერიება სამხედრო სკოლას მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ პირადად მიულოცა, თუმცა ნამდვილი დიდება ახალგაზრდა ოფიცერთა ქართულ სასწავლებელს ავადსახსენებელი 1921 წლის თებერვლის მიწურულს ელოდა.

კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლები

სამხედრო სკოლამ საბრძოლო დავალება ახლად დანიშნულ მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძისაგან 17 თებერვალს მიიღო. დავალების მიხედვით, ორ ათეულამდე ოფიცერს, იუნკერთა ასეულსა და ნაცვალთა ათასეულს მოწინააღმდეგე კოჯორსა და შავნაბადას მონასტერს შორის არსებულ ფრონტზე უნდა შეეკავებინა. მებრძოლთა ეს რაოდენობა ამ მონაკვეთის ეფექტურად დასაცავად აშკარად მცირე იყო, მაგრამ გენერალ კვინიტაძეს არ ჰყავდა არანაირი რეზერვი. ყველაფერი იუნკერთა სიმამაცესა და უნარზე იყო დამოკიდებული (სამი დღის დაგვიანებით, იუნკრებს გვარდიის ათასეული და თბილისელ მოხალისეთა რაზმი მიაშველეს, თუმცა ისინი პირველივე იერიშის დროს უკუიქცნენ).

იუნკრები საბრძოლო დავალების შესასრულებლად და თბილისის მისადგომების დასაცავად 17 თებერვლის დილასვე გაეშურნენ. თბილისის ქუჩებში ხალხი ცრემლითა და ყვავილებით მიაცილებდა მწყობრი ნაბიჯით მიმავალ თხელ პალტოებში გამოწყობილ 20-23 წლის ბიჭებს. პირველი „წითელი“ იერიშების მოგერიება მამაც იუნკრებს საბრძოლო პოზიციებზე ასვლისთანავე მოუწიათ. ქართველი მეომრები სალი კლდესავით აღიმართნენ კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში. ზედიზედ რამდენიმე იერიშის მოგერიების შემდეგ იუნკრები კონტრიერიშზე გადავიდნენ და თბილისის კარიბჭემდე იოლად მოღწეულ მტერს მნიშვნელოვანი სიმაღლეები გამოჰგლიჯეს ხელიდან. ამ ბრძოლებში იუნკრები ენით აუწერელ გმირობებს სჩადიოდნენ. ერთ-ერთმა იუნკერმა, შალვა ერისთავმა, წითელარმიელ მატროსოვამდე ოცი წლით ადრე, საკუთარი სხეულით დაფარა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ლულა. მაშინდელ თბილისში ფეხბურთის საუკეთესო მოთამაშედ და შეუდარებელ მორბენლად აღიარებული 22 წლის შალვა ერისთავის ეს გმირობა იმ დღეებში მთელ საქართველოს მოედო. მოგვიანებით კი მას მხოლოდ ქართველ ემიგრანტთა წრეებში იგონებდნენ.



ქართველი იუნკრები

საბედისწერო ბრძანება თბილისის დატოვების შესახებ 24 თებერვალს ღამით გაიცა. იუნკრები მცხეთისაკენ დახეული ჯარების არიერგარდს იცავდნენ. 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილები თბილისში შევიდნენ. უთანასწორო ბრძოლაში ქართველი იუნკრების უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაიღუპა. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა საზღვარგარეთ გასვლა. ბათუმამდე უკან დახევისას ისინი არაერთხელ ჩაებნენ ბოლშევიკებთან შეტაკებაში. საბოლოოდ, მარტის მიწურულს, ბათუმიდან გემით სტამბოლში ჩავიდნენ, იქიდან კი საბერძნეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში განაწილდნენ. ბევრმა მათგანმა გმირული ბრძოლის მაგალითები ჩაწერა უცხო ქვეყნების ისტორიაში.

და მაინც, რა იყო ამ ახალგაზრდა მებრძოლების გმირობის საიდუმლო? რატომ გახდა სხვა ათასობით ჯარისკაცისათვის სამაგალითო 118 მებრძოლის საქციელი? ვფიქრობთ, პასუხი მარტივია: იუნკრებს სხვა, არანაკლებ მამაცი ჯარისკაცებისგან ქართველებისათვის რთულად საგუებელი რკინის დისციპლინა განასხვავებდა.

ბრძოლას რომ მხოლოდ სიმამაცით ვერ მოიგებ, ამის უამრავი მაგალითი არსებობს. იუნკრები პროფესიონალი მეომრები იყვნენ.

1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის შემდეგ, გიორგი კვინიტაძემ დატოვა საქართველო. 1985 წელს პარიზში გამოვიდა მისი მემუარები. იგი გარდაიცვალა 1970 წელს პარიზის მახლობლად.

დავალება

ნიცას და გიორგის სურთ სამხედრო განათლების მიღება, თუმცა ამასთან დაკავშირებით სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ. მისწერეთ წერილი ნიცას და გიორგის, სადაც მიაწვდით ინფორმაციას სამხედრო განათლების შესახებ.

წერილში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რატომ არის მნიშვნელოვანი სამხედრო განათლების მიღება? რა მიზანი აქვს?
- სამხედრო განათლების რომელი დაწესებულებები არსებობს და როგორია მათი ფუნქცია? მნიშვნელობა?
- თქვენ რომელ მიმართულებას ურჩევდით და რატომ? მოსაზრება დაასაბუთეთ.
- თქვენი აზრით, რა ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები ექნება/უნდა ჰქონდეს სამხედრო განათლების მქონე პირს?
- სამომავლოდ, კიდევ რა პროფესია/მიმართულება შეიძლება დაემატოს სამხედრო განათლებას?

სასარგებლო რესურსები

3. სამწყობრო მომზადება

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ შემთხვევა, როცა დისციპლინა ან ორგანიზებული მოქმედება დაგეხმარათ მიზნის მიღწევაში.
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი სამწყობრო მომზადებაში ერთიანი მოძრაობა და სიზუსტე?
- როგორ ეხმარება ადამიანს გუნდური მოქმედების უნარი სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში?



სამწყობრო მომზადება სამხედრო განათლების ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი მოიცავს სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამწყობრო დგომების, სინქრონული მოძრაობისა და სხვადასხვა ბრძანების ზუსტად შესრულების შესწავლას. სამწყობრო მომზადების მთავარი მიზანია დისციპლინის, ყურადღების, კოორდინაციისა და ერთიანობის განვითარება.



სამწყობრო მომზადების დროს სამხედროები სწავლობენ სწორად დგომას (სამწყობრო დგომა), სიარულს (სამწყობრო ნაბიჯი), ბრუნვას ადგილზე და მოძრაობისას, მწყობრში ჩადგომასა და სხვადასხვა ბრძანების სწრაფად და ზუსტად შესრულებას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ქვედანაყოფი მოქმედებდეს, როგორც ერთიანი ორგანიზმი, სადაც თითოეული წევრი ზუსტად ასრულებს დაკისრებულ დავალებას.

სამწყობრო მომზადება მხოლოდ გარეგნული წესრიგი არ არის. იგი აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას, მორჩილებას ბრძანებისადმი და გუნდურ მუშაობას. სამხედროებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბრძანება შესრულდეს დაუყოვნებლივ და შეცდომის გარეშე, რაც რეალურ სიტუაციებში წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

გარდა ამისა, სამწყობრო მომზადება ავითარებს ფიზიკურ გამძლეობას, ყურადღების კონცენტრაციასა და თვითკონტროლს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალწვეულებისთვის, რადგან ეხმარება მათ სამხედრო გარემოსთან ადაპტაციასა და სამხედრო სამსახურის წესებთან შეგუებაში.



სამწყობრო მომზადება ქმნის საფუძველს სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობისთვის, რაც აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის ძალების ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ძლიერი წვიმების შედეგად მდინარე ადიდდა და ერთ-ერთ დასახლებაში წყალდიდობა დაიწყო. რამდენიმე საათში წყალი საცხოვრებელ სახლებამდე მივიდა. მოსახლეობის ნაწილის სწრაფი ევაკუაცია გახდა საჭირო.

სპეციალურმა შტაბმა საევაკუაციო ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნა თადარიგში მყოფი სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც წარსულში გავლილი ჰქონდა სამწყობრო მომზადება.

მოსახლეობა შეშინებული იყო. ზოგი არ ემორჩილებოდა მითითებებს, ნაწილი კი ვერ იგებდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. დრო ძალიან ცოტა იყო, წყლის დონე კი სწრაფად მატულობდა.

ყოფილმა ჯარისკაცმა სწრაფად იმოქმედა:

ადგილობირვი მოსახლეობა დაყო მცირე ჯგუფებად;

თითოეულ ჯგუფში დანიშნა ქმედებებზე პასუხისმგებელი პირი;

ჯგუფებისგან შექმნა მწყობრი

და დააწესა გადაადგილების თანმიმდევრობა;

გასცა მოკლე და მკაფიო ბრძანებები;

შეინარჩუნა სიმშვიდე და აკონტროლებდა პროცესს.

ყოფილმა სამხედრომ ევაკუირებული მოსახლეობა უსაფრთხოდ და მწყობრად მიიყვანა ტრანსპორტში ჩასხდომის ადგილამდე. ევაკუაცია რამდენიმე საათში დასრულდა. საბოლოოდ, მოსახლეობის უმეტესობა უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

შეკითხვები

- ყოფილი სამხედრო მოსამსახურის მოქმედებები დააკავშირეთ სიტუაციაში არსებულ გამოწვევებთან და ახსენით, როგორ დაეხმარა ეს ევაკუაციის პროცესს?
- წარმოიდგინეთ ევაკუაცია, როდესაც მოსახლეობა პანიკაშია და ქაოსური სიტუაციაა შექმნილი. რა განსხვავებებია ქაოსურ ევაკუაციასა და მწყობრად ორგანიზებულ ევაკუაციას შორის? მოიყვანეთ მაგალითები.
- ახსენით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ხალხის მცირე ჯგუფებად დაყოფა და თითოეულ ჯგუფში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა?
- დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება იყოს დისციპლინა და ორგანიზებულობა გადამწყვეტი ასეთი სიტუაციების დროს?
- როგორ შეიცვლებოდა სიტუაცია, თუ მოსახლეობა არ დაემორჩილებოდა მითითებებს და მწყობრი გადაადგილება ვერ შესრულდებოდა?
- თქვენ როგორ იმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?

ეს საინტერესოა

გავგამელას ბრძოლა (ძვ.წ. 331 წ.)

გავგამელას ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელსა და სპარსეთის მეფე დარიოს III-ს შორის ერთ-ერთი გადამწყვეტი დაპირისპირება იყო, რომელმაც ფაქტობრივად დაასრულა აქემენიდური იმპერიის სამხედრო ძალაუფლება.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამწყობრო მომზადებამ ანუ ჯარის ორგანიზებულმა, დისციპლინირებულმა და წინასწარ ნასწავლმა მოქმედებამ.

ალექსანდრეს არმია გამოირჩეოდა მაღალი დონის სამხედრო მომზადებით: ფალანგები მოქმედებდნენ ერთიანად, ზუსტად შეთანხმებული ნაბიჯებით, ხოლო კავალერია სწრაფად და მოქნილად ცვლიდა პოზიციებს ბრძოლის მიმდინარეობის მიხედვით. ასეთი წესრიგი საშუალებას იძლეოდა, მცირე რაოდენობის ჯარსაც კი გაეძლო გაცილებით დიდი სპარსული არმიის წინააღმდეგობისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სამწყობრო მომზადებამ განაპირობა:


ერთიანი ბრძოლის რიტმი – ჯარისკაცები მოქმედებდნენ არა ინდივიდუალურად, არამედ როგორც ერთი მთლიანობა;

სწრაფი მანევრირების უნარი – ალექსანდრეს ჯარი ადვილად ცვლიდა ფორმაციას;

დისციპლინა ქაოსის პირობებში – დიდი ბრძოლის დროსაც კი შენარჩუნდა კონტროლი.

გავგამელას ბრძოლაში სწორედ ამ ორგანიზებულობამ მისცა ალექსანდრეს შესაძლებლობა, გაერღვია სპარსელთა მრავალრიცხოვანი, მაგრამ ნაკლებად კოორდინირებული ძალები.

გავგამელას ბრძოლაში სამწყობრო მომზადება იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ალექსანდრეს არმიას ტაქტიკური უპირატესობა და საბოლოო გამარჯვება მოუტანა.



გავგამელას ბრძოლა – ალექსანდრეს გადამწყვეტი მანევრი და საბოლოო შეტევა. ძვ.წ. 331 წ.

ინდივიდუალური სამწყობრო მომზადება

დგომი „სმენა“

სამწყობრო ილეთების შესრულება იწყება დგომიდან „სმენა“. ქვედანაყოფების გადასაყვანად დგომზე „სმენა“ გამოიყენება ორი კომანდა: „მოეწყვეთ!“ ან „ათეულო (ოცეულო, ასეულო...), სმენა!“.

ამ დგომის მიღებისას:
ქუსლები არის ერთად მიდგმული, ტერფები ქმნის 45-გრადუსიან კუთხეს, მუხლები გამართულია, სხეული – ოდნავ წინ წაწეული და მხრები – გაშლილი, სახე – პირდაპირ და ნიკაპი – ოდნავ მაღლა აწეული; მკლავები ჩამოშვებულია, ხელის თითები მოხრილია ისე, რომ ცერა თითების წვერები გვერდიდან მიედოს საჩვენებელი თითების პირველ სახსრებს; ცერა თითები შარვლის გვერდითა ნაკერის გასწვრივ არის გამართული.



დგომს „სმენა“ მიიღებს სამხედრო მოსამსახურე, როდესაც მას მიმართავს მასზე სამხედრო წოდებით უფროსი.

თავისუფალი დგომები





დგომი „სააღლუმოდ, თავისუფლად“ სრულდება მხოლოდ დგომიდან „სმენა“. ამ დგომის მისაღებად გაიცემა კომანდა „სააღლუმოდ, თავისუფლად!“

კომანდის შესასრულებელ ნაწილზე – **„თავისუფლად!“** – სამხედრო მოსამსახურემ მარცხენა ფეხი 25 სანტიმეტრით მარცხნივ უნდა გადადგას, ფეხები შეინარჩუნოს სწორად, მუხლებში მოუხრელად. სხეულის სიმძიმე თანაბრად გაანაწილოს ორივე ფეხის ტერფსა და ქუსლზე. იმავდროულად, საჭიროა ორივე ხელის ერთდროულად უკან გადატანა და წელზე შუაში, ქამრის ზემოდან დადება. ორივე ხელის თითები გამართულ მდგომარეობაში უნდა შეერთდეს ცერების გადაჯვარედინებით. მარჯვენა ხელი მარცხენა ხელისგულთან ისე უნდა იყოს მიტანილი, რომ ხელისგულები გარეთ მოექცეს. თვალები და თავი იმ მდგომარეობაში უნდა იყოს, როგორც დგომზე „სმენა“. სხვა კომანდის გაცემამდე საჭიროა ჩუმად და გაუნძრევლად ყოფნა.

დგომები **„დადექით თავისუფლად“**, **„თავისუფლად“** და **„დაისვენეთ“** შეიძლება ამ დგომიდან შესრულდეს.

დგომის **„დადექით, თავისუფლად“** მისაღებად გაიცემა კომანდა **„დადექით, თავისუფლად!“.** შესასრულებელ კომანდაზე – **„თავისუფლად!“** – მიიღება დგომი **„სააღლუმოდ, თავისუფლად“,** მაგრამ თავი და მზერა მიმართულია მწყობრზე პასუხისმგებელი პირისკენ. ამ დგომიდან შესაძლებელია გადასვლა დგომებზე **„თავისუფლად“** და **„დაისვენეთ“.**

დგომის „**თავისუფლად“** მისაღებად გაიცემა კომანდა **„თავისუფლად!“**. დგომზე „თავისუფლად“ სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია იმოძრაოს ადგილზე, მაგრამ უნდა იდგეს ჩუმად, მარჯვენა ფეხის მიწის ზედაპირიდან აუღებლად. შეუძლია მოადუნოს მკლავები, მაგრამ ცერა თითები უნდა იყოს გადაჯვარედინებული. ამ დგომიდან შეიძლება შესრულდეს დგომი **„დაისვენეთ“**.

დგომის **„დაისვენეთ“** მისაღებად გაიცემა კომანდა **„დაისვენეთ!“**. დგომზე „დაისვენეთ“ სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია ისაუბროს, დალიოს წყალი მათარიდან, იმოძრაოს მარჯვენა ფეხის ზედაპირიდან აუღებლად, მოწიოს სიგარეტი მწყობრში, თუ სხვაგვარად არ არის ნაბრძანები.

ბრუნები ადგილზე

1. დგომიდან „სმენა“ შესაძლებელია შესრულდეს ხუთი სახის ბრუნი:

ა) მარჯვნისაკენ;

ბ) მარცხნისაკენ;

გ) ნახევრად მარჯვნისაკენ;

დ) ნახევრად მარცხნისაკენ;

ე) ზურგისაკენ.

2. ბრუნი მარცხნისაკენ და მარჯვნისაკენ სრულდება ორდათვლიანი მოქმედებით. ამ ბრუნის შესასრულებლად გაიცემა კომანდები „მარცხნისა-კენ!“ „მარჯვნისა-კენ!“.

3. ბრუნი მარცხნისაკენ და მარჯვნისაკენ სრულდება შემდეგი წესით:

ა) კომანდის „მარცხნისა-კენ“ შესასრულებელ კომანდაზე „-კენ!“, სამხედრო მოსამსახურემ ოდნავ უნდა ასწიოს მარჯვენა ფეხის ქუსლი და მარცხენა ფეხის წვერი, შებრუნდეს 90°-ით მარცხნივ მარცხენა ფეხის ქუსლზე, მარჯვენა ფეხის წვერზე ოდნავ დაწოლით. მარცხენა ფეხი დაჭიმვის გარეშე გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს, მარჯვენა ფეხი კი ბუნებრივად მოხაროს. მეორე მოქმედებით (თვლაზე ორი) მარჯვენა ფეხი მარცხენას გვერდით მიადგას და მიიღოს დგომი „სმენა“. მთელი მოძრაობის განმავლობაში შეინარჩუნოს მკლავები გვერდზე ისე, როგორც დგომზე „სმენა“;

ბ) კომანდის „მარჯვნისა-კენ!“ შესასრულებელ კომანდაზე „-კენ!“ ოდნავ უნდა ასწიოს მარცხენა ფეხის ქუსლი და მარჯვენა ფეხის წვერი, შებრუნდეს 90°-ით მარჯვნივ მარჯვენა ფეხის ქუსლზე, მარცხენა ფეხის წვერზე ოდნავ დაწოლით. შეინარჩუნოს მარჯვენა ფეხი გამართულ მდგომარეობაში დაჭიმვის გარეშე, მარცხენა ფეხი კი ბუნებრივად მოხაროს. მეორე მოქმედებით (თვლაზე ორი) მარცხენა ფეხი მარჯვენას მიადგას გვერდით და მიიღოს დგომი „სმენა“. მთელი მოძრაობის განმავლობაში შეინარჩუნოს მკლავები გვერდზე ისე, როგორც დგომზე „სმენა“.



ბრუნი მარცხნისაკენ

4. ბრუნი ზურგისაკენ სრულდება ორდათვლიანი მოქმედებით ამ ბრუნის შესასრულებლად გაიცემა კომანდა „ზურგისა-კენ!“.

5. ბრუნი ზურგისაკენ სრულდება შემდეგი წესით:

ა) შესასრულებელ კომანდაზე „-კენ!“ სამხედრო მოსამსახურემ მარჯვენა ფეხის წვერი უკან უნდა გადადგას და მარცხენა ფეხის ქუსლიდან ფეხის ტერფის ნახევარი სიგრძის დაშორებით ოდნავ მარცხნივ დადგას, სხეულის წონის უმეტესი ნაწილი გადაიტანოს მარცხენა ფეხის ქუსლზე და მარჯვენა მუხლი ბუნებრივად მოხაროს;

ბ) მეორე მოქმედებით (თვლაზე ორი) მარცხენა ფეხის ქუსლსა და მარჯვენა ფეხის წვერზე უნდა შებრუნდეს 180°-ით მარჯვნივ და მიიღოს დგომი „სმენა“. მთელი მოძრაობის განმავლობაში სხეულის დანარჩენი ნაწილები შეინარჩუნოს ისე, როგორც დგომზე „სმენა“.



ბრუნი ზურგისაკენ

6. ბრუნები ნახევრად მარცხნისაკენ და ნახევრად მარჯვნისაკენ სრულდება მე-3 პუნქტის შესაბამისად და გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც 90°-იანი ბრუნი არ შეაბრუნებს ელემენტს სასურველი მიმართულებით.

მხედრული მისალმების წესები

მხედრული მისალმება არის ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი, რომელიც გამოხატავს ურთიერთპატივისცემას, ასევე სამხედრო პატივის მიგებას. ყველა სამხედრო მოსამსახურე უნდა ესალმებოდეს ერთმანეთს, ამასთან უმცროსები – პირველნი. სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო ნაწილებისა და ქვეყნების მიერ მხედრული მისალმების წესები და თანამიმდევრობა განსაზღვრულია წესდებებით.



მხედრული მისალმება

1. მხედრული მისალმება ხელით (სამხედრო წესით მისალმება) ერთნაწილიანი მოქმედებაა. ამ მოქმედების შესასრულებლად გაიცემა კომანდა „მხედრული სალამი!“. მხედრული მისალმება ხელით შეიძლება შესრულდეს გადაადგილებისას, რომლის დროსაც მისალმებას ასრულებს მხოლოდ მწყობრზე პასუხისმგებელი პირი. მწყობრს გარეთ სამხედრო მოსამსახურეები მხედრულ მისალმებას ხელით შეასრულებენ დამოუკიდებლად, კომანდის გარეშე.

სწრაფი ტემპით (სირბილით) გადაადგილებისას სამხედრო მოსამსახურემ უნდა შეანელოს მოძრაობა ნორმალურ ტემპამდე და შემდეგ შეასრულოს მხედრული მისალმება.

2. სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ახურავს თავსაბურავი კეპით ან ჩაფხუტი (სათვალით ან მის გარეშე), ხელით მხედრული მისალმების შესასრულებლად მკვეთრად ასწევს მარჯვენა ხელს ისე, რომ თითები შეერთებული იყოს, ხელისგულით დაბლა, მტევანი და მაჯა კი – გამართული. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის წვერი ეხება კეპს (ჩაფხუტს) მარჯვენა თვალთან ოდნავ მარჯვნივ, ხელის მტევანი ოდნავ დახრილია ისე, რომ წინა მხრიდან არ ჩანს ხელისგული და ხელის მტევნის ზედა მხარე. წინამკლავი არის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

3. მოხსენებისას ან პიროვნებისადმი მხედრული თავაზიანობის გამოსახატავად სამხედრო მოსამსახურემ თავი და მზერა მისკენ უნდა მიმართოს და, იმავდროულად, შეასრულოს მხედრული მისალმება. ასეთ შემთხვევაში, მოქმედება სრულდება კომანდის გარეშე. შესაბამის დროს (პიროვნებისაგან ექვსი ნაბიჯის დაშორებით) წოდებით უფრო დაბალი სამხედრო მოსამსახურე პირველი შეასრულებს მხედრულ მისალმებას და დაასრულებს მხედრულ მისალმებას მას შემდეგ, რაც მას მხედრულ სალამზე უპასუხებენ.

4. დგომიდან „მხედრული მისალმება“ დგომზე „სმენა“ გადასასვლელად გაიცემა კომანდა „დაუშვით ხელი!“. შესასრულებელ კომანდაზე „ხელი!“ სამხედრო მოსამსახურე ერთი მოქმედებით მარჯვენა ხელს მკვეთრად დაუშვებს დაბლა და მიიღებს დგომს „სმენა“.

პრაქტიკული აქტივობა

გაეცანით პრობლემურ სიტუაციას და მიეცით რეკომედაციები ახალწვეულებს. რეკომენდაციებისთვის გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული დამხმარე შეკითხვები. სამხედრო სწავლების პირველ დღეს ახალწვეულთა ნაწილს მიაჩნია, რომ მხედრული მისალმება, მწყობრში გადაადგილება და ბრძანებების ზუსტად შესრულება მხოლოდ ფორმალური წესებია და რეალურ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს.

- რატომ არსებობს სამხედრო სალამი და რას გამოხატავს?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს: წესების უგულებელყოფას; დაუდევრობას; მწყობრის დარღვევას კრიზისულ ან საბრძოლო სიტუაციაში?
- რომელი წესი/წესები მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ?

ისტორიიდან

მხედრული მისალმების წარმოშობის ისტორიას სამხედრო ისტორიკოსები სხვადასხვა ტრადიციას უკავშირებენ. უძველესი გრავიურების სახით შემონახულია გამოსახულებები, რომლებზეც ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ თავდაპირველად მისალმება სრულდებოდა როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა, ასევე ორივე ხელით ერთად.

სამხედრო ისტორიკოსების ნაწილის აზრით, მხედრული მისალმება შუა საუკუნეების რაინდებს უკავშირდება. რაინდებს შორის მოწყობილ ტურნირებზე მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ იწევდნენ მუზარადის ზარადს (სახის დამცავ ფარს), რათა დაეფიქსირებინათ ერთმანეთის სახეები.

სავარაუდოდ, მხედრული მისალმების ფორმა შეიცვალა საბრძოლო თავსაბურავის შეცვლასთან ერთად. მას შემდეგ, რაც ლითონის მუზარადი ჩაანაცვლა ქუდმა, მისი მოხდით ისინი ესალმებოდნენ როგორც შემხვედრს, ისე მანდილოსანს ან ზემდგომს.

მე-17 საუკუნეში, გრენადირების ქუდის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი მოხდა სირთულესთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ჯარისკაცები მხოლოდ ქუდთან ხელის მიდებით შემოიფარგლებოდნენ, რაც მოგვიანებით სხვა გვარეობის სამხედროებმაც გადაიღეს და ის მხედრული მისალმების ფორმად შემოიღეს, რითაც გამოხატავდნენ უმცროსი წოდების მიერ უფროსისადმი პატივისცემას.

სხვადასხვა ქვეყნის ჯარებში მისალმებისას ხელის მდგომარეობის განსხვავებული ფორმები არსებობს. ძირითადად, ხელს იდებენ მარჯვენა თვალის ზევით, საფეთქელთან, ხელისგული მიმართულია ქვევით, ზედაპირისკენ. ზოგიერთ ქვეყანაში ხელისგული არის გარეთ, ვერტიკალურად, ზოგან კი მისალმებისას საფეთქელთან ორ თითს იდებენ.


ისრაელი


პოლონეთი


დიდი ბრიტანეთი


აშშ და საფრანგეთი

დავალება

გაეცანით მოსაზრებებს:

- „დღეს სამწყობრო მომზადება რა საჭიროა? ეს მხოლოდ ფორმალური წესების შესრულებაა და სხვა არაფერი“.
- „ვფიქრობ, სამწყობრო მომზადება ავითარებს ბევრ უნარს, რომელთა შორისაა ორგანიზებულობისა და გუნდური მუშაობის უნარი, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო ცხოვრებაშიც“.

რომელ პოზიციას ეთანხმებით? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.



სასარგებლო რესურსები

4. ინდივიდუალური აღჭურვილობა, შეიარაღება და იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ სიტუაცია, როცა სპეციალურმა ეკიპირებამ (მაგალითად, სპორტული ან სალაშქრო ფეხსაცმელი, ფორმა და ა.შ.) საფრთხისაგან დაგიცვათ ან დაგეხმარათ საფრთხის თავიდან აცილებაში. რა მოხდებოდა, სათანადო ეკიპირება რომ არ გქონოდათ?
- გაიხსენეთ, რა პროფესიებსა და საქმიანობებშია აუცილებელი ინდივიდუალური აღჭურვილობის ქონა? რატომ?
- თქვენი აზრით, რა აღჭურვილობა შედის სალაშქრო ინდივიდუალურ აღჭურვილობაში? სამხედრო ინდივიდუალურ აღჭურვილობაში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ჰქონდეთ ქალებსა და კაცებს განსხვავებული ინდივიდუალური აღჭურვილობა?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არ უნდა ჰქონდეთ ქალებსა და კაცებს განსხვავებული ინდივიდუალური აღჭურვილობა ?
- სამომავლოდ როგორ გამოიყენებთ ინდივიდუალური აღჭურვილობის შესახებ ცოდნას?



ქვეითი ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობა

ინდივიდუალური აღჭურვილობა არის იმ ნივთებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს პირადად ეძლევა საბრძოლო ამოცანების შესრულებისათვის. ეს აღჭურვილობა უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას, მობილურობასა და ეფექტურ მოქმედებას სხვადასხვა პირობებში – იქნება ეს საბრძოლო მოქმედება, წვრთნა თუ საველე ყოფა.

ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობა, ჩვეულებრივ, მოიცავს: იარაღს, ტყვია-წამალს, დამცავ საშუალებებს (მაგალითად, ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი), უნიფორმას, ფეხსაცმელს, საკომუნიკაციო მოწყობილობებს, სამედიცინო ნაკრებსა და სხვადასხვა დამხმარე ნივთებს (მაგალითად, ფანარი, წყლის ჭურჭელი, ზურგჩანთა და სხვ.). თითოეული ელემენტი სპეციალურად არის შერჩეული იმისთვის, რომ ჯარისკაცმა შეძლოს სწრაფად გადაადგილება, სწორად ორიენტაცია და დროული რეაგირება საფრთხეებზე.

ინდივიდუალურ აღჭურვილობას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ის იცავს ჯარისკაცის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რადგან ამცირებს დაზიანების რისკს. მეორე მხრივ, ზრდის მის ბრძოლისუნარიანობას: კარგად აღჭურვილი სამხედრო უფრო ეფექტურად ასრულებს დავალებებს. თავდაცვის ძალების სახეობებისა და მოქმედების არეალის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებისთვის განსაზღვრულია ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობის კომპლექტაცია.

ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობა წარმოადგენს მის ძირითად სამოქმედო ინსტრუმენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სამხედრო სამსახურის ეფექტურად შესრულება.



შემთხვევის ანალიზი

გაეცანით გიორგის ისტორიასა და მკვლევართა შედეგებს და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ჯარისკაცი გიორგი საშუალო სიმაღლისაა, იწონის 70 კგ-ს, საკმაოდ კარგად მომზადებულია ფიზიკურად და შესაბამისი გამოცდილებაც აქვს. რამდენიმე წლის წინ მას ჯგუფის წევრებთან ერთად მოუწია 12-დღიანი მარშრუტის გავლა. გასავლელი ტერიტორია მოიცავდა რთულ რელიეფს. გიორგიმ გადაწყვიტა დამატებით წამოეღო საკვები და წყალი, რამაც მისი საერთო აღჭურვილობა, ნორმასთან შედარებით, დაახლოებით 7 კილოგრამით დაამძიმა. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მისი ნაბიჯები უფრო ნელი გახდა, ბარძაყის კუნთები დაეჭიმა, წელის მიდამოებში კი ტკივილიც იგრძნო. დროდადრო სურდა გაჩერება და დასვენება, რაც ჯგუფის ეფექტურ გადაადგილებას აფერხებდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჯგუფმა 12 დღის ნაცვლად 13 დღე მოანდომა ამოცანის შესრულებას და ჩაითვალა, რომ ჯგუფმა არაეფექტურად იმუშავა. **საინტერესოა, რა შეცდომები დაუშვა გიორგიმ?**

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სამხედრო პრაქტიკაში არაერთხელ დადასტურებულა, რომ ინდივიდუალური აღჭურვილობის არასწორი შერჩევა და გადატვირთვა მნიშვნელოვნად ამცირებს ჯარისკაცის ეფექტიანობას. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ზედმეტი ტვირთი სხვადასხვა მიმართულებით იწვევს ჯარისკაცების ეფექტიანობის შემცირებას. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება აღჭურვილობის სიმძიმესა და, ზოგადად, მის სწორად შერჩევას. კერძოდ, გამოიკვეთა შემდეგი:

ფიზიოლოგიური ზეგავლენა – მძიმე ტვირთი ზრდის ენერგიის ხარჯვას, დაღლილობას და ამცირებს ჯარისკაცის შესაძლებლობას სწრაფად და ეფექტურად

იმოძრაოს, გადაადგილდეს, მანევრი შეასრულოს და სხვა.

ბიომექანიკური ცვლილებები – ტვირთის მატება იწვევს სხეულის პოზის, ნაბიჯისა და კუნთების აქტივობის ცვლილებებს, რაც ზრდის ზურგის, მუხლებისა და ფეხის ტრავმის განვითარების რისკს.

გადაწყვეტილებების მიღების უნარზე გავლენა – გადაადგილება მძიმე აღჭურვილობით გავლენას ახდენს სწრაფი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

საბოლოოდ, დაასკვნეს, რომ: ჯარისკაცის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ აღჭურვილობის რაოდენობაზე, არამედ მის სწორ შერჩევასა და ოპტიმალურ წონაზე. ასევე, სქესის მიხედვით რაიმე განსაკუთრებული მითითება არ არსებობს, თუმცა ერთი და იმავე ტვირთის ტარებისას ტვირთის წონის ზემოქმედების შედეგები განსხვავებულია. ეს განსხვავება ვლინდება ფიზიკურ დატვირთვაში, სხეულის მუშაობასა და აზროვნების პროცესში.

შეკითხვები

როგორ უკავშირდება ინდივიდუალური აღჭურვილობა სამხედრო მოვალეობების წარმატებით შესრულებას?

- შეადარეთ აღჭურვილობის გაზრდის პოზიტიური ასპექტები (მაგალითად, რა იცი, რა მოხდება, დამატებით საკვები არ გვაწყენს) და ნეგატიური შედეგები (მაგალითად, დაღლა, ტრავმები, სვლის შენელება) ერთმანეთს. თქვენ რას აირჩევდით – აღჭურვილობის გაზრდას თუ შემცირებას? რატომ?
- ახსენით და დაასაბუთეთ არგუმენტით, თუ რატომ უნდა განისაზღვროს ჯარისკაცისთვის ოპტიმალური აღჭურვილობა?



ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობა, სიტუაციიდან გამომდინარე, იყოფა 3 სახეობად: ძირითადი, საბრძოლო და სალაშქრო. აღჭურვილობის ელემენტების განაწილება ამ სახით დამოკიდებულია ქვედანაყოფის სახეობასა და მის ამოცანაზე. მაგალითად, იერიშის დროს აღჭურვილობაში დამატებითი ტყვია-წამლის რაოდენობა მექანიზებულ ბატალიონში შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე არამექანიზებულ ქვედანაყოფში. ასევე, ქვედანაყოფებმა, რომლებიც მოქმედებენ ადგილებში, სადაც მცირეა სასმელი წყლის წყარო, უნდა ატარონ წყლის მარაგის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ამ პირობებში. ჯავშანჟილეტისა და სხვა დამატებითი აღჭურვილობის საჭიროება განისაზღვრება ვითარებიდან გამომდინარე. ამასთან, ყოველი მეთაური დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავის ჯარისკა-

ცებს არ აქვთ ზედმეტი ტვირთი და არასაჭირო აღჭურვილობა. განვიხილოთ ინდივიდუალური აღჭურვილობის სახეობები:

ძირითადი აღჭურვილობა

ძირითად აღჭურვილობაში შედის საბრძოლო მარაგი, წყლის მათარა, სასანგრე ნიჩაბი და მუზარადი. ის გამოიყენება მცირე პერიოდით პატრულირების დროსა და ყოველდღიურ საქმიანობაში:



1. მუზარადი
2. ბალისტიკური სათვალე
3. წყლის მათარა ან წყლის ზურგჩანთა (ქემელბექი)
4. ავტომატური შაშხანა
5. მესანგრის პატარა ნიჩაბი შალითით
6. იარაღის საწმენდი საკუთნო (საზეთური და საწმენდი საშუალება)
7. საიდაყვე
8. პირველი დახმარების კომპლექტი (ინდ. პაკეტი)
9. ხიშტ-დანა
10. 7 ცალი სავაზნე კოლოფი (მჭიდი)
11. სამუხლე
12. ფანარი
13. 2 ხელყუმბარა (ამოცანიდან გამომდინარე)
14. აირწინაღი
15. კამუფლირების საცხი
16. საწვიმარი ლაბადა (პონჩო)
17. ტაქტიკური ხელთათმანი
18. ინდივიდუალური ჟეტონი
19. კომპასი



საბრძოლო აღჭურვილობა

საბრძოლო აღჭურვილობა არის ძირითად აღჭურვილობას დამატებული კვების რაციონი და პირადი აღჭურვილობა, რომელიც მას ესაჭიროება 72 საათის განმავლობაში. უფრო კონკრეტულად:

- 72-საათიანი კვების რაციონი (მშრალი ულუფა)
- ქურთუკი საქარე გამოსაკრავი მათბუნებლით
- კარდალა, დანა/ჩანგალი/კოვზი



- სამი წყვილი წინდა
- თბილი ქუდი
- საჭიროებიდან გამომდინარე, მწერების საწინააღმდეგო საშუალება
- პირადი ჰიგიენის ნივთები

სალაშქრო აღჭურვილობა



სალაშქრო აღჭურვილობაში შედის საბრძოლო აღჭურვილობას დამატებული ზურგჩანთა, სადაც იდება 2 კვირის განმავლობაში საჭირო აღჭურვილობა. აქ არ იგულისხმება ტყვია-წამალი, კვების რაციონი და წყალი. სალაშქრო აღჭურვილობაა:

- ქამარი (ინდივიდუალური აღჭურვილობის)
- ზურგჩანთა
- მჭიდების ჩანთა, 2-განყოფილებიანი
- ხელყუმბარების ჩანთა, 2-განყოფილებიანი
- კომპასი
- ფანარი
- საძილე ტომარა
- საძილე ტომრის ქვეშსაფენი (პარალონი)
- საველე სანივთე ჩანთა
- წყლის ზურგჩანთა
- კარდალა
- მუზარადი
- მუზარადის შალითა
- მესანგრის პატარა ნიჩაბი შალითით
- განტვირთვის ჟილეტი
- ჯავშანჟილეტის ფილა
- ჯავშანჟილეტის შალითა
- ყელის სათბუნებელი
- ტომარა (საყოფაცხოვრებო)



ჩამონათვალში მოცემული ნივთები და რაოდენობა ის მინიმუმია, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჯარისკაცს. დანარჩენი დამატებითი აღჭურვილობა და რაოდენობა განისაზღვრება მეთაურის მიერ ან ამოცანის შესრულების საჭიროებიდან გამომდინარე. ყველა ნივთი უნდა იყოს კარგად მორგებული და დამაგრებული ზონრით, რათა თავიდან ავიცილოთ მათი დაკარგვა ან დაზიანება.

ეს საინტერესოა

ავღანეთის ომის დროს აშშ-ისა და ნატოს ჯარისკაცებს ხშირად უწევდათ მოქმედება რთულ რელიეფზე და მაღალი ტემპერატურის პირობებში, რა დროსაც ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობის წონას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ჯარისკაცის ტვირთი ხშირად აღწევდა **45–60 კილოგრამს**, რაც მოიცავდა ჯავშანჟილეტს, ტყვია-წამალს, წყალს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და დამატებით აღჭურვილობას.

ამ გადატვირთვამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვედანაყოფების მოქმედებაზე. საბოლოოდ, აღჭურვილობის არასწორმა ბალანსმა (ზედმეტი წონა) გამოიწვია:

- ქვედანაყოფის ტემპის ვარდნა
- ენერგიის სწრაფი ხარჯვა
- მანევრულობის შეზღუდვა
- საბრძოლო ეფექტურობის შემცირება

ამ პრობლემის საპასუხოდ, აშშ-ის არმიამ დაიწყო სპეციალური პროგრამები, ამოცანიდან გამომდინარე, ტვირთის ოპტიმიზაციისთვის. სადღეისოდ, ნატოს სამხედრო ალიანსში შემავალი ქვეყნების შეიარაღებული ძალების გამოცდილებით დადგენილია ტვირთის ოპტიმალური წონა, რომელიც შეიძლება ჯარისკაცმა ქვეითად ატაროს და ის შეადგენს მისი წონის დაახლოებით 30%-ს, ხოლო მაქსიმალური სალაშქრო აღჭურვილობა დაახლოებით მისი წონის 45%-ს. მაგალითად, როცა ჯარისკაცის საშუალო წონა 71კგ-ია, მისი საბრძოლო აღჭურვილობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 21კგ-ს, ხოლო სალაშქრო – არაუმეტეს 32კგ-ს.



ვინ იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი აღჭურვილობის შერჩევასთან დაკავშირებით?



მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ყოველი მეთაური ვალდებულია, მიღებული ამოცანიდან გამომდინარე, სწორად შეარჩიოს აღჭურვილობა თავისი ჯარისკაცებისთვის. ასევე, მეთაური დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჯარისკაცები საკმაოდ მომზადებული არიან მძიმე ტვირთის სატარებლად. ამის მიღწევა შეიძლება მზარდი ვარჯიშებით, რომლის კულმინაციაა გადაადგილება სრული აღჭურვილობით. თუ ჯარისკაცი არ იქნება ნავარჯიშები მძიმე აღჭურვილობის ტარებაში, მას გაუჭირდება ბრძოლაში ამის გაკეთება.







ჯარისკაცის ინდივიდუალური იარაღი

ჯარისკაცის ინდივიდუალური იარაღი წარმოადგენს მის ძირითად საბრძოლო საშუალებას, რომლის დახმარებითაც ის ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს როგორც თავდაცვით, ასევე შეტევით მოქმედებებში. თითოეული ჯარისკაცი არის საბრძოლო ერთეული, რომლის ეფექტიანობაც დიდწილად დამოკიდებულია მის იარაღზე, ამ იარაღის ცოდნასა და მისი ფლობის უნარებზე.

ინდივიდუალური იარაღი უზრუნველყოფს ჯარისკაცის მიერ საკუთარი სიცოცხლისა და თანამებრძოლების დაცვას. გარდა ამისა, ინდივიდუალური იარაღი ზრდის ქვედანაყოფის საერთო საბრძოლო შესაძლებლობებს, რადგან თითოეული მებრძოლის ეფექტიანი მოქმედება ერთიანად აძლიერებს მთელი დანაყოფის ძალას.

ჯარისკაცის ინდივიდუალური იარაღი სხვადასხვა სახეობისაა. ერთ-ერთი ძირითადი იარაღია **ავტომატური კარაბინი/შაშხანა,** რომელიც გამოიყენება ახლო და საშუალო დისტანციაზე საბრძოლველად. ასევე **პისტოლეტი**, რომელიც ძირითადად გამოიყენება როგორც დამატებითი იარაღი ახლო დისტანციაზე თავდაცვისათვის. ზოგიერთი ჯარისკაცი იყენებს **სნაიპერულ შაშხანას,** რომელიც განკუთვნილია შორი დისტანციიდან ზუსტი გასროლებისთვის. ინდივიდუალურ იარაღში შედის ასევე **ტყვიამფრქვევი,** რომელიც უზრუნველყოფს ინტენსიურ ცეცხლს და ხშირად გამოიყენება ჯგუფის მხარდაჭერისთვის. გამოიყენება ასევე ჯავშანტექნიკის საწინააღმდეგო ხელით გადასატანი **ყუმბარსატყორცნები**.

გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა, ინდივიდუალური იარაღის კატეგორიაში შეიძლება შევიდეს **ხელყუმბარები,** რომლებიც გამოიყენება მოწინააღმდეგის დასაზიანებლად დახურულ სივრცეებში ან საფარში მყოფი ძალების წინააღმდეგ, ასევე **ცივი იარაღი** (მაგალითად, ხიშტ-დანა), რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ სიტუაციებში.

ჯარისკაცის ინდივიდუალური იარაღის ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია ჯარისკაცის მიერ ამ იარაღის კარგად შესწავლაზე, მის დისციპლინასა და პროფესიონალიზმზე.

იარაღი – მოწყობილობა ან საგანი, რომელიც განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანებისა და განადგურებისთვის.

იარაღის დამამზადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იარაღის დამზადების ლიცენზია.

იარაღის მესაკუთრე – პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იარაღის ფლობის, მისი განკარგვისა და მისით სარგებლობის უფლება.

იარაღით მოსარგებლე – პირი, რომელსაც იარაღი გადაცემული აქვს დროებითი სარგებლობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

ცეცხლსასროლი იარაღი – იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი აირის მოქმედებით და რომელიც განკუთვნილია განსაზღვრულ მანძილზე მექანიკური დაზიანებისა და განადგურებისათვის.

ცივი იარაღი – იარაღი, რომლის მოქმედება სრულდება ადამიანის ფიზიკური ძალით და რომელიც განკუთვნილია უშუალო კონტაქტით ობიექტის დასაზიანებლად.



იარაღის სახეები

სამოქალაქო იარაღი

გამოიყენება სამოქალაქო პირების მიერ:

- თავდაცვისთვის
- სანადიროდ
- სასპორტოდ
- საკოლექციოდ

იარაღი, რომლის შეძენის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული მოქალაქეებს

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი

გამოიყენება განსაზღვრულ პირთა მიერ:

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად

გამოიყენება იურიდიული სამსახურის მუშაკების მიერ:

წესდების განსაკუთრებული ამოცანების შესასრულებლად

სამხედრო-საბრძოლო იარაღი

გამოიყენება შემდეგი უწყებებისა და მათი დაქვემდებარებული სამსახურების უფლებამოსილი მოხელეების მიერ:

- თავდაცვის სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტრო
- ფინანსთა სამინისტრო
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
- საგარეო დაზვერვის სამსახური
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, საბრძოლო და ოპერატიულ-სამსახურებრივი მიზნების შესასრულებლად



არბალეტი – ხელით სასროლი ძველებური იარაღი, გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი.



თავდაცვის ძალებში ცეცხლსასროლი იარაღი იყოფა სასროლ და საარტილერიო იარაღებად.

სასროლი იარაღი – ეწოდება ლულიან იარაღს, რომელიც ისვრის ტყვიას (მცირე წონის ჭურვს) ან სხვა დამაზიანებელ ელემენტს და მისი კალიბრი (ლულის არხის მიმმართველი ნაწილის შიდა დიამეტრი) 40 მმ-ს არ აღემატება. მიკროკალიბრიანი იარაღის კალიბრი 5,45 მმ-ზე ნაკლებია, მცირეკალიბრიანის – 5,45-6,5 მმ, საშუალოკალიბრიანის – 6,5-9 მმ, მსხვილკალიბრიანის – 9-40 მმ.

სასროლ იარაღს, რომელსაც ყოველი გასროლის წინ ესაჭიროება ხელით გადატენა, **მექანიკური** ცეცხლსასროლი იარაღი ეწოდება. იარაღს, რომლის გადატენა ხდება მსროლელის მონაწილეობის გარეშე (გარდა პირველი გასროლისა), გასროლისას წარმოქმნილი დენთის აირების ენერგიით, **ავტომატური** ეწოდება, ხოლო იარაღს, რომლის დამრტყმელ-სასხლეტი მექანიზმი მხოლოდ ერთეული გასროლის საშუალებას იძლევა, **ნახევრად ავტომატური** ეწოდება.

საარტილერიო იარაღი – არის 40 მმ და მეტი კალიბრის მქონე სისტემა, რომელიც ცეცხლს აწარმოებს დიდი წონის ჭურვებით შორ მანძილებზე. საარტილერიო სისტემებია: ქვემეხები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები, ცეცხლის წარმოების ზალპური საშუალებები.

ისტორიიდან

ქართველი მეომრის შეიარაღება შუა საუკუნეებში

საქართველოში მეომრის შეიარაღების ძირითად სახელად უძველესი დროიდან „ჭური“ იყო დამკვიდრებული. ამისი დამადასტურებელია სიტყვები: ჭურვილი, აღჭურვა. სიტყვა ჭურიდან მომდინარეობს ტერმინი „საჭურველი“, რომელიც XIII საუკუნემდე აღნიშნავდა მეომრის სრულ შეიარაღებას. IX-X საუკუნიდან ქართულში შემოდის ტერმინი „აბჯარი“, რომელიც იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის კრებსითი სახელი იყო. გარკვეული პერიოდი ორივე ტერმინი („საჭურველი“ და „აბჯარი“) გამოიყენებოდა. XVI-XVII საუკუნიდან შეიარაღების ზოგად სახელად „იარაღი“ მკვიდრდება.



მეომრის შეიარაღება

მეომრის შეიარაღება მოიცავდა თავდაცვით საჭურველს, მკვეთელ, დასარტყამ, საძგერ და სასროლ იარაღებს. თავდაცვით საჭურველში იგულისხმება მეომრის აღჭურვილობის ის ელემენტები, რომლებიც ჯავშნის ფუნქციას ასრულებდა. ასეთი იყო ტანის დასაცავი და თავსაბურავი საჭურველი. ტანის ჯავშანი სხვადასხვა სახეობისა იყო, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ჯაჭვის პერანგი გახლდათ.



ჯაჭვის პერანგი

ჯაჭვის პერანგი იყო სხვადასხვა ხარისხისა და ზომის. მისი წონა მერყეობდა 7-დან 17 კილოგრამამდე. ჯაჭვის პერანგის მოქსოვა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. საჭირო იყო თითოეული რგოლის დამზადება, შემდეგ სხვა რგოლებთან შეკავშირება და დამაგრება. ჯაჭვის პერანგი სხვადასხვა სახეობისა ყოფილა. ჯაჭვის მოქსოვას თვეობით შრომა სჭირდებოდა, ამიტომაც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ჯაჭვის პერანგი მეტად ძვირი ღირდა.

თორი

აბჯრის ცალკე სახეობას წარმოადგენდა თორი, რომელიც ერთი მთლიანი რკინის ჯავშანი იყო. იგი მზადდებოდა რკინის ნაჭრებისაგან და ტანს ფარავდა წელამდე. ზოგიერთ შემთხვევაში, თორი შედგებოდა ორი რკინის ნაჭრისგან, რომლებიც მხრებზე, იღლიის ქვეშ და წელზე საგანგებო ზონრებით იკვრებოდა. ასეთი ტიპის აბჯარზე ხშირად იყო ამობურცვის მეთოდით გამოსახული სხვადასხვა სტილიზებული ფიგურები და ცხოველები.

მეომარს თავდაცვითი თავსაბურავიც ჰქონდა, რომელიც ასევე იყოფოდა სახეობების მიხედვით: მუზარადი, ჩაფხუტი, ჩაჩქანი და სხვა.





შეიარაღება შუა საუკუნეების საქართველოში



მკვეთელი იარაღიდან ყველაზე გავრცელებული ხმალი იყო, საძგერი იარაღიდან – ოროლი და შუბი, სასროლი იარაღიდან – მშვილდ-ისარი და შურდული. შუა საუკუნეებში სხვადასხვა ფორმის ფარს ხმარობდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო მრგვალი და ნუშისებრი ფარები. განსხვავდებოდა ფარის ზომებიც. ზოგიერთი მათგანი მეომრის მთელ ფიგურას ფარავდა მხრებიდან მუხლამდე.

ძვირადღირებული იარაღი და საჭურველი მხოლოდ მდიდართა ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი. ჯარის გარკვეული კონტინგენტის (მონა-სპა, მეცხოვნეები) შეიარაღებაზე უშუალოდ სახელმწიფო ზრუნავდა. მეომრის სხეულის სხვადასხვა ნაწილს – ფეხს, ხელს – ასევე საგანგებო ჯავშანი იცავდა: სამუხლე, ხელნავი, საბარკული, საბუხარი.



ცეცხლსასროლი იარაღი და არტილერია შუა საუკუნეების საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის პირველად გამოყენება დასტურდება XIV საუკუნის 80-იან წლებში. XVს-ის II ნახევრიდან ქართულ წყაროებში უკვე გვხვდება ცნობები ქვემეხისა და თოფის არსებობის შესახებ. პირველ ეტაპზე საქართველოში იარაღი ძირითადად სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და რუსეთიდან შემოჰქონდათ.

XVIII საუკუნეში ჩვენ არაერთი ცნობა გვაქვს, რომ საქართველოში არსებობდა „ზარბაზნების, ყუმბარებისა და წამლის“ დამამზადებელი სახელოსნოები. ამავე პერიოდში ქართულად ითარგმნა საარტილერიო წიგნები. ქართველი მეფე-მთავრები ცდილობდნენ მძლავრი საარტილერიო ნაწილები ჰყოლოდათ, მაგრამ არსებული საგარეო პოლიტიკური ვითარება ამ დიდ საქმეს აფერხებდა.

რა სახის იარაღი არსებობს?

M4 – 5,56 მმ-იანი ავტომატური კარაბინი



M4 შექმნილია მრავალფუნქციური ამერიკული M16A2 შაშხანის ბაზაზე. მისი სრული წონაა (სავაზნე კოლოფითა და ქამრით) 3,4 კილოგრამი, სავაზნე კოლოფში არის 30 ვაზნა, სროლის ტემპია 700-900 გასროლა წუთში, ტყვიის საწყისი სიჩქარეა 905 მ/წმ. მწარმოებელი: აშშ. შექმნის თარიღი: 1992 წელი.

NEGEV LMG – 5,56 მმ-იანი მსუბუქი ტყვიამფრქვევი



NEGEV LMG ტყვიამფრქვევის წონაა 7,45 კგ., ვაზნის საწყისი სიჩქარეა 915 მ/წმ, სროლის ტემპი კი 850-1050 გასროლა წუთში. ტყვიები იარაღს მიეწოდება ლენტის საშუალებით 150-ვაზნიანი კოლოფიდან. მწარმოებელი: ისრაელი. გამოშვების წელი: 1995.

M249 – 5,56 მმ-იანი მსუბუქი ტყვიამფრქვევი



M249 ტყვიამფრქვევის წონაა 8 კგ., ვაზნის საწყისი სიჩქარეა 915 მ/წმ, სროლის ტემპი კი 775 გასროლა/წთ. ძირითადად, ტყვიები იარაღს მიეწოდება 200-ვაზნიანი სავაზნე კოლოფიდან, სავაზნე ლენტით. განსაკუთრებულ ვითარებაში M249-ის ვაზნების მისაწოდებლად შეიძლება გამოიყენებოდეს M16 სერიის შაშხანის ან M4 სერიის კარაბინის სავაზნე კოლოფი (მჭიდი). მსროლელს შეუძლია M249-დან აწარმოოს ცეცხლი მხარზე მიბჯენით, ორფეხას ან სამხეფას გამოყენებით, ან დაზგიდან. მწარმოებელი: ბელგია-აშშ. გამოშვების წელი: 1970-იანი წლების ბოლო.





M240B ტყვიამფრქვევი ორფეხა სადგარზე და სამფეხა დაზგაზე

M240B –7,62 მმ-იანი საშუალო ტყვიამფრქვევი

ეს არის ბელგიური წარმოების ტყვიამფრქვევი, რომელიც აშშ-მა შეიარაღებაში მიიღო M240B-ის სახელწოდებით. ის იდგმება ორფეხა სადგარზე, სამფეხა დაზგაზე, ან შესაბამის სამაგრზე საფრენ და სატრანსპორტო საშუალებებზე. ტყვიამფრქვევი მთლიანად ავტომატურია. მისი წონაა 12,29 კილოგრამი, სროლის ტემპია 200 გასროლა წუთში, ხოლო ტექნიკური სწრაფსროლა – 650-950 გასროლა წუთში. მას ვაზნები ლენტის მეშვეობით მიეწოდება 100-ვაზნიანი სავაზნე კოლოფიდან. ტყვიამფრქვევის მაღალი სწრაფსროლიდან გამომდინარე, ლულის გადახურების თავიდან ასაცილებლად, მეტყვიამფრქვევეს შეუძლია მისი სწრაფად შეცვლა, რისთვისაც M240B ტყვიამფრქვევის კომპლექტში შედის დამატებითი ლულა. მწარმოებელი: ბელგია-აშშ. გამოშვების წელი: 1977.



UBGL-M7 – 40-მმ-იანი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი

40-მმ-იანი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი (UBGL--M7) არის ინდივიდუალური იარაღი და განკუთვნილია ღიად განლაგებული, ღია სანგრებში მყოფი და უკანა ფერდობებს მოფარებული ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. ის იწონის 1,7 კილოგრამს, მისი სროლის ტემპი უდრის 4-5 გასროლას წუთში, ყუმბარის საწყისი სიჩქარე კი 75 მ/წმ-ია. გადასატანი გასროლების საბრძოლო კომპლექტში შედის 2 ცალი ყუმბარა. მწარმოებელი: ბულგარეთი. გამოშვების წელი: 2007.

პისტოლეტები

N	მახასიათებლები	 JERICHO	 BERETA M-9	 GLOCK-17
1	კალიბრი, მმ	9X19	9X19	9X19
2	ეფექტური სროლის მანძილი, მ	50	50	50
3	ტყვიის ფრენის საწყისი სიჩქარე, მ/წმ	350-400	381	375
4	პისტოლეტის სიგრძე, მმ	192	216	204
5	პისტოლეტის სიგანე, მმ	35	38	32
6	ლულის სიგრძე, მმ	96	125	114
7	წონა (დაუმუხტავი), გ	720	944	705
8	სავაზნე კოლოფის ტევადობა	16	15/20	17/19/24/31/33

ჯავშანსაწინააღმდეგო შეიარაღება

ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი რპგ-7 და ყუმბარა რპგ-22

მრავალჯერადი გამოყენების ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი რპგ-7 და ერთჯერადი გამოყენების ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა რპგ-22 განკუთვნილია ტანკებთან, თვითმავალ საარტილერიო დანადგარებსა და მოწინააღმდეგის სხვა ჯავშნიან საშუალებებთან საბრძოლველად. გარდა ამისა, იგი შეიძლება გამოვიყენოთ მოწინააღმდეგის იმ ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, რომელიც იმყოფება მსუბუქ საფრებში ან შენობანაგებობაში. რპგ-7 იწონის 6,3 კილოგრამს, სროლის ტემპი უდრის 4-6 გასროლას წუთში, ყუმბარის საწყისი სიჩქარეა 300 მ/წმ. რპგ-22 იწონის 2,7 კილოგრამს, ყუმბარის საწყისი სიჩქარეა 133 მ/წმ. მათი ეფექტური სროლის მანძილია 250/300 მეტრი.



რპგ-7



რპგ-22

ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები FGM-148 „ჯაველინი“

„ჯაველინი“ არის ფრანგული წარმოშობის ინგლისური სიტყვა და ნიშნავს შუბს. ჯაველინი არის „გაისროლე და დაივიწყე“ ტიპის გადასატანი, საშუალო მანძილზე მოქმედების ტანკსაწინააღმდეგო იარაღი. მას შეუძლია გაანადგუროს მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკა და შვეულმფრენები. FGM-148-ს აქვს ინტეგრირებული დღისა და ღამის სამიზნეები, რაც იძლევა ტაქტიკური მოქმედების საშუალებას როგორც დღის სინათლეზე, ისე შეზღუდული ხილვადობის პირობებში. FGM-148-ის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორკაციანი შემადგენლობით. FGM-148-ის რაკეტის გასროლა სრულდება „გაისროლე და დაივიწყე“ პრინციპის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს ავტომატურ რეჟიმში გამიზვნის სისტემის ინფრაწითელი სხივით ჯავშანმიზნების განადგურებას. FGM-148-ს აქვს პირდაპირი და კიდური ტრაექტორიით გასროლის რეჟიმი. მისი სროლის ეფექტური მანძილი 2 500 მეტრია. მწარმოებელი: აშშ. გამოშვების წელი: 1996.





ხელყუმბარები

ხელყუმბარების დანიშნულებაა ბრძოლის დროს ახლო მანძილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის დაზიანება და განადგურება.

არსებობს შეტევითი და თავდაცვითი ტიპის ხელყუმბარები.

ხელყუმბარების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

ძირითადი მონაცემები	რგდ-5	რგ-42	ფ-1	რკგ-3
ტიპი	შეტევითი	შეტევითი	თავდაცვითი	ტანკსაწინააღმდეგო
საბრძოლო მოქმედების სახეობა	ფუგასური	მსხვრევადი	მსხვრევადი	კუმულაციური
ფალიის მოქმედების დრო	მიმართული	3,2-4,2 წმ	3,2-4,2 წმ	მყისიერი
ნამსხვრევების სასიკვდილო მოქმედების რადიუსი	25 მ-მდე	25 მ-მდე	200 მ-მდე	----------
წონა	310 გ	420 გ	600 გ	1070 გ
ტყორცნის საშუალო სიშორე	40-50 მ	30-40 მ	35-45 მ	15-20 მ
ყუთში ხელყუმბარებისა და ფალიების რაოდენობა	20ც	20ც	20ც	12ც



ხელყუმბარა ფ-1



ხელყუმბარა რგდ-5



ხელყუმბარა რგ-42



ხელყუმბარა რკგ-3

ვინ აწარმოებს სამხედრო პროდუქციას საქართველოში?

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი **„დელტა“** საქართველოში მოქმედი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დაპროექტებაზე, შექმნაზე, სერიულ წარმოებასა და ტექნიკის რემონტზე მუშაობს. **„დელტას“** პროფესიონალებითა და დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული გუნდი არსებული ტექნიკის დახვეწაზე, რემონტსა და ინოვაციურ პროექტებზე ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს. ბოლო წლებია „დელტაში“ წარმოებული რამდენიმე სახეობის ტექნიკით, იარაღითა და აღჭურვილობით ქართული შეიარაღებული ძალები მარაგდება. **„დელტას“** საწარმოებში დამზადებული პროდუქცია ასევე გადის ექსპორტზე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.

ეს საინტერესოა

- ხელყუმბარების დანიშნულებით IX საუკუნიდან იყენებდნენ თიხისგან დამზადებულ ქოთნებს, რომლებშიც ცეცხლგამჩენი საშუალება იყო მოთავსებული;
- 1405 წლიდან იყენებდნენ თუჯის კორპუსს;
- 1667 წელს ინგლისში ასეულისთვის გამოყოფილი იყო 4 „გრენადერი“;
- 1885 წლამდე ინგლისელები ჯერ კიდევ ძველი ტიპის ფითილიან თუჯის ყუმბარებს იყენებდნენ;
- თანამედროვე ტიპის ხელყუმბარები პირველად გამოიყენეს რუსეთ-იაპონიის ომში (1904–1905 წლებში).

პრაქტიკული აქტივობა

ინდივიდუალურ აღჭურვილობასა და შეიარაღებასთან დაკავშირებით, ნასწავლი მასალის საფუძველზე, ინდივიდუალურად ან წყვილებად ფურცლებზე/ფერად ბარათებზე ჩამოწერეთ ის საკითხები, რომელთა შესახებაც დამატებითი ინფორმაციის მიღებას ისურვებდით. ამის შემდეგ გაცვალეთ ბარათები, ბოლოს კი მოიძიეთ ინფორმაცია ბარათ(ებ)ზე მოცემული საკითხ(ებ)ის შესახებ.

აქტივობის დასასრულს მოამზადეთ 1-2-წუთიანი მინიპრეზენტაცია და გაუზიარეთ თანაკლასელებს:

- რა საკითხი შეგხვდათ?
- რა ინფორმაცია მოიძიეთ?
- რა ახალი ან საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეთ?

იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები

იმსჯელეთ

გაეცანით მოცემულ მოსაზრებას და იმსჯელეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე.

„წესები შექმნილია წარსულში მომხდარი მძიმე შეცდომების საფუძველზე ან შეცდომების პრევენციის მიზნით“.

შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რატომ არის წესების არსებობა მნიშვნელოვანი?
- ყოველდღიურ ცხოვრებაში რა წესებით ვხელმძღვანელობთ? რატომ ვიყენებთ ამ წესებს?
- იარაღთან მოპყრობის რაიმე წესი ხომ არ გახსენდებათ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები?



იარაღის შესანახი სეიფი

იარაღთან მოპყრობა დიდ სიფრთხილეს საჭიროებს, რადგან გაუფრთხილებლობის გამო ბევრი ტრაგიკული შემთხვევა მომხდარა. მთავარია არა მხოლოდ იარაღის გამოყენების სწავლა, არამედ უსაფრთხო მოპყრობის მნიშვნელობის გათავისება და საფრთხეების თავიდან აცილება. ნებისმიერი ადამიანი (მონადირე, სამხედრო და სხვ.) იარაღს უნდა მოექცეს ისე, თითქოს ის დატენილია; არასოდეს მიუშვიროს ის ადამიანს ან იმ მიმართულებით, სადაც შეიძლება ვინმე იმყოფებოდეს; სასხლეტს თითი არ უნდა დაადოს. ეს ამცირებს შემთხვევითი გასროლის რისკს. ამასთან, იარაღი ოჯახში უნდა ინახებოდეს უსაფრთხოდ, სპეციალურ და ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე.

დამატებითი რეკომენდაციები მოსწავლეებისთვის/არასრულწლოვნებისთვის:

- არასოდეს შეეხოთ იარაღს უფროსის ნებართვის გარეშე;
- თუ სადმე იპოვით იარაღს (სახლში, ქუჩაში ან სხვა ადგილას), არ უნდა შეეხოთ, უნდა დაშორდეთ და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ უფროსს ან მასწავლებელს;
- ხუმრობით იმიტაციური იარაღის გამოყენებაც კი (რეალისტური „სათამაშოებით“) შეიძლება იყოს სახიფათო, ამიტომ საჭიროა სიფრთხილე.

გახსოვდეთ, რომ იარაღი არ არის სათამაშო და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქცევა მოითხოვს პასუხისმგებლობასა და წესების მკაცრად დაცვას.

საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“ განსაზღვრავს იარაღის სახეებს, არეგულირებს იარაღის ბრუნვასთან, მასზე კონტროლთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აგრეთვე იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღი, მისი დამზადების ადგილის მიუხედავად, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით და ისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით (სხვადასხვა ვადით).

საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“

აკრძალულია იარაღის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა და ტარება!

საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“,
იარაღის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) დაარეგისტრიროს საკუთრებაში არსებული იარაღი;

ბ) დაარეგისტრიროს მემკვიდრეობით მიღებული იარაღი;

გ) დაიცვას იარაღის ბრუნვის წესები;

დ) უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა;

ე) უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო მოხელეთა დაშვება და მათთვის სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა;

ვ) იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს.

დავალება

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ექსპერტი სამხედრო საკითხებში და შეიარაღების, ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობისა და იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესების შესახებ წერილობით პასუხობთ სამხედრო ჟურნალისტს.

სამხედრო ჟურნალისტის შეკითხვებია:

- რა სახის ინდივიდუალური აღჭურვილობა არსებობს?
- რატომ უნდა იცოდეს ყველამ (მათ შორის, სამოქალაქო პირებმა) იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები? რომელ წესებს გამოყოფდით და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, სამომავლოდ როგორ და რატომ შეიძლება შეიცვალოს ჯარისკაცის ინდივიდუალური აღჭურვილობა? ზოგადად შეიარაღება?



იარაღის შესანახი ოთახი

სასარგებლო რესურსები

5. ტაქტიკის მნიშვნელობა და საფუძვლები

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ სიტუაცია, როდესაც წინასწარი დაგეგმვა გადამწყვეტი აღმოჩნდა (მაგალითად, სპორტში)? რა შედეგი მოჰყვა?
- თქვენი აზრით, დასახული მიზნის მიღწევაში უფრო მნიშვნელოვანი რა არის — გეგმა თუ მისი შესრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები?
- თქვენი სიტყვებით ახსენით: რას გულისხმობს ტაქტიკა? სტრატეგია?
- როგორ გამოიყენებთ დაგეგმვასთან დაკავშირებულ ცოდნას ცხოვრებისეულ სიტუაციებში?



კარლ ფონ კლაუზევიცი
(1780-1831)

თქვენ ხშირად გექნებათ მოსმენილი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სპორტში ან კომპიუტერულ თამაშებში ტერმინები **ტაქტიკა** ან **სტრატეგია**. შესაძლოა, არც დაფიქრებულხართ ამ სიტყვების ზუსტ მნიშვნელობაზე, არადა ეს ორი ტერმინი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამხედრო სფეროში და ომის წარმოების სხვადასხვა დონეს განსაზღვრავდა.

პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსისა და ისტორიკოსის, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცის (1780-1831) აზრით, ომი არის შეიარაღებული კონფლიქტი ქვეყნებს ან დაჯგუფებებს შორის და, ამდენად, ომი პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს, მხოლოდ სხვა საშუალებებით.

ქვეყნები საომარ მოქმედებებს სამხედრო ძალებით აწარმოებენ. ეს ის ძირითადი საშუალებაა, რომლითაც ქვეყანა ან იცავს, ან თავს ესხმის მოწინააღმდეგეს. ომი უმიზეზოდ არ იწყება, მას ყოველთვის წინმსწრები მოვლენები უძღვის და ეს საკმაოდ გრძელი და შრომატევადი მოსამზადებელი პროცესია. ამიტომ ქვეყნები მშვიდობიანობის პერიოდს იყენებენ საკუთარი შეიარაღებული ძალების მოსამზადებლად და გასაწვრთნელად, რათა მომავალში აირიდონ საფრთხე და მოწინააღმდეგის აგრესია, დახვდნენ მომზადებული და დაამარცხონ მოწინააღმდეგე. ცნობილი ლათინური გამოთქმაც ამას გვასწავლის: „თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის.“ შესაბამისად, ქვეყნებისთვის ტაქტიკასა და სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც ასეა.



სტრატეგია (ბერძნულად ნიშნავს ჯარის გაძღოლას) – წინასწარ განსაზღვრული ხედვა ეროვნული ძალის ინსტრუმენტების სინქრონიზებულად და ინტეგრირებულად გამოყენების მიზნით, სამხედრო, ეროვნული და/ან მრავალეროვნული მიზნების მისაღწევად.

ტაქტიკა – ქვედანაყოფების გამოყენება ბრძოლაში მათი ორგანიზებული განლაგებითა და მანევრით, რელიეფისა და მოწინააღმდეგის გათვალისწინებით, რათა პოტენციური საბრძოლო სიძლიერე გარდაიქმნას გამარჯვების მომტან ბრძოლებად და შეტაკებებად.

ტაქტიკა მოიცავს ტაქტიკის მეცნიერებასა და ტაქტიკის ხელოვნებას.

ტაქტიკა, როგორც მეცნიერება, გულისხმობს იმ სამხედრო ასპექტების ცოდნას, რომელთა გაზომვა და კოდიფიცირება შესაძლებელია. ესენია: შესაძლებლობები, მეთოდები და პროცედურები. ასევე ის განსაზღვრავს ამოცანის შესრულებისთვის საჭირო დროს, რესურსებს, მეთოდებსა და ხერხებს. პრაქტიკული მიზნებისათვის შესაძლებელია აზრის გრაფიკული გამოხატვა ტაქტიკური ტერმინებითა და ნიშნებით.

ტაქტიკა, როგორც ხელოვნება, შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტისგან:

- საშუალებების შემოქმედებითი და მოქნილი განა-

წილება დასახული ამოცანების შესასრულებლად;

- გადაწყვეტილების მიღება გაურკვევლობის პირობებში, როდესაც ვუპირისპირდებით მოწინააღმდეგეს;
- ადამიანური ფაქტორების გათვალისწინება – საბრძოლო მოქმედებების ზეგავლენა ჯარისკაცებზე.

ტაქტიკა ყოველთვის საჭიროებს განსჯასა და ამა თუ იმ სპეციფიკური სიტუაციისთვის დამახასიათებელ გარემოებებთან ადაპტაციას. მისგან განსხვავებით, მეთოდები და ხერხები გულისხმობს დადგენილ წესებს, რომლებიც, ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს. ნებისმიერი ცალკეული პრობლემის გადაჭრა გულისხმობს მეთოდებისა და ხერხების ხელსაყრელ კომბინაციას.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ორ ნამდვილ ამბავს და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ნამდვილი ამბავი 1.

ბობი ფიშერი დონალდ ბირნის წინააღმდეგ (1956) – „საუკუნის პარტია“ ჭადრაკში.

ბობი ფიშერი ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა ითამაშა პარტია დონალდ ბირნის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროის ერთ-ერთ ძლიერ ამერიკელ დიდოსტატად მიიჩნეოდა. ეს პარტია დღესაც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ტაქტიკურ კომბინაციად ჭადრაკის ისტორიაში.

პარტიის შუა ეტაპზე ფიშერმა თითქოს დაუშვა დიდი შეცდომა – მან „გაწირა“ დედოფალი. ასეთ დონეზე ეს ჩვეულებრივ ნიშნავს პარტიის წაგებას, რადგან დედოფალი ყველაზე ძლიერი ფიგურაა. სინამდვილეში კი ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ტაქტიკური კომბინაცია.

დედოფლის გაცვლით ფიშერმა მიიღო უფრო მნიშვნელოვანი რამ – აქტიური ფიგურების განვითარება და მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი შეტევის შესაძლებლობა. რამდენიმე სვლის შემდეგ გაირკვა, რომ ბირნის პოზიცია მთლიანად ჩამოიშალა: მისი ფიგურები არ იყო კოორდინირებული, მეფე კი დარჩა ღია შეტევის ქვეშ.

ფინალი დასრულდა სწრაფი შამათით. ეს პარტია ხშირად გამოიყენება მაგალითისთვის, რომ ტაქტიკაში დროებითი მატერიალური მსხვერპლი შეიძლება გადაიქცეს გადამწყვეტ უპირატესობად.

ნამდვილი ამბავი 2.

კანეს ბრძოლა (ძვ.წ. 216)

კანეს ბრძოლა არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო ტაქტიკური გამარჯვება ისტორიაში. ეს გამარჯვება მოიპოვა ჰანიბალმა.

ჰანიბალმა კარგად იცოდა, რომ რომის არმია მას რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდა, ამიტომ მან არ აირჩია პირდაპირი დაპირისპირება, არამედ შექმნა სპეციალური საბრძოლო წყობა: ცენტრი განზრახ იყო შედარებით სუსტი და უკან დახევისკენ ორიენტირებული.

როდესაც რომაელებმა შეტევა დაიწყეს, მათ ეგონათ, რომ მტერი უკან იხევდა და ცენტრის გარღვევა შესაძლებელი იყო. მაგრამ ეს იყო ხაფანგი. ცენტრის წინ წაწევის შემდეგ რომაული ლეგიონები აღმოჩნდნენ გარშემორტყმული.

ფლანგებიდან კართაგენელებმა დაიწყეს ორმხრივი ალყა, რაც საბოლოოდ კატასტროფად იქცა რომისთვის. ეს ბრძოლა დღემდე ითვლება ტაქტიკური ალყის ერთერთ საუკეთესო მაგალითად.

შეკითხვები

- რომელ მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ ტაქტიკური სვლა? სტრატეგია?
- რა რისკს შეიცავდა თითოეული ტაქტიკური სვლა? რა შეიძლებოდა არ გამოსულიყო?
- ორივე შემთხვევაში, რატომ აღმოჩნდა ეს ტაქტიკა ეფექტური? რა ფაქტორებმა განაპირობა წარმატება?
- რა მსგავსებაა ამ ორ ისტორიას შორის ტაქტიკური აზროვნების კუთხით?
- მოიფიქრეთ რეალური ცხოვრებისეული მაგალითი, სადაც დროებითმა დათმობამ საბოლოო წარმატება განაპირობა.
- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება შეიცვალოს შედეგი, თუ სტარტეგია სწორია, მაგრამ ტაქტიკა – არასწორი? მოიყვანეთ ჰიპოთეზა ან მაგალითი.

სამხედრო სფეროში ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე გეგმის პრაქტიკულად განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს შეიარაღებული ძალა. საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ორი სახეობის შეიარაღებული ძალა: სახმელეთო და საზღვაო. ავიაციის განვითარებამ განაპირობა საჰაერო სივრცის ათვისებაც და ჩამოყალიბდა კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახეობა – საჰაერო ძალები. დღესდღეობით რიგი ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ კოსმოსის ათვისების შესაძლებლობა, აყალიბებენ კოსმოსურ ძალებს. ასევე დღის წესრიგში უკვე დგას კიბერსივრცის ომის ცალკეულ განზომილებად გამოტანის საკითხიც. რომ დავაკვირდეთ, ყველა ის

სივრცე, რომლებიც არსებობს ჩვენ გარშემო, მეტნაკლებად ათვისებულია სამხედრო ძალების მიერ, მათ შორის კიბერსივრცესაც ბევრი ქვეყანა უკვე ფართოდ იყენებს თავისი ინტერესების გასატარებლად და, სავარაუდოდ, მომავალში ათვისებული იქნება სამხედრო თვალსაზრისით და შეიქმნება ახალი სახეობა ან გაერთიანდება რომელიმე სხვა სახეობასთან.




ძირითად სახეობას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საომარი მოქმედებების შესრულება, წარმოადგენს სახმელეთო ძალები და უშუალოდ მისი წამყვანი ძალა – ქვეითები.

ქვედანაყოფის ორგანიზაციული სტრუქტურა, რიცხოვნობა და შეიარაღება განისაზღვრება დანიშნულების შესაბამისად. ყველაზე მცირე ტაქტიკური დანაყოფი არის ათეული, რომელსაც თავისი მოქმედების ტაქტიკა აქვს. ქვეით ქვედანაყოფებში არსებობს ორი სახის ქვეითი ათეული: მსუბუქი ქვეითი ათეული და მძიმე იარაღის ათეული, რომელთა მოვალეობაა მანევრირება ან საცეცხლე ბაზის შექმნა.

მსუბუქი ქვეითი ათეული და მისი სტრუქტურა

მსუბუქი ქვეითი ათეული შედგება ორი საცეცხლე ჯგუფისა და ათეულის მეთაურისაგან. ათეულის მეთაურებს ჰყავთ ორი დაქვემდებარებული მეთაური, რომლებიც ხელმძღვანელობენ ორ ქვეჯგუფს. ათეული ცეცხლისა და მანევრის გამოყენებით გადადის იერიშზე ან იკავებს თავდაცვით პოზიციებს. აქ ძირითადი პრინციპია: არანაირი გადაადგილება ცეცხლის გარეშე. მაგალითად, ათეულის ერთი ნახევარი – საცეცხლე ჯგუფი, აწარმოებს ცეცხლს მოწინააღმდეგის მიმართულებით, ხოლო მეორე საცეცხლე ჯგუფი აკეთებს მანევრს და გადაადგილდება ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად.





მძიმე იარაღის ათეული

წარმოადგენს ძირითად საცეცხლე ბაზას ოცეულის მანევრისათვის. ის შედგება მეტყვიამფრქვევეთა ორი ჯგუფისაგან, ყუმბარმტყორცნელთა ორი ჯგუფისა და იარაღის ათეულის მეთაურისგან.



ქვეითი და მძიმე იარაღის ათეულების შეიარაღება



ქვეითი ათეულის პირად შემადგენლობას აქვს ჯარისკაცის ან გათვლების მიერ გამოსაყენებელი და პირდაპირი ცეცხლისათვის განკუთვნილი შეიარაღება:

- ავტომატი;
- ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევი;
- ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი;
- ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი (იყენებს მძიმე იარაღის ქვეითი ათეული);
- ტყვიამფრქვევი (იყენებს მძიმე იარაღის ქვეითი ათეული);
- პისტოლეტი.

საჭიროების შემთხვევაში, ქვეით ათეულს შეიძლება დამატებით შეიარაღებად გამოეყოს სნაიპერული შაშხანა.

ქვეითი ათეულის შესაძლებლობები



- საბრძოლო მოქმედებების წარმართვა ყოველგვარ კლიმატურ პირობებში, ნებისმიერ ადგილზე;
- არსებული შეიარაღებითა და სტრუქტურით მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩართვა 50-100 მ-მდე მანძილზე;
- ხელჩართული ბრძოლა მოწინააღმდეგესთან;
- ადგილმდებარეობის გარკვეული მონაკვეთის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება;
- თავდაცვით ბრძოლებში ადგილმდებარეობის გარკვეული მონაკვეთის დაცვა ოცეულის შემადგენლობაში;
- დაზვერვისა და უსაფრთხოების ამოცანის შესრულება დამოუკიდებლად ან ოცეულის შემადგენლობაში;
- კონტრიერიში (საპასუხო დარტყმა) ქვეითი ოცეულის შემადგენლობაში;
- შვეულმფრენით უზრუნველყოფისას აერომობილურ ოპერაციებში მონაწილეობა ოცეულის შემადგენლობაში.





შამქორის ბრძოლა

თამარის მეფობის პერიოდში საქართველოს სამხედრო ძალებმა რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რისი წყალობით ქვეყანა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდა. ამ პერიოდში ქართველმა მხედართმთავრებმა სახელოვანი ბრძოლები გადაიხადეს – შამქორში, ბასიანში, წინა აზიასა თუ სპარსეთის ტერიტორიაზე. შამქორის ბრძოლა მათ შორის გამორჩეული იყო თავისი სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრით. ადარბადაგანის (სახელმწიფო თანამედროვე ირანისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) მმართველ აბუ-ბექრთან დაპირისპირება მხოლოდ სამხედრო მოქმედება როდი იყო, მას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლის შემდეგ ქართული მხარე კიდევ უფრო გააქტიურდა სამხრეთ კავკასიასა თუ ჩრდილოეთ სპარსეთში გავლენების მოსაპოვებლად.

ბრძოლისწინა პერიოდი

1191 წელს ადარბადაგანის გამგებელი (ათაბაგი) ყიზირ არსლანი მიგზავნილმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს. ერაყსა და ჯიბალში (დღევანდელი დასავლეთ ირანი) გაბატონებისათვის ბრძოლა დაიწყეს ყიზირ არსლანის ძმისშვილებმა. ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა აბუ-ბექრი. 1192 წელს აბუ-ბექრმა თავრიზთან სასტიკად დაამარცხა თავისი ძმები. აბუ-ბექრმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს სამეფო კართან მტრული ურთიერთობა დაამყარა. 1194-1195 წწ. სამხრეთ კავკასიაში საქართველოსათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აბუ-ბექრის მოწინააღმდეგემ, მისმა ძმამ ამირ-მირმანმა, აშკარად პროქართული ორიენტაცია აირჩია. იგი დასაწყისში შირვანშაჰ აღსართან I-ს ეწვია. ამ უკანასკნელმა დევნილი უფლისწული დიდი პატივით მიიღო და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. 1195 წელს აღსართან I-მა და ამირ-მირმანმა აბუ-ბექრის წინააღმდეგ დახმარება თამარ მეფეს სთხოვეს. აღსართანი და ამირ-მირმანი თბილისში ჩამოვიდნენ. ქართულმა მხარემ პომპეზური შეხვედრა გაუმართა მათ.

აბუ-ბექრს არ გამოჰპარვია მისი მოწინააღმდეგის გააქტიურება და საქართველოში ჩამოსვლა. ადარბადაგანის გამგებელმა გადაწყვიტა იერიში საქართველოზე მოეტანა და ამით სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის პრობლემა მოეგვარებინა.

ქართველთა სალაშქროდ მომზადება

აბუ-ბექრის სამხედრო სამზადისი ქართველებს არ გამოჰპარვიათ. როგორც კი ათაბაგი განჯა-შამქორის მიმართულებით დაიძრა, საქართველოს სამეფო კარმა ლაშქრის შეკრება დაიწყო. დისლოკაციის ადგილად ქვემო ქართლი განისაზღვრა. დაბანაკებულ ჯარს თვით მეფე თამარი ეწვია და სიტყვით მიმართა. 1195 წლის მაისის მიწურულს ქართველთა ლაშქარი შამქორ-განჯისაკენ გაემართა. თამარ მეფის ჯარს სათავეში ედგა დავით სოსლანი. მასთან ერთად იყო იმ დროს ცნობილი ყველა ქართველი სარდალი. შამქორის ციხე-ქალაქის სიახლოვეს ქართული სამხედრო შენაერთები 1-ელ ივნისს გამოჩნდნენ, ბრძოლა კი 2 ივნისს, პარასკევს, გაიმართა.

ქართველი სარდლების სტრატეგიული გეგმა


ქართველი მემატიანის ცნობით, შამქორის ბრძოლა მომხდარა მდინარე შამქორის წყლის (თანამედროვე შამქორ-ჩაის ტერიტორია, აზერბაიჯანის რესპუბლიკა) მარცხენა მხარეს, იმ ვრცელ ველზე, რომელიც ციხე-ქალაქ შამქორს ეკვრის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან. აბუ-ბექრი ისე იყო დაბანაკებული ქალაქ შამქორის სიახლოვეს, რომ მისი მარცხენა ფრთა აღწევდა შამქორს.

დავით სოსლანმა თავის მხედართმთავრებთან ერთად ზუსტად გათვალა აბუ-ბექრის გეგმები. ქართველები მიხვდნენ მოწინააღმდეგის სუსტ და ძლიერ მხარეებს. საქართველოს ჯარის სარდლობამ მტერს იქ უპოვა სუსტი წერტილი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა აბუ-ბექრი.

ეს იყო შეტევა შამქორის ციხის მიმართულებით ანუ მარჯვენა ფლანგიდან. შამქორის მიმართულებიდან შეტევა იდეალური ვარიანტი იყო, ოღონდ ამას ერთი წინააღმდეგობა ჰქონდა: საჭირო იყო ციხეში მყოფი აბუ-ბექრის მეომრების განეიტრალება. ქართველთა ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო, თუკი მუსლიმები მოახერხებდნენ დავითის ფრთის ზურგში მოქცევას. ბრძოლის დაგეგმვისას ზუსტად ეს დეტალი იყო მთავარი.

ბრძოლა

დავით სოსლანმა ჯარი სამ ნაწილად გაყო. ცენტრსა და მარცხენა ფლანგს ევალებოდა იერიშის მიტანა, მაგრამ მოწინააღმდეგეზე მძლავრი დარტყმა მარჯვენა ფრთიდან უნდა განხორციელებულიყო – ქალაქ შამქორის მიმართულებით. ჯარის ძირითადი ნაწილი სწორედ მარჯვენა ფლანგზე იყო დისლოცირებული, თუმცა ეს



არ იყო სტრატეგიის მთავარი შემადგენელი დეტალი. უპირველესი გახლდათ ის, რომ დავით სოსლანი ქალაქზე იერიშისას შეძლებდა ჯარის ძირითადი ნაწილის გამოყოფასა და მარჯვნიდან აბუ-ბექრის ზურგში გაჭრას. პარალელურად კი მხოლოდ მარჯვენა ფრთის მეორე ნაწილი მიიტანდა იერიშს ციხეზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ იქნებოდა იერიში პირდაპირი გაგებით. ამით ქართველი მეომრები გაანეიტრალებდნენ შამქორში მყოფ აბუ-ბექრის ჯარს, რომელიც შეეცდებოდა ზურგიდან დაერტყა დავით სოსლანის ჯარისათვის. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ეს იყო ბრძოლის, მართლაც რომ, საუკეთესო გადაწყვეტა. მარჯვენა ფრთის ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება მივიჩნიოთ გენიალურ სამხედრო მიგნებად.

ამ სტრატეგიული ჩანაფიქრის მიხედვით, მარჯვენა ფრთა ორნაწილიანი იყო. დასაწყისში ისე განალაგა ჯარის ნაწილები, თითქოს ქართველები ქალაქ შამქორზე მოდიოდნენ საიერიშოდ, მაგრამ ციხე-ქალაქთან მიახლოებისას მეფეს თავისი რაზმი ორ ნაწილად გაუყვია. ერთ ნაწილს ქალაქი მარჯვნივ მოუტოვებია და მდინარისაკენ გაჭრილა. ჯარის ამ ნაწილს უშუალოდ დავით სოსლანი სარდლობდა. სამხედრო გეგმის მიხედვით, ქართველები მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირის გავლით აბუ-ბექრის არმიის ზურგში უნდა შეჭრილიყვნენ. ამასობაში შამქორის ციხეში დაბანაკებული ათაბაგის მეომრების გასანეიტრალებლად დავითის ძირითად ნაწილს გამოეყო მცირე რაზმი, რომელმაც საშუალება არ მისცა შამქორის ციხე-ქალაქში მყოფ აბუ-ბექრის ლაშქარს, ციტადელიდან გამოსულიყო და მდინარის ნაპირის გაყოლებაზე მიმავალი დავით სოსლანის არმიისათვის დაერტყა. დავითის სარდლობით მოქმედმა სამხედრო ნაწილებმა აბუ-ბექრის ძირითადი ძალები გარემოიცვა. ის ფაქტი, რომ ათაბაგის არმია ქართველებმა ალყაში მოაქციეს, ამ მოვლენის ამსახველ საისტორიო თხზულებებშიცაა აღნიშნული.

აბუ-ბექრის დამარცხება და გაქცევა

ქართველთა ჯარის მარჯვენა ფრთის მანევრის შემდეგ აბუ-ბექრი ალყაში მოექცა. მის მეომართაგან ზოგი გაიქცა, ზოგი მკვდარი დაეცა მიწაზე. აბუ-ბექრმა ბრძოლას თავი მიანება და უკან დახევა სცადა, თუმცა უშედეგოდ. აბუ-ბექრი ბოლოს მოკლულთა შორის დაიმალა, მაგრამ მისი ძმის მონამ ის იცნო და ტყვედ აიყვანა. დიდი სიმდიდრის ფასად მას აბუ-ბექრმა ბრძოლის ველიდან გააყვანინა თავი და განჯის ციხისკენ გაიქცა, შემდეგ კი თავი ქვეყნის ჩრდილოეთს შეაფარა.

პრაქტიკული აქტივობა

მცირე ჯგუფებში განიხილეთ მოცემული სიტუაცია და მიიღეთ გადაწყვეტილებები ქვემოთ დასმული შეკითხვების დახმარებით.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ 4-კაციანი სამხედრო ჯგუფის წევრი და მოქმედებთ სასწავლო მისიის ფარგლებში. ჯგუფი უნდა გადაადგილდეს რთულ რელიეფზე და 24 საათში დაბრუნდეს სასწავლო ბაზაზე. შერჩეულ ტერიტორიებზე მობილური კავშირი არასტაბილურია, ღამით ტემპერატურა მკვეთრად ეცემა, ხოლო ზოგ მონაკვეთში არსებობს ველური ცხოველების გადაადგილების ფაქტები.

ჯგუფს აქვს შეზღუდული რესურსები. ჯგუფის წევრებისთვის ხელმისაწვდომია 12 ნივთი, მაგრამ ამ ჩამონათვალიდან უნდა აირჩიონ მხოლოდ ხუთი: წყალი, დანა, კომპასი, ტელეფონი, საკვები, თბილი ტანსაცმელი, ფარანი, პირველი დახმარების ნაკრები, თოკი, რუკა, გარე დამტენი („ფაუერბანკი“), ანტისეპტიკური საშუალება. თითოეულ წევრს შეუძლია მაქსიმუმ 2 ნივთის ტარება, ამიტომ საჭიროა ნივთების არა მხოლოდ არჩევა, არამედ განაწილებაც. მიზანი არის არა უბრალოდ გადაადგილება, არამედ სწორი ბალან-

სის დაცვა სიჩქარეს, უსაფრთხოებასა და რესურსების გამოყენებას შორის. ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ რას ატარებს და როგორ გამოიყენებს რესურსებს პირველ 6 საათში, როგორ იმოძრავებს ბილიკზე და როგორ მართავს დროს. ⟵ **მიიღეთ გადაწყვეტილება.**

გარკვეული მონაკვეთის შემდეგ ბილიკი იყოფა სამ მიმართულებად: ერთი მოკლე, მაგრამ რთულად დასაძლევი რელიეფით; მეორე – გრძელი, მაგრამ შედარებით უსაფრთხო; მესამე – ნაწილობრივ უცნობი, მაგრამ რუკაზე მონიშნული როგორც „შესაძლო სწრაფი გზა“.

აქაც, ჯგუფმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ გადაადგილდება და რომელ გზას აირჩევს. ⟵ **მიიღეთ გადაწყვეტილება.**

გადაადგილებიდან რამდენიმე საათში ვითარება იცვლება: ამინდი მკვეთრად უარესდება, რუკის ერთ მონაკვეთში უზუსტობა იჩენს თავს და ჯგუფი დგება არჩევანის წინაშე: შეცვალოს მარშრუტი მაშინვე, თუ გააგრძელოს არჩეული გზა გეგმის შეცვლის გარეშე. ⟵ **მიიღეთ გადაწყვეტილება და მიიყვანეთ ჯგუფი სასწავლო ბაზაზე.**

დამხმარე შეკითხვები:

- როგორ უკავშირდება თქვენი ტაქტიკური მოქმედებები (მაგალითად, გადაადგილება, დროის მართვა) საბოლოო მიზანს – 24 საათში უსაფრთხო დაბრუნებას?
- შეადარეთ ორი შესაძლო არჩევანი: სწრაფი, რისკიანი გზა და გრძელი, უსაფრთხო გზა. რომელია უფრო ეფექტური ამ სიტუაციაში და რატომ?
- ახსენით, რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს ნივთები?
- დაასაბუთეთ, რატომ არის თქვენი ტაქტიკა (მაგალითად, როგორ მოძრაობთ, როგორ იყენებთ რესურსებს) გამართლებული არსებული რისკების პირობებში?
- რა შეიძლება მოხდეს, თუ თქვენი სტრატეგია სწორია, მაგრამ ტაქტიკური ნაბიჯებია არასწორად შესრულებული? მოიყვანეთ მაგალითი

გადაადგილების ხერხები



ქვედანაყოფების საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად მნიშვნელოვან ტაქტიკურ ელემენტს წარმოადგენს მანევრი, ანუ ქვედანაყოფების გადაადგილება ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად, რომელიც მას მოწინააღმდეგესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

მანევრი – ძალების გადაადგილება ისეთი ხელსაყრელი პოზიციის დაკავების მიზნით, რომელიც უპირატესობას მოგვცემს მოწინააღმდგესთან შედარებით.

ბრძოლის ველზე, როგორც წესი, გადაადგილება ხდება ცეცხლით დაზღვევით. ერთი ჯარისკაცი ან ქვედანაყოფი აზღვევს (აწარმოებს ცეცხლს მოწინააღმდეგეზე/მოწინააღმდეგის პოზიციებზე), ამ დროს კი მეორე გადაადგილდება წინასწარ შერჩეულ პოზიციაზე, სადაც ის უფრო უსაფრთხოდ ან უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება მოწინააღმდეგესთან.

ეს პრინციპი უნივერსალურია როგორც ჯარისკაცებისთვის, ისე ქვედანაყოფებისთვის.



არსებობს ქვეითად გადაადგილების ხერხები. ესენია: ფეხით გადაადგილება, ცოცვით გადაადგილება და გადარბენა. ამასთან, გადაადგილებისას აუცილებელია შენიღბვისა და ფარულობის წესების დაცვა.

ფეხით გადაადგილების დროს საჭიროა აღჭურვილობის შენიღბვა; მისი მორგება ტანზე ისე, რომ ხმა არ გამოსცეს; გარემოს შესაბამისი შეფერილობის სამხედრო ტანსაცმლის ჩაცმა; მხოლოდ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი აღჭურვილობის ქონა; მიმართულების ხშირი ცვლა ისეთ ადგილმდებარეობაზე გადაადგილებისას, სადაც ადვილად რჩება მოძრაობის კვალი (მაგალითად, მაღალი ბალახი, სველი გრუნტი, თოვლი და სხვ.); გადაადგილებით გამოწვეული ხმაურის გადაფარვა ბუნებრივის მსგავსი ხმებით.



არსებობს ცოცვით გადაადგილების ორი სახე: დაბალი და მაღალი.

დაბალი ცოცვა (ხოხვა) გამოიყენება მოკლე მანძილზე გადაადგილებისათვის, როცა სამალავი, საფარი და სხვა საშუალება ცოტაა და შეუძლებელია მოწინააღმდეგის ცეცხლისგან თავის დაღწევა ფეხზე ადგომითა და გადარბენებით.



დაბალი ცოცვა

მაღალი ცოცვა გამოიყენება მაშინ, როცა დაფარვისა და შენიღბვის შესაძლებლობა საკმარისია.

ცოცვით გადაადგილებას სჭირდება სპეციალური მომზადება, რომლის დროსაც ჯარისკაცები შეისწავლიან გადაადგილების მეთოდის ელემენტებს: მთლიანი სხეულისა და მისი ნაწილების მდგომარეობა მიწის ზედაპირის მიმართ, იარაღის დაჭერა და სხვ.



მაღალი ცოცვა

გადარბენა მოწინააღმდეგის ცეცხლისგან თავის დაღწევის ყველაზე სწრაფი საშუალებაა. ესაა ერთი საფრიდან მეორე საფრისკენ ან ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციისკენ სირბილით გადაადგილება. მისი მანძილი დამოკიდებულია ადგილმდებარეობასა და მოწინააღმდეგის ცეცხლის ინტენსივობაზე. გადარბენის მომენტში ჯარისკაცისათვის სახიფათოა ფეხზე დგომა, ამიტომაც თუ ჯარისკაცი მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშაა მოქცეული და მისი მხრიდან შეუძლებელია საპასუხო ცეცხლის წარმოება, გადარბენა მხოლოდ მისი მეწყვილის/თანამებრძოლის ცეცხლით დაზღვევით არის შესაძლებელი. ფეხზე დგომა არ უნდა გაგრძელდეს 5 წამზე მეტ ხანს. გადარბენით პოზიციის შეცვლისას წინასწარ უნდა შეირჩეს ახალი პოზიციისკენ მიმავალი, ყველაზე

უკეთ დაფარული და შენიღბული გზა.

ზემოაღნიშნული გადაადგილების ხერხების შესწავლა არ არის ხანმოკლე და მარტივი პროცესი და მოითხოვს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ინტენსიურ მეცადინეობებს.

ხელის ნიშნები



მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები აღჭურვილი არიან ინდივიდუალური რადიოსადგურის საშუალებებით, მაინც არსებობს ხელის ნიშნების გამოყენების რეალური საჭიროება. ხელის ნიშნების მეშვეობით შესაძლებელია შეტყობინებების ჩუმად და სწრაფად გადაცემა. თავდაცვის ძალებში ხელის ნიშნები დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა. ისინი ადვილად გასაგებია და გამოიყენება იარაღის ტარების დროს.

ეს საინტერესოა

გაეცანით ინფორმაციას ნორმანდიის დესანტის შესახებ.

1944 წლის 6 ივნისს, II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, ნორმანდიის დესანტირება ითვლება ერთ-ერთ მასშტაბურ ოპერაციად ისტორიაში. მაშინ საბოლოო შედეგი გადაწყვიტა იმ პატარა ეპიზოდებმა, რომლებშიც ადამიანებმა იმოქმედეს საკუთარი შეხედულებისამებრ. ოპერაცია განახორციელეს მოკავშირე სახელმწიფოებმა. ის მიმართული იყო მაშინდელი ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ.

დილა ნისლითა და ქაოსით დაიწყო დესანტირების ერთ-ერთ მონაკვეთზე, ომაჰას სანაპიროზე. ჯგუფს მძიმე დანაკარგები ჰქონდა – ტყვიები წყალს კვეთდა, ჯარისკაცები ტალღებში იკარგებოდნენ, ბრძანებები კი ხშირად ვერ აღწევდა დანიშნულების ადგილამდე. ამავე დროს, ცოტა მოშორებით, პუენტ-დიუ-ოკის ციცაბო კლდეებთან, ამერიკელი რეინჯერები ასრულებდნენ რთული დავალებებიდან ერთ-ერთს. მათი მიზანი იყო კლდის თავზე განლაგებული იმ გერმანული ქვემეხების განადგურება, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა როგორც ომაჰას, ისე იუტას სანაპიროებს. ძლიერი ცეცხლის ქვეშ, სველ და სრიალა კლდეებზე, ისინი ადიოდნენ თოკებითა და კიბეებით, მიუხედავად იმისა, რომ მტერი ზემოდან ყველაფერს აკეთებდა მათ შესაჩერებლად. ბევრმა ვერ მიაღწია მწვერვალს, მაგრამ სხვა რეალობაში აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ავიდნენ: ქვემეხები ადგილზე აღარ იყო.

სწორედ აქ გამოიჩინეს ინიციატივა, მიიღეს გადაწყვეტილება და მცირე ჯგუფებმა დამოუკიდებლად დაიწყეს ქვემეხების ძებნა. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფში იყო **ლეონარდ ლომელი.** მან და მისმა თანამებრძოლმა აღმოაჩინეს ქვემეხები – დამალული მახლობლად, მზად საბრძოლო გამოყენებისთვის. დრო არ ითმენდა. ლომელმა სწრაფად გამოიყენა თერმიტული მუხტები და გაანადგურა ქვემეხები, რითაც ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხე გაანეიტრალა – ფაქტობრივად, გადაარჩინა ის დესანტი, რომელიც იმ მომენტში სანაპიროებზე სიცოცხლისთვის იბრძოდა.

იმავე დღეს, ნორმანდიის სიღრმეში, პარალელურად ვითარდებოდა კიდევ ერთი ოპერაცია „ოვერლორდი“, სადაც მოქმედებდნენ ამერიკული საპარაშუტო დანაყოფები, როგო-

რიც იყო 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია. ისინი დესანტამდე ღამით დაეშვნენ მტრის ზურგში და დაიწყეს გზების, ხიდებისა და კომუნიკაციების კონტროლი. მიუხედავად ქაოსური დაშვებისა, მათ მოახერხეს გერმანული ძალების გადაადგილების შეფერხება და კონტრშეტევის დაგვიანება. ამავე დროს, სანაპიროზე საზღვაო დესანტი პირდაპირ ეჯახებოდა ძლიერ თავდაცვას და ცდილობდა ფეხის მოკიდებას, რაც განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ომაჰას მიმართულებით.

ეს მოქმედებები ერთმანეთს ავსებდა: სანამ სანაპიროზე ჯარისკაცები სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ პოზიციების გასამყარებლად, პარაშუტისტები შიგნით „კეტავდნენ“ მტრის გზებს. პარალელურად, რეინჯერების მიერ პუენტ-დიუ-ოკიზე არტილერიის განეიტრალებამ შეამცირა ზეწოლა დესანტზე. შედეგად, შეიქმნა ერთიანი ეფექტი – მტერი ერთდროულად ზეწოლას განიცდიდა ფრონტიდანაც და ზურგიდანაც, ვერ ახერხებდა ძალების შეკრებას და ორგანიზებულ პასუხს.

1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიის დესანტირება არ იყო მხოლოდ ერთიანი შეტევა სანაპიროებზე. ეს იყო ზუსტად გათვლილი, ერთმანეთზე მიბმული მოქმედებების ჯაჭვი. ომაჰას სანაპიროზე მედგარი წინააღმდეგობა, პუენტ-დიუ-ოკიზე რეინჯერების ოპერაცია და პარაშუტისტების ქაოსური, მაგრამ ეფექტური მოქმედება – რეალურად ერთიანი ტაქტიკური სურათის ნაწილები იყო.

გარდა ამისა, ოპერაციის წარმატება ასევე დიდწილად განაპირობა დეზინფორმაციამ: გერმანელებს უქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ მთავარი შეტევა განხორციელდებოდა სხვა რეგიონში. შექმნილი იყო ყალბი სამხედრო ძალები, სატყუარა რადიოგადაცემები და მოჩვენებითი მზადება. ამ ტაქტიკურმა ნაბიჯმაც შედეგი გამოიღო და გერმანული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსდა არასწორ ადგილებში. საბოლოოდ, როდესაც ნამდვილი სადესანტო მოქმედებები დაიწყო, მოკავშირეებს შეხვდათ სანაპიროს შედარებით სუსტი თავდაცვა და შეძლეს ნაპირზე გადასვლა და გამაგრება, რაც გახდა ევროპაში მაშინდელი ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ საბოლოო შეტევის დასაწყისი.

ამგვარად, ნორმანდიის ოპერაციის წარმატება განპირობებული იყო არა მხოლოდ მასშტაბით, არამედ იმითაც, რომ სხვადასხვა ტიპის სამხედრო ძალები – საჰაერო და საზღვაო – ერთობლივად მოქმედებდნენ საერთო მიზნის მისაღწევად, ტაქტიკური სვლების ნაწილი იყო გავრცელებული დეზინფორმაციაც.

დავალება

წარმოიდგინეთ, რომ ესაუბრებით სტრატეგიისა და ტაქტიკის სპეციალისტს. დაწერეთ დიალოგი, სადაც სპეციალისტთან საუბარი იქნება აღწერილი.

დიალოგში წარმოაჩინეთ:

- რა არის სტრატეგია და ტაქტიკა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენება?
- რა მსგავსება და განსხვავებაა სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის?
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში? მოიყვანეთ მაგალითი.

სასარგებლო რესურსები

6. სამხედრო ინჟინერია

იმსჯელეთ

- რა საინჟინრო ნაგებობები გახსენდებათ, რომლებიც ადამიანების უსაფრთხოებას ემსახურება?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რას გულისხმობს სამხედრო ინჟინერია? მოიყვანეთ მაგალითები.
- თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს სამხედრო ინჟინერიას სტარტეგიულ დაგეგმვასა და ტაქტიკასთან?
- როგორ ფიქრობთ, ქვეყნისთვის რატომ არის მნიშვნელოვანი სამხედრო ინჟინერია?

ისტორიულად საქართველოს ხშირად უწევდა ბრძოლა ძლიერ მტრებთან დამოუკიდებლობის დასაცავად. სწორედ ამიტომ, სამხედრო საქმესა და საინჟინრო ცოდნას ქართველებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველად საქართველოში ქვეყნის დასაცავად აშენებდნენ: ციხესიმაგრეებს, გალავნებს, საიდუმლო გვირაბებს, სათვალთვალო კოშკებს, რთულად მისადგომ გზებსა და გადასასვლელებს. ეს ყველაფერი სამხედრო-საინჟინრო საქმის ნაწილი იყო. დღეს სამხედრო ინჟინერია გაცილებით განვითარებულია და იყენებს თანამედროვე ტექნიკას: რუკებს, უპილოტო საფრენ აპარატებს (დრონებს), სპეციალურ სამშენებლო ტექნოლოგიებსა და საინჟინრო მოწყობილობებს.

რა არის სამხედრო ინჟინერია?

სამხედრო ინჟინერია არის სამხედრო საქმიანობის მიმართულება, რომელიც ხელს უწყობს ჯარის გადაადგილებას, დაცვასა და სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის წარმატებით განხორციელებას. საქართველოს თავდაცვის ძალებში ამ ფუნქციას საინჟინრო ძალები ასრულებენ.

სამხედრო ინჟინერია მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ საინჟინრო დისციპლინას – საბრძოლო, ზოგად და გეოსივრცით ინჟინერიას. ის ასევე მოიცავს შესაბამის უნარებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფს საბრძოლო ძალების მობილურობას, დაცვის გაძლიერებასა და მომარაგების მხარდაჭერას.

საბრძოლო ინჟინერია

საბრძოლო ინჟინერია არის სამხედრო საქმიანობის ნაწილი, რომელიც ეხმარება ჯარს გადაადგილებაში, დაცვასა და საბრძოლო ამოცანების შესრულებაში. საინჟინრო ძალები მხარს უჭერენ სამხე-

დრო ოპერაციებს სამი ძირითადი მიმართულებით: ჯარის გადაადგილების უზრუნველყოფა (მობილურობა), მოწინააღმდეგის გადაადგილების შეზღუდვა (კონტრმობილურობა) და საკუთარი ძალების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება.

მობილურობის ოპერაციების დროს საინჟინრო ძალები ხელს უწყობენ ჯარის სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილებას. ისინი ამცირებენ ბუნებრივი ან ხელოვნური დაბრკოლებების გავლენას, მაგალითად, ხსნიან გზებზე შექმნილ დაბრკოლებებს, ასუფთავებენ და ნიშნავენ უსაფრთხო გადაადგილების მარშრუტებს. ასევე ისინი აშენებენ და აღადგენენ გზებს, ხიდებსა და სამხედრო დანიშნულების დასაფრენ მოედნებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბრძოლო ინჟინრების მთავარი ამოცანაა, ჯარს შეუქმნან უკეთესი პირობები გადაადგილებისა და მოქმედებისთვის როგორც მშვიდობიან, ისე საბრძოლო ვითარებაში.

ეს საინტერესოა

ირაკლი ციციშვილი (1918-2001 წწ.) – ცნობილი ქართველი ინჟინერი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს მდინარე დნეპრზე 4 დღე-ღამეში 360 მეტრის სიგრძის ხიდი ააგო. ის სულ რაღაც 22 წლის იყო. მას გმირის წოდება მიენიჭა.





კონტრმობილურობის ოპერაციები არის სამხედრო მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის გადაადგილების შეზღუდვა და მისი მოქმედებების შეფერხება. ამისთვის საინჟინრო ძალები იყენებენ ან აძლიერებენ ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებს, მაგალითად, რელიეფის თავისებურებებს, ბარიერებსა და სხვა საინჟინრო ნაგებობებს.



ამ ოპერაციების მთავარი მიზანია, მოწინააღმდეგეს შეუნელდეს მოძრაობა, შეეცვალოს დაგეგმილი მარშრუტი ან დაკარგოს დრო, რაც საკუთარ ძალებს აძლევს საშუალებას, უკეთ მოემზადონ და უფრო ეფექტურად იმოქმედონ.

კონტრმობილურობის დროს საინჟინრო ძალები ასევე აშენებენ დამცავ ნაგებობებს, ბარიერებსა და გამშვებ პუნქტებს, რათა შეზღუდონ მოწინააღმდეგის შეღწევა მნიშვნელოვან ტერიტორიებზე და გააძლიერონ თავდაცვა.

საბრძოლო ინჟინრები ასევე იყენებენ ბუნებრივი გარემოს თავისებურებებს და აძლიერებენ დაბრკოლებებს მოწინააღმდეგის გადაადგილებისა და მოქმედების სისწრაფის შესაზღუდად. ამის შედეგად მოწინააღმდეგეს მეტი დრო სჭირდება გადაწყვეტილებების მისაღებად და მოქმედებების შესასრულებლად.

ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების ოპერაციები მოიცავს ისეთ საინჟინრო მოქმედებებს, რომლებიც ხელს უწყობს სამხედრო ნაწილების შენიღბვისა და დაფარვის გაუმჯობესებას. მათი მიზანია, ჯარისკაცები, სამხედრო ტექნიკა და მნიშვნელოვანი ობიექტები ნაკლებად შესამჩნევი და უფრო დაცული გახდეს.



საინჟინრო ძალები ამ მიზნით ქმნიან და აუმჯობესებენ დამცავ პოზიციებს, გამაგრებულ ნაგებობებს, შენიღბვის საშუალებებსა და დაფარვის სისტემებს. ისინი ასევე იყენებენ გარემოს თავისებურებებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლიან მას, რათა სამხედრო ძალებს ჰქონდეთ უკეთესი დაცვა.

ასეთი ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც არსებული ტერიტორია ბუნებრივად ვერ უზრუნველყოფს დაფარვისა და შენიღბვის საკმარის შესაძლებლობას.

ზოგადი ინჟინერია



ეს დისციპლინა, ძირითადად, ორიენტირებულია საინჟინრო კონსტრუქციების მშენებლობაზე. საინჟინრო დისციპლინებიდან ის ყველაზე მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: დაზიანებული რაიონების აღდგენა; საკომუნიკაციო ხაზების შექმნა და შენარჩუნება; საბაზო ბანაკების აგება; ინფრასტრუქტურის რემონტი და აღდგენა; გარემოს შეფასების უზრუნველყოფა; ნაგებობების პროექტირების მხარდაჭერა; ნაგებობების აგება და მომსახურება; ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება.

ეს საინტერესოა

ცნობები საქართველოს სამხედრო ინჟინერიის შესახებ

საქართველოში, მისი ისტორიიდან გამომდინარე, ოდითგანვე განვითარებული იყო სამხედრო ინჟინერია. მოსახლეობის თავდაცვისთვის აგებდნენ ციხესიმაგრეებსა და სათვალთვალო კოშკებს. საქართველოს მთიან რეგიონებში აშენებული კოშკები ემსახურებოდა მტრის გადაადგილებაზე დაკვირვებას, ინფორმაციის სწრაფ გადაცემასა და მოსახლეობის გაფრთხილებას.

ციხესიმაგრეების მშენებლობა მხოლოდ ქვის წყობა არ იყო, არამედ კარგად დაგეგმილი საინჟინრო სისტემა. ამის მაგალითებია: ნარიყალას ციხე, ანანურის ციხესიმაგრე, ხერთვისის ციხე, სურამის ციხე და სხვ. ეს ციხეები შენდებოდა მაღალ და სტრატეგიულ ადგილებზე მდინარეებისა და გზების საკონტროლოდ და მტრის გადაადგილების შესაფერხებლად. ქართველი მშენებლები ითვალისწინებდნენ რელიეფს, წყლის მარაგს, თავდაცვის ხაზებს, საიდუმლო გასასვლელებსა და კოშკებიდან ხედვის არეალს. ეს ყველაფერი თანამედროვე გეოსივრცითი და საბრძოლო ინჟინერიის განვითარების წინაპირობა გახდა.





გეოსივრცითი ინჟინერია

გეოსივრცითი ინჟინერია არის სფერო, რომელიც იყენებს გეოგრაფიულ მონაცემებს (რუკებს, თანამგზავრულ სურათებს, რელიეფის ინფორმაციას და ა.შ.) იმისთვის, რომ სწორად დაიგეგმოს სამხედრო მოქმედებები, გადაადგილება და ინფრასტრუქტურა. ეს არის ტერიტორიისა და სივრცის მონაცემების მართვა და ანალიზი სამხედრო მიზნებისთვის.



გეოსივრცითი საინჟინრო მხარდაჭერა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ადგილმდებარეობის ანალიზი, მართვა და სხვა ტაქტიკური დამხმარე საშუალებები, რომლებიც სამხედრო ოპერაციების პროცესს უწყობენ ხელს; ადგილმდებარეობის ვიზუალიზაცია, რომელიც მოიცავს 3D რუკის შედგენასა და აეროფოტოგადაღებას; არასტანდარტული, სპეციალურად შემუშავებული კარტოგრაფიული მასალები რთულ რელიეფზე სამოძრაოდ.

ისტორიიდან

1. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისტორიული მაგალითია დიდგორის ბრძოლა, სადაც დავით IV აღმაშენებელმა გონივრულად გამოიყენა არა მხოლოდ სამხედრო ტაქტიკა, არამედ რელიეფი და საინჟინრო ელემენტები.

დავით აღმაშენებელმა ბრძოლისთვის შეარჩია ვიწრო და რთული მთიანი ტერიტორია – დიდგორის მიდამოები. ეს ადგილი ხელს უშლიდა მრავალრიცხოვანი მტრის ჯარის თავისუფლად გადაადგილებასა და სრულად გაშლას. ქართველებმა, ფაქტობრივად, „შეზღუდეს“ მოწინააღმდეგის მობილურობა, რაც თანამედროვე სამხედრო ინჟინერიაში კონტრმობილურობის პრინციპს ჰგავს.

ქართველები აკონტროლებდნენ გზებსა და გასასვლელებს, იცავდნენ ვიწრო მონაკვეთებს, რელიეფს იყენებდნენ მტრის გადაადგილების შესაფერხებლად და ამზადებდნენ ხელსაყრელ პოზიციებს მოულოდნელი შეტევისათვის.

შედეგად, მცირერიცხოვანმა ქართულმა ჯარმა შეძლო ბევრად უფრო დიდი მოწინააღმდეგის დამარცხება.

ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ სამხედრო-საინჟინრო აზროვნება მხოლოდ კედლების ან ხიდების აშენება არ არის. იგი მოიცავს ტერიტორიის სწორ შერჩევას, ბუნებრივი ბარიერების გამოყენებას, მტრის გადაადგილების შეზღუდვას და საკუთარი ძალებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ასეთი მიდგომა დღესაც თანამედროვე სამხედრო ინჟინერიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად ითვლება.

2. კარგი მაგალითია მსოფლიო ისტორიიდან ჩინეთის დიდი კედელი. ეს არის ერთ-ერთი ცნობილი საინჟინრო თავდაცვითი სისტემა, რომელიც პირდაპირ „ბარიერების შექმნის“ იდეის განხორციელების მაგალითია.

ჩინეთის დიდი კედელი შენდებოდა საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებით, ცინ შიხუანდის მმართველობის პერიოდში, ჩინეთის გაერთიანების შემდეგ. მისი მთავარი მიზანი იყო ჩრდილოეთიდან მომავალი მომთაბარე ტომების შეჩერება და მათი სწრაფი თავდასხმების თავიდან აცილება. ეს არ იყო მხოლოდ ერთი „გრძელი კედელი“. იგი წარმოადგენდა მთლიან საინჟინრო სისტემას: ქვისა და მიწისგან აგებულ უზარმაზარ ბარიერს, ვიწრო გადასასვლელებსა და კარიბჭეებს, რომლებიც კონტროლდებოდა; საგუშაგო კოშკებს, საიდანაც მტრის გამოჩენას აკვირდებოდნენ; აგრეთვე სიგნალიზაციის სისტემას (ცეცხლისა და კვამლის საშუალებით), რათა შეტევის შესახებ სწრაფად გაეგოთ.

საინჟინრო თვალსაზრისით, კედლის აშენების მიზანი იყო მტრის გადაადგილების შენელება ან შეჩერება, შეტევის მიმართულების კონტროლი, თავდაცვის ძალების დროულად მობილიზება.

ეს ბარიერი ხშირად აიძულებდა მტერს ან საერთოდ შეეჩერებინა შეტევა, ან ეძებნა სხვა, უფრო რთული გზა.

ამ მაგალითით კარგად ჩანს, რომ სამხედრო ინჟინერია მხოლოდ ბრძოლის დროს მოქმედება კი არ არის, არამედ გრძელვადიანი საინჟინრო ბარიერის შექმნა, რომელიც იცავს ქვეყანას საუკუნეების განმავლობაში.

პრაქტიკული აქტივობა

ჩამოაყალიბეთ ჯგუფები, ჯგუფის წევრებმა მოირგეთ სამხედრო საინჟინრო დისციპლინების (საბრძოლო, ზოგადი და გეოსივრცითი ინჟინერია) მიხედვით როლები და შექმენით (მაგალითად, დახატეთ, დახაზეთ, ციფრული პლატფორმა გამოიყენეთ) **უსაფრთხო სამხედრო ბაზა.** ბაზის შექმნისას ყურადღება გაამახვილეთ აუცილებელ ელემენტებზე და მათ განლაგებაზე. გამოსაყენებელი ელემენტებია: მთავარი შტაბი; საცხოვრებელი ზონა; საგუშაგოები; დამცავი ბარიერები; ტექნიკის ზონა; საწვავის საცავი; იარაღის საცავი; სამედიცინო პუნქტი; გზები და გადაადგილების მარშრუტები; საგანგებო გასასვლელი (შეგიძლიათ თქვენც დაამატოთ).

ნაღმები

საბრძოლო ინჟინერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნაღმებთან დაკავშირებული საქმიანობა. სამხედრო ინჟინრები სწავლობენ ნაღმების გამოყენებას (როგორც ცალკეული ნაღმის, ისე დანაღმული ველების სახით) და მათ აღმოჩენასა და გაუვნებელყოფას. დანაღმული ველები გამოიყენება როგორც თავდაცვითი საშუალება მოწინააღმდეგის გადაადგილების შესაფერხებლად, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად ან გარკვეული ტერიტორიის გასაკონტროლებლად. ამავე დროს, სამხედრო ინჟინრების მოვალეობაა ნაღმებისგან გზების გაწმენდა, რათა ჯარმა ან მშვიდობიანმა მოსახლეობამ უსაფრთხოდ გადაადგილება შეძლოს.





ნაღმი – საბრძოლო მასალის სახეობა, რომელიც გამოიყენება ცოცხალი ძალის, საინჟინრო ობიექტებისა და მოძრავი ტექნიკის გასანადგურებლად.



დანიშნულების მიხედვით არსებობს სახმელეთო და საზღვაო ნაღმები. სახმელეთო ნაღმები ორ ძირითად ტიპად იყოფა: **ქვეითსაწინააღმდეგო** და **ტანკსაწინააღმდეგო**. ნაღმები შეიძლება იყოს როგორც მარტივი მოწყობილობის, ისე თანამედროვე სენსორებით აღჭურვილი.



ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი გამოიყენება ცოცხალი ძალის წინააღმდეგ. მისი მიზანია ადამიანის დაზიანება და მოწინააღმდეგის დასუსტება.

ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი გამოიყენება ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის წინააღმდეგ. მასში უფრო ძლიერი ასაფეთქებელი მუხტია მოთავსებული.

როგორ უნდა ვიმოქმედოთ ფეთქებადი საბრძოლო მასალების არსებობის საფრთხის შემთხვევაში?





ფეთქებადი საბრძოლო მასალები ძალიან საშიშია, რადგან შესაძლოა დიდი ხნის შემდეგაც აფეთქდეს. ფეთქებად საბრძოლო მასალებში შედის ფეთქებადი თვისების მქონე ყველა საგანი თუ ნივთიერება. ისინი შეიძლება მოქმედებაში მოვიდნენ მათთან მიახლოების, გამოძრავების, დაწოლისა და სხვა მრავალი ზემოქმედების შედეგად. განსაკუთრებით საშიშია ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები და მახე-ნაღმები, რომლებიც ზოგჯერ ჩვეულებრივი ნივთის ან სათამაშოს ფორმითაც გვხვდება.

საეჭვო პაკეტის, უცნობი ნივთის (ყუთის, ჩანთისა და ა.შ.), თავად ფეთქებადი საბრძოლო მასალის ან მისი რომელიმე კომპონენტის აღმოჩენის შემთხვევაში, ყოვლად დაუშვებელია მისი გახსნა და შეხება/ხელში აღება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გააფრთხილოთ სხვებიც არსებული საშიშროების შესახებ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და ნაპოვნი ნივთის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ პოლიციას ან/და დარეკოთ 112-ზე და დაელოდოთ დახმარებას.

სახიფათო ტერიტორიაზე ყურადღება გაამახვილეთ გამაფრთხილებელ ნიშნებზე, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიასა და შენობა-ნაგებობებში ფეთქებადი მასალების არსებობაზე მიუთითებს. ასეთი ნიშნების შემჩნევისას არ შეხვიდეთ ამ ტერიტორიაზე.

დანაღმული ველებისა და ფეთქებადი საბრძოლო მასალით დაბინძურებული ტერიტორიის მოსანიშნად შესაძლოა გამოყენებული იყოს მრავალი სხვადასხვა ვარიანტის სტანდარტული ან ხელნაკეთი მანიშნებელი საშუალება, თუმცა ასეთი ტერიტორია უმეტესად არაა მონიშნული.



შენიღბვა და დაფარვა

იმსჯელეთ

გაეცანით მოსაზრებას და იმსჯელეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე:
„ბრძოლაში ყველაზე საშიში ის არის, ვინც ჩანს არა როგორც მოწინააღმდეგე, არამედ როგორც გარემოს ნაწილი.“

შეკითხვები

- თქვენი აზრით, რას ნიშნავს შენიღბვა? აღწერეთ საკუთარი სიტყვებით და მოიყვანეთ, სულ მცირე, ორი კონკრეტული მაგალითი.
- გაიხსენეთ სიტუაცია (მაგალითად, რეალური ცხოვრებიდან, ფილმიდან, წიგნიდან), სადაც საფრთხე თავიდან ვერ ამოიცანით. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ ამოიცანით საფრთხე?
- არსებობს თუ არა შენიღბვის ფორმები არა მარტო სამხედრო, არამედ სოციალურ ან პოლიტიკურ სფეროში (მაგალითად, დეზინფორმაცია, გამოტოვებული ინფორმაცია/მისინფორმაცია)?
- როგორ შეიძლება ამოვიცნოთ „დამალული“ საფრთხე? რა უნარები ან სტრატეგიებია ამისთვის საჭირო? მოიყვანეთ მაგალითები.
- რა უპირატესობები შეიძლება ჰქონდეს შენიღბვას სამხედრო სფეროში?
- რა არის მოსაზრების მთავარი იდეა?



შენიღბვა და დაფარვა ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების (პოზიციების გამაგრების), საინჟინრო მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. შენიღბვისა და დაფარვის უნარების დაუფლება საშუალებას აძლევს სამხედროს, მოწინააღმდეგისთვის უფრო რთულად შესამჩნევი გახდეს და გაუჭირდეს მისი, როგორც მიზნის, აღმოჩენა და განადგურება. გარდა ამისა, შენიღბვას ფსიქოლოგიური ზემოქმედება აქვს მოწინააღმდეგეზე; და ბოლოს, შენიღბვა ხელს უწყობს ბრძოლის ველზე ფარულად გადაადგილებას.

შენიღბვის მიზანი არის გარემოსთან შერწყმა, განმასხვავებელი ფორმების დაფარვა და მოწინააღმდეგის სროლის ციკლის ჩაშლა. მოწინააღმდეგე გასროლამდე გადის შემდეგ პროცესს: მიზნის აღმოჩენა, იდენტიფიცირება, დამიზნება და გასროლა. საუკეთესო გამოსავალია, რომ მოწინააღმდეგეს არ მიეცეს ამის საშუალება.

შენიღბვა ითვალისწინებს სამი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობას:

ა. გარემოსთან შერწყმა. გარემოსთან შერწყმის აუცილებლობა არის ის ფაქტორი, რომელიც პირ-



დაპირ არის დაკავშირებული შენიღბვასთან. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, უდაბნოს ფონზე წითელმაისურიანი ადამიანი უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე ქვიშისფერ მაისურში ჩაცმული. კამუფლირებული ფორმის ტანსაცმელი იძლევა შესაძლებლობას, ჯარისკაცი იყოს შენიღბული და შეუმჩნეველი სხვადასხვა გარემოში.

ბ. განმასხვავებელი კონტურების წაშლა. ადამიანი ინსტინქტურად ამოიცნობა ისეთი დამახასიათებელი ფორმების მიხედვით, როგორიცაა პირისახე. ჯარისკაცი მომენტალურად ამოიცნობა მისთვის დამახასიათებელი აღჭურვილობით (იარაღი, ჩაფხუტი, ზურგჩანთა). ეფექტური შენიღბვა შესაძლებელია კონტრასტული ფერების შექმნით, რაც ხელს შეუწყობს კონტურების ფორმის წაშლასა და დარღვევას.



გ. გამნიღბავი ნიშნების შემცირება. ხილული ნაწილის გარდა, არსებობს განიღბვის სხვა ნიშნებიც, როგორიცაა: ადამიანის სხეულის სითბო, იარაღის ცხელი ლულა, თბილი სასმლის სითბო. მოწინააღმდეგესთან ახლოს ყოფნისას თერმული განიღბვის ნიშნები შეიძლება შემცირდეს „მკაცრი რეჟიმის“ მოქმედებით. ჯარისკაცმა არასდროს არ უნდა დაუშვას იმის ალბათობა, რომ მოწინააღმდეგეს შეიძლება არ ჰქონდეს ღამით ხედვის საშუალებები.

ისტორიიდან

სამხედრო სფეროში შენიღბვა (კამუფლაჟი), როგორც სისტემური მიდგომა, სრულფასოვნად შედარებით გვიან, **მე-19 საუკუნის ბოლოს და, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან** ინერგება, თუმცა მისი ელემენტები ბევრად ადრე არსებობდა.

ადრეული პერიოდი (ანტიკური და შუა საუკუნეები)

ძველ დროში არმიები ნაკლებად იყენებდნენ შენიღბვას. პირიქით — მიზანი იყო **გამოკვეთა და დემონსტრირება** (საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, მტრის დაშინება, დემორალიზაცია). მაგალითად: რომის იმპერიის ლეგიონერები ატარებდნენ გამოსაჩენ, ერთგვაროვან აღჭურვილობას. შუა საუკუნეებში რაინდები ხშირად ბრწყინვალე ჯავშნით იბრძოდნენ, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ბუნებრივ გარემოსთან შერწყმა მაინც გამოიყენებოდა (მზვერავები, მონადირეები).

გარდამავალი ეტაპი (მე-18–მე-19 საუკუნეები)

ამ პერიოდში იწყება შენიღბვის საჭიროების გააზრება: მსუბუქი ქვეითი დანაყოფები (მაგალითად, ტყეში მოქმედი ჯარები) უკვე იყენებდნენ უფრო მკრთალ ფერებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ნაპოლეონის ომების დროს, მაგრამ მაინც, რეგულარული არმიები ხშირად ატარებდნენ თვალშისაცემი ფერის ფორმებს (მაგალითად, წითელი მუნდირები ბრიტანეთში).

გარდატეხა – მე-20 საუკუნის დასაწყისი

რეალური ცვლილება მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროს: ომში გადარჩენა პირდაპირ დამოკიდებული გახდა შენიღბვაზე. გაჩნდა სპეციალური **შენიღბვის სამსახურები.** სამხედრო ტექნიკის (არტილერია, ტანკები) დაფარვა დაიწყეს გარემოს შესაბამისი ფერებით. სწორედ ამ პერიოდიდან ხდება კამუფლაჟი **სისტემური სამხედრო ინსტრუმენტი**.

განვითარება – მეორე მსოფლიო ომი და შემდგომ

მეორე მსოფლიო ომის დროს შემუშავდა კამუფლაჟის მრავალფეროვანი ნიმუშები (ტყის, უდაბნოს, თოვლის). ფართოდ გავრცელდა ფორმებზე სპეციალური პრინტები და განვითარდა შეცდომაში შეყვანის მეთოდები (ცრუ ობიექტები).

შენიღბვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **კამუფლირების საცხს.** კამუფლირების საცხის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს ადგილზე მყოფი მეთაური. მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:



ფსიქოლოგიური ეფექტი. კამუფლირების საცხის წასმა ფსიქოლოგიურ ეფექტს ახდენს როგორც მომხმარებელზე, ისე დამკვირვებელზე. შენიღბული სამხედრო მოსამსახურე თავს გრძნობს უფრო დაცულად, ნაკლებად დაძაბული და თავდაჯერებულია, უკეთ შეუძლია დავალების შესრულება და გადარჩენა. გარდა ამისა, გაძლიერებული აქვს გუნდური სულისკვეთება და ერთიანობის შეგრძნება. ის უფრო მეტად კონცენტრირებულია.

მოწინააღმდეგე კი – პირიქით: თავს დაუცველად გრძნობს, აქვს საფრთხის განცდა, არის დაძაბული და დეზორიენტირებული, უჭირს გადაწყვეტილების სწრაფად მიღება.



შენიღბვა ფსიქოლოგიური ბრძოლის მნიშვნელოვანი ელემენტია.კამუფლირების საცხის გამოყენება განსაკუთრებით რეკომენდებულია ღამით მოქმედებისას. აღსანიშნავია, რომ ომში სხეულის შეღებვის წესებს ჩვენი წინაპრებიც იყენებდნენ.

ამინდი. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კამუფლირების საცხის გამოყენება ყოველთვის არ შეიძლება, თუმცა კონკრეტული მიზეზების გამო შესაძლოა აუცილებელი იყოს მისი გამოყენება ხანმოკლე პერიოდით. მაგალითად: განსაკუთრებით ცივ ამინდსა და ძლიერ სიცხეში შენიღბვის მიზნით კამუფლირების საცხის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან შეიძლება ჩამოიღვენთოს ან კანი დააზიანოს.



კამუფლირების საცხის გამოყენება. სახისა და კისრის გარდა, სასურველია ხელებიც შეინიღბოს. წარსულში იყენებდნენ დამწვარი მუხის ქერქსა და ტალახს. კამუფლირების საცხის გამოყენების მიზანია ბზინვის შემცირება, გარემოსთან შერწყმა და მომენტალურად საცნობი სახის ნაკვთების წაშლა.

გამოყენების წესები:

პირველი ფენა. ღია ფერის პირველ ფენას ჯარისკაცები ისვამენ მთლიან სახესა და კისერზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ყურები და კისრის ის ნაწილი, რომელიც ჩანს. თუ ჯარისკაცს საბრძოლო ხელთათმანი არ უკეთია, მან აუცილებლად უნდა შეიღებოს ხელის მტევანიც;

კონტურების წამშლელი ფენა. კონტურების წასაშლელად გამოიყენება მუქი ფერის მკვეთრი ზოლები კისერსა და სახეზე დიაგონალური მიმართულებით, რათა წაიშალოს ცხვირის ხაზი;

რაოდენობა. რაოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული. ღამით შეიძლება უფრო მეტი მუქი ფერის გამოყენება გახდეს საჭირო, რადგან თეთრი კანი ღამით სინათლეს ირეკლავს, თუმცა, საყურადღებოა რაოდენობა, რადგან მეტი მუქი ფერის გამოყენებით შეიძლება დაიკარგოს კონტურების წამშლელი ეფექტი.







შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ნამდვილ ამბავს და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

მოსულის ბრძოლა (2016-2017 წწ.) და სამოქალაქო ობიექტების სამხედრო დანიშნულებით გამოყენება

2016-2017 წლებში ერაყის ქალაქ მოსულში მიმდინარეობდა ერთერთი მასშტაბური ურბანული სამხედრო ოპერაცია თანამედროვე ისტორიაში. ბრძოლა გაიმართა ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით მოქმედ ძალებსა და „ერაყისა და სირიის ისლამურ სახელმწიფოს“ (ISIS) შორის.

ქალაქის შიგნით საბრძოლო მოქმედებები განსაკუთრებულად რთული იყო, რადგან მოწინააღმდეგე მხარე აქტიურად იყენებდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურას სამხედრო მიზნებისთვის. სხვადასხვა ანგარიშის მიხედვით, საბრძოლო ჯგუფები იყენებდნენ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამედიცინო ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებს როგორც საბრძოლო პოზიციებს, სამუშაო პუნქტებსა და იარაღის დამალვის ადგილებს.

ასეთი პრაქტიკა წარმოადგენს სამხედრო ტაქტიკის ერთ ფორმას, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც **შენიღბვისა და „სამოქალაქო ფარის“ კომბინაცია**. მიზანი იყო მტრისთვის სამხედრო ობიექტების იდენტიფიცირების გართულება და თავდასხმის შემთხვევაში მისი მოქმედებების შეზღუდვა.

მისიის – „გაეროს დამხმარე მისია ერაყში“ (United Nations Assistance Mission for Iraq) – ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ქალაქის ურბანული სტრუქტურის სამხედრო გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაართულა ოპერაციები და გაზარდა სამოქალაქო დანაკარგების საფრთხე. ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო ობიექტების სამხედრო მიზნებით გამოყენება არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რადგან ასეთი დაცული ობიექტები კარგავენ სტატუსს და იქმნება მაღალი რისკი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის.

ბრძოლის შედეგად მოსულის დიდი ნაწილი განადგურდა, ხოლო ოპერაცია ერთ-ერთ ყველაზე რთულ ურბანულ სამხედრო ოპერაციად შეფასდა თანამედროვე ისტორიაში.

შეკითხვები

- როგორ უკავშირდება მოსულის ბრძოლაში გამოყენებული პრაქტიკა შენიღბვისა და დაფარვის წესებს?
- დაასაბუთეთ, რატომ ითვლება სამოქალაქო ობიექტების სამხედრო გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევად? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას როგორც მოსახლეობისთვის, ისე სამხედრო მხარეებისთვის?
- ახსენით, როგორ მოქმედებს შენიღბვა მოწინააღმდეგის აღქმაზე და რატომ ართულებს საფრთხის ამოცნობას?
- როგორ შეიძლება განვითარდეს შენიღბვის ფორმები და წესები მომავალში?





ჩაფხუტის შენიღბვა

საბრძოლო ჩაფხუტს განსაკუთრებული ფორმა აქვს. მისი კამუფლირებული ქსოვილი ამცირებს სიპრიალესა და მის ვიზუალურ მახასიათებლებს. რაც შეეხება ფორმას, მისი ფორმის შენიღბვა მხოლოდ მცენარეული საფრითა და შესანიღბი ბადით არის შესაძლებელი. ამიტომაც, რეკომენდებულია ადგილზე ნაპოვნი ახლად მოჭრილი ბალახის, ხავსისა და ფოთლის გამოყენება. აუცილებელია მათი განახლება განსხვავებული ფონის მქონე ადგილზე მოძრაობისას. ბალახები და ფოთლები ისე დააფარეთ, რომ შედარებით ღია ფერის ქვედა ნაწილი გარეთ არ იყოს მიმართული. არ არის სასურველი დიდი ზომისა და მკვეთრი ფერის ფოთლების (მაგალითად, ყვავილების) არჩევა, რადგან ამას მოწინააღმდეგე ადვილად შეამჩნევს.

ჩაფხუტის შენიღბვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადგილზე მყოფი მეთაური. დროთა განმავლობაში ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩაფხუტზე დაემაგრებინათ ღამით ხედვის სამაგრი. ქვემოთ მოცემული ფაქტორები განაპირობებს ჩაფხუტის შენიღბვასთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს:

გარემო. ზოგადად, ჩაფხუტის შენიღბვა მიზანშეწონილია ბუჩქნარით დაფარულ ან ტყიან ადგილებში, ხოლო ქვიშიან უდაბნოში სრულიად ზედმეტია. დასახლებულ ადგილებში, როდესაც მაღალი საფრთხეა, კონტურების წაშლა აუცილებელია. ამის მიღწევა მარტივად არის შესაძლებელი, რადგან ჩაფხუტზე დამაგრებული აღჭურვილობა (სათვალეები, ღამით ხედვისა და საკუთარი ან მოწინააღმდეგე ძალის ამოცნობის სისტემა) შლის კონტურებს, თუმცა არსებობს სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, იმ ადგილზე ნაპოვნი ნაჭრები, რომლებიც კარგად ერწყმის გარემოს (მაგალითად, ქვიშისფერი და შავი ტილო, ნაცრისფერი ან ყავისფერი პლედი);

აღჭურვილობა. თუ ჩაფხუტზე დამაგრებულია აღჭურვილობა (ღამით ხედვისა და საკუთარი ან მოწინააღმდეგე ძალის ამოცნობის სისტემები, სათვალეები), ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კამუფლირების სხვა საშუალებებმა არ შეუშალოს ხელი. საბოლოოდ, შეიძლება გადაწყდეს, რომ ასეთი აღჭურვილობის ერთობლიობით თავისთავად შესაძლებელია კონტურების „წაშლა“ და კამუფლაჟის დამატებითი საშუალებების გამოყენება აღარ იყოს საჭირო;

ხმაური. ხმები ღამით უფრო შორს ვრცელდება და ისეთ სპეციფიკურ გარემოში, როგორიცაა ჯუნგლები, ჩაფხუტების (და აღჭურვილობის) შენიღბვისას გასათვალისწინებელია კამუფლაჟის საშუალებების რაიმეზე წამოდების და მათ მიერ გამოწვეული ხმაურის რისკები, განსაკუთრებით ისეთი დავალების შესრულებისას, როგორიცაა მიზნის ახლო თვალთვალი დახურულ სივრცეში.

სატარებელი აღჭურვილობის შენიღბვა

აღჭურვილობის შენიღბვის შესახებ ბრძანებას, სავარაუდოდ, განსაზღვრავს რაიმე სპეციალური ოპერაცია, მაგალითად, ჩასაფრება. კონტურების წაშლისა და გარემოსთან შერწყმის მიზნით აღჭურვილობაზე ფოთლების დასამაგრებლად შეიძლება დრეკადი ან აღჭურვილობის სატარებელი შემსუბუქებული მოდულური სისტემის ღვედების გამოყენება. მნიშვნელოვანია, არ შეფერხდეს საბრძოლო აღჭურვილობის (განსაკუთრებით, საბრძოლო მასალისა და წყლის ბოთლის ჩანთების) გამოყენება და მოძრაობის თავისუფლება. ზოგადად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ზურგსა და მხრებზე, ხოლო სხეულის წინა მხარე დარჩეს თავისუფალი.

იარაღის შენიღბვა

თუ სნაიპერის დანიშნულებას არ ასრულებს ჯარისკაცი, პირადი იარაღის შენიღბვის საჭიროება არ არსებობს. გაცილებით მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს იარაღის სწრაფად და ეფექტურად გამოყენება, რაც ნიშნავს, რომ სამიზნე მოწყობილობები და სამუშაო ნაწილები არ უნდა დაიფაროს.

პრაქტიკული აქტივობა

შენიღბვასთან დაკავშირებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციებს და გააანალიზეთ შემდეგი კითხვების დახმარებით:

- რა შეცდომაა დაშვებული თითოეულ სიტუაციაში?
- ახსენით, რატომ არის ეს შეცდომა საყურადღებო?
- შესთავაზეთ რეკომენდაციები შეცდომის გამოსასწორებლად.

სიტუაცია 1. დილის საათებში, ურბანული დასახლების მახლობლად, ჯგუფი მოძრაობს ნახევრად დანგრეულ შენობებს შორის. მათი მიზანია ტერიტორიის დაზვერვა. ჯგუფის წევრები გარემოს შესაბამისად არიან შენიღბული. ჯგუფის ერთ-ერთ წევრს აქვს მხედველობის სათვალე და მეტალის დეტალები აღჭურვილობაზე.

სიტუაცია 2. ჯგუფი ტყიდან გამოდის და მოძრაობას იწყებს ბალახიანი ღია ველისკენ. ჯგუფის ერთი წევრი არ ცვლის შენიღბვას და ისევ იყენებს ტყის შესაბამის შენიღბვას, რომელიც ღია სივრცეში მკვეთრად ჩანს. მიზანი არის შეუმჩნევლად გადაადგილება მომდევნო ადგილამდე.

სიტუაცია 3. ტყიან მონაკვეთზე სადაზვერვო ჯგუფი ემზადება გადაადგილებისთვის. მათი მიზანია ტყის ბილიკის შეუმჩნევლად გავლა და გარემოს შესწავლა/დაზვერვა. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ფოთლებსა და ტოტებს იმაგრებს მუხლებზე, ხელის მტევნებზე, ჩაფხუტსა და მხრებზე მკვეთრი კონტურების წასაშლელად.

ეს საინტერესოა

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კამუფლაჟი უკვე იქცა სამხედრო საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტად, თუმცა მისი გამოყენება და განვითარების დონე განსხვავდებოდა სხვადასხვა გვარეობის ქვედანაყოფებში. იგი განსაკუთრებით გამოიყენებოდა იმ ქვედანაყოფებში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შეუმჩნევლობას, ფარულ გადაადგილებასა და მოულოდნელობას.

ყველაზე ფართოდ კამუფლაჟი გამოიყენებოდა ქვეით ჯარში. ქვეითი ქვედანაყოფები მოქმედებდნენ უშუალოდ ბრძოლის ველზე და ყველაზე მეტად იყვნენ დამოკიდებული გარემოსთან შერწყმაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვაფენ-სს-ი, რომლის ნაწილები იყენებდნენ კამუფლაჟის მრავალფეროვან უნიფორმებს. კამუფლაჟის მსგავს მრავალფეროვან უნიფორმებს იყენებდნენ გერმანიის სხვა ქვედანაყოფებიც. სხვა ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის ქვედანაყოფებშიც, კამუფლაჟი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა წყნარი ოკეანის ფრონტზე, სადაც ჯუნგლების გარემოში ეს აუცილებელი იყო. ქვეითებისთვის კამუფლაჟი, ძირითადად, გულისხმობდა უნიფორმის ფერსა და ტექსტურას, რომელიც მორგებული იყო კონკრეტულ რელიეფზე – ტყეზე, უდაბნოზე ან თოვლიან გარემოზე.

განსაკუთრებით მაღალი დონის კამუფლაჟს იყენებდნენ სნაიპერები და სადაზვერვო ქვედანაყოფები. მათთვის შენიღბვა იყო არა მხოლოდ აღჭურვილობის ნაწილი, არამედ გადარჩენის ძირითადი პირობა. ასეთ დანაყოფებში ფართოდ გამოიყენებოდა სპეციალური შენიღბვის საშუალებები, მათ შორის, შესანიღბი მოსასხამები, რომლებიც ბუნებრივი მასალებით იყო დამზადებული და მაქსიმალურად ერგებოდა გარემოს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება ჰქონდათ წითელ არმიასა და ბრიტანეთის სახმელეთო ძალებს. სნაიპერები ხშირად საათების ან დღეების განმავლობაში იმყოფებოდნენ ერთ პოზიციაში და მათი აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რაც კამუფლაჟის მაღალ დონეს მოითხოვდა.

კამუფლაჟს ასევე აქტიურად იყენებდნენ სადესანტო და სპეციალური დანაყოფები. მაგალითად, გერმანელი მედესანტეები ატარებდნენ სპეციალურ კამუფლაჟის ქურთუკებს (smock), რომლებიც მათ საშუალებას აძლევდა სწრაფად შერწყმოდნენ გარემოს დესანტირების შემდეგ. მსგავსი მიდგომები ჰქონდათ ბრიტანელ კომანდოსებსა და ამერიკელ საზღვაო ქვეითებს.

ჯავშანტექნიკის ქვედანაყოფებში კამუფლაჟი უფრო მეტად ტექნიკის შენიღბვაზე იყო ორიენტირებული. ტანკები და სხვა საბრძოლო მანქანები იღებებოდა გარემოს შესაბამის ფერებში და ხშირად იფარებოდა ბადეებითა და მცენარეული მასალით.

საავიაციო ძალებში კამუფლაჟი განსხვავებულ ფორმას იღებდა. აქ მთავარი იყო ფრენისას თვითმფრინავის ვიზუალური შერწყმა გარემოსთან. მაგალითად, გერმანიისა და ბრიტანეთის საჰაერო ძალები იყენებდნენ ორფენოვან შეღებვას – ქვედა ნაწილი ღია ფერში, რათა ცას შერწყმოდა, ხოლო ზედა ნაწილი მუქ ფერში, რათა მიწასთან ყოფილიყო ჰარმონიაში. ეს უკვე უფრო ინჟინრული და მეცნიერულად დაგეგმილი კამუფლაჟი იყო.

საზღვაო ძალებში კამუფლაჟმა სრულიად განსხვავებული მიმართულება მიიღო. აშშ-ისა და ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში ფართოდ გამოიყენებოდა ე.წ. თვალის მოსატყუებელი შენიღბვა. მისი მიზანი იყო არა გემის დამალვა, არამედ მტრის შეცდომაში შეყვანა – გემის სიჩქარის, მიმართულებისა და ზომის აღქმის დამახინჯება, რაც ართულებდა ზუსტ დამიზნებას.

საბოლოოდ, მეორე მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ კამუფლაჟი უნივერსალური ინსტრუმენტი გახდა თითქმის ყველა სამხედრო გვარეობისთვის, თუმცა მისი ფორმა და გამოყენება დამოკიდებული იყო კონკრეტულ ამოცანასა და ოპერაციულ გარემოზე. ქვეით ჯარსა და სპეციალურ დანაყოფებში ის პირდაპირ განსაზღვრავდა სიცოცხლისუნარიანობას, მაშინ, როდესაც ტექნიკურ გვარეობებში – ავიაციასა და ფლოტში – იგი გადაიქცა საინჟინრო და ტაქტიკურ გადაწყვეტილებად.

დაფარვა





დაფარვა არის რელიეფის ისეთი გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სამხედრო ძალების შეუმჩნევლად განთავსებას და მათი აღმოჩენის რისკის შემცირებას.

დაფარვის ხერხები მხოლოდ სამხედრო სფეროში არ გამოიყენება. დაფარვის ძირითადი მიზანია, არ ვიყოთ ადვილად შესამჩნევი. მაგალითად, სამაშველო და საგანგებო სიტუაციებში ეს ხერხები გამოიყენება უსაფრთხო გადაადგილებისთვის. მაგალითად, მეხანძრეები კვამლში ან რთულ გარემოში ცდილობენ გამოიყენონ შენობების კედლები, ჩრდილები და კონსტრუქციები, რათა უკეთ დაინახონ სიტუაცია და ნაკლებად დაიზიანონ თავი.

მოგზაურობისას და ლაშქრობებში მზის, ქარის ან ცუდი ამინდისგან დასაცავად ადამიანები იყენებენ ბუნებრივ საფარს – ხეებს, ქანებსა და ჩრდილს, რომლებიც, ამავე დროს, რთულ რელიეფზე ორიენტირების კარგი საშუალებებია.

მონადირეები ხშირად იყენებენ ბუნებრივ საფარს – ხეებს, ბუჩქებს, კლდეებსა და ჩრდილს, რომ დაიმალონ და ცხოველი არ შეაშინონ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ისინი არ იდგნენ ღია ადგილებში ან ცის ფონზე, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი სილუეტი მარტივად გამოჩნდება.

ველური ბუნების კვლევაში მეცნიერები და ფოტოგრაფები იყენებენ შენიღბვას, რომ ცხოველები არ შეაშინონ და ბუნებრივი ქცევა არ შეუცვალონ. ისინი იმალებიან ბუჩქებში, იყენებენ სპეციალურ სამოსს ან ჩრდილებს.

ამგვარად, დაფარვისა და შენიღბვის პრინციპი ფართოდ გამოიყენება იქ, სადაც საჭიროა უსაფრთხოება, შეუმჩნევლობა და გარემოს სწორად გამოყენება.





სამხედროებისთვის არსებობს რამდენიმე მითითება ეფექტური დაფარვის უზრუნველსაყოფად, რომელთა შორისაა:

საფარს ამოფარება. საჭიროებისამებრ, დააკვირდით და გაისროლეთ საფრის გვერდიდან და არა ზემოდან. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და სახიფათო შეცდომაა, როცა ჯარისკაცი სროლას იწყებს საფრის ზემოდან. ამ დროს მისი სილუეტი კარგად ჩანს უკანა ფონზე (კედელზე ან შენობაზე), რაც მოწინააღმდეგისთვის ადვილი შესამჩნევია. თუ საჭიროა საფრის ზემოთ დაკვირვება, ჯარისკაცმა თავი არ უნდა აწიოს მაღლა. სჯობს გამოიყენოს სპეციალური სათვალთვალო ხელსაწყო (პერისკოპი). თუ პერისკოპი არ აქვს, შეიძლება სარკის გამოყენებაც. თუ არც ეს საშუალებები აქვს, უნდა ეცადოს, რომ არ გამოჩნდეს სწორ ხაზზე და აირჩიოს ისეთი ადგილი, სადაც ნაკლებად შესამჩნევი იქნება.

ჩრდილში დარჩენა. ჯარისკაცმა დასამალად უნდა გამოიყენოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი ჩრდილი. ყურადღება მიაქციოს საკუთარ ჩრდილს, რადგან მზეზე ის კარგად ჩანს. ჩრდილი მოძრაობს მზის გადაადგილებასთან ერთად, ამიტომ პოზიციის შეცვლისას ეს უნდა იყოს გათვალისწინებული. დასახლებულ ადგილებში შენობები ქმნის ძლიერ ჩრდილებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს დასამალად. ჯარისკაცი უნდა მოერიდოს ღია და მზიან ადგილებს, სადაც ჩრდილი არ არის. შენობის შიგნით ყოფნისას არ უნდა დარჩეს განათებულ ადგილებთან, მაგალითად, ფანჯრებთან ან ღიობებთან ახლოს. უკეთესია ოთახის ბნელ ნაწილში მოქმედება, რადგან ასე უფრო რთულია შემჩნევა. თუ ოთახში ფარდებია და ეს ბუნებრივია გარემოსთვის, მათი გამოყენებაც შეიძლება დასამალად.

ცის ფონზე სილუეტის გამოჩენისგან თავის არიდება. ჯარისკაცის ან ჯგუფის სილუეტი ცის ფონზე კარგად ჩანს და ადვილი სამიზნეა, ამიტომ ყოველთვის ყურადღება უნდა მიექცეს უკანა ფონს და გო-



რაკების მწვერვალებზე გამოჩენას. სილუეტი განსაკუთრებით კარგად ჩანს სუფთა კედლებისა და ღია, გაშლილი ადგილების ფონზე. გადაადგილების დაწყებამდე წინასწარ უნდა შეირჩეს შემდეგი პოზიცია, რათა უსაფრთხო გახდეს გადაადგილება და მოძრაობა.



განცალკევებულ საფარს მორიდება. ცალკე მდგომი ხის კუნძი მდელოზე შეიძლება კარგი დასამალი ადგილი ჩანდეს, მაგრამ თუ ის მარტივად ჩანს და გარშემო არაფერი აქვს, მოწინააღმდეგეც ადვილად შეამჩნევს, ამიტომაც ჯარისკაცი უნდა მოერიდოს ასეთ განცალკევებულად არსებულ საფარს.

დავალება

მოირგეთ შენიღბვისა და დაფარვის სპეციალისტის როლი და წერილობით უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

- შენიღბვისა და დაფარვის რა მთავარი წესები არსებობს?
- როგორ უკავშირდება შენიღბვა და დაფარვა ერთმანეთს?სამხედრო ინჟინერიას?
- რატომ არის აუცილებელი შენიღბვისა და დაფარვის სწორად გამოყენება თანამედროვე სამხედრო მოქმედებებში?ცხოვრებისეულ სიტუაციებში?
- როგორ ფიქრობთ, როგორ შეიცვლება შენიღბვისა და დაფარვის მეთოდები მომავალში? ტექნოლოგიების განვითარების შედეგად?



ნარდენის ბასტიონური ციხესიმაგრე, ნიდერლანდები (XVI-XVII სს.)

სასარგებლო რესურსები






II თემა

საერთაშორისო თავდაცვა და უსაფრთხოება

7. საერთაშორისო ორგანიზაციები

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ, რომელი საერთაშორისო საფრთხეები არსებობს?
- რომელ საფრთხეებზე გსმენიათ, რომელთა აღმოფხვრის/მოგვარების მიზნით სხვადასხვა ქვეყანა ერთად მოქმედებდა? ერთმანეთთან თანამშრომლობდა?
- თქვენი აზრით, რატომ თანამშრომლობენ სახელმწიფოები საერთაშორისო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად? ან მათთან გამკლავების მიზნით?
- რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები იცით? რა გსმენიათ მათ შესახებ?
- გაიხსენეთ საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რომელი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტ(ებ)ი არსებობს?
- გაიხსენეთ, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია საქართველო?
- თქვენი აზრით, რატომ უნდა იყოს საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყანა?



საერთაშორისო უსაფრთხოება გულისხმობს სახელმწიფოებს შორის ისეთი წესების დამკვიდრებასა და თანამშრომლობას, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნებას, კონფლიქტების თავიდან აცილებასა და ადამიანების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ამ მიზნის მიღწევაში განსაკუთრებული როლი აქვს საერთაშორისო სამართალს, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობებს. საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ომის წარმოების წესებს, იცავს ადამიანის უფლებებსა და მშვიდობიან მოსახლეობას, ხოლო ქვეყნების თანამშრომლობას სამართლებრივ საფუძველს აძლევს. მაგალითად, ჟენევისა და ჰააგის კონვენციები ომის დროს ჰუმანიტარული ნორმებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელოვან წესებს ადგენს (1954 წლის ჰააგის კონვენცია). თანამედროვე მსოფლიოში ომებმა, ტერორიზმმა, კიბერშეტევებმა და სხვა გამოწვევებმა გლობალური სახე მიიღო, რამაც საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართალი ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის უსაფრთხოება დამოკიდებულია რეგიონულ სტაბილურობაზე, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობასა და საერთაშორისო სამართლის დაცვაზე.

საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. საქართველო 1992 წლიდან არის გაეროს წევრი და, შესაბამისად, აღიარებს მის ქარტიას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. საქართველო ასევე არის წევრი და აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას, ქვეყანა 1949 წლის ჟენევისა და 1954 წლის ჰააგის კონვენციების მონაწილეა.



გაეროს შტაბ-ბინა, ნიუ-იორკი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

ჟენევის კონვენციები საერთაშორისო სამართლის ნაწილში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კონვენციის შექმნის იდეა განსაკუთრებით გაძლიერდა 1859 წელს, იტალიაში გამართული სოლფერინოს ბრძოლის შემდეგ, სადაც ათასობით დაჭრილი ჯარისკაცი დახმარების გარეშე დარჩა.

ამ მოვლენების მოწმე გახდა ანრი დიუნანი, რომელმაც აღწერა ომის საშინელებები და წამოაყენა იდეა, რომ საჭირო იყო საერთაშორისო წესები დაჭრილებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.

ჰააგის კონვენციები 1899 და 1907 წლებში მიიღეს. ჰააგის კონვენციები საერთაშორისო უსაფრთხოების ჭრილში ეხება სახელმწიფოებს შორის ომისა და კონფლიქტების დროს მოქმედ წესებს. მისი მთავარი მიზანია შეიარაღებული დაპირისპირების შეზღუდვა და ადამიანების დაცვა.

ჰააგის კონვენციები არეგულირებს ომის წარმოების წესებს, მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო ტყვეების დაცვას, აკრძალული იარაღისა და მეთოდების გამოყენებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ომის დროს და ნეიტრალური სახელმწიფოების უფლებებსა და მოვალეობებს.

საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჰააგის კონვენციები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ამცირებს ომის სისასტიკეს, ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის დაცვას და სახელმწიფოებს შორის პასუხისმგებლობის სისტემას აყალიბებს.

ჟენევის ოთხი ძირითადი კონვენცია მიიღეს 1949 წელს ქალაქ ჟენევაში, ხოლო მოგვიანებით, 1977 წელს, მათ დამატებითი ოქმებიც დაემატა.

ჟენევის კონვენციები საერთაშორისო უსაფრთხოების ჭრილში წარმოადგენს შეთანხმებებს, რომლებიც ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის დაცვის წესებს განსაზღვრავს. მათი მთავარი მიზანია ჰუმანურობის დაცვა, მათ შორის, ომის პირობებში. ჟენევის კონვენციები არეგულირებს დაჭრილი და ავადმყოფი სამხედროების დაცვას, სამხედრო ტყვეების უფლებებს, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას, სამედიცინო პერსონალისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების უსაფრთხოებას, ასევე ომის დროს ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.

საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ჟენევის კონვენციები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ამცირებს ძალადობას, იცავს სამოქალაქო მოსახლეობას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)




გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. გაეროს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოების დაცვისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე მიიღო მაშინდელმა სამმა დიდმა სახელმწიფომ – სსრკ-მ, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა – 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე, რაც გამოწვეული იყო ფაქტით, რომ „ერთა ლიგის“ არსებული ორგანიზაცია პოლიტიკური და ორგანიზაციული მანკიერების გამო უძლური აღმოჩნდა თავიდან აეცილებინა კაცობრიობისთვის II მსოფლიო ომი.



როგორც წესი, ყველა ორგანიზაციას აქვს საკუთარი ლოგო, რომელიც მის მისიასა და საქმიანობას უკავშირდება. გაეროს ლოგო თავდაპირველად 1945 წლის სან-ფრანცისკოს კონფერენციისთვის შეიქმნა როგორც დროებითი ემბლემა. მოგვიანებით, მცირედი ცვლილების შემდეგ, ის დამტკიცდა გაეროს ოფიციალურ სიმბოლოდ.

გაეროს ემბლემის მახასიათებლებია:

- ლურჯი ფერი – წარმოადგენს მშვიდობას, კეთილდღეობასა და ჰარმონიას;
- აზიმუტური პროექციები – რუკა აგებულია ისე, რომ ყველა ქვეყანა თანასწორად არის წარმოდგენილი და არცერთი არ დომინირებს;
- ზეთისხილის რტოები – გამოხატავს მშვიდობას, რაც გაეროს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი და ამოცანაა.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელშიც გაწერილია ორგანიზაციის ძირითადი მიზნები და ფუნქციები. წესდების თანახმად, გაეროს მთავარი მიზნებია:

დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა;

განავითაროს სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა, დაფუძნებული ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე;

განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად;

ხელი შეუწყოს ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

ამ მიზნების მისაღწევად გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:



- გაერო დაფუძნებულია ყველა სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორობაზე;
- ურთიერთშორის დავა მათ უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რათა საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და სამართლიანობას;
- საერთაშორისო ურთიერთობებში თავი უნდა შეიკავონ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ;
- ყოველნაირად უნდა დაეხმარონ გაეროს და თავი შეიკავონ იმ სახელმწიფოთა დახმარებისაგან, რომელთა წინააღმდეგ გაერო პრევენციულ თუ იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს;
- გაერო ვერ ჩაერევა ისეთ საქმეში, რომელიც არსებითად სახელმწიფოს შიდა კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაერო მოვალეა იძულების ზომები მიიღოს საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად ან აღსადგენად.



გაეროს შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუ-იორკში და შედგება ხუთი მთავარი ორგანოსაგან:

1. გენერალური ასამბლეა – გაეროს მთავარი სათათბირო ორგანო, სადაც წარმოდგენილია გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო. თითოეულ მათგანს ხმის მიცემის თანაბარი უფლება აქვს (1 ხმა). გენერალური ასამბლეა მოიწვევა ყოველწლიურად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალური ან საგანგებო სესიები;

2. უშიშროების საბჭო – გაეროს მუდმივმოქმედი ორგანო. გაეროს წესდების შესაბამისად, უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან ხუთი არის მუდმივი (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი – აქვთ ვეტოს უფლება), ხოლო ათი – არამუდმივი (იცვლებიან 2 წელიწადში ერთხელ გეოგრაფიული ბალანსის უზრუნველსაყოფად);

3. ეკონომიკური და სოციალური საბჭო – გაეროს ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, ჩაატაროს გამოკვლევები და შეადგინოს ანგარიშები საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ადამიანთა უფლებების, ეკოლოგიისა და სხვა სფეროებში;

4. საერთაშორისო სასამართლო – გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წელს. მისი მიზანია სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტა მათივე თანხმობით და სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებისა და დასკვნების გაცემა;

5. სამდივნო – გაეროს ბიუროკრატიული ორგანო, რომლის წევრები ასრულებენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას და ახორციელებენ მის პროექტებს. სამდივნოს ხელმძღვანელობს გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – გენერალური მდივანი.

გაეროს სისტემაში აგრეთვე შედიან:

- გაეროს დამხმარე ორგანოები: მსოფლიო სასურსათო საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვები;
- გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, იუნიდო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვები;
- სხვა ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაციები: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით გაეროს მისიებს და შედარებითი ანალიზისთვის უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

გაეროს მისია 1 – რუანდა და გაეროს მისია

1994 წელს აფრიკის ქვეყანაში, რუანდაში, დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტრაგედია თანამედროვე ისტორიაში. ქვეყანაში ცხოვრობდა ორი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი: ჰუტუები და ტუტსები. მათ შორის დაძაბულობა წლების განმავლობაში არსებობდა, თუმცა სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 6 აპრილს, როდესაც რუანდის პრეზიდენტ ჟიუვენალ ჰაბიარიმანის თვითმფრინავი კიგალის აეროპორტთან რაკეტებით ჩამოაგდეს. იმავე თვითმფრინავში იმყოფებოდა ბურუნდის პრეზიდენტიც, სიპრიენ ნტარიამირა. ამ ინციდენტის დროს ორივე პრეზიდენტი დაიღუპა. ერთ-ერთი ვერსიით, თვითმფრინავი ჩამოაგდეს ჰუტუ ექსტრემისტებმა. ამის შემდეგ დაიწყო მასობრივი ძალადობა და მკვლელობები.

რამდენიმე თვეში ასობით ათასი ადამიანი დაიღუპა. მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა, საკუთარი სახლები დაეტოვებინა და მეზობელ ქვეყნებში გაქცეულიყო. ქვეყანაში ქაოსი, შიში და ჰუმანიტარული კრიზისი შეიქმნა.

კონფლიქტის დროს ქვეყანაში უკვე იმყოფებოდა გაეროს სამშვიდობო მისია. მისი მთავარი მიზანი იყო მშვიდობის შეთანხმების შესრულების კონტროლი და მშვიდობის შენარჩუნება. თუმცა მისიის სამხედრო ძალა მცირე იყო და თავდაპირველად საკმარისი უფლებამოსილებაც არ ჰქონდა, რათა ძალადობა შეეჩერებინა.

მოგვიანებით გაერომ მისია გააძლიერა. გაეროს ძალებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზება, ლტოლვილების უსაფრთხოდ დაბრუნების მხარდაჭერა, ცეცხლის შეწყვეტის კონტროლი და მხარეებს შორის მოლაპარაკებების ხელშეწყობა.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ გაეროს ჩართულობით დაიწყო ქვეყნის აღდგენის პროცესი. შეიქმნა საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელმაც ომისა და გენოციდის მონაწილეები გაასამარ-

თლა. ასევე დაიწყო შერიგების პროგრამები, რათა საზოგადოებაში შურისძიების ნაცვლად თანაცხოვრება და მშვიდობა დამყარებულიყო.

რუანდაში გაეროს სამშვიდობო მისიის მეთაური, რომეო დელერი, მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, გაერომ დროულად და სათანადოდ ვერ იმოქმედა რუანდაში მიმდინარე ტრაგედიის შესაჩერებლად. გენერალ დელერის თქმით, მათ იცოდნენ, რომ საფრთხე ახლოვდებოდა, მაგრამ საკმარისი უფლებამოსილება და მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

ის ხშირად აღნიშნავდა, რომ სამშვიდობო მისიას ძალიან შეზღუდული მანდატი ჰქონდა – გაეროს ჯარებს არ შეეძლოთ ძალის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის სრულად დასაცავად. დელერი ითხოვდა მეტი სამხედრო ძალისა და რესურსის გაგზავნას, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ რეაგირება დააგვიანა.

მისი აზრით, რუანდის მოვლენებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწრაფი საერთაშორისო რეაგირება, რატომ უნდა ჰქონდეთ სამშვიდობო მისიებს მკაფიო და ძლიერი მანდატი და რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს უმოქმედობას.

მოგვიანებით დელერმა საკუთარ გამოცდილებაზე დაწერა წიგნი „ხელის ჩამორთმევა ეშმაკთან“ (Shake Hands with the Devil), სადაც აღწერა რუანდაში ნანახი ტრაგედია და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომები.

გენერალ დელერის თვალსაზრისით, გაეროს მისია მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არასაკმარისი და დაგვიანებული საერთაშორისო მხარდაჭერის გამო მან ვერ შეძლო გენოციდის სრულად შეჩერება.

გაეროს მისია 2 – აღმოსავლეთ ტიმორი და გაეროს წარმატებული მისია

1999 წელს აღმოსავლეთ ტიმორში (დღევანდელი ტიმორ-ლესტე) მძიმე პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. მოსახლეობის დიდ ნაწილს დამოუკიდებლობა სურდა, რასაც ძალადობრივი დაპირისპირება მოჰყვა. შეიარაღებული დაჯგუფებები თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, იწვოდა სოფლები და ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, სახლები დაეტოვებინა.

სიტუაციის გამწვავების შემდეგ გაერომ სწრაფად იმოქმედა. მისი მხარდაჭერით ქვეყანაში ჩავიდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალა, რომლის მთავარი მიზანი იყო ძალადობის შეჩერება, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, უსაფრთხოების აღდგენა და ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფა.

სამშვიდობო ძალებმა მოკლე დროში შეძლეს ძირითადი ქალაქებისა და გზების კონტროლი. შეიარაღებული დაჯგუფებების აქტივობა შემცირდა და მოსახლეობამ უსაფრთხოდ დაბრუნება დაიწყო.

შემდეგ ეტაპზე გაერომ შექმნა დროებითი ადმინისტრაცია, რომელიც ქვეყანას სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში დაეხმარა. დაიწყო პოლიციისა და სასამართლოს შექმნა, სკოლებისა და საავადმყოფოების აღდგენა, არჩევნების ორგანიზება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება.

2002 წელს აღმოსავლეთ ტიმორი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

შეკითხვები

- რატომ არის საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის დამყარებისთვის?
- შეადარეთ გაეროს რეაგირების სისწრაფე ორივე შემთხვევაში. როგორ აისახა დროული და დაგვიანებული ჩარევა მოვლენების განვითარებაზე?
- დაასაბუთეთ, რამდენად მნიშვნელოვანია სამშვიდობო მისიის მკაფიო მანდატი და საკმარისი რესურსები კონფლიქტის მართვის პროცესში?
- რა შედეგები შეიძლებოდა დამდგარიყო, თუ აღმოსავლეთ ტიმორში საერთაშორისო ჩარევა დაგვიანდებოდა, როგორც ეს რუანდაში მოხდა?
- როგორ შეიძლება განვითარდეს კონფლიქტი იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ექნებათ საკმარისი უფლებამოსილება და მხარდაჭერის შესაძლებლობები?

ისტორიიდან

საქართველო 1992 წლის 31 ივლისს გაეროს 179-ე წევრი გახდა. საქართველოში გაეროს ოფისი პირველად 1993 წელს გაიხსნა. გაეროს ის სააგენტოები, რომელთაც მუდმივი წარმომადგენლობა ჰყავთ ქვეყანაში, საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფში (UNCT) ერთიანდებიან. აღნიშნულ ჯგუფს კი გაეროს მუდმივი კოორდინატორი ხელმძღვანელობს.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ბავშვთა ფონდის (UNICEF), ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ფარგლებში. ასევე მონაწილეობას იღებს გაეროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ინიციატივებში UNHCR-ის მეშვეობით. 1993-2009 წლებში უსაფრთხოების საბჭო რეგულარულად იღებდა საქართველოსთან დაკავშირებულ რეზოლუციებს, რომლებშიც ის მტკიცედ უჭერდა მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.



გაერო და საქართველო

გაერო ახლაც აგრძელებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართულობას, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირსა და ეუთოსთან ერთად თანათავმჯდომარეობს რუსეთსა და საქართველოს შორის ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე შექმნილ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს. ამასთან, გაეროს ფორმატებს საქართველო აქტიურად იყენებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების, ხსენებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების კუთხით ძალისხმევის გაზრდისთვის.

2005-2007 წლებში ქართული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 550 სამხედრო მოსამსახურე უზრუნველყოფდა გაეროს ერაყის დახმარების მისიის (UNAMI) ბაღდადის ოფისის გარე უსაფრთხოებას. საქართველო აგრეთვე მონაწილეობდა გაეროს რეზოლუციების თანახმად წარმოებულ მრავალეროვნულ სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოსა და ავღანეთში. გარდა ამისა, ავღანეთში გაეროს მხარდამჭერ მისიაში (UNAMA) უფროსი სამხედრო მრჩევლის, მისი თანაშემწისა და მრჩევლის თანამდებობებზე 2015-2018 წლებში წარმატებით მონაწილეობდა 3 სამხედრო ოფიცერი (გენერლის ხელმძღვანელობით).



ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization – NATO) წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. ეს არის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 32 სახელმწიფოსაგან შემდგარი კავშირი, რომლის მიზანია ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.



ქვეყანაში უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნის და ქვეყნის განვითარებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განისაზღვრა. საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით, რომელიც, როგორც გარდამავალი მუხლი, კონსტიტუციას დაემატა 2017 წელს.



ნატოს შტაბ-ბინა ქ. ბრიუსელში

მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ალიანსი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს

- ინდივიდუალური თავისუფლება
- დემოკრატია
- ადამიანის უფლებები
- კანონის უზენაესობა

ნატო

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) მსოფლიო ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია.

ნატო არის ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოს, განურჩევლად ტერიტორიული სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, აქვს თანასწორუფლებიანი სიტყვა განხილვებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს.

საქართველოს ნატოში გაწევრიანებას 2008 წელს გამართულ პლებისციტში მონაწილეთა 77%-მა დაუჭირა მხარი. ალიანსის წევრობის მხარდაჭერა ყველა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებში მაღალ ნიშნულზე რჩება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი **უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა,** რაც უზრუნველყოფილია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით.

ნატო ეფუძნება „ღია კარის პოლიტიკას“, რაც გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მზადაა, წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლი).
1949 წლიდან ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა 12-იდან 32 ქვეყნამდე გაიზარდა.

ნატოს გაფართოების პროცესი არ წარმოადგენს საფრთხეს არცერთი ქვეყნისთვის. გაფართოების პოლიტიკის მიზანია სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, მშვიდობისათვის გაერთიანება და საერთო უსაფრთხოებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა.

1949 წლის 4 აპრილს, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის თორმეტი ქვეყნის შეთანხმების საფუძველზე, ქ. ვაშინგტონში გაფორმდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია ალიანსის ძირითადი პრინციპები.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი
(კოლექტიური თავდაცვის პრინციპი)

„ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე. ასეთ ვითარებაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებისა და საჭიროების შემთხვევაში, ისინი სამხედრო ძალის გამოყენებით დაეხმარებიან საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება. ნებისმიერი ამგვარი სახის შეიარაღებული თავდასხმისა და მის წინააღმდეგ წამოწყებული ღონისძიების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. მსგავსი ღონისძიებები დასრულდება მაშინ, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს ზომებს საერთაშორისო მშვიდობისთვის, უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.“

ნატო და საქართველო



ნატო-საქართველოს ურთიერთობას 1992 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, რომელსაც 1997 წლიდან ეწოდა ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC – Euro-Atlantic Partnership Council). თანამშრომლობა გაფართოვდა 1994 წელს, ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP – Partnership for Peace) პროგრამასთან მიერთებით, ინდივიდუალურ ქვეყნებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.



2002 წელს პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა, ხოლო 2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan). 2005 წელს ნატომ საქართველოში მეკავშირე ოფიცერი მოავლინა, ხოლო 2010 წელს ქ. თბილისში ნატოს სამეკავშირეო ოფისი (NATO Liaison Office, NLO) გაიხსნა, რომლის მთავარი ამოცანაა ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება და ალიანსში საქართველოს გაწევრიანების ხელშეწყობა.

საქართველოს მიერ ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების საფუძველზე, 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „სა-

ქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“, რაც მრავალჯერ დადასტურდა ნატოს მომდევნო სამიტებზე. ბუქარესტის გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს წარმოადგენს, რომლის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა.



2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ მოკავშირეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს კომპლექსური დახმარებისთვის და მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) პოლიტიკური კონსულტაციებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის ფორმატის დაფუძნების შესახებ. ამავე წელს საქართველომ დაიწყო წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავება, რომელიც ნატოში ინტეგრაციის პრაქტიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მონაწილე ქვეყნების წევრობისთვის მოსამზადებლად. შეიძლება ითქვას, რომ MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე საქართველომ მიიღო ამ ფორმატით გათვალისწინებული გაწევრიანებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი.



2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში (ქალაქი ბრიუსელი) ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველო ოფიციალურად მოიხსენიეს ასპირანტ სახელმწიფოდ მონტენეგროსთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასა და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად*.



2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველო ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად (the most interoperable partner) აღიარეს და სხვა ოთხ ქვეყანასთან (ავსტრალია, იორდანია, ფინეთი, შვედეთი) ერთად „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (Enhanced Opportunity Partners, EOP) სტატუსი მიანიჭეს, რაც ნატოსთან თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობების მიღებას გულისხმობს.

2017 წელს მონტენეგრო ნატოს წევრი სახელმწიფო გახდა, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონია ნატოში 2020 წელს გაწევრიანდა.

2020 წლიდან უკრაინას მიენიჭა EOP სტატუსი, ხოლო ფინეთი (2023) და შვედეთი (2024) ნატოს წევრი სახელმწიფოები გახდნენ.

ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, 2014 წლის უელსის სამიტზე ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB) ფარგლებში, საქართველომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) მიიღო, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, ნატოსთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება და ნატოში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა.



2015 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის კომუნიკეში პირველად დაფიქსირდა, რომ საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს, რაც კიდევ ერთხელ აღინიშნა 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე და მომდევნო სამიტებსა თუ მაღალი დონის შეხვედრებზე.

2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტზე ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურებმა „საქართველოსთვის მორგებული მხარდაჭერის პაკეტი“ დაამტკიცეს (Tailored Support to Georgia), რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მედეგობის გაძლიერება და თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების ხელშეწყობა.



საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, აგრძელებს ნატოში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტების – ნატო-საქართველოს კომისია (NGC), წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) და სხვა პრაქტიკული მექანიზმების (ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამა (ITPP), ნატოს სამხედრო კომიტეტისა და საქართველოს სამუშაო გეგმისა (MC with Georgia Work Plan)) თუ სხვადასხვა პროგრამის ეფექტურად გამოყენებას.



საქართველო ნატოს პარტნიორ ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციებს იკავებს, როგორც სამაგალითო და ერთ-ერთი ყველაზე დასაყრდენი, თავსებადი ასპირანტი ქვეყანა, რომელიც წარმატებით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.



ნატოს ქვეყნები მსოფლიო რუკაზე

რას გულისხმობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი ?

როგორც ცნობილია, 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარების ინიციატივის (Defence and Related Security Capacity Building (DCB) Initiative) ფარგლებში ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მიიღო. პაკეტი ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობებისა და მდგრადობის გაძლიერებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. საქართველოზე მორგებული მხარდაჭერის პაკეტის კომპონენტები ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის გაძლიერების გზით განხორციელდა.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში ჩართულია ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოები როგორც ექსპერტული, ისე ფინანსური მხარდაჭერის კუთხით. ამ ეტაპზე არსებითი პაკეტი მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოების პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრულ 17 ინიციატივას, რომელთა განხორციე-

ლება ემსახურება ქვეყნის თავდაცვისა და მედეგობის გაძლიერებას. ნატო-საქართველოს ერთობლივი მუშაობის შედეგად 2015 წლიდან დღემდე წარმატებით შესრულდა და დაიხურა 3 ინიციატივა. პაკეტის კოორდინაციასა და მონიტორინგს ალიანსის მხრიდან ნატოს ძირითადი ჯგუფი უზრუნველყოფს.



ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში დაარსებულ თავდაცვის სამინისტროს სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას (DIBS) 2022 წლის ივნისში ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭა და საქართველო გახდა რეგიონში პირველი პარტნიორი ქვეყანა ალიანსის მიერ აკრედიტებული სასწავლო დაწესებულებით.

ერთობლივი ძალისხმევის შედეგად თავდაცვის სამინისტროში დაარსებული ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) აგრძელებს უნიკალური საწვრთნელი შესაძლებლობების შეთავაზებას როგორც საქართველოს, ისე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებისთვის. JTEC-მა 2025 წელს წარმატებით უმასპინძლა რიგით მე-4 ნატო-საქართველოს სწავლებას.



JTEC-ის მიზანია „ნატოს პარტნიორობის, წვრთნისა და განათლების ცენტრის“ (PTEC) სტატუსისა და ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღება.

ეს საინტერესოა

ნატოს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იყო რიოს შეთანხმება (Inter-American Treaty of Reciprocal Assistance), რომელიც 1947 წელს ამერიკის სახელმწიფოებს შორის გაფორმდა. მისი მიზანი იყო დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კოლექტიური თავდაცვის პრინციპის დამკვიდრება, რომლის მიხედვითაც ერთ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმად მიიჩნეოდა. სწორედ ეს პრინციპი გახდა ნატოს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური მოდელი და მოგვიანებით აისახა ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლშიც.

ნატოს ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე წევრი ქვეყნები მრგვალი ან ოვალური ფორმის მაგიდასთან თანაბარ ადგილებს იკავებენ. ამგვარი განლაგება სიმბოლურად გამოხატავს, რომ ორგანიზაციაში არცერთ ქვეყანას, მათ შორის, ყველაზე ძლიერ წევრებსაც, ფორმალურად არ აქვთ უპირატესი სტატუსი. ყველა გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება.

საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობისგან განსხვავებით, ნატოში გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, კენჭისყრით არ მიიღება. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წევრი სახელმწიფოების კონსენსუსით წყდება, რაც ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ მიიღება, როდესაც არცერთი წევრი ქვეყანა არ გამოთქვამს ოფიციალურ წინააღმდეგობას. ამიტომ თითოეულ წევრს თანაბარი პოლიტიკური გავლენა აქვს.

როგორ ძლიერდება ნატოს ძალები?





2002 წლის ნოემბერში ნატოს პრაღის სამიტზე გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ ნატოს საპასუხო ძალები (NRF) ჩამოყალიბდა, რომელიც სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სპეციალური ოპერაციების ძალების კომპონენტებს აერთიანებდა. NRF მობილურობის მაღალი დონითა და მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით გამოირჩეოდა.

2015 წლიდან 2024 წლამდე საქართველო ერთი ქვეითი ასეულით მონაწილეობდა ნატოს საპასუხო ძალებში (NRF), ასევე 2024 წლის როტაციის ფარგლებში საქართველომ გაზარდა NRF-ში კონტრიბუცია სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფით.

ახალ გეოპოლიტიკურ რეალობასთან ადაპტაციის მიზნით 2024 წლის 1 ივლისს ნატოს ძალების ახალმა მოდელმა (NFM) ოფიციალურად ჩაანაცვლა ნატოს საპასუხო ძალები. ახალი მოდელი უზრუნველყოფს გაცილებით დიდი რაოდენობის მაღალი მზადყოფნის ძალებს ყველა სფეროში (ხმელეთი, ზღვა, ჰაერი და კიბერსივრცე). პარტნიორი ქვეყნების ნატოს ძალების ახალ მოდელში ინტეგრირებისა და ნატოს სამი ძირითადი ამოცანის (შეკავება და თავდაცვა, კრიზისების მართვა, თანამშრომლობითი უსაფრთხოება) მხარდაჭერის მიზნით, 2024 წელს შეიქმნა პარტნიორების მიერ გაძლიერებული ნატოს ძალები (PAF-N).

2024 წელს განხორციელდა ნატოს საპასუხო ძალებში გაცხადებული ქართული ქვედანაყოფების ტრანზიცია ნატოს ახალ ინიციატივაში, პარტნიორების მიერ გაძლიერებულ ნატოს ძალებში (PAF-N). 2025 წლის მაისში საქართველოს ოფიციალურად მიენიჭა პარტნიორების მიერ გაძლიერებულ ნატოს ძალებში (PAF-N) ოპერატიული პარტნიორის სტატუსი. აღნიშნულ ძალებში როტაციის პრინციპით მონაწილეობისთვის საქართველოს მუდმივ მზადყოფნაში ჰყავს ნატოს მიერ სერტიფიცირებული ორი ქვეითი ასეული, რომლებიც წარმატებით გადიან ნატოს წვრთნისა და სერტიფიცირების პროცესს.

პრაქტიკული აქტივობა

ჩამოაყალიბეთ სამუშაო ჯგუფები, აირჩიეთ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერო ან ნატო. თავდაპირველად, გამოკვეთეთ შერჩეული ორგანიზაციის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მოამზადეთ მოკლე არგუმენტირებული პოზიცია. პოზიციების შემუშავების შემდეგ კი გამართეთ დისკუსია კითხვაზე: **რომელი ორგანიზაცია უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს საერთაშორისო უსაფრთხოებას და რატომ?**

თქვენი პოზიციის შესამუშავებლად გამოიყენეთ დამხმარე შეკითხვები:

- როგორია შერჩეული ორგანიზაციის ძირითადი მიზანი/მიზნები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
- როგორ რეაგირებს შერჩეული ორგანიზაცია საერთაშორისო საფრთხეებზე? დაასახელეთ სულ მცირე 2 კონკრეტული გზა/მექანიზმი;
- რომელი კონფლიქტი/კრიზისი/ოპერაცია უკავშირდება შერჩეულ ორგანიზაციას? მოიყვანეთ სულ მცირე 1 რეალური მაგალითი (კონფლიქტი, კრიზისი ან ოპერაცია), სადაც ორგანიზაცია იყო ჩართული;
- დაასაბუთეთ, რატომ არის თქვენ მიერ არჩეული ორგანიზაცია ეფექტიანი საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფაში?
- შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა მხოლოდ ერთი ტიპის ორგანიზაციის/გაერთიანების საშუალებით? თუ აუცილებელია თანამშრომლობა?

დავალება

მოირგეთ ანალიტიკოსის როლი და მოამზადეთ წერილობითი შეფასება, რომელშიც გააანალიზებთ ნატო-საქართველოსა და გაერო-საქართველოს ურთიერთობებს.

შეფასებისთვის გამოიყენეთ შეკითხვები:

- როგორია ნატო-საქართველოსა და გაერო-საქართველოს თანამშრომლობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები?
- როგორია ამ თანამშრომლობის შედეგები?
- არსებული უსაფრთხოების გამოწვევებისა და თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ შეიძლება განვითარდეს მომავალში ნატო-საქართველოსა და გაერო-საქართველოს ურთიერთობები?



სასარგებლო რესურსები

8. მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ, რა არის კონფლიქტი? მოიყვანეთ როგორც პირადი (მაგ.: ფილმიდან, წიგნიდან, სასკოლო ცხოვრებიდან), ისე საერთაშორისო მაგალითები.
- გაიხსენეთ სიტუაცია, როდესაც კონფლიქტი მესამე (ნეიტრალური) მხარის ჩარევით მოგვარდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ზოგ შემთხვევაში მესამე მხარის ჩარევა მნიშვნელოვანი?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, თუ რას გულისხმობს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა?
- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა ჰუმანიტარულ, სამშვიდობო და სამხედრო მისიებს შორის?
- თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა? რატომ?







ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რაოდენ რთულია საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ან მათი პრევენცია (თავიდან არიდება, გამაფრთხილებელი მოქმედებები).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოში მიმდინარე **სამშვიდობო ოპერაციებში,** რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში.

სამშვიდობო ოპერაციები – ტერმინი, რომელიც მოიცავს მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის იძულების ოპერაციებს, რომლებიც სრულდება მშვიდობის შესანარჩუნებლად ან დასამყარებლად გამიზნული დიპლომატიური ძალისხმევის მხარდასაჭერად.

ჰუმანიტარული დახმარება – სპეციფიკური დახმარების ფორმა, განსაზღვრული ან განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისთვის. ის, ძირითადად, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს. ესენია: საკვები, სამედიცინო საშუალებები, თავშესაფარი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.

საერთაშორისო სამხედრო მისიები მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება. აღნიშნულს საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ როგორც უნივერსალური, ისე რეგიონული, მათში გაწევრიანებული ან პარტნიორი სახელმწიფოების დახმარებით.

მისია – ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც იგზავნებიან სხვა ქვეყანაში სპეციალური მიზნით.

გაეცანით ინფორმაციას საერთაშორისო მისიის შესახებ და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ქართველი სამხედროების როლი საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში

XXI საუკუნის დასაწყისიდან ქართველი სამხედროები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. ერთ-ერთი ასეთი მისია იყო კოსოვოში, სადაც ქართული სამშვიდობო ბატალიონის სამხედროები ასრულებდნენ გერმანული სამშვიდობო კონტინგენტის სამხედრო ბაზების უსაფრთხოების ამოცანებს.

2004 წელს ქართულმა მე-3 ასეულმა სამხედრო ბაზებში ყარაულის/დაცვის მოვალეობები გადაიბარა. ქართველი სამხედროები სამშვიდობო ოპერაციების დაწყებამდე სპეციალურ მომზადებას გერმანიაში, ვილდფლეკენის სასწავლო ბაზაზე გადიოდნენ. სწავლება მოიცავდა ქვედანაყოფის/ასეულის ფიზიკურ და საბრძოლო მომზადებას, უსაფრთხოების დაცვის შესწავლას და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობას.

მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროები მხოლოდ სამხედრო ამოცანებით არ შემოიფარგლებოდნენ. მათ გერმანული კონტინგენტის CIMIC (სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა) ჯგუფთან ერთად სოციალური პროექტიც წამოიწყეს, რომლის მიზანი კოსოვოში მცხოვრები ალბანელი და სერბი სკოლის მოსწავლეების დახმარება იყო. სამხედროებმა საკუთარი სახსრები გაიღეს და წვლილი შეიტანეს, რომ CIMIC-ს ბავშვებისთვის საჭირო ნივთები შეეძინა. ეს პროექტი საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული პასუხისმგებლობის კარგი მაგალითი გახდა.

საერთაშორისო მისიებში წარმატება მხოლოდ სამხედრო ძალაზე არაა დამოკიდებული – აუცილებელია პარტნიორობა, ნდობა და საერთო პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვისათვის.

ქართველი სამხედროების მონაწილეობამ საერთაშორისო მისიებში საქართველოს მისცა შესაძლებლობა, გაეძლიერებინა კავშირები ნატოს წევრ ქვეყნებთან, მიეღო თანამედროვე სამხედრო გამოცდილება და მსოფლიოსთვის ეჩვენებინა ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმი, დისციპლინა და ჰუმანური დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

კოსოვოს მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს საერთაშორისო სამხედრო ინტეგრაციის გზაზე. ამ მისიამ აჩვენა, რომ ქართველი სამხედროები არა მხოლოდ პროფესიონალურად ასრულებდნენ სამხედრო ამოცანებს, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ საქმიანობაშიც. აღნიშნული სახის საქმიანობამ საერთაშორისო სივრცეში საქართველოს სანდო და პასუხისმგებლიანი პარტნიორის სახელის დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

შეკითხვები

- როგორ შეუწყო ხელი სამხედროების მონაწილეობამ კოსოვოს სამშვიდობო მისიაში საქართველოს სანდო პარტნიორად წარმოჩენას?
- შეადარეთ ქართველი სამხედროების სამხედრო და ჰუმანიტარული საქმიანობა კოსოვოში. რა განსხვავებასა და მსგავსებას ხედავთ მათ შორის?
- ახსენით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ქართველი სამხედროებისთვის გერმანიაში სპეციალური მომზადების გავლა სამშვიდობო მისიაში მონაწილეობამდე?
- დაასაბუთეთ, რატომ არის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში სამხედრო ძალასთან ერთად მნიშვნელოვანი ნდობა, პარტნიორობა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა?
- როგორ გამოიყენებთ საერთაშორისო სამშვიდობო მისიების შესახებ მიღებულ ცოდნას კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობის შეფასებისას?



საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში 1999 წლიდან დაიწყო. ნატომ პირველი სამშვიდობო მისია (NATO KFOR) დასავლეთ ბალკანეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, შეასრულა. ოპერაცია ითვალისწინებდა დასავლეთ ბალკანეთში საომარი მოქმედებების განახლების აღკვეთას, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და გაეროს დროებითი ადმინისტრაციული მუშაობის ხელშეწყობას. საქართველო სულ 2259 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით მონაწილეობდა. მისია დასრულდა ქართული კონტინგენტის დანაკარგების გარეშე, 18 ოცეულისა და 11 ასეულის როტაციით. 2008 წელს ქვედანაყოფმა სრულად დატოვა ბალკანეთის ტერიტორია.



ერაყი – ოპერაცია „თავისუფლება ერაყს“ – Operation Iraqi Freedom (MNF-I)

2003 წლიდან, ერაყში კოალიციის ჯარების შესვლისთანავე, ქართული ქვედანაყოფები მონაწილეობენ მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება-აღდგენის ოპერაციაში „თავისუფლება ერაყს“. მისი ძირითადი ამოცანები იყო: საკვანძო ობიექტების დაცვა, პატრულირება/ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები, საინჟინრო უსაფრთხოების ოპერაციები, სამხედრო ჰოსპიტლის დახმარება.



სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაიგზავნა ქართული სპეციალური დანიშნულების ოცეული, საინჟინრო მესანგრეთა და სამედიცინო ჯგუფები (სულ 70 სამხედრო მოსამსახურე). მისიის გაფართოებასთან ერთად იცვლებოდა ოპერაციის რაიონები, დისლოკაციის ადგილები, კონტინგენტის რაოდენობა. 2003 წლიდან 2008 წლის თებერვლამდე ქართულმა ქვედანაყოფებმა სხვადასხვა დონეზე (ჯგუფები, ოცეულები, ასეულები, ბატალიონები და ბრიგადები) 17 როტაცია შეასრულეს (სულ 8 495 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა).

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა – „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები ავღანეთში“ – International Security Assistance Force (ISAF)



საქართველოს თავდაცვის ძალები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატოს ეგიდით წარმოებულ „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ მისიის შემადგენლობაში 2004 წლის აგვისტოში ჩაერთო. ქართული გაძლიერებული ოცეულის (52 სამხედრო მოსამსახურე) ამოცანას ქ. ქაბულში ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მისიის მიმდინარე მოთხოვნების ზრდასთან ერთად ეტაპობრივად იცვლებოდა ამოცანებიც და კონტინგენტის პირადი შემადგენლობის რაოდენობაც. ქართული ქვედანაყოფები მისიის ფარგლებში აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთისა და ლიეტუვას კონტინგენტთან ერთად იცავდნენ ბაზებს, პატრულირებდნენ, ასრულებდნენ კორდონისა და ჩხრეკის, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციებს, ამზადებდნენ ავღანური არმიის არტილერისტებს, ქირურგებით ეხმარებოდნენ სამხედრო ჰოსპიტალს. ოპერაციის ფარგლებში 45 როტაცია (სულ 11 749 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა) შესრულდა სხვადასხვა დონეზე.

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა – „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ – Resolute Support Mission (RSM)



ქართული ქვედანაყოფები 2015 წლიდან მონაწილეობდნენ ნატოს ახალ მისიაში – „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (თითოეულ როტაციაზე ერთი ბატალიონისა და ორი ასეულის შემადგენლობით). სრულდებოდა ისეთი ძირითადი ამოცანები, როგორებიცაა: სწრაფი რეაგირება, ბაზების დაცვა, პატრულირება, ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები. 2021 წლის აპრილს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM) მონაწილე ძალების გამოყვანის შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს (NAC) მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის ივნისს ქართულმა ქვედანაყოფებმა სრულად დატოვეს ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა.



2004 წლიდან 2021 წლამდე სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 100-ზე მეტი როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 30 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე 31 აგვისტოს აღინიშნება.

პრაქტიკული აქტივობა

გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ ორ პოზიციას, თქვენი სურვილისამებრ აირჩიეთ ერთ-ერთი, ჩამოაყალიბეთ ჯგუფები და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემული მოსაზრებების საფუძველზე, შეაფასეთ ისინი და დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია. ასევე დაამატეთ თქვენი საკუთარი არგუმენტები. შემდეგ კი იმსჯელეთ.

საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში უნდა მონაწილეობდეს!

1. საკუთარი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება.

2. მისიაში გამგზავრებამდე ჯარისკაცები გადიან სპეციალურ წვრთნებს, რომლებიც ზრდის მათ გამოცდილებასა და სამხედრო უნარებს; შედარებით ამცირებს ჯარისკაცების სიცოცხლესთან დაკავშირებულ რისკებს.

3. სამხედრო ძალების გამოცდილებისა და უნარების გაზრდა ქვეყანას საერთაშორისო სტანდარტებთან აახლოებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს დასავლური კურსით წინსვლას.

4. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო ღიად გამოთქვამს სურვილს, იყოს ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების წევრი და ამტკიცებს, რომ თავადაც შეუძლია პრობლემის მოგვარების თანამონაწილე გახდეს.

5. საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ზრუნვა და აგრესიის, ძალადობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. საჭიროების შემთხვევაში ქვეყანას ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა.

6. დღეს ტერორისტული დაჯგუფებები მსოფლიოსათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. თალიბანის, ალ-ქაიდასა და მსგავსი დაჯგუფებების განადგურება თავისუფალი სამყაროსათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მოცემულ სიტუაციაში მთავარი სარგებელი არის არა ის, რომ მხარდაჭერას გამოვხატავთ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ის, რომ ამით ჩვენი ქვეყანა იმაღლებს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე და, ამასთან, იზრდება ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები, რაც ისევ და ისევ ჩვენს თავდაცვას წაადგება სასიკეთოდ.

7. საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობა უფრო გვაახლოებს იმ მიზანთან, რომელსაც საქართველოს ევროინტეგრაცია ჰქვია.

საქართველო საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში არ უნდა მონაწილეობდეს!

1. დიდი მსხვერპლი.

2. არაადეკვატურია საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა ასეთი მასშტაბით მაშინ, როდესაც ქვეყნის 20% ოკუპირებულია და იქ უცხო სახელმწიფოს ჯარი დგას.

3. პროცენტული რაოდენობით საქართველოს სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტს ჩამოუვარდება და, შესაბამისად, მსხვერპლიც პროცენტულად ყველაზე დიდია (აშშ, გერმანია, იტალია, საქართველო).

4. 2008 წელს, როდესაც რუსეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა, 2000-მდე ქართველი სამხედრო ქვეყნიდან 1000 კილომეტრის დაშორებით, ერაყში იმყოფებოდა. მათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს ხალხი მაშინ საქართველოს თავდაცვას დააკლდა.

5. ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრესიის გაზრდა და შესაძლო ტერორისტული საფრთხე იმ დაჯგუფებებისაგან, რომელთა წინააღმდეგაც ქართველები იბრძვიან.

6. ტერორისტული თავდასხმის საშიშროებისა და კიდევ უამრავი მიზეზის გათვალისწინებით, საზოგადოების ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შემცირდეს ქართული ჯარების კონტინგენტი სხვადასხვა სამხედრო ოპერაციაში, რადგან დიდი რაოდენობის შენაერთების ყოლის შემთხვევაში უფრო დიდია ქვეყანაზე თავდასხმის შესაძლებლობა, რაც საქართველოსთვის უეჭველად დიდი ზიანის მომტანი იქნება.

როგორი იყო საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში?



საქართველო აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო და უსაფრთხოების მისიებში და თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაში. საქართველო ავღანეთში ნატოს მისიაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ქვეყანა იყო ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის. ქართველი სამხედროები საერთაშორისო ძალებთან ერთად ასრულებდნენ უსაფრთხოების დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების ამოცანებს.

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალებს ეხმარებოდა სამხედრო გამოცდილების მიღებაში, პროფესიული უნარების გაუმჯობესებასა და თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებაში. ამან ასევე გააძლიერა საქართველოს თანამშრომლობა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან.



ქართველმა სამხედროებმა არაერთხელ აჩვენეს მაღალი მომზადება, დისციპლინა და რთული ამოცანების შესრულების უნარი, რის გამოც საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში საიმედო პარტნიორად მიიჩნევა.

საქართველოს მონაწილეობამ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საერთაშორისო კოალიციებს. ქართველი სამხედროები გამოირჩეოდნენ მაღალი მომზადებითა და დისციპლინით, იცავდნენ სტრატეგიულ ობიექტებს და მონაწილეობდნენ რთულ ოპერაციებში. ამან გააძლიერა საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველოს საიმედო პარტნიორის რეპუტაცია მოუტანა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აგრძელებს ნატოს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალისხმევის მხარდაჭერას შემდეგი აქტივობებით:

- საქართველო გახდა პირველი ნატოს არაწევრი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაცია „ზღვის მცველში“ (Operation Sea Guardian, OSG). 2023 წლიდან შსს-ს სააბორდაჟო ჯგუფი, როტაციის პრინციპით, მონაწილეობს ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში, რაც დადებითად ფასდება ალიანსის მიერ;
- საქართველო ერაყში ნატოს მისიის (NMI) პოტენციური ოპერატიული პარტნიორია;
- ქართული ქვედანაყოფები მონაწილეობას იღებენ პარტნიორების მიერ გაძლიერებულ ნატოს ძალებში (Partner Augmentation Forces to NATO /PAF-N).



ეს საინტერესოა

საქართველოს მხრიდან გაეროს მანდატით შესრულებული საერთაშორისო ოპერაციები

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – „ევროკავშირის ძალები აფრიკაში“ – European Union Military Operation in the Central African Republic (EUFOR RCA). 2014 წლის ივნისიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის ოპერაციაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, გაეროს მანდატით. ოპერაციის მთავარი მიზანი იყო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება რეგიონში და ჰუმანიტარული დახმარებების ხელშეწყობა.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარდა სულ 2 როტაცია (241 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა). მისია უდანაკარგოდ დასრულდა 2015 წლის მარტში.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა – ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში EUMAM RCA, IRT- Mali. 2015 წლის სექტემბრიდან საქართველო ისევ გაეროს მანდატით ჩაერთო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EU Military Advisory Mission in Central African Republic – EUMAM RCA), სწრაფი რეაგირების ჯგუფში (Immediate Reaction Team – IRT), ხოლო 2016 წლის იანვრიდან – მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EU Training Mission in Mali – EUTM Mali). მისიის ფარგლებში შესრულდა სულ 2 როტაცია (10 სამხედრო მოსამსახურე). ისიც უდანაკარგოდ დასრულდა 2016 წლის ივლისში. 2017 წლის იანვრიდან 2023 წლის ივნისამდე კიდევ 12 როტაცია განხორციელდა. მისიაში მონაწილეობდა ერთი ოცეული (35 სამხედრო მოსამსახურე).





დავალება

იხილეთ დოკუმენტური ფილმი „საქართველო მსოფლიო მშვიდობისათვის“ (https://www.youtube.com/watch?v=drLuwpCnkqs) და მასზე დაყრდნობით მოამზადეთ ანალიტიკური სტატია.

სტატიის დასაწერად გამოიყენეთ დამხმარე შეკითხვები:

როგორ უკავშირდება დოკუმენტურ ფილმში წარმოდგენილი სამშვიდობო მისიის მიზნები საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის საკითხებს?

- შეადარეთ ერთმანეთთან ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით მისიები, რა მსგავსება და განსხვავებები გამოიკვეთა?
- ახსენით, რატომ არის ან არ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობა საერთაშორისო მისიების განხორციელების პროცესში?
- დაასაბუთეთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მისიებში მონაწილეობას?
- ივარაუდეთ, როგორ შეიძლება შეიცვალოს გლობალური გარემო მომავალში საერთაშორისო მისიების გაძლიერების ან შემცირების შემთხვევაში?

სასარგებლო რესურსები



III თემა

საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება

9. ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება

იმსჯელეთ

- გაიხსენეთ, რას გულისხმობს უსაფრთხოება? რატომ არის მნიშვნელოვანი?
- უსაფრთხოების რომელი წესები იცით და იცავთ სახლში, სკოლაში ან ქუჩაში?
- გსმენიათ თუ არა საქართველოში მომხდარი რომელიმე სტიქიური შემთხვევის შესახებ? მოიყვანეთ მაგალითები.
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რა მიიჩნევა ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციად? რა კავშირი აქვს უსაფრთხოებასთან?
- როგორ ფიქრობთ, ვინ და როგორ მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების მართვაში?
- თქვენი აზრით, როგორ გამოიყენებთ საგანგებო სიტუაციების შესახებ ცოდნას?

საგანგებო სიტუაციების ზოგადი დახასიათება



საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, შეინიშნება საგანგებო სიტუაციების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეულია სახიფათო ბუნებრივი მოვლენებით, სტიქიური უბედურებებით, ავარიებითა და კატასტროფებით. ასევე იზრდება აღნიშნული შემთხვევებით გამოწვეული ზარალი, რომელსაც თან ახლავს ადამიანთა დაზიანება და მსხვერპლი. ზიანი ადგება გარემოსაც. აქედან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება და შედეგების აღმოფხვრა საქართველოსთვის აქტუალურ პრობლემად რჩება.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

2015 წლის წყალდიდობა მდინარე ვერეს ხეობაში

2015 წლის 13-14 ივნისის ღამეს მდინარე ვერეს ხეობა ძლიერი და ხანგრძლივი წვიმის შედეგად ადიდდა. სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა თბილისი: დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, გზები და ინფრასტრუქტურა. წყალდიდობამ და მეწყერმა დაანგრია გზები, ხიდები და კომუნიკაციები. დაზიანდა თბილისის ზოოპარკი, საიდანაც გარეული ცხოველების ნაწილი გაიქცა. სტიქიის შედეგად დაიღუპნენ ადამიანები, ბევრი მოქალაქე კი უსახლკაროდ დარჩა.

კრიზისის პირველივე საათებიდან დაიწყო სამაშველო ოპერა-

ციები. სამაშველო სამსახურების მხარდასაჭერად და დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საზოგადოება აქტიურად ჩაერთო – ასობით მოხალისე გამოვიდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ორგანიზებულად მონაწილეობდნენ სამაშველო და დასუფთავების სამუშაოებში. სიტუაცია იმდენად რთული და მასშტაბური იყო, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამსახურების რესურსი საკმარისი აღარ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კრიზისის მართვაში ჩაერთო საქართველოს თავდაცვის ძალები. სამხედროებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულეს: მათ გაიყვანეს მოსახლეობა საფრთხის ზონიდან, მონაწილეობდნენ დაკარგული ადამიანების ძებნა-გადარჩენაში;



გაწმინდეს გზები ტალახისა და ნანგრევებისგან; გამოიყენეს საინჟინრო ტექნიკა დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად; დაეხმარნენ ადგილობრივ მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარების გადანაწილებაში.

ვერეს ხეობის წყალდიდობამ აჩვენა, რომ ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოების, ისე თავდაცვის ძალების ჩართულობა სამაშველო სამსახურების მხარდასაჭერად.

შეკითხვები

- როგორ არის დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფა მოსახლეობის უსაფრთხოებასთან?
- ახსენით, რატომ გახდა აუცილებელი საქართველოს თავდაცვის ძალების ჩართვა?
- დაასაბუთეთ, რატომ ასრულებენ სამხედრო ძალები მნიშვნელოვან როლს ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს?
- დაასაბუთეთ, რატომ არის აუცილებელი სხვადასხვა უწყების თანამშრომლობა საგანგებო სიტუაციების დროს?
- თქვენი აზრით, წყალდიდობისას რა წესების ცოდნაა მნიშვნელოვანი ?
- თქვენი აზრით, რატომ უნდა იცოდეს თითოეულმა მოქალაქემ უსაფრთხოების ძირითადი წესები? პასუხი დაასაბუთეთ.

საგანგებო სიტუაცია – გარკვეულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე შექმნილი ისეთი ვითარება/ვითარებათა ერთობლიობა, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას ან/და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი და მსხვერპლი.





საგანგებო სიტუაცია შეიძლება გამოწვეული იყოს:

- მასშტაბური სამრეწველო ავარიით;
- ხანძრით;
- სტიქიური უბედურებით;
- ეპიდემიით;
- ეპიზოოტიით (ინფექციური დაავადების ფართოდ გავრცელება ცხოველებში);
- ეპიფიტოტიით (მცენარეების ინფექციური დაავადების ფართო გავრცელება, რაც მოიცავს ერთ რომელიმე რეგიონს, ქვეყანას ან კონტინენტსაც კი) ან საბრძოლო საშუალებების გამოყენებით.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები საფრთხეს უქმნის/შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

საგანგებო სიტუაციები, წყაროს ხასიათის მიხედვით, შეიძლება იყოს ბუნებრივი და ტექნოგენური.

საგანგებო სიტუაციები წყაროს ხასიათის მიხედვით

ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაცია

ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაცია





ორივე შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დაცვა და რეაგირება ევალება სხვადასხვა უწყებას:

შინაგან საქმეთა სამინისტრო (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეშვეობით) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას. აფრთხილებს მოსახლეობას და ასრულებს სამაშველო ოპერაციებს, ევაკუაციასა და სხვ.

საქართველოს თავდაცვის ძალები – საგანგებო სიტუაციებში თავდაცვის ძალები ერთვება მაშინ, როდესაც საჭიროა დიდი რესურსი, ტექნიკა და ორგანიზებული მოქმედება. ჯარი უზრუნველყოფს დაზარალებული მოსახლეობის ევაკუაციას, აწყობს დროებით თავშესაფრებს, წმენდს/აღადგენს გზებსა და ხიდებს, აწვდის მოსახლეობას ჰუმანიტარულ დახმარებას, იცავს წესრიგს და იყენებს სპეციალურ ტექნიკას სტიქიის ზონაში. მაგალითად, წყალდიდობის ან ძლიერი თოვლის დროს სამხედროები ხშირად ერთვებიან სამაშველო სამუშაოებში და ეხმარებიან მოსახლეობას.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მოსახლეობას უწევს ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებას.

საგანგებო სიტუაციის დროს მხოლოდ ერთი უწყება ვერ შეძლებს ყველაფრის მართვას. ეფექტური ქმედება მიიღწევა მაშინ, როცა სახელმწიფო სტრუქტურები და მოქალაქეები ერთად და შეთანხმებულად მოქმედებენ. სწორედ ეს ამცირებს მსხვერპლსა და ზიანს. ამიტომაც საგანგებო სიტუაციების ეფექტურ მართვაში დიდი წვლილი აქვს მოსახლეობის ჩართულობას. ეფექტური მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია მოსახლეობის მხრიდან საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების ცოდნა და მათი ზედმიწევნით დაცვა.



განვიხილოთ მოსახლეობის მოქმედების თანმიმდევრობა ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ძირითადი საგანგებო სიტუაციების მოლოდინის, მისი განვითარებისა და შემდგომ პერიოდში.

საგანგებო სიტუაციების დროს

- შევინარჩუნოთ სიმშვიდე, რათა ჩვენი ქცევით არ გამოვიწვიოთ პანიკა
- რაიმე სახის შეტყობინების (სირენები, ხმამაღლა მოლაპარაკეები, საპატრულო მანქანები და სხვ.) გაგების შემთხვევაში ჩავრთოთ ტელევიზორი ან რადიომიმღები და მოვისმინოთ ინფორმაცია, თუ რა მოხდა (ან შეიძლება მოხდეს) და როგორ უნდა ვიმოქმედოთ
- შევეხმიანოთ მეზობლებს, რადგან შეიძლება მათ არ მოუსმენიათ აღნიშნული ინფორმაცია
- მოვერიდოთ ტელეფონით სარგებლობას, რადგან ეს იწვევს სატელეფონო ხაზების გადატვირთვას

ისტორიიდან

საგანგებო სიტუაციების მართვის ისტორია

ჯერ კიდევ უძველეს დროში საქართველოში დიდი სამუშაოები ტარდებოდა სტიქიური უბედურებების შედეგების აღმოსაფხვრელად. დავით აღმაშენებელმა სტიქიასთან საბრძოლველად საგანგებო მაშველი რაზმი ჩამოაყალიბა და გაწვრთნა. მან მოაწყო საგანგებო საავადმყოფო – ქსენონი, სადაც მკურნალობდნენ სტიქიისაგან დაზარალებულ და დაავადებულ ადამიანებს.

დავითის მეფობის ხანაში საქართველოში შეიქმნა მკურნალთა რაზმი, რომელიც

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა და სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: მაშველთაგან, მკურნალთა და მშენებელთაგან. თამარ მეფის ხანაში კი აღნიშნული მაშველთა და მკურნალთა რაზმი კიდევ უფრო გაფართოვდა – მას სახელმწიფოებრივი სტატუსი მიენიჭა. რაზმი სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად აღჭურვილი იყო აუცილებელი ტექნიკით და სისტემატურად გადიოდა წვრთნას.

ძველ დროში ადამიანები მიმართავდნენ სხვადასხვა საგანგებო თუ სამაშველო ღონისძიებას. ისინი არა მხოლოდ დიდი ყურადღებითა და სიზუსტით აგებდნენ თავდაცვით ნაგებობებს (გალავნები, ციხე-ბურჯები, ციხე-კოშკები, გოდოლები), არამედ მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული მოსახლეობის შეტყობინების სამსახური, რომელსაც ევალებოდა როგორც მოსახლეობის ინფორმირება მტრის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, ისე ჯარის შეგროვება დანიშნულ ადგილას. მოსახლეობას ატყობინებდნენ, ანუ განგაშს აცხადებდნენ, ციხე-კოშკების სათვალთვალო-საყარაულო ბორცვებზე ცეცხლის დანთებით. კვამლის ფერი მოსახლეობას ანიშნებდა, რა სახის საშიშროება იყო მოსალოდნელი. ასევე წინასწარ იყო განსაზღვრული დაცვის დროს ციხე-ქალაქებში ადამიანთა შესვლისა და განთავსების წესები, საკვებისა და წყლის რაოდენობები.

ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები



ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციაში იგულისხმება საშიში ბუნებრივი მოვლენა ან სტიქიური უბედურება, რომელსაც თან ახლავს ადამიანთა მსხვერპლი და ბუნებრივი გარემოს დაზიანება, აგრეთვე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა ცხოვრების პირობების დარღვევა. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბუნებრივი ხასიათის ის საგანგებო სიტუაციები, რომლებიც საქართველოსთვის დამახასიათებელია. სწორედ ასეთ საგანგებო სიტუაციად მიიჩნევა წყალდიდობა.

წყალდიდობა



წყალდიდობა – თოვლის დნობის, კოკისპირული წვიმების, წყლის ქარისმიერი მოდინების შედეგად მდინარეების, ტბების ან ზღვის წყლის დონის აწევა და მნიშვნელოვანი ტერიტორიის დატბორვა.

წყალდიდობის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ჰიდროტექნიკური ხასიათის ავარიები და ზღვის რყევა. ეს უკანასკნელი ტერიტორიების დატბორვასთან ერთად წამლეკი ტალღის მოვარდნის შედეგად მასშტაბურ ნგრევებს იწვევს. შესაბამისად, მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს უსაფრთხოების წესებისა და საჭირო ქმედებების შესახებ. ქვემოთ წარმოდგე-

ნილია ზოგადი მიდგომები, რომელთა შესრულება სიტუაციის შესაბამისად რეკომენდებულია.



⚠ უსაფრთხოების წესები წყალდიდობამდე

თუ ჩვენი ქალაქი/სოფელი წყალდიდობისგან ხშირად ზარალდება:

- უნდა ვიცოდეთ დატბორვის საზღვრები;
- უნდა ვიცოდეთ საცხოვრებელთან ახლოს მდებარე შემაღლებული ადგილები, რომლებიც იშვიათად იტბორება და მათთან მისასვლელი გზები;
- წინასწარ უნდა გვქონდეს მომარაგებული ნავებისა და ტივების დასამზადებლად საჭირო მასალები; წინასწარ უნდა შევადგინოთ ევაკუაციის დროს თან წასაღები საბუთების, ნივთებისა და მედიკამენტების ჩამონათვალი;
- ჩანთაში უნდა გვქონდეს ჩაწყობილი საჭირო ტანსაცმელი, პროდუქტების, წყლისა და მედიკამენტების მარაგი.



⚠ წყალდიდობის დროს

- შეტყობინების სიგნალის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა დავტოვოთ შესაძლო კატასტროფული დატბორვის ზონა და უსაფრთხო რაიონში გადავიდეთ;
- თან უნდა წავიღოთ რამდენიმე დღის სამყოფი კვების პროდუქტები, წყლის, მედიკამენტებისა და საჭირო ნივთების მარაგი;
- თუ შეგვიძლია, ძვირფასი საოჯახო ნივთები ავიტანოთ სახლის ზედა სართულებზე;
- პირველი სართულის ფანჯრები და კარები გარედან ფიცრებით უნდა ავჭედოთ;
- აუცილებელია შინაური ცხოველების ევაკუირებაც.



⚠ დატბორვის მოულოდნელად დაწყების შემთხვევაში:

- სასწრაფოდ უნდა დავიკავოთ ამაღლებული ადგილი;
- თუ ვიმყოფებით წყალში, ტალღის მოახლოებისას უნდა ჩავყვინთოთ ღრმად და გარკვეული დაყოვნების შემდეგ ამოვყვინთოთ;
- წყალში მოხვედრისას ცურვით ან მცურავი საშუალებების გამოყენებით უნდა გამოვიდეთ მშრალ ადგილზე;
- მცურავი საშუალებების უქონლობის შემთხვევაში ვცადოთ მარტივი მცურავი საშუალების მომზადება;










- წყალში მოხვედრის შემთხვევაში ვცადოთ მძიმე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოშორება;
- ყურადღებით უნდა ვიყოთ წყალზე მოტივტივე საგნების მიმართ (შეჯახება და ტრავმა თავიდან ავიცილოთ);
- თუ ტარდება ორგანიზებული ევაკუაცია, მაშველების მოსვლამდე უნდა ავიდეთ შენობის ზედა სართულებზე, სახურავზე, ხეებსა და სხვა შემაღლებულ ადგილებზე;
- განუწყვეტლივ უნდა გადავცეთ სიგნალი უბედურების შესახებ: დღისით გამოვფინოთ კარგად ხილვადი ქსოვილის ნაჭერი, ხოლო დაბნელებისას – ვისარგებლოთ შუქსიგნალით;
- მაშველების მოსვლისას პანიკის გარეშე გადავიდეთ მცურავ საშუალებებში ან შვეულმფრენებში და შევასრულოთ მათი მოთხოვნები და მითითებები.

წყალდიდობის შემდეგ

- შენობაში შესვლამდე შევამოწმოთ, არსებობს თუ არა მისი ჩამოქცევის საშიშროება;
- არ ვისარგებლოთ ელექტროხელსაწყოებით, რომლებიც წყალში მოხვდა;
- უნდა შემოწმდეს, დაზიანდა თუ არა ელექტრო-გაყვანილობის, გაზისა და წყლის გაყვანილობის სისტემები;
- არ მივიღოთ საკვები პროდუქტები, რომლებსაც წყალთან ჰქონდა შეხება;
- არ დავლიოთ ადგილობრივი წყალი ადუღების გარეშე.

მიწისძვრა




მიწისძვრა – დედამიწის ქერქში ან ზედა მანტიაში სეისმური ფილაქნების უეცარი გადაადგილებით ან რღვევით გამოწვეული მიწისქვეშა ბიძგები და დედამიწის ზედაპირის რყევა, რომელიც დიდ მანძილზე გადაიცემა დრეკადი რყევების (ტალღების) სახით.

უსაფრთხოების წესები მიწისძვრის დროს, თუ შენობაში ვიმყოფებით

- პირველი ბიძგების შეგრძნებისას არ უნდა ჩავვარდეთ პანიკაში;
- პირველ სართულზე მცხოვრებლებმა შესაძლოა დავტოვოთ ბინები. სავარაუდოდ, ნგრევა 15-20 წამში დაიწყება;

საქართველოს ალბათური სეისმური საფრთხე 50 წელიწადში 10%-იანი გადაჭარბების ალბათობით, გამოსახული გრუნტის მაქსიმალური აჩქარებით (PGA)



წყარო: დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (https://doi.org/10.1785/0220190331)

- მე-2 სართულზე მაღლა მცხოვრებნი უნდა გადავიდეთ შედარებით უსაფრთხო ადგილებში – კუთხის შიდა კაპიტალურ (მზიდ) კედელთან, კაპიტალური (მზიდი) კედლის კარების ღიობში ან შენობის სვეტებთან;
- მოვერიდოთ ფანჯრებს, თავი დავიცვათ შუშის ნამსხვრევებისა და ჩამოცვენილი ნივთებისაგან;
- ხელებით დავიფაროთ თავი და ჩავიმუხლოთ, შევეცადოთ თავი შევაფაროთ საწოლს ან მაგიდას, რომელიც დაგვიცავს მძიმე საგნებისა და ნამსხვრევებისაგან;
- უნდა გვახსოვდეს, რომ შენობაში ყველაზე დაუცველი ადგილები არის ლიფტი, კიბეები და აივნები.



⚠ თუ მიწისძვრისას ქუჩაში ვიმყოფებით

- გადავიდეთ ღია ადგილას;
- გავერიდოთ შენობებს;
- გავერიდოთ ელექტროგადამცემ ხაზებს;
- გავერიდოთ მილსადენებს;
- გავერიდოთ ხიდებს.

⚠ თუ ტრანსპორტში ვიმყოფებით ან ვმართავთ სატრანსპორტო საშუალებას

- გავაჩეროთ სატრანსპორტო საშუალება;
- მოვერიდოთ მაღალ შენობებს, ელექტროხაზებს, მილსადენებს, ხიდებს;
- გაჩერებისთანავე გავაღოთ ყველა კარი;
- არ დავტოვოთ სატრანსპორტო საშუალება რყევების დამთავრებამდე;



- არ შევქმნათ პანიკა;
- შეძლებისამებრ დავეხმაროთ მოხუცებსა და ბავშვებს.



მიწისძვრის შემდეგ

- პირველ ყოვლისა, შეძლებისამებრ დავეხმაროთ დაშავებულებს;
- შენობაში შესვლამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ არ არის კიბეების, კედლებისა და გადახურვების ჩამონგრევის საშიშროება;
- სახლში დაბრუნებისას არ ავანთოთ ასანთი, არ ჩავრთოთ ელექტრონათურა, ელექტროხელსაწყოები, გაზი, არ გამოვიყენოთ წყალგაყვანილობა, კანალიზაცია;
- არ დავლიოთ წყალი შესაბამისი სამსახურების მიერ მისი შემოწმებისა და ნებართვის გარეშე;



- უნდა ვიცოდეთ, რომ ძლიერი მიწისძვრის დროს ბიძგები მეორდება;
- ყველაზე საშიშ პერიოდად ითვლება მიწისძვრიდან 2-3 საათი; რაც უფრო დიდი დროა გასული პირველი მიწისძვრიდან, მით უფრო ნაკლებია განმეორებითი ბიძგების ალბათობა;
- ყურადღებით მოვისმინოთ საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

მეწყერი

მეწყერი – სიმძიმის ძალის გავლენით მთის ქანებისა და გრუნტის დაძვრა და ცოცვით გადაადგილება ზღვის, ტბის ნაპირებზე, მდინარეების ხეობებში, მთის ციცაბო კალთებსა და ფერდობებზე.

მეწყერსაშიში ზონები საქართველოში



გრუნტის მასების გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს შენობების, საინჟინრო და საგზაო ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება და რღვევა, აგრეთვე ადამიანების დაშავება და მსხვერპლი.



უსაფრთხოების წესები მეწყრამდე

- უნდა გვქონდეს ინფორმაცია მეწყრის შესაძლო წარმოქმნის ადგილებისა და მათი საზღვრების შესახებ;
- უნდა აიკრძალოს დამეწყრილ ადგილებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით ნიადაგის გაფხვიერება;

- დასაშვებია დამეწყრილი ადგილების მცენარეული საფრითა და ხის ნარგავებით განაშენიანება;
- დამეწყრილ უბნებს წყალგამყვანი და სადრენაჟო არხებით უნდა ავაცილოთ გრუნტისა და ატმოსფერული ნალექების შედეგად ნაწრეტი წყლები.



მეწყრის დაწყების ნიშნებია: შენობათა კედლებზე ბზარების გაჩენა, კარებისა და ფანჯრების გაჭედვა, გზებზე ნაპრალებისა და ბზარების გაჩენა, მეწყერსაშიშ ფერდობებზე წყლის გაჟონვა.

⚠ მეწყრის დროს

შესაძლო მეწყრის შესახებ სიგნალის მიღებისთანავე:



- უნდა გამოირთოს ბუნებრივი აირი, ელექტრომოწყობილობები და წყალმომარაგების სისტემა;
- მოვემზადოთ დაუყოვნებლივი ევაკუირებისთვის;
- თუ 24 საათის განმავლობაში მეწყერი 0,5-1 მეტრზე მეტ მანძილზე გადაადგილდა, საჭიროა დაუყოვნებელი ევაკუაცია;
- ევაკუაციის დროს თან წავიღოთ დოკუმენტები და აუცილებელი საჭიროების ნივთები (საკვები, ტანსაცმელი, ა.შ.).
- მივყვეთ შესაბამისი სპეციალური საევაკუაციო სამსახურების ინსტრუქციებს;



- გავერიდოთ მეწყრულ ზონას;
- შეძლებისამებრ დავეხმაროთ მეზობლებს, ბავშვებს, მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს;
- შევატყობინოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ელექტროსადენების, გზების, სარკინიგზო მაგისტრალების დაზიანების ფაქტების შესახებ.


⚠ მეწყრის შემდეგ

გადარჩენილ შენობა-ნაგებობებში უნდა შემოწმდეს:



- კედლებისა და გადახურვის მდგომარეობა;
- ელექტრომომარაგების, გაზისა და წყალმომარაგების ქსელების მდგომარეობა;
- ჩამონაქცევების ქვეშ მოყოლილი ადამიანების მდგომარეობა და შემუშავდეს მათი გამოყვანის გეგმა.

მეწყერი შეიძლება წარმოიქმნას ძლიერი წვიმების, გრუნტის წყლების დაგროვების, ეროზიის გამო, ფერდობის ქანებს შორის შეჭიდების შესუსტებისა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად. მეწყერს იწვევს ასევე მიწისძვრებით გამოწვეული მოვლენები.



როგორია მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები?

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებია:

- ღრმაფესვიანი ხეების დარგვა;
- დამცავი საინჟინრო ნაგებობების მოწყობა;
- ნიადაგის დაშრობის მიზნით წყალსაწრეტი არხების მოწყობა;
- მეწყერსაშიში ფერდობის (ზონის) განტვირთვა.


ღვარცოფი



ღვარცოფი – წყლისა და დიდი ოდენობით მთის ქანების ნაშალის (ნამსხვრევების), თიხოვანი ნაწილაკების, დიდი ქვებისა და ლოდების ნარევის დროებითი ნაკადი, რომელიც უეცრად წარმოიშობა მთის მდინარეების კალაპოტებსა და ველდაბლობებში.

უსაფრთხოების წესი ღვარცოფამდე

მთაში გამგზავრებამდე წინასწარ უნდა შევისწავლოთ მოძრაობის მარშრუტებზე ღვარცოფის შესაძლო მოვარდნის ადგილები და თავი ავარიდოთ მათ, განსაკუთრებით, უხვი წვიმების შემდეგ.



წინასწარი ღონისძიებები ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად:

ღვარცოფის რაიონებში უნდა აშენდეს ღვარცოფის საწინააღმდეგო ჯებირები, დამბები, ღვარცოფჩამხშობი და ღვარცოფგამტარი ნაგებობები; სისტემატურად ჩატარდეს ღვარცოფის მყარი გამონატანისაგან კალაპოტის წმენდისა და გაღრმავების სამუშაოები; გაკეთდეს შემოვლითი არხები; ხეების დარგვის გზით ფერდობებზე მიწის გამაგრების სამუშაოები შესრულდეს; ჩატარდეს დაკვირვებები; შეიქმნას შეტყობინებების სისტემა და დაიგეგმოს ევაკუაცია.



ღვარცოფის ჩამოსვლის დროს

ღვარცოფული ნაკადის მოახლოების შესახებ საგანგებო (გამაფრთხილებელი) სიგნალის ან ღვარცოფისათვის დამახასიათებელი ხმაურის შემთხვევაში:

- სასწრაფოდ გადავიდეთ დაბლობიდან (წყალშემკრებიდან) მაღლობზე, ნაკადის მიუწვდომელ ადგილზე;

- ევაკუაციის დროს თან წავიღოთ საბუთები და პირველადი საჭიროების ნივთები (საკვები, ტანსაცმელი, ა.შ.);
- შევინარჩუნოთ სიმშვიდე და მივყვეთ მაშველების მითითებებს.



კარმადონის მყინვარწვერის ჩამოშლა (ჩრდილოეთ კავკასია). 2002წ.

⚠ ღვარცოფის შემდეგ

- შეგვიძლია აღმოვუჩინოთ დახმარება დაზარალებულებს;
- შეგვიძლია დავეხმაროთ სამაშველო ძალებს ჩამონაქცევებისა და ხერგილების გაწმენდაში.

საქართველოში განსაკუთრებით აქტიურად ითვლება:

- მდ. დევდორაკის ხეობა – მდ. თერგის მარცხენა შენაკადი (დარიალის უბანი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი);
- მდ. დურუჯი – მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი (ყვარლის მუნიციპალიტეტი);
- გომბორის საუღელტეხილო გადასასვლელის მეწყრები – მდ. გომბორულასა და მდ. თურდოს შორის, ასევე ღვარცოფული მოვლენები საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტებში;
- მდ. ივრის მარცხენა შენაკადები – ანთოკის ხევი, თვალთხევი და ჩაილურის ხევი (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი);
- ხოკოს მეწყერი, ენგურის წყალსაცავი (ჯვარი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

2014წ. 17 მაისს ამალი-დევდორაკის ხეობაში წარმოიქმნა ღვარცოფული ნაკადი, რომელიც განმეორდა 20 მაისს. შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი, დაიკეტა ცენტრალური საავტომობილო გზა და ჩამოტანილი მასით დაიფარა საბაჟო-გამშვები პუნქტი.

შოვის ტრაგედია – ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური უბედურება. 2023 წლის 3 აგვისტოს, 16:00 საათზე, კურორტ შოვის ტერიტორიაზე ჩამოწვა ღვარცოფი, რასაც შეეწირა 32 ადამიანის სიცოცხლე. 29 აგვისტოს კი სტიქიური უბედურების ზონაში სამაშველო სამუშაოების შესრულების დროს დაიღუპა ერთი სამხედრო პირი.

ტრაგედიის მიზეზი გახდა ბუბისწყლის ხეობაში სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექების მოსვლა წვიმის სახით, სათავეებში კლდეზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესები და ღვარცოფის გავლა) თანხვედრა, რამაც გამოიწვია ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება.



მდ. დევდორაკის ხეობა. 2011 წ.



შოვის ტრაგედია. 2023 წ.

ზვავი

ზვავის წარმოქმნის პროცესი



ზვავი – თოვლის დიდი მასა, რომელიც მოგორავს ან მოსრიალებს მთების ციცაბო ფერდობებიდან სიმძიმის ძალის ზემოქმედებით 20-30 მ/წმ სიჩქარით. ზვავის ჩამოწოლის დროს წარმოიქმნება ჰაერის ტალღა, რომელიც წინ მოუძღვება თოვლის მასას და ხასიათდება დამანგრეველი მოქმედებით.

⚠ უსაფრთხოების წესები ზვავის ჩამოწოლამდე

- არ წავიდეთ მთაში ავდრისა და თოვის დროს;
- ყურადღება მივაქციოთ ამინდის ცვლილებას;
- მთაში წასვლისას უნდა ვიცოდეთ მგზავრობის რაიონში ზვავის შესაძლო ჩამოწოლის ადგილები და თავი ავარიდოთ მათ;
- ყველაზე ზვავსაშიში პერიოდია გაზაფხულისა და ზაფხულის ნათელი დღე, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

⚠ ზვავსაშიშ ზონაში

- ყურადღება მივაქციოთ ამინდის ცვალებადობას;
- მთაში წასვლისას აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ჩვენს მარშრუტზე არსებული შესაძლო ზვავსაშიში ზონების შესახებ;
- თავი ავარიდოთ ზვავსაშიშ ადგილებს;
- ყველაზე ზვავსაშიში პერიოდია გაზაფხულისა და ზაფხულის მზიანი და თბილი დღეები.

⚠ ზვავის ჩამოწოლის შემთხვევაში

- დაუყოვნებლივ დავტოვოთ სახიფათო ადგილი და გადავინაცვლოთ უფრო უსაფრთხო ადგილას;
- თუ არ შეგვიძლია, თავი დავაღწიოთ ზვავს;
- შევეცადოთ ამოვეფაროთ მყარ ნაგებობებს ან რელიეფის ფორმებს;
- ტანსაცმლით, შარფით დავიფაროთ სასუნთქი ორგანოები (ცხვირი და პირი);
- დავწვეთ მიწაზე თავით ზვავის ჩამოსვლის მიმართულებით, ხელებით დავიფაროთ თავი;
- თუ ზვავმა აგვიტაცა, გავაკეთოთ ცურვითი მოძრაობები, რათა დავრჩეთ ზედაპირზე.

⚠ თოვლში მოყოლის შემთხვევაში

- მოვიხაროთ, მუხლები მუცელზე მივიდოთ და მჭიდროდ დავიჭიროთ ფეხები (მივიღოთ თოვლ-

ის გუნდის ფორმა). მნიშვნელოვანია, რომ თოვლმა არ ამოქოლოს სასუნთქი გზები;

- დავიცვათ სასუნთქი გზები ხელთათმანებით, შარფით ან საყელოთი და დაველოდოთ ზვავის შეჩერებას;
- მაქსიმალურად დავზოგოთ ძალები, ვეცადოთ გამოვიდეთ ზედაპირზე თოვლის დატკეპნის საშუალებით;
- არ ვიყვიროთ, თოვლი მთლიანად ახშობს ჩვენს ხმას;
- გვახსოვდეს, რომ მაშველები გვეძებენ.



ეს საინტერესოა

ზვავები განსაკუთრებით ხშირი იყო და არის სვანეთში. აქ უძველესი დროიდან თავდაცვის მიზნით აგებდნენ სვანურ კოშკებს, რომლებიც ზვავს კუთხეებით უპირისპირდებოდა. შედეგად, ზვავი კოშკებს ვერ ანგრევდა და მთელი სოფელი მშვიდობიანად გამოიზამთრებდა ხოლმე.



პრაქტიკული აქტივობა

შეარჩიეთ ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი) ერთ-ერთი და მასთან დაკავშირებით მოამზადეთ სოციალური მედიისთვის პოსტი.

პოსტის შესაქმნელად გამოიყენეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- აღწერეთ, რა საფრთხეებს ქმნის შერჩეული სტიქიური მოვლენა;

- განსაზღვრეთ, ვის, რა ობიექტებსა და ინფრასტრუქტურას შეიძლება მიადგეს ზიანი;
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები, როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები სტიქიამდე, სტიქიის დროს და მის შემდეგ;
- ახსენით, რომელი სამსახურები და უწყებები უზრუნველყოფენ დახმარებას და რა ფორმით;
- დაასაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მოსახლეობის ინფორმირება და მზადყოფნა მსგავსი საფრთხეების დროს.



თოვლის ნამქერი

თოვლის ნამქერი – დიდთოვლობასთან დაკავშირებული ჰიდრომეტეოროლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურება, როდესაც, ქარის დიდი სიჩქარის შემთხვევაში, თოვა 12 საათზე მეტ ხანს გრძელდება.

ქარბუქი – ქარის მიერ თოვლის გადატანა ჰაერის მიწისპირა ფენაში.



⚠ უსაფრთხოების წესები ქარბუქამდე

- მჭიდროდ დავხუროთ ფანჯრები, კარები, სავენტილაციო მილები და სხვენის ლიუკები;
- ფანჯრის მინებზე დავაკრათ ქაღალდის ლენტები, დავხუროთ დარაბები;
- მოვამზადოთ წყლის, საკვების, მედიკამენტების, საწვავის გარკვეული მარაგი;
- მწყობრში მოვიყვანოთ ავტონომიური განათების საშუალებები (ფარნები, ნავთის ლამპები, გენერატორები);
- ავალაგოთ ფანჯრებიდან და აივნებიდან ნივთები, რომლებიც შეიძლება ქარის ნაკადმა აიტაცოს;
- ინფორმაციის მისაღებად ჩავრთოთ რადიომიმღები ან ტელევიზორი;
- ნაკლებად მყარი ნაგებობიდან გადავიდეთ უფრო მყარ შენობაში;
- მოვამზადოთ თოვლის საწმენდი ინსტრუმენტები.



⚠ ქარბუქის დროს

- შენობიდან გასვლა რეკომენდებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (მარტო გასვლა საერთოდ დაუშვებელია);

- ავტომობილით მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მაგისტრალებსა და გზებზე, რომლებიც მუდმივად იწმინდება თოვლის საფრისაგან;
- მანქანის გაჩერების შემთხვევაში, ძრავა უნდა დარჩეს ჩართული, გვერდითი საქარე მინა ოდნავ ჩამოწეული – ვენტილაციისათვის;
- დასახლებულ პუნქტში ფეხით გადაადგილების დროს, ორიენტაციის დაკარგვის შემთხვევებში, ადგილსამყოფლის დასაზუსტებლად სასურველია, ვესტუმროთ პირველსავე შემხვედრ სახლს და იქ დაველოდოთ ქარბუქის დასრულებას.



⚠ ქარბუქის შემდეგ

- ნამქერისაგან ბლოკირებულ შენობაში ყოფნისას ფრთხილად, პანიკის გარეშე გავარკვიოთ: შესაძლებელია თუ არა შენობიდან დამოუკიდებლად გამოსვლა;
- შევატყობინოთ პოლიციას ან დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციას ნამქერის შესახებ;
- თუ ნამქერის გაწმენდა ვერ ხერხდება, უნდა დავუკავშირდეთ სამაშველო სამსახურს;
- მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ სითბო და სურსათის მარაგი ეკონომიურად გავხარჯოთ.



ძლიერი სიცხე

ძლიერი სიცხე – გარკვეულ ტერიტორიაზე ნალექების ხანგრძლივი დროით ნაკლებობა, ხშირად მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ტენიანობის პირობებში. ხასიათდება რამდენიმე დღის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურის 10 და მეტი გრადუსით აწევით.



საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის დასიცხვა, როდესაც თერმორეგულაცია მკვეთრად ირღვევა და მისი სხეულის ტემპერატურა 39 გრადუსამდე იზრდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო მეტსაც აღწევს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მზის დაკვრა ან გულის ფუნქციონირების დარღვევა.



დასიცხვის სიმპტომებია: კანის გაწითლება, ლორწოვანი გარსის სიმშრალე, ძლიერი წყურვილი. შემდგომ შესაძლოა გრძნობის დაკარგვა, გულისა და სუნთქვის გაჩერება.

ძლიერი სიცხის მოლოდინში

- მოვიმარაგოთ დამატებითი ჭურჭელი და, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ ავავსოთ წყლით;
- მოვამზადოთ სიცხის პირობებისათვის შესაფერისი ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები (მაგალითად, ჰაერის გამაგრილებლები).

ძლიერი სიცხის დროს



- მოვერიდოთ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას;
- გამოვიყენოთ ღია ფერის ჰაერგამტარი ფეხსაცმელი და ქუდი;
- ვიაროთ აუჩქარებლად და შევეცადოთ უფრო ხშირად ჩრდილში ვიყოთ;
- დასიცხვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეთ გრილ ადგილას (ჩრდილში) ან მივიღოთ შხაპი;
- ნელ-ნელა დავლიოთ ბევრი წყალი და ვეცადოთ ტანის გაგრილებას;
- თუ მზის დაკვრის შედეგად ვინმემ გრძნობა დაკარგა, გადავიყვანოთ გრილ ადგილას, გავაგრილოთ ნებისმიერი საშუალებით და დავრეკოთ 112-ზე.

ძლიერი სიცხის შემდეგ

- დავუკავშირდეთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს სტიქიური უბედურებისა და შემდგომი მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად;
- ვეცადოთ, მზადყოფნა შევინარჩუნოთ დიდი ხნის განმავლობაში, ვინაიდან სტიქია შეიძლება განმეორდეს.

ლიპყინულიანობა



ლიპყინული – მკვრივი ყინულის ფენა, რომელიც წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზე, გზის სავალ ნაწილსა და საგნებზე წვიმის წვეთებისა და ნისლის გაყინვის შედეგად.

ლიპყინულიანობამდე

- მოვამზადოთ ნაკლებად სრიალა ფეხსაცმელი;
- ფეხსაცმლის ქუსლებზე დავამაგროთ ლითონის

ქუსლსაკრავები;

- ფეხსაცმლის მშრალ ძირებს დავაკრათ ლეიკოპლასტირი ან საიზოლაციო ლენტი.

⚠ ლიპყინულიანობის დროს



- ვიაროთ ფრთხილად, აუჩქარებლად, ფეხი დავადგათ მთელი ტერფით;
- ხელები გვქონდეს თავისუფალი;
- ხანდაზმული ადამიანებისათვის რეკომენდებულია რეზინის ბუნიკიანი ხელჯოხით ან სპეციალური წვეტიანი ჯოხით სიარული;
- თუ ფეხი დაგვიცურდა, ჩავიმუხლოთ, რათა შემცირდეს ვარდნის სიმაღლე;
- გადაადგილება უმჯობესია ჯგუფ-ჯგუფად, რათა შესაძლო დაცემისას დარტყმა შერბილდეს.

ბუნიკი – საგნის ბოლოზე წამოსაცმელი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლითონის ნივთი.

ქარიშხალი




ქარიშხალი – ხანგრძლივი ძალიან ძლიერი ქარი, რომლის სიჩქარე 20მ/წმ-ს აღემატება. ქარიშხალი, ჩვეულებრივ, ციკლონის გავლის დროს აღინიშნება და ზღვაზე ძლიერ ღელვას, ხმელეთზე კი – ნაგებობების ნგრევას იწვევს.

⚠ უსაფრთხოების წესები ქარიშხლის დროს

სახლის პირობებში



- გავამაგროთ შენობა-ნაგებობები, სახურავები, ცალკეული კონსტრუქციები;
- მჭიდროდ დავკეტოთ ყველა კარი, ფანჯარა, სხვენი;
- ფანჯრის რაფებიდან ავიღოთ და შევინახოთ ყვავილები, სურები, მორთულობები, ყველა საგანი, რომელიც შეიძლება ჩამოვარდეს;
- ჩამოვაფაროთ ფარდა და მოვცილდეთ ფანჯარას;
- გადავკეტოთ ბუნებრივი აირი, გავჩერდეთ სახლში შედარებით უსაფრთხო ადგილას (უმჯობესია სარდაფში სწრაფად ჩასვლა);
- მოვამზადოთ წყლისა და საკვები პროდუქტების მარაგი 2-3 დღისთვის;



- სწრაფად გადავიდეთ შედარებით უსაფრთხო თავშესაფარში;
- რადიომიმღები ან ტელევიზორი ჩართული გვქონდეს – შესაძლებელია ქარის შესახებ ინფორმაცია და მითითებები გადმოსცენ;
- არ დავტოვოთ შენობა ქარის ჩადგომამდე.

ღია ცის ქვეშ



- მოვცილდეთ ბოძებს, ხეებს, სარეკლამო ბანერებს, ელექტროსადენებს;
- განსაკუთრებით საშიშია გაწყვეტილი ელექტროგამტარის შეხება, თუ მასში გადის ძაბვა;
- არ შეიძლება ხიდებზე, სხვენზე, სახლის სახურავებზე გაჩერება;
- გავერიდოთ ადგილებს, სადაც შესაძლებელია თუნუქის სახურავის ნაწილები დაგვეცეს;
- არ შეიძლება დაზიანებულ შენობაში შესვლა;
- თავი შევაფაროთ სარდაფს. საჭიროებისამებრ, შეიძლება ორმოში ან ნებისმიერ ჩაღრმავებულ ადგილას ჩავწვეთ;



- დავიცვათ თვალები, პირი, ცხვირი მტვრისა და თოვლისაგან;
- საუკეთესო საშუალებაა თავშესაფარში მოხვედრა ან მეტროს სადგურის თავშესაფრად გამოყენება;
- თუ სტიქიამ ამაღლებულ ადგილზე (გორაკზე, მაღლობზე) მოგვისწრო, ხოხვით წავიდეთ თავშესაფრისკენ.

⚠ ქარიშხლის გადავლის შემდეგ



- ქარიშხლის გადავლის შემდეგ მაშინვე არ გამოვიდეთ თავშესაფრიდან – რამდენიმე წუთში ქარი შეიძლება განმეორდეს;
- ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ ელექტრომოწყობილობების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი გაშრობისა და შემოწმების შემდეგ;
- შევამოწმოთ გაზის, ელექტროდენისა და წყლის სისტემის გამართულობა (მანამდე კი ვისარგებლოთ ფარნით);
- შევინარჩუნოთ სიმშვიდე და შეძლებისამებრ დავეხმაროთ დაზარალებულებს.

სეტყვა

სეტყვა – ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის (5-55მმ; იშვიათად, 130 მმ-მდე) სფერული ნაწილაკების ან ნატეხებისაგან.



სეტყვა, ჩვეულებრივ, ელჭექისა და ძლიერი წვიმის დროს იცის, უმთავრესად წლის თბილ პერიოდში (როცა ტემპერატურა 20^0C-ზე მეტია) და მოდის გროვაწვიმის ღრუბლიდან, რომლის ზოლის სიგანე რამდენიმე კილომეტრია, სიგრძე კი – ათეული კილომეტრი.

სეტყვის ინტენსივობა და სიხშირე განსაკუთრებით მაღალია აღმოსავლეთ საქართველოში. ყოველწლიურად აღინიშნება ამ მოვლენის 5-დან 15-მდე შემთხვევა. სეტყვას შეუძლია მთლიანად გაანადგუროს ნათესები, მოსავალი, დააზიანოს სახურავები, ჩაამსხვრიოს მინები, დააზიანოს ავტომანქანები, დახოცოს საქონელი და ფრინველი. როდესაც სეტყვის ცალკეული მარცვლების წონა 100-200გრ და მეტია, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს. სეტყვის თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებას. მაგალითად, კახეთში თითქმის ყოველწლიურად სეტყვა აზიანებს როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ასევე ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.



სეტყვის საწინააღმდეგოდ საქართველოში იყენებენ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ წარმოებულ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებს, ხოლო სამეურნეო ნაკვეთების (ვენახების) დასაცავად – სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს.



⚠ უსაფრთხოების წესი სეტყვის დროს

სეტყვისგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა საიმედო თავშესაფარი.



ელვა

ელვა – წყლის წვეთების ღრუბელთა გროვაში ელექტროსტატიკური ნაპერწკლის განმუხტვა, რომელსაც თან სდევს თვალისმომჭრელი გაელვება და ქუხილი. ელვის ერთ-ერთი ფორმაა მეხი.



ელვის დარტყმამ (მეხის დაცემამ) შეიძლება გამოიწვიოს ნგრევა, ლითონის გადნობა, ხანძარი, ადამიანის დაშავება და მსხვერპლი. შენობა-ნაგებობების ელვისაგან დასაცავად იყენებენ მეხამრიდებს, რომელთაც ანძებსა და ნაგებობების მაღლა გაჭიმული, დამიწებული ლითონის ელემენტებისა და სადენების სახე აქვს.



როგორ ვიმოქმედოთ ელვის დროს

- არ მივიდეთ ელექტროგაყვანილობასთან, მეხამრიდთან, ანტენასთან ახლოს;
- არ დავდგეთ ფანჯარასთან;
- გამოვრთოთ ტელევიზორი, რადიო და სხვა ელექტრონული ხელსაწყოები;
- ნებისმიერ შემთხვევაში, დაუშვებელია მობილური ტელეფონის გამოყენება, უფრო მეტიც, ის აუცილებლად უნდა გამოვრთოთ.

ტყისა და ტორფის ხანძარი

მასობრივი ხანძარი ტყესა და ტორფნარში შეიძლება გაჩნდეს ცხელ და გვალვიან ამინდში მეხის ჩამოვარდნის, ცეცხლთან გაუფრთხილებლობის, მშრალი ბალახის ამოწვისა და სხვა მიზეზების გამო. ხანძარმა შეიძლება გამოიწვიოს დასახლებულ პუნქტებში შენობების, ხის ხიდების, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების, ხის ბოძების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა საწვავი მასალის საწყობების აალება, აგრეთვე ადამიანებისა და პირუტყვის დაშავება.



ტყისა და ტორფნარის ხანძრის პრევენციულ ღონისძიებებს განეკუთვნება: ტყეში განაკაფების, მინერალიზებული ზოლებისა და ცეცხლსაწინააღმდეგო ბარიერების წინასწარ მოწყობა. დასახლებულ პუნქტებში საგუბრებისა და სახანძრო წყალსატევების მოწყობა.

დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარე ტყეებში ტყისა და ტორფნარის ხანძრის დროს სახანძრო ვითარებაზე დაკვირვებისათვის წესდება ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფების მორიგეობა.



ტყის ხანძრები – ტყეებში უმართავი ცეცხლის გავრცელება

უსაფრთხოების წესები ხანძრის თავიდან ასაცილებლად

- არ დავწვათ ბალახი ან ნაგავი ტყის სიახლოვეს;
- არ დავანთოთ ცეცხლი ღია მოედნებზე, ტყის,

გამხმარი ბალახის ან ტოტების სიახლოვეს;
- მკაცრად დავიცვათ ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები ხანძარსაშიშ ზონაში შესვლისას.

უსაფრთხოების წესები ტყის ხანძრის შემთხვევაში



- ვიმოძრაოთ ცეცხლის გავრცელების მიმართულების პერპენდიკულარულად და სწრაფად დავტოვოთ სახიფათო ზონა;
- ვიმოძრაოთ და ვისუნთქოთ დახრილ მდგომარეობაში, ვინაიდან მიწის ზედაპირთან დაკვამლიანება ნაკლებია;
- სველი ქსოვილით დავიფაროთ სასუნთქი გზები, ხანძრის ზონის დატოვების შემდეგ ინფორმაცია მივაწოდოთ შესაბამის სამსახურებს.



ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში იმატა ტყისა და ველის ხანძრების შემთხვევებმა სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონებში.

განსაკუთრებით საშიშია ტყისა და ველის ხანძრები დასახლებულ პუნქტებთან. მათი უმრავლესობა ადამიანის დაუდევრობით არის გამოწვეული. ტყის ხანძრის გაჩენასა და გავრცელებას ხელს უწყობს სიცხე, ძლიერი ქარი, გვალვა.



ბორჯომის ხეობაში (ბორჯომის ტყეპარკი) 2008 და 2017 წლებში ხანძრის შედეგად განადგურდა ათეულობით ჰექტარი ტყის მასივი. ხანძრის საფრთხე დაემუქრა ტყისპირა სოფლებს.



2018 წელს საბერძნეთში გაჩნდა ტყის ხანძარი. ხანძრის შედეგად დაიღუპა 91 ადამიანი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 88, დაზიანდა 187; სრულად განადგურდა ორი სოფელი.

ველის ხანძრის გავრცელების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ქარსაფარი (ქარსაცავი) ზოლების განადგურება. შესაბამისი კონტროლისა და პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, ტყისა და ველის ხანძრებმა შესაძლოა სტიქიური ხასიათი მიიღოს.





ხანძარი შეიძლება გაჩნდეს ბუნებრივი (ელვა, გვალვა) და ანთროპოგენური (ადამიანის დაუდევრობა) მიზეზით.

კლდეზვავი, ქვათაცვენა

კლდეზვავი – ციცაბო კლდოვან ფერდობებზე ლოდების უეცარი მოწყვეტა და სწრაფი, თავისუფალი ვარდნა ან გორებით გადაადგილება.

ქვათაცვენა – სიმძიმის ძალის ზემოქმედების შედეგად მთის ციცაბო ფერდობებზე ქვების, კლდის ნატეხებისა და ქანების გამოფიტული პროდუქტების ჩამოშლა და გადაადგილება.

უსაფრთხოების წესები ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილებისას

- წინასწარ შევისწავლოთ გადაადგილების მარშრუტი;
- სახიფათო ადგილები გადავლახოთ ბორცვოვანი მონაკვეთების გამოყენებით, სათითაოდ და მაქსიმალური დაზღვევის გათვალისწინებით;
- მოლაშქრეთა გადაადგილებისას დაუშვებელია მათი ერთმანეთის ზემოთ ყოფნა, განსაკუთრებით, ორი ჯგუფის ერთდროულად მოძრაობის შემთხვევაში;
- ქვათაცვენის ჩამონაყარში გადაადგილებისას, ასვლის ან ჩასვლის მომენტში, მოლაშქრეთა შორის ინტერვალი უნდა იყოს მინიმუმამდე შემცირებული;
- ქვათაცვენის უბნებზე გადაადგილება დაუშვებელია წვიმის, თოვლის, ელჭექისა და ძლიერი ქარის დროს. ერთ-ერთი მოლაშქრეთაგანი უნდა იყოს ქვათაცვენის პროცესზე უშუალო დამკვირვებელი, რომელიც მოლაშქრეებს ამცნობს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ;
- ქვათაცვენის შემთხვევაში, მჭიდროდ ავეფაროთ კლდეს მის კიდეზე მიჯრით ან თავი შევაფაროთ კლდის გამონაშვერს. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ უნდა დავრჩეთ ადგილზე, თვალი ვადევნოთ ქვების ვარდნას და ბოლო მომენტში, მისთვის თავის არიდების მიზნით, გადავხტეთ გვერდზე.

დავალება

შეისწავლეთ/მოიკვლიეთ ინფორმაცია თქვენს საცხოვრებელ ადგილზე (ქალაქში, დაბაში, სოფელში) ბუნებრივი ხასიათის საფრთხეების შესახებ, რომლებიც შეიძლება საგანგებო სიტუაციად იქცეს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეთ მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას მზადყოფნასა და სიტუაციაზე ეფექტურად რეაგირებაში.

თქვენს გეგმაში წარმოაჩინეთ:

- თქვენი საცხოვრებელი ადგილისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი საფრთხეები (მაგალითად, მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) და დაასაბუთეთ, რატომ მიიჩნევთ მათ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ?
- ივარაუდეთ, როგორ შეიძლება ერთმა ბუნებრივმა მოვლენამ გამოიწვიოს ან გააძლიეროს მეორე (მაგალითად, ძლიერმა ნალექმა მეწყერი ან წყალდიდობა)?
- შეადარეთ გამოვლენილი საფრთხეები ერთმანეთთან მათი სიხშირის, მასშტაბისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენის მიხედვით, სამომავლოდ რა ტენდენციები იკვეთება?
- დაასაბუთეთ, რატომ არის აუცილებელი კონკრეტული პრევენციული და რეაგირებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება სწორედ თქვენს საცხოვრებელ გარემოში?
- მოიძიეთ და შეაფასეთ სხვადასხვა პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები და დაასაბუთეთ, რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?



ქვათაცვენის შემაკავებელი უსაფრთხოების ბადე.
აბანოთუბანი, ლეღვთახევის ტურისტული ზონა. თბილისი

სასარგებლო რესურსები

10. ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები და მოსახლეობის უსაფრთხოება

იმსჯელეთ

- რომელი მოწყობილობებით (მაგალითად, ელექტროჩაიდანი, გაზქურა, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, გამათბობელი) სარგებლობთ ყოველდღიურად სახლში, სკოლაში ან საზოგადოებრივ სივრცეში და უსაფრთხოების რა წესების დაცვაა აუცილებელი მათი გამოყენებისას?
- გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც ტექნიკურმა გაუმართაობამ ან ადამიანის შეცდომამ (მაგალითად, ხანძარი, გაზის გაჟონვა) ზიანი მიაყენა ადამიანებსა და გარემოს. რა შედეგები მოჰყვა ამ შემთხვევას? თქვენი აზრით, რა განასხვავებს ამ სახის შემთხვევებს ბუნებრივი კატასტროფებისგან?

თქვენ უკვე შეისწავლეთ ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციები და იცით მათ შესახებ. მათგან განსხვავებით, ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები გულისხმობს ტექნოსფეროში მომხდარ ავარიასა და კატასტროფას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არღვევს მათი ცხოვრების ნორმალურ პირობებს, აზიანებს მათ პირად ქონებას, მრეწველობასა და ბუნებრივ გარემოს.

ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება: რადიაციული და ქიმიური ავარიები, ხანძარი და აფეთქება. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.



ტექნოსფერო – გარემოს ის ნაწილი, რომელიც ადამიანმა ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნა საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. იგი მოიცავს როგორც ტექნიკურ საშუალებებს, ისე მათ მიერ გარდაქმნილ გარემოს.

რადიაციული ავარიები

ბირთვული და რადიაციული ავარია – მაიონებელი გამოსხივების წყაროს მართვაზე ან/და ამ წყაროზე კონტროლის დაკარგვა. ის ძირითადად გამოწვეულია ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების ან/და ნარჩენების გარემოში უკონტროლო გაბნევით, რის შედეგადაც გარემოს რადიაციული ფონის დონემ შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებ ზღვარს.

თუ რადიაციული ავარიის ან მოსალოდნელი საშიშროების შესახებ მიღებული ინფორმაცია არ შეიცავს სამოქმედო რეკომენდაციებს, საჭიროა:

- სასუნთქი გზების დაცვა ხელმისაწვდომი საშუალებებით (ცხვირსახოცი, ხელსახოცი და სხვა), ახლომდებარე შენობაში გადასვლა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გახდა და პოლიეთილენის პარკში მოთავსება, კარებისა და ფანჯრების დახურვა, ვენტილაციის გამორთვა და სხვა;
- აუცილებელია მომზადება შესაძლო ევაკუაციისათვის;
- უნდა მოვამზადოთ აუცილებელი ნივთები: საბუთები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საკვების მარაგი, წყალი და სხვა უკიდურესად აუცილებელი ნივთები.



ეს საინტერესოა

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარია თავისი გრძელვადიანი შედეგებით თანამედროვეობის უდიდესი კატასტროფაა, თუმცა მანამდე ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებული სხვა ავარიებიც იყო. 1979 წელს აშშ-ში, პენსილვანიის შტატში, მომხდარ ავარიას „ჩერნობილის გაფრთხილებას“ უწოდებენ.

სსრკ-ში 1949 წლიდან 20-ზე მეტი ავარია დაფიქსირდა, მაგრამ ჩერნობილის კატასტროფის მასშტაბების წარმოდგენაც კი ძნელია. ყველაზე ინტენსიური რადიოაქტიური დაბინძურება გამოვლინდა რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ჩერნობილის ტრაგედიას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ჩერნობილის ტრაგედია და საქართველო

ჩერნობილის ტრაგედიიდან, რომელიც მსოფლიომ ენერგეტიკის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ავარიად შეაფასა, რამდენიმე ათეული წელი გავიდა. ეს მართლაც განსაკუთრებით დიდი კატასტროფა იყო როგორც დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზარალით.

1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე, ქალაქ პრიპიატთან ახლოს, ჩერნობილიდან 18 და კიევიდან 110 კილომეტრის დაშორებით მდებარე ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკზე ავარია დაფიქსირდა.

აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. რადიოაქტიურმა ღრუბე-



ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური. 1986 წელი.

ლმა გადაიარა სსრკ-ის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის აღმოსავლეთი ნაწილი.

მაშინ საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას სიმართლე დაუმალა და ტრაგედიის მასშტაბებისა და შემზარავი შედეგების შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა. მწირი ინფორმაცია მხოლოდ ავარიიდან ორი დღის შემდეგ გავრცელდა, ისიც იმიტომ, რომ უცხოეთის პრესამ განგაში ატეხა.

აფეთქებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას ჩერნობილის აღდგენაში მონაწილეობა და დახმარება დაევალა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამოცხადდა სპეციალისტების, ძირითადად, სამედიცინო და სამშენებლო სფეროში მომუშავეთა, მობილიზაცია. ჩერნობილში წამსვლელებს სახელმწიფო მაღალ ანაზღაურებას, ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, ბინითა და ავტომობილით უზრუნველყოფას სთავაზობდა. ამის გამო ჩერნობილში აღდგენით სამუშაოებზე წასვლის მსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ რეგისტრაციის ადგილზე მუდმივად რიგი იდგა.

ჩერნობილის ტრაგედიის მძიმე შედეგები წლების შემდეგ უფრო მეტად გამოვლინდა. სტატისტიკური მონაცემებით, იმ 2000 ქართველიდან, რომლებიც 1986 წლის გაზაფხულზე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობდა, 110 მალევე გარდაიცვალა, 1000-ზე მეტი დაინვალიდდა და მუდმივი სამედიცინო ზედამხედველობა ესაჭიროებოდა.

მაისში რადიაციულმა ღრუბელმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადმოინაცვლა და საქართველოში მაისის წვიმებს რადიაცია მოჰყვა. ეს ამბავი მაშინ გახდა ცნობილი, როცა ევროპელებმა პროდუქტებზე რადიაციული შემოწმება დააწესეს. საქართველოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ავსტრიულ მხარესთან, რომელსაც აქედან ჩაი უნდა გაეტანა. საზღვარზე შემოწმებისას ქართული ჩაის გარკვეული რაოდენობა უკან დააბრუნეს, რადგან მასში რადიაციული ნივთიერება აღმოჩნდა. საქართველოს რადიოლოგიის ინსტიტუტმა მეორე დღესვე დაიწყო ნიადაგის ადგილზე შესწავლა და ქვეყნის დასავლეთის სხვადასხვა რაიონში ლაქების სახით აღმოაჩინა კიდეც დაბინძურების კვალი.

შეკითხვები

- რა გახდა ჩერნობილის კატასტროფის ძირითადი მიზეზი?
- ჩერნობილის კატასტროფა შეადარეთ რომელიმე ბუნებრივი ხასიათის სტიქიურ მოვლენას, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
- რატომ გავრცელდა ჩერნობილის ავარიის შედეგები სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოში?
- რა გავლენა მოახდინა ჩერნობილის კატასტროფამ ადამიანების ჯანმრთელობაზე? გარემოზე?
- რატომ იყო მნიშვნელოვანი მოსახლეობის დროული ინფორმირება ჩერნობილის ავარიის შესახებ? ამ კუთხით საბჭოთა ხელისუფლებამ რა გააკეთა?
- ახსენით, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ტექნოგენური კატასტროფის დროს მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად?
- როგორ ფიქრობთ, რა როლი შეიძლება ჰქონდეთ თქვენთვის ნაცნობ საერთაშორისო ორგანიზაციებს (ნატო, ევროკავშირი) მსგავსი ტექნოგენური კატასტროფის შესამცირებლად?


ეს საინტერესოა

ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაცია ბრაზილიაში

რადიაციული საფრთხე შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ატომურ სადგურზე, არამედ საავადმყოფოში, კვლევით ლაბორატორიაში ან სხვა ობიექტზე, სადაც რადიოაქტიური წყაროები გამოიყენება.

1987 წელს ბრაზილიის ქალაქ გოიანიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე რადიაციული ავარია მოხდა, რომელიც ატომურ ელექტროსადგურს საერთოდ არ უკავშირდებოდა.

მიტოვებულ შენობაში აღმოჩენილი ძველი რადიოთერაპიის აპარატი ჯართის შემგროვებლებმა დაშალეს. აპარატის შიგნით მოთავსებული იყო რადიოაქტიური ნივთიერება **ცეზიუმ-137.** მისი ლურჯი, მანათობელი ფხვნილი ადამიანებს უჩვეულოდ ლამაზად მოეჩვენათ და ზოგი მას ხელშიც კი იღებდა, ზოგმა კი ახლობლებსაც აჩვენა. მალე გაირკვა, რომ ეს ნივთიერება ძლიერ რადიოაქტიური იყო. შედეგად ასობით ადამიანმა მიიღო დასხივება, დაბინძურდა საცხოვრებელი სახლები და ქუჩები, ხოლო შემთხვევის ლიკვიდაციას თვეები დასჭირდა. ამ ფაქტმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რადიოაქტიური მასალების უსაფრთხოდ დაცვა და კონტროლი.


ქიმიური ავარიები



ქიმიური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ავარიის შემთხვევაში, მომწამლავი ნივთიერებები, რომლებიც გარემოში შეიძლება გამოთავისუფლდეს, ძირითადად იწვევს ადამიანთა და ცხოველთა ფართომასშტაბიან მოწამვლასა და გარემოს დაბინძურებას. ეს ნივთიერებები შეიძლება იყოს როგორც თხევად, ასევე აირად ან მყარ მდგომარეობაში. ქიმიურ ავარიებთან დაკავშირებით განვიხილოთ მხუთავი აირით მოწამვლის, ქლორით მოწამვლისა და ამიაკით დაზიანების შემთხვევაში გასათვალისწინებელი ძირითადი წესები.

სახლის პირობებში მხუთავი აირით მოწამვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა:

- გაზისა და გათბობის სისტემების სისტემატური შემოწმება;
- გაზის გაჟონვის დეტექტორების დაყენება;
- საცხოვრებელი ოთახების რეგულარული განიავება.

მხუთავი აირების აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა:

- კარებისა და ფანჯრების გაღება, გამწოვისა და ვენტილაციის ჩართვა და მხუთავი აირის გამომყოფი მოწყობილობის გამორთვა;
- რაც შეიძლება სწრაფად დაზარალებული პირის სუფთა ჰაერზე გაყვანა, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და სასწრაფო დახმარების გამოძახება.



მხუთავი აირებით მოწამვლის დროს აუცილებელია:

- ადამიანის სუფთა ჰაერზე გამოყვანა, ნიშადურის სპირტით მოსულიერება და ტანსაცმლის შეხსნა;
- სუნთქვის გაჩერების შემთხვევაში, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება;
- დაზარალებულის გრძნობაზე ყოფნის შემთხვევაში, მისთვის დიდი რაოდენობით სითხის მიცემა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 288-ე მუხლი, პუნქტი 1: ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება ჯარიმით ან ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

ქლორით მოწამლულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევისას საჭიროა:

- დაშავებულისათვის აირწინაღის გაკეთება (თუ აირწინაღი არ გვაქვს, მისი მაგივრობა შეიძლება გაგვიწიოს 2%-იანი საჭმელი სოდის წყალხსნარში დასველებულმა ბამბა-დოლბანდის ნიღაბმა);
- დაშავებულის გამოყვანა უსაფრთხო ტერიტორიაზე და აირწინაღის მოხსნა;
- განთავისუფლება სუნთქვის შემზღუდველი ტანსაცმლისაგან;
- სუნთქვის შეწყეტის შემთხვევაში, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, უპირატესად მეთოდით „პირიდან-პირში“;
- 2%-იანი სოდის ხსნარით კანის გაწმენდა ან ლორწოვანი გარსის გამორეცხვა;
- დიდი რაოდენობის სითხის (თბილი სოდიანი წყალი, ჩაი, ყავა) მიცემა;
- დაშავებულის თვითნებურად გადაადგილების აღკვეთა და მისი შემდგომი ტრანსპორტირება მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში;
- სიცივეში დაშავებულის გათბობა და მისთვის მშვიდი გარემოს შექმნა.



ქლორის გაჟონვა კახეთის გზატკეცილზე

პრაქტიკული აქტივობა

გაეცანით ქვემოთ მოცემულ მოსაზრებებს, რომლებიც უკავშირდება ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებს. გააანალიზეთ თითოეული და დაასაბუთეთ მოსაზრებები მცდარია თუ ჭეშმარიტი. დამატებით, თქვენც შექმენით მითები და გაუზიარეთ თანაკლასელებს.

- „რადიაციას ადამიანი ყოველთვის გრძნობს – მას სუნი ან ფერი აქვს“;
- „საგანგებო სიტუაციაში მთავარია რაც შეიძლება სწრაფად გაქცევა“;
- „უსაფრთხოების ნიშნები მხოლოდ რეკომენდაციებია“.

ისტორიიდან

ქლორის გაჟონვა

2012 წლის 3 ივლისს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, სავარაუდოდ, ქლორმა გაჟონა, რამაც მოსახლეობის ჯანმრთელობა დააზიანა – 80-მდე ადამიანი მოიწამლა, ერთი კი დაიღუპა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დროებით ინახებოდა ორი ერთეული (თითოეული 1000 ლ მოცულობის) ქარხნული წარმოების თხევადი ქლორის შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ლითონის ავზები (ცისტერნა). ერთ-ერთი ავზის სარქველი

ჰერმეტული არ იყო, ამიტომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მისი გადატანა ქ. ფოთში შემდგომი ნეიტრალიზების/გამოყენების მიზნით, მაგრამ სატვირთო ავტომანქანაზე ავზის დატვირთვისას ნაწილობრივ დაზიანებული სარქველი თვითნებურად ამოვარდა, რამაც გარემოში თხევადი ქლორის გამოთავისუფლება და გავრცელებული ქლორის ღრუბლის ზონაში მოხვედრილი მოსახლეობის მოწამვლა გამოიწვია. დაახლოებით ოთხმოცი დაზარალებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა ოპერატიულად გადაიყვანა სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებებში.





ამიაკით დაზიანებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მოიცავს:

- მისთვის შესაბამისი საწარმოო აირწინაღის გაკეთებას, ძალიან მაღალი კონცენტრაციისას კი – მაიზოლირებელი აირწინაღისას. თუ აირწინაღი არ გვაქვს, მისი მაგივრობა შეიძლება გაგვიწიოს 5%-იანი ლიმონმჟავას (ან ბორმჟავას) წყალხსნარში დასველებულმა ბამბა-დოლბანდის ნიღაბმა (პირსახვევმა);
- დაშავებულის დაზიანების ზონიდან გამოყვანას, აირწინაღისა და დაბინძურებული ტანსაცმლის გახდას;
- თბილი წყლის ორთქლის შესუნთქვასა და თბილი რძის მიცემას;
- ამიაკის კუჭში მოხვედრისას გულისრევის ხელოვნურად გამოწვევას;
- 5%-იანი ლიმონმჟავას (ან ბორმჟავას) ხსნარით კანის გაწმენდას ან ლორწოვანი გარსის გამორეცხვას;
- დამწვრობისას გამაყუჩებელი საშუალების გაკეთებასა და გადახვევას;
- დაშავებულისთვის მშვიდი და თბილი გარემოს უზრუნველყოფას.

ხანძარი და აფეთქება



როგორ მოვიქცეთ ხანძრის შემთხვევაში

- თუ ვიმყოფებით საზოგადოებრივ შენობაში, დაუყოვნებლივ, პანიკის გარეშე უნდა დავტოვოთ შენობა;
- ხანძრის დროს ადამიანისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ქმნის ჰაერის მაღალი ტემპერატურა, კვამლი, ნახშირჟანგის დიდი კონცენტრაცია, შენობა-ნაგებობების შესაძლო ჩამონგრევა, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ხელსაწყოების აფეთქება;
- ხანძრის დროს საჭიროა სიმშვიდის შენარჩუნება, მდგომარეობის სწარაფად შეფასება და სწორი

გადაწყვეტილების მიღება, პანიკის დათრგუნვა;

- შენობაში კვამლის ან ხანძრის შენიშვნისას, 112-ზე დარეკვის შემდეგ, აუცილებელია სახლში – ოჯახის წევრებისა და მეზობლებისთვის, ხოლო სამსახურში – ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლებისათვის შეტყობინება;
- ძლიერი ხანძრის დროს აუცილებელია ყველა ფანჯრის, სარკმლისა და კარის დაკეტვა, ხოლო შემდეგ შენობის დაუყოვნებლივ დატოვება საევაკუაციო გეგმის შესაბამისად;
- ხანძრის საწყის ეტაპზე წვის მავნე პროდუქტები ოთახში ძირითადად გროვდება ადამიანის სიმაღლეზე ან უფრო მაღლა, ამიტომ უმჯობესია ოთახიდან გამოვიდეთ დაჩოქილი ან ხოხვით, თავით იატაკთან ახლოს, ვინაიდან იქ ჰაერის ტემპერატურა უფრო დაბალია, ჟანგბადი კი – მეტი;
- აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ პატარა ბავშვები შიშისაგან ხშირად იმალებიან ლოგინის ქვეშ, კარადაში ან იყუჟებიან კუთხეებში, ამიტომ მათი ძებნისას ეს ადგილები უნდა დავათვალიეროთ.





დავალება

მოიძიეთ/მოიკვლიეთ ინფორმაცია უახლოეს წარსულში მომხდარი ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციის შესახებ და წერილობით შეაფასეთ:

- როგორ უკავშირდება ტექნოგენური ხასიათის კატასტროფის გამომწვევი მიზეზები უსაფრთხოების წესების დარღვევას?
- რა გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე? გარემოზე?
- ვინ და როგორ იყო ჩართული აღნიშნულ საგანგებო სიტუაციაში? როგორი იყო რეაგირების გზები?
- დაასაბუთეთ, რამდენად ეფექტური იყო კონკრეტული მოქმედებები კატასტროფის შედეგების მართვის მიმართულებით?
- დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ტექნოგენური ხასიათის კატასტროფა ეროვნული უსაფრთხოებისთვის გახდეს პრობლემა?
- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი მოსახლეობის წინასწარი მომზადება ტექნოგენური საგანგებო სიტუაციებისთვის?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მსგავსი ტექნოგენური ავარიების გახშირებას მომავალში?

სასარგებლო რესურსები

11. მასობრივი დაზიანების იარაღი

იმსჯელეთ


- გახსენდებათ თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთდროულად ბევრი ადამიანი დაზარალდა/დაზიანდა (მაგალითად, აფეთქება, ხანძარი, პანდემია)?
- რა სახის გაფრთხილებებზე გსმენიათ, რაც ქიმიურ, ბირთვულ, ბიოლოგიურ საფრთხეებზე მიანიშნებდა?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, რას გულისხმობს მასობრივი დაზიანება?





თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი დაზიანების იარაღი – ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური – საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევა. სწორედ ამიტომ საერთაშორისო სამართალი ცდილობს შეზღუდოს ამ იარაღის შექმნა, გავრცელება და გამოყენება. საერთაშორისო ხელშეკრულებები კრძალავს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოებას, შენახვასა და გამოყენებას, ხოლო ბირთვულ სფეროში მთავარი მიზანია ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერება და ეტაპობრივი განიარაღება. ამასთან, ნებადართულია ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისთვის, მაგალითად, ენერგეტიკაში, მედიცინასა და მეცნიერებაში. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (NPT) ოფიციალურად მხოლოდ ხუთ ბირთვულ სახელმწიფოს აღიარებს: აშშ-ს, რუსეთს, გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთსა და ჩინეთს. ამ ხელშეკრულების მონაწილეა მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა, თუმცა ინდოეთი, პაკისტანი და ისრაელი მას არ შეუერთდნენ, ხოლო ჩრდილოეთ კორეა 2003 წელს გამოვიდა ხელშეკრულებიდან. ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენცია და ბიოლოგიური იარაღის კონვენცია თითქმის მთელმა მსოფლიომ მიიღო, რადგან მათი მთავარი მიზანია მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების თავიდან აცილება და საერთაშორისო მშვიდობის დაცვა.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ბირთვული ქვეყანა არის საქართველოს მეზობელი რუსეთი, ხოლო კავკასიის რეგიონში არსებობს მრავალი სამხედრო და არასამხედრო სამრეწველო ობიექტი (ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული), რომელთაც, გამოყენების ან დაზიანების შემთხვევაში, შეუძლიათ არანაკლები ზიანის მიყენება რეგიონისთვის. აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ ამ იარაღის შესაძლებლობები და მისგან დაცვის ხერხებიც.



ბირთვული იარაღი

ბირთვულ იარაღში იგულისხმება ისეთი საბრძოლო საშუალებები, რომელთა მოქმედება დაფუძნებულია შიგაბირთვული ენერგიის გამოყენებაზე, რომელიც გამოიყოფა აფეთქების შედეგად დაყოფის, სინთეზის ან ორივეს ერთდროული რეაქციის დროს. ბირთვული დაზიანების კერად კი იწოდება ტერიტორია, სადაც განლაგებულია შენობები, ნაგებობები, იმყოფებიან ადამიანები, ცხოველები, გაშენებულია მცენარეები და უშუალოდ მოქმედებს ბირთვული აფეთქების დამაზიანებელი ფაქტორები.

განასხვავებენ ბირთვული აფეთქების სხვადასხვა სახეს:

1. მაღლივი აფეთქება (აფეთქების მინიმალური სიმაღლე – 10კმ) – გამოიყენება საჰაერო და კოსმოსური მიზნების დასაზიანებლად. ამ შემთხვევაში მიწისზედა ობიექტები, როგორც წესი, არ ზიანდება;

2. საჰაერო აფეთქება (სიმაღლე – ასეული მეტრიდან რამდენიმე კილომეტრამდე) – ადამიანებისა და მიწისზედა ობიექტების დაზიანება დარტყმითი ტალღით, შუქური გამოსხივებითა და შემღწევი რადიაციით;

3. მიწისზედა აფეთქება – აფეთქება უშუალოდ მიწაზე ან უმნიშვნელო სიმაღლეზე (100მ-მდე). ამ დროს მიწაზე ჩნდება ძაბრისებრი ორმო და იწყება ადგილმდებარეობის ძლიერი რადიოაქტიური დასნებოვნება. იგი გამოიყენება დიდი სიმტკიცის ნაგებობების დასაზიანებლად და ადგილმდებარეობის ძლიერი დასნებოვნებისთვის;

4. მიწისქვეშა აფეთქება – აფეთქება მიწის ქვეშ. მისი ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორია შეკუმშვის ტალღა, რომელიც ვრცელდება გრუნტში გამყოლი და გადამკვეთი სეისმური ტალღების სახით. მათი სიჩქარე 5-10 კმ/წმ-ს აღწევს. ამ დროს მიწისქვეშა ნაგებობები იღებს ისეთივე დაზიანებას, როგორსაც მიწისძვრის დროს;

5. წყალზედა აფეთქება – აფეთქება წყლის ზედაპირზე ან ისეთ სიმაღლეზე, რომ ცეცხლოვანი ბურთი ეხება წყლის ზედაპირს;


მაღლივი და საჰაერო აფეთქება


მიწისზედა აფეთქება


მიწისქვეშა აფეთქება


წყალზედა აფეთქება



წყალქვეშა აფეთქება

6. წყალქვეშა აფეთქება – აფეთქება წყლის ქვეშ, რომლის დროსაც წყლის ზედაპირზე წარმოიქმნება რადიოაქტიური ღრუბლის ტალღისებრი წრე. დარტყმითი ტალღა ვრცელდება 1500 მ/წმ სიჩქარით. თან ახლავს რადიოაქტიური წვიმა და ცუნამი, რომელიც ანადგურებს წყალზედა ობიექტებს და, ნაპირთან სიახლოვის შემთხვევაში, სანაპიროზე არსებულ ინფრასტრუქტურას.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

მსოფლიო ოკეანის სიღრმეში ჩაძირული ბირთვული ობიექტები

ბირთვული იარაღი მხოლოდ დიდი აფეთქება და მომენტალური ნგრევა არ არის. მისი მთავარი საფრთხე კაცობრიობისა და პლანეტისათვის არის რადიოაქტიური დაბინძურება და მისი გრძელვადიანი შედეგები. ბირთვულ მასალებს (მაგალითად, ურანსა და პლუტონიუმს) ათასობით წელი სჭირდება დასაშლელად. თუ ეს ნივთიერებები გარემოში მოხვდება, ისინი აბინძურებენ წყალს, ნიადაგს, ჰაერს და იწვევენ მძიმე დაავადებებს ცოცხალ ორგანიზმებში. ბირთვული იარაღის არსებობა ნიშნავს, რომ კაცობრიობა მუდმივი ეკოლოგიური კატასტროფის რისკის ქვეშ ცხოვრობს, მაშინაც კი, როდესაც ომი არ მიმდინარეობს.

მსოფლიო ოკეანის სიღრმეებში ჩაძირული ბირთვული ობიექტები – ატომური რეაქტორები და ბირთვული არსენალის ნაწილები – წარმოადგენს ხანგრძლივ ეკოლოგიურ საფრთხეს. ოკეანის მარილიანი წყალი დროთა განმავლობაში აზიანებს მათ დამცავ სისტემებს, რის შედეგადაც შესაძლოა რადიოაქტიური ნივთიერებები წყალში მოხვდეს და ოკეანური დინებების საშუალებით ფართო ტერიტორიებზე გავრცელდეს.

რადიოაქტიური დაბინძურება განსაკუთრებით საშიშია ზღვის ეკოსისტემებისთვის, რადგან ტოქსიკური ნივთიერებები გროვდება ორგანიზმებში და კვებითი ჯაჭვის მეშვეობით ადამიანამდეც აღწევს. ეს აზიანებს ცოცხალი არსებების გენეტიკურ სტრუქტურას და შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ეკოლოგიური შედეგები. ამიტომ ოკეანის ფსკერზე არსებული „მიძინებული ატომი“ გლობალური კრიზისის პოტენციურ წყაროდ რჩება.

საფრთხის შესამცირებლად მეცნიერები მუდმივად აკვირდებიან წყალქვეშა ტექნოლოგიების საშუალებით, განიხილავენ დაზიანებული ობიექტების სპეციალური საფრით კონსერვაციას და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ამოღებასა და უსაფრთხო განთავსებას ხმელეთზე. თუმცა ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა მომავალში განვითარებულ ტექნოლოგიებსა და ახალი თაობის მეცნიერებისა და ინჟინრების ცოდნაზე იქნება დამოკიდებული. მსოფლიო ოკეანის დაცვა საერთო მოვალეობაა, რადგან მისი უსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებასთან.

შეკითხვები

- დააკავშირეთ ბირთვული იარაღის არსებობა და გარემოსდაცვითი საფრთხეები. რა კავშირია მათ შორის?
- ახსენით, რატომ წარმოადგენს ოკეანის ფსკერზე ჩაძირული ბირთვული ობიექტები გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეს?
- დაასაბუთეთ, რატომ არის აუცილებელი საერთაშორისო თანამშრომლობა ბირთვული საფრთხეების შესამცირებლად?
- რა შეიძლება მოხდეს მომავალში, თუ მსოფლიო ვერ შეძლებს ოკეანეში არსებული ბირთვული ობიექტების უსაფრთხოდ მართვას?

ბირთვული აფეთქება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი ტექნოგენური მოვლენაა, რომელიც ადამიანისა და გარემოსთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. მას თან ახლავს სხვადასხვა ტიპის დამაზიანებელი ფაქტორი.



ბირთვული აფეთქების შედეგად ადამიანებზე, ცხოველებსა და შენობა-ნაგებობებზე მოქმედებს ხუთი დამაზიანებელი ფაქტორი

- დარტყმითი ტალღა
- შუქური გამოსხივება
- შემღწევი რადიაცია
- ელექტრომაგნიტური იმპულსი
- ადგილის რადიოაქტიური დაბინძურება

დარტყმითი ტალღა – შეკუმშული აირის ფენა, რომელიც აფეთქების ცენტრიდან მოძრაობს დიდი სისწრაფით. დარტყმითი ტალღის წყაროს წარმოადგენს მაღალი წნევა, რომელიც წარმოიშობა აფეთქების ეპიცენტრში.


დარტყმითი ტალღის ცენტრიდან დაშორების შესაბამისად მისი სიჩქარე მცირდება. იგი არის ბირთვული აფეთქების ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორი.

დარტყმითი ტალღის შედეგად იქმნება ნგრევის ზონები: სრული, ძლიერი, საშუალო და სუსტი. დარტყმითი ტალღა დაუცველ ადამიანებსა და ცხოველებში იწვევს ტრავმულ დაზიანებას, კონტუზიას ან სასიკვდილო დაშავებას.

დარტყმითი ტალღის გავრცელებაზე ვიზუალურ წარმოდგენას გარკვეულწილად ქმნის წყლის ჭავლის დაცემა ზედაპირზე.



ბირთვული დაზიანების კერა




ბირთვული დაზიანების კერებში გამოყოფენ რადიოაქტიური დასნებოვნების ზონებს (ნგრევის ზონების გარდა).

შუქური გამოსხივება. აფეთქების ზონაში სწრაფად გამოიყოფა დიდი რაოდენობის ენერგია, რის გამოც წარმოიშობა რამდენიმე მილიონი გრადუსი ტემპერატურა და იქმნება კრიალა ცეცხლოვანი სფერო. ცეცხლოვანი სფეროსგან ხდება ინტენსიური სინათლის გამოსხივება, რომელსაც აქვს შესაბამისი დამაზიანებელი ეფექტი. იმის მიხედვით, თუ რა სიძლიერის ბომბები იქნა აფეთქებული, შუქური გამოსხივება გრძელდება წამის მეათედიდან 30 წამამდე. იგი იწვევს ადამიანებისა და ცხოველების დამწვრობას. ძირითადი პარამეტრი, რომელიც ახასიათებს შუქურ გამოსხივებას, არის შუქური იმპულსი – შუქური ენერგიის რაოდენობა, რომელიც ეცემა 1სმ^2 ზედაპირზე.

შემღწევი რადიაცია. აფეთქების კერაში შემღწევი რადიაცია იქმნება ნეიტრონული და გამა-გამოსხივების (ელექტრომაგნიტური) ნაკადისაგან. ორივე გამოსხივება წარმოიშობა აფეთქების მომენტში. გამოსხივება წარმოიშობა რადიოაქტიური ნივთიერების დაშლის პირველივე წამიდან. მისი მოქმედება არ აღემატება 10-15 წამს, ხოლო ნეიტრონის – 1 წამს. შემღწევი რადიაციის მოქმედების მანძილი დამოკიდებულია აფეთქების სიმძლავრეზე. შემღწევი რა-


რომელი ტიპის გამოსხივებაა ყველაზე შეღწევადი?



დიაციის დამაზიანებელი მოქმედება ხასიათდება გამოსხივების დოზით – მაიონებელი გამოსხივების ენერგიის რაოდენობით, რომელიც მიიღო დასხივებული გარემოს მასის ერთეულმა.

ადგილმდებარეობის რადიოაქტიური დასნებოვნება წარმოიქმნება ბირთვული ღრუბლიდან რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყოფით. მასზე იხარჯება გამოყოფილი ენერგიის 10%; ის წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების ღრუბლიდან რადიოაქტიური ნივთიერებების დედამიწის ზედაპირზე დალექვით. ადგილმდებარეობა ჩაითვლება დასნებოვნებულად, თუ რადიაციის დონე არის 0,5 ზივერტი და მეტი.

ბირთვული აფეთქების შედეგად წარმოქმნილი რადიოაქტიური ღრუბელი მოძრაობს ქარის მიმართულებით, ღრუბლიდან მიწის ზედაპირზე ცვივა რადიოაქტიური ნივთიერებები და ტოვებს რადიოაქტიური დასნებოვნების კვალს. ადგილმდებარეობა არათანაბრად ბინძურდება. რადიაციული საფრთხე განისაზღვრება რადიაციის დოზით, რომელიც არსებული დოზიმეტრიული მოწყობილობებით ზივერტებში (ზვ) იზომება. დასნებოვნების რაიონი პირობითად სამ ზონად იყოფა:



ელექტრომაგნიტური იმპულსი – იგი განპირობებულია ჰაერში, მიწაზე, ტექნიკასა და სხვა ობიექტებზე განლაგებულ გამტარებში ძაბვისა და დენის წარმოქმნით. მასზე იხარჯება გამოყოფილი ენერგიის 1%.



რადიოგამოსხივების აღმნიშვნელი ნიშანი. ამ ნიშანს ათავსებენ მოწყობილობაზე, შეიარაღებასა და მასალაზე, რომელსაც აქვს რადიომაგნიტური გამოსხივება რადიოქსელში გამოყენებადი ტალღების სიხშირული სპექტრით.

ბირთვული აფეთქების დროს წარმოიქმნება ელექტრომაგნიტური ველები, რომლებიც საჰაერო და მიწისქვეშა გაყვანილობასა და საკაბელო ხაზებში, რადიოსადგურების ანტენებში ქმნის იმპულსებიან ელექტრულ დენსა და ძაბვას.



რადიაციული საფრთხის აღმნიშვნელი ნიშანი. ამ ნიშანს ათავსებენ მოწყობილობაზე, შეიარაღებასა და მასალაზე, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს.



მაიონებელი გამოსხივების აღმნიშვნელი ნიშანი. ამ ნიშანს ათავსებენ მოწყობილობაზე, შეიარაღებასა და მასალაზე, რომელიც შეიცავს მაიონებელი გამოსხივების წყაროს, მათ შორის, რადიოაქტიურ ნივთიერებებს.

ბირთვული იარაღის მოწინააღმდეგემდე მისატანად გამოიყენება სხვადასხვა სახის სახმელეთო ბაზირების ბირთვული საბრძოლო მასალის გამშვები დანადგარები, სტრატეგიული ბომბდამშენები და წყალქვეშა ნავები.









ქიმიური იარაღი

ქიმიური იარაღი – მასობრივი დაზიანების იარაღის ერთ-ერთი სახეობა, რომლის დამაზიანებელი მოქმედებები დამოკიდებულია საბრძოლო ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების გამოყენებაზე.



საბრძოლო ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებს განეკუთვნება **მომწამლავი ნივთიერებები** და **ტოქსინები**, რომლებიც აზიანებს ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმს, ასევე **ფიტოტოქსიკანტები**, რომლებიც შეიძლება მცენარეების დასაზიანებლად გამოიყენონ.

ქიმიური იარაღის დაზიანების ობიექტამდე მისატანად გამოიყენება ავიაცია, რაკეტები, არტილერია, საინჟინრო და ქიმიური ჯარების საშუალებები. ქიმიური იარაღის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს მძიმე ეკოლოგიური და გენეტიკური შედეგები, რომელთა აღმოფხვრას დასჭირდება ძალიან დიდი დრო. საბრძოლო ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებები შესაძლებელია სხვადასხვა სახით (ორთქლი, აეროზოლი და წვეთები) შეგვხვდეს.

ეს საინტერესოა

ქიმიური იარაღი


ქიმიური იარაღის ძველი და საინტერესო მაგალითი უკავშირდება ძველ ჩინეთს, სადაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებამდე გამოიყენებოდა ქიმიური ხასიათის ნივთიერებები საზღვაო ბრძოლებში.

მაგალითად, სონგის დინასტიის პერიოდში ჩინეთის (დაახლოებით X-XIII საუკუნეები) სამხედრო ფლოტი იყენებდა ე.წ. „ცეცხლოვან და მომწამვლელ კვამლს“ – ბომბებს, რომლებიც შეიცავდა კირის ფხვნილსა და ზოგჯერ დენთის ადრეულ ფორმებს. ასეთ მოწყობილობებს გემებიდან ისროდნენ მტრის ხომალდებისკენ.

საინტერესოა ასევე იამენის ბრძოლა (1279 წ.). ეს იყო სონგის დინასტიის ბოლო დიდი საზღვაო ბრძოლა მონღოლთა იუანის იმპერიის წინააღმდეგ. ჩინური ფლოტი იყენებდა სხვადასხვა ცეცხლოვან იარაღს, მათ შორის, ბომბებსა და კვამლის/გამაღიზიანებელი ეფექტის მქონე საშუალებებს, რათა მტრის ხომალდებზე ქაოსი შეექმნა.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, ქიმიური თვისებების მქონე ნივთიერება პირდაპირ გამოიყენეს საზღვაო ბრძოლაში ტაქტიკური მიზნებით, რაც დღეს უკვე ქიმიური იარაღის განვითარების საწყის ეტაპად ითვლება.

ქიმიური იარაღის კლასიფიკაცია



მომწამლავი ნივთიერება – ქიმიური ნაერთი, რომელსაც აქვს გარკვეული ტოქსიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი საბრძოლო გამოყენების შემთხვევაში ცოცხალი ძალის დაზიანებას, ასევე ჰაერის, ტანსაცმლის, შეიარაღების, ტექნიკისა და ადგილმდებარეობის დასნებოვნებას.



ქიმიური იარაღის საფუძველია მომწამლავი ნივთიერებები. ეს ნივთიერებები თავსდება ჭურვებში, ნაღმებში, რაკეტების საბრძოლო ქობინებში, საავიაციო ბომბებში, გადმოსასხმელ საავიაციო ხელსაწყოებში, საკვალმე კოჭებში, ხელყუმბარებსა და სხვა ქიმიურ საბრძოლო მასალაში. მომწამლავი ნივთიერებები ორგანიზმს აზიანებს სასუნთქ ორგანოებში, კანსა და ჭრილობებში შეღწევით. ასევე დაზიანება შესაძლებელია დასნებოვნებული საკვებისა და წყლის მიღებით. მომწამლავი ნივთიერების შესაძლებლობას – ორგანიზმზე მოახდინოს დამაზიანებელი ზემოქმედება – ტოქსიკურობა ეწოდება.



მომწამლავი ნივთიერების **ტოქსიკურობა** ვლინდება მისი ორგანიზმთან კონტაქტის დროს, რაც დაზიანების გარკვეულ ეფექტს იწვევს. დაზიანება შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე საერთო ხასიათის. ადგილობრივი დაზიანება ვლინდება ორგანიზმის ქსოვილებთან მომწამლავი ნივთიერების კონტაქტის ადგილებში; საერთო დაზიანებას იწვევს მომწამლავი ნივთიერების კანის ან სასუნთქი ორგანოების მეშვეობით ორგანიზმში მოხვედრა.

მომწამლავი ნივთიერების ტოქსიკური დოზა – ნივთიერების ის რაოდენობა, რომელიც იწვევს გარკვეულ ტოქსიკურ ეფექტს.

ქიმიური იარაღი მოიცავს არა მხოლოდ ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებს, არამედ მათი მიტანის საშუალებებსაც.

ქიმიური საბრძოლო მასალა – მომწამლავი ნივთიერების ერთჯერადი გამოყენების საბრძოლო საშუალება (საარტილერიო ქიმიური ჭურვები, რაკეტების ქიმიური საბრძოლო ნაწილები, ქიმიური ფუგასები, ქიმიური კოჭები, ხელყუმბარები და ვაზნები).



ქიმიური საბრძოლო ხელსაწყო – მომწამლავი ნივთიერების მრავალჯერადი გამოყენების საბრძოლო საშუალება (გადმოსაღვრელი საავიაციო ხელსაწყოები და მომწამლავი ნივთიერების აეროზოლების მექანიკური გენერატორები).

ქიმიური იარაღის აღმნიშვნელი ნიშანი. ამ ნიშანს ათავსებენ საბრძოლო მასალაზე, რომელიც შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს.



გაეროს ინიციატივით დღეს ქიმიური იარაღის წარმოება და გამოყენება აკრძალულია „ქიმიური იარაღის კონვენციის“ (1993) მიხედვით, რომელსაც მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი შეუერთდა.

ტოქსიკური იარაღის აღმნიშვნელი ნიშანი. ამ ნიშანს ათავსებენ საბრძოლო მასალაზე, რომელიც შეიცავს შხამს.



ისტორიიდან

ქიმიურ იარაღს ხანგრძლივი და მომაკვდინებელი ისტორია აქვს. უძველესი ქიმიური ომის შესახებ ცნობები, მათ შორის, შხამიანი კვამლისა და ისრების გამოყენება, ძვ.წ. XII საუკუნემდე თარიღდება.

2009 წელს ბრიტანელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქიმიური თავდასხმის უძველესი მტკიცებულება დურა-ევროპოსში – ძველ რომაულ ქალაქში, რომლის ნანგრევებიც თანამედროვე სირიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იქ, ახ.წ. 256 წელს, 20 რომაელი ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში მას შემდეგ, რაც შხამიანი აირი ჩაისუნთქეს. ეს აირი წარმოიქმნა მაშინ, როდესაც ღუმლიდან გვირაბებში შეჰყავდათ გოგირდის კრისტალებისა და ბიტუმის წვის შედეგად წარმოქმნილი ორთქლი, სადაც ჯარისკაცები იყვნენ ჩაკეტილნი.

ასევე ცნობილია, რომ ძველ ჩინეთში მოწინააღმდეგეების მიმართულებით არმიის იარაღად იყენებდნენ ხელის ბელოუსებს (ჰაერის სასროლ მოწყობილობებს), რომლებითაც მათკენ უშვებდნენ დარიშხანის ორთქლს.

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხსენიებული მაგალითია პელოპონესის ომი (ძვ.წ. V საუკუნე), განსაკუთრებით, სპარტელების მიერ პლატეას ალყა (ძვ.წ. 429). თუკიდიდე

აღწერს, რომ მათ გამოიყენეს ხის, ფისისა და გოგირდის წვის შედეგად მიღებული მახრჩობელა კვამლი, რათა მოწინააღმდეგე დაეზიანებინათ. ისტორიკოსების ვარაუდით, ეს ქიმიური ომის ერთ-ერთი პირველი ფორმაა, რადგან მიზანმიმართულად გამოიყენებოდა ტოქსიკური აირები.

საუკუნეების განმავლობაში, ომის განვითარებასთან ერთად, გაზის გამოყენებით ომი კვლავ აინტერესებდა სამხედრო მეთაურებს. შუა საუკუნეებში მეომრები იყენებდნენ გოგირდის მსგავს ნივთიერებებს მტრის დასაბნევად და დასაშინებლად, თუმცა იმ დროის ტექნოლოგიური შეზღუდვების გამო შეუძლებელი იყო ეფექტური და სტაბილური ქიმიური იარაღის დიდი რაოდენობით წარმოება და შენახვა.

მიუხედავად იმისა, რომ „მახრჩობელი, შხამიანი ან სხვა გაზების“ და ასევე „ბაქტერიოლოგიური ომის მეთოდების“ გამოყენება აკრძალული იყო 1925 წლის ჟენევის პროტოკოლით (ერთა ლიგის ეგიდით), მსგავსი იარაღი მაინც არაერთ კონფლიქტში გამოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

პრაქტიკული აქტივობა

შექმენით მცირე სამუშაო ჯგუფები, გაეცანით ქვემოთ მოცემულ ნიმუშს და შეადგინეთ თქვენი გარემოს შესაბამისი პოტენციური საფრთხეების ჩამონათვალი (თუ ასეთი არსებობს).

საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა სკოლაში ან მის ახლოს შეიქმნას (ნიმუში)

ჩვენი სკოლა ტიპური სამსართულიანი შენობაა, რომელიც მდებარეობს ქალაქის/მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში. იგი უზრუნველყოფილია გათბობით, გაზით, წყლითა და ელექტროენერგიით. ექსპლუატაციის წესების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი ან აფეთქება. შედარებით სახიფათოა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტები და სასადილო.

ქალაქის/მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი (რომელი, სად), მდებარეობს მსხვილი ობიექტები (ჩამონათვალი), ფუნქციონირებს ქიმიურად საშიში საწარმოები (ჩამონათვალი), მათ შორის, ისეთი საწარმოები, რომლებიც გამოიყენებს ქლორსა (მაგალითად, წყალგაყვანილობის სადგური, მისამართი) და ამიაკს (ხორცკომბინატი და ა.შ.), აგრეთვე ელექტროქსელის კვანძები (მისამართი).

ქალაქის ტერიტორიაზე არსებობს ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ობიექტები (ჩამონათვალი), აგრეთვე რკინიგზის სადგური (რომელი, სად), საიდანაც ტრანზიტით გადაადგილდება მომწამლავნივთიერებებიანი ვაგონები და სხვა საშიში ტვირთი. დასახელებულ ობიექტებზე შესაძლებელია მასშტაბური ავარიები და კატასტროფები, რომლებიც, სხვებთან ერთად, სკოლაშიც შექმნის საგანგებო ვითარებას.

ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღი



ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღი მასობრივი დაზიანების იარაღია. მისი მოქმედება დაფუძნებულია საბრძოლო ბიოლოგიური საშუალებების თვისებებზე – გამოიწვიოს დაავადებები. ამ იარაღის დანიშნულებაა მასობრივად დააზიანოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, პირუტყვი და აგრეთვე ზოგიერთი სამხედრო მასალა.


ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) საშუალებები სპეციალურად შერჩეული ბიოლოგიური აგენტებია, რომლებიც ადამიანის, ცხოველისა და მცენარის ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს მძიმე ინფექციურ დაავადებას – ინტოქსიკაციას.



ბიოლოგიურ (ბაქტერიოლოგიურ) საშუალებებს განეკუთვნება მიკრობებისა და ვირუსების ცალკეული სახეობები. ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღის დამაზიანებელი მოქმედება მოგვიანებით ვლინდება. ამ ვადას ეწოდება საინკუბაციო პერიოდი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახეობისა და რაოდენობის მიკრობები მოხვდა ორგანიზმში და როგორია ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობა. საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა 2-იდან 5 დღემდეა. გამოწვეული დაავადება შეიძლება იყოს კონტაგიოზური, ე.ი. გადამდები – შავი ჭირი, ქოლერა, ციებ-ცხელება, ებოლა, ლასა და სხვ. და არაგადამდები, ე.ი. არაკონტაგიოზური – ციმბირული წყლული, ტულარემია და სხვა.

ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) საშუალებების გამოყენების მეთოდებია:

- აეროზოლური – ჰაერის მოწამვლა ბიოლოგიური აეროზოლით;
- ტრანსმისიური – დაავადებების გავრცელება მწერების, ტკიპებისა და მღრღნელების საშუალებით;
- დივერსიული.



ადამიანის ორგანიზმში ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) საშუალებების მოხვედრის გზებია:

- სასუნთქი ორგანოები;
- ლორწოვანი გარსი;
- კანი;
- კუჭ-ნაწლავი.

ეს საინტერესოა

ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ადამიანებმა ოდითგანვე იცოდნენ, რომ ავადმყოფობა შეიძლება მტრის დასასუსტებლად გამოეყენებინათ.

ბიოლოგიური იარაღის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ანტიკური პერიოდიდან, როდესაც მებრძოლები მოწამლულ ისრებს იყენებდნენ. მაგალითად, სკვითები და სხვა მომთაბარე ტომები ხშირად უსვამდნენ ისრების წვერებს ცხოველურ შხამს ან ლპობად ნივთიერებებს, რათა ჭრილობა უფრო საშიში გამხდარიყო და ინფექცია სწრაფად გავრცელებულიყო.

შუა საუკუნეებში უკვე გვხვდება უფრო ორგანიზებული შემთხვევა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არის კაფას ალყა, სადაც მონღოლთა ჯარებმა ალყის დროს ქალაქში, სავარაუდოდ, კატაპულტით გადაისროლეს შავი ჭირით დაავადებული სხეულები. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენამ დააჩქარა დაავადების გავრცელება, რამაც პანდემიის სახე მიიღო და ცნობილია როგორც „შავი ჭირი“.

ასევე ანტიკურ სამყაროში არსებობს ცნობები, რომ ალყების დროს მოწინააღმდეგეები ზოგჯერ წამლავდნენ წყლის წყაროებს ან იყენებდნენ დამპალ ორგანულ მასალას, რათა მტრის ბანაკში დაავადებები და ეპიდემიები გაევრცელებინათ.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ბიოლოგიური იარაღის იდეა ახალი არ არის – ის ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით არსებობდა, სანამ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მის გამოყენებას აკრძალავდა.



ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღი ვრცელდება საავიაციო ბომბებით, სარაკეტო კასეტებით, საარტილერიო ჭურვებით, ნაღმებით, საავიაციო გამომფრქვევი დანადგარებით, სპეციალური კონტეინერებით, ყუთებითა და ტომრებით, რომლებსაც აგდებენ თვითმფრინავებიდან.

ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) იარაღის გავრცელება ვლინდება შემდეგი ნიშნებით:

- ჭურვებისა და ბომბების აფეთქების შემდეგ აეროზოლის ღრუბლის გაჩენა;
- დიდი რაოდენობის მწერების, ტკიპებისა და მღრღნელების აღმოჩენა;
- დაავადებული, დახოცილი პირუტყვის, დამჭკნარი ან გამხმარი მცენარეების გაჩენა;
- პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილის ავადმყოფობა.

ბიოლოგიურ (ბაქტერიოლოგიურ) საშუალებებს ასევე განეკუთვნება პათოგენური მიკროორგანიზმები, ინფექციური დაავადებების გამომწვევები, რომლებიც ზომით ძალიან პატარაა, არა აქვთ ფერი, სუნი და გემო, ამიტომ ადამიანს არ შეუძლია გამოიცნოს ისინი ორგანოლეპტიკურად.

ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) დაზიანების კერად ითვლება ტერიტორია მასზე მყოფ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მოხვდნენ ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) საშუალებების ზემოქმედების არეში, რის შედეგადაც გაჩნდა მასობრივი ინფექციური დაავადებები.



ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) საშუალებებით დასნებოვნებულად ითვლება ყველა, ვინც იმყოფებოდა დაზიანების კერაში და აგრეთვე ისინი, რომლებმაც გამოიყენეს დასნებოვნებული კვების პროდუქტები, წყალი ან შეხება ჰქონდათ დასნებოვნებულ საბრძოლო ტექნიკასთან.

გაეროს ინიციატივით, დღეს ბიოლოგიური იარაღის წარმოება და გამოყენება აკრძალულია „ბიოლოგიური იარაღის კონვენციის“ (1972) მიხედვით, რომელსაც მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი შეუერთდა.

უსაფრთხოების წესები ბიოლოგიური დაბინძურების დროს

ინფექციურ დაავადებათა გავრცელების აღსაკვეთად ტარდება:

- ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური კომპლექსური ღონისძიებები;
- სასწრაფო პროფილაქტიკა;
- ცხადდება ობსერვაცია და კარანტინი;
- საჭიროების შემთხვევაში, ტარდება დეზინფექცია და დერატიზაცია.



კარანტინი – საორგანიზაციო, სარეჟიმო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეპიდემიის საწინააღმდეგო და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია განსაკუთრებულად საშიში ინფექციების ეპიდემიური კერის, ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) დაზიანების კერის სრულ იზოლაციასა და შემდგომში დასნებოვნების სრულ ლიკვიდაციაზე.

ობსერვაცია – სამედიცინო დაკვირვების ღონისძიებათა სისტემა იზოლირებულ ადამიანებზე, რომელთაც ჰქონდათ კონტაქტი დაავადებულ ადამიანებთან და გამოდიან კარანტინის ზონიდან.

დერატიზაცია – თაგვებისა და მინდვრის მავნებელი მღრღნელების განადგურება.



ბიოლოგიური დაბინძურების დროს მიმართავენ შემდეგ ღონისძიებებს:

- ვაქცინაცია. მაგალითად, დღეისათვის არსებობს ციმბირის წყლულისა და ყვავილის ვაქცინები. ბაქტერიული ორგანიზმების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ანტიბიოტიკებით მკურნალობა;
- ბიოლოგიური იარაღისგან თავის დასაცავად გამოიყენებენ სპეციალურ ნიღბებს;
- შესაძლებელია დღეისათვის არსებული აირწინაღების ან სხვა ტიპის ჰაერის ნაწილაკების ფილტრების გამოყენება.

მასობრივი დაზიანების იარაღის მოქმედების ეფექტის დაძლევა შესაძლებელია წინასწარი მომზადების, შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის არსებობისა და დეზინფექციის შემთხვევაში.



აღნიშნულ ნიშანს გამოსახავენ იმ კონტეინერებზე, რომლებშიც ინახება ბიოლოგიური საფრთხის შემცველი საშუალებები (ბაქტერიები, ვირუსები, ბიოლოგიური ტოქსინები).

დავალება

დაწერეთ წერილობითი მიმართვა მასობრივი დაზიანების საშუალებების შესახებ და წარმოიდგინეთ, რომ მიმართვას წაიკითხავენ 2500 წელს მცხოვრები თქვენი თანატოლები.

მიმართვაში წარმოაჩინეთ:

- რომელი მასობრივი დაზიანების საშუალებებია ცნობილი დღეს და რა საფრთხეს უქმნის ისინი ადამიანებს, საზოგადოებასა და გარემოს?
- როგორია მასობრივი დაზიანების საშუალებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები?
- რა პრევენციული საშუალებები არსებობს მათი თავიდან ასარიდებლად?
- რა რეკომენდაციებს მისცემდით 2500 წელს მცხოვრებ ახალგაზრდებს, რათა მომავალშიც შეინარჩუნონ მშვიდობა, უსაფრთხოება და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გლობალური საფრთხეების მიმართ?

სასარგებლო რესურსები

12. სამოქალაქო უსაფრთხოება და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

იმსჯელეთ

- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანები წინასწარ იყვნენ მომზადებული სხვადასხვა საფრთხისთვის?
- რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება? რომელი გახსენდებათ?
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს სამოქალაქო უსაფრთხოება?
- რატომ არის სამოქალაქო უსაფრთხოება მნიშვნელოვანი?

თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი უსაფრთხოება. სამოქალაქო უსაფრთხოება ამ სამდონიანი უსაფრთხოების ერთგვარი პრაქტიკული გამოვლინებაა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების პოლიტიკის რეალურ განხორციელებას ადგილზე.

სამოქალაქო უსაფრთხოება არის სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას საგანგებო სიტუაციების დროს, ასევე მატერიალური ზარალის შემცირებასა და სწრაფ აღდგენას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი კატასტროფების, ტექნოგენური ავარიების ან სხვა კრიზისების პირობებში, როდესაც საჭიროა სწრაფი და კოორდინირებული რეაგირება.

სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვაში მონაწილეობენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, პოლიცია, ჯანდაცვის სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობები), ისე სამხედრო ძალები, საჭიროების შემთხვევაში. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და თავად მოქალაქეებიც, რომლებიც მზადყოფნის, პრევენციისა და ურთიერთდახმარების გზით ხელს უწყობენ უსაფრთხო გარემოს შექმნას. ეფექტური სამოქალაქო უსაფრთხოება სწორედ ამ ერთობლივ, კოორდინირებულ მოქმედებაზეა დაფუძნებული.


დაცვა


მზადყოფნა


რეაგირება


ურთიერთდახმარება


აღდგენა



სამოქალაქო უსაფრთხოება – ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, აგრეთვე კანონით (სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონი) განსაზღვრული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლის/ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ისტორიიდან

მსოფლიო სამოქალაქო თავდაცვის საჭიროებაში პირველი მსოფლიო ომის დროს დარწმუნდა. სწორედ მაშინ დაიწყო საბრძოლო ავიაციის გამოყენება საომარ მოქმედებებში. მებრძოლმა მხარეებმა, საბრძოლო პოზიციებთან ერთად, აეროპლანები და დირიჟაბლები გამოიყენეს ფრონტის ხაზიდან საკმაოდ დაშორებული დასახლებული პუნქტების ჰაერიდან დასაბომბად. მოწინააღმდეგის ზურგში არსებული მომარაგების ობიექტების დასაზიანებლად დაიწყეს სამხედრო ავიაციის განვითარება. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, შეიქმნა ავიაციის სპეციალური სახეობა – ბომბდამშენი ავიაცია, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებდა მოწინააღმდეგის ზურგში არსებული ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად. საჭირო გახდა ბომბდამშენებთან ბრძოლის მეთოდების შემუშავება და მათ მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად ზომების გატარება.

ავიაცია არ იყო ერთადერთი თავსატეხი მეომარი მხარეებისათვის. 1915 წლის 22 აპრილს გერმანიის მე-4 არმიამ იპრთან ანგლო-ფრანგული პოზიციების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ავიაციისა და მასობრივი დაზიანების იარაღის (ქიმიური, ბიოლოგიური) განვითარებამ ცხადყო მოსახლეობის სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში 9,0 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა, რომელსაც მალევე მოჰყვა ძლიერი ცუნამი. ტალღების სიმაღლე ზოგ ადგილას 15 მეტრს აღემატებოდა. ცუნამმა დატბორა ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგური, სადაც ბირთვული რეაქტორების გამაგრილებელი სისტემები მწყობრიდან გამოვიდა. რეაქტორები მიწისძვრის შემდეგ ავტომატურად გაჩერდა, თუმცა რეაქტორის ბირთვი გაჩერების შემდეგაც ძლიერ სიცხეს გამოყო-

ფდა და მუდმივ გაგრილებას საჭიროებდა. ცუნამმა ელექტროგენერატორები დააზიანა, რის გამოც გაგრილების სისტემა ვეღარ მუშაობდა. რამდენიმე საათში რეაქტორებში ტემპერატურა მკვეთრად გაიზარდა, დაიწყო საწვავის დაზიანება და წყალბადის დაგროვება. ამის შედეგად 1-ელ, მე-3 და მე-4 ბლოკებზე ძლიერი აფეთქებები მოხდა.

იაპონიის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია. თავდაპირველად მოსახლეობა 3-კილომეტრიანი ზონიდან გაიყვანეს, შემდეგ 10-კილომეტრიანი, ბოლოს კი 20-კილომეტრიანი ზონა მთლიანად დაიცალა. ევაკუირებული იქნა დაახლოებით 150 000 ადამიანი. მოსახლეობა სპეციალური ავტობუსებით უსაფრთხო რეგიონებში გადაიყვანეს.

რეაქტორზე სამუშაოები უკიდურესად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ინჟინრები, მეხანძრეები და სამხედროები ცდილობდნენ რეაქტორების გაგრილებას ზღვის წყლისა და ბორის მჟავის გამოყენებით, რათა ბირთვული რეაქცია შეეჩერებინათ. სპეციალური ტექნიკა და შვეულმფრენებიც გამოიყენეს დაზიანებული



ბლოკების გასაგრილებლად. ადამიანები ხშირად მაღალი რადიაციის პირობებში მუშაობდნენ სპეციალური დამცავი ტანსაცმლით.

შემდეგ ეტაპზე დაიწყო დაზიანებული რეაქტორების მოწესრიგება, დაბინძურებული წყლის კონტროლი და ტერიტორიის გაწმენდა. იაპონიამ გაამკაცრა ბირთვული უსაფრთხოების წესები, ააგო დამატებითი დამცავი ნაგებობები და განაახლა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემა. ფუკუშიმას კატასტროფამ მსოფლიოს დაანახა, რომ ბუნებრივ კატასტროფას შეუძლია მძიმე გავლენა მოახდინოს ბირთვულ ინფრასტრუქტურაზე და ასეთ პირობებში სწრაფი, ორგანიზებული რეაგირება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

შეკითხვები

- ახსენით, როგორ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული მიწისძვრა, ცუნამი და ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია?
- შეადარეთ ფუკუშიმას კატასტროფის დროს ჩატარებული ევაკუაციის პროცესი სხვა ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების დროს მოსახლეობის თქვენთვის ნაცნობ ევაკუაციას – რა მსგავსება-განსხვავებებია?
- დაასაბუთეთ, რატომ გახდა აუცილებელი მოსახლეობის ეტაპობრივი ევაკუაცია?
- რა როლი შეასრულეს ინჟინრებმა, მეხანძრეებმა და სამხედროებმა საგანგებო სიტუაციის მართვის პროცესში?
- დაასაბუთეთ, რატომ არის სწრაფი და ორგანიზებული რეაგირება გადამწყვეტი?

- ამ მაგალითზე დაყრდნობით, რა რჩევებს მისცემდით სახელმწიფოს სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების თვალსაზრისით?



სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო სიმბოლო

სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია – სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია გავლენა სახელმწიფო სტრუქტურების განვითარებაზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაზე, მათ დახმარებაზე, აგრეთვე მატერიალური ფასეულობებისა და გარემოს შენარჩუნებაზე სტიქიური უბედურებებისა და ტექნოგენური კატასტროფების დროს.



საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 13 ოქტომბერს დაამტკიცა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციაში 1977 წლის 8 ივნისს დამატებითი პროტოკოლით შესული ცვლილებები, სადაც დეტალურადაა განმარტებული სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები და სისტემასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის მზაობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის.

მოსახლეობის დაცვის ძირითადი ხერხები

- მოსახლეობის საინჟინრო დაცვა
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება
- მოსახლეობის ევაკუაცია

მოსახლეობის საინჟინრო დაცვა



მოსახლეობის საინჟინრო დაცვა გულისხმობს მოსახლეობის თავის შეფარებას სამოქალაქო დაცვით ნაგებობებში.

დაცვითი ნაგებობების ფონდის შექმნისა და მისი ზრდის ძირითადი მიმართულებებია:

- ქალაქების მიწისქვეშა სივრცის კომპლექსური ათვისება ეკონომიკის მოთხოვნებისა და მათი

მოსახლეობის დაცვისათვის გამოყენების შესაბამისად;


- მშენებარე სახლების ნულოვანი სართულების (ავტოსადგომების, სარდაფების) გამოყენება მოსახლეობის დაცვის მიზნით;
- არსებული სახლების სარდაფების გამოყენება მოსახლეობის დაცვის მიზნით;
- ცალკე არსებული ჩაღრმავებული ნაგებობების გამოყენება მოსახლეობის დაცვის მიზნით;
- მეტროპოლიტენის, გვირაბების, გამოქვაბულების, მიწისქვეშა გადასასვლელებისა და სხვა მიწისქვეშა სივრცეების გამოყენება მოსახლეობის დაცვის მიზნით.



დაცვით ნაგებობებს განეკუთვნება სხვადასხვა ტიპის თავშესაფრები.

თავშესაფრები

თავშესაფრები შეიძლება იყოს უმარტივესი, მარტივი/მსუბუქი, კაპიტალური/ჩაშენებული, ცალკე მდგომი და სხვ.



თავშესაფარმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის დაცვა ბირთვული იარაღისა და დაზიანების თანამედროვე საშუალებების დამაზიანებელი ფაქტორების, მომწამლავი ნივთიერებების, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, კატასტროფული დატბორვის, ავარიულად საშიში ქიმიური ნივთიერებების, ბირთვული დანადგარების ნგრევისას გამოყოფილი რადიოაქტიური პროდუქტის, ხანძრების დროს მაღალი ტემპერატურისა და წვის პროდუქტის ზემოქმედებისაგან.

დანიშნულების მიხედვით, თავშესაფრები გამოიყენება მართვის პუნქტებისა და მოსახლეობის განსათავსებლად;

ტევადობის მიხედვით, შეიძლება იყოს: პატარა (150 ადამიანამდე), საშუალო (150-450 ადამიანი) და დიდი (450-ზე მეტი ადამიანი).




განლაგების მიხედვით, შეიძლება იყოს: ცალკე მდგომი, რომელიც შენდება შენობებისა და ნაგებობებისაგან განცალკევებით (ჩაღრმავებულები ან ნახევრად ჩაღრმავებულები), ჩაშენებული, განლაგებული სარდაფებში და პირველ სართულებზე, გამოქვაბულებში და სხვ.

აშენების დროის მიხედვით: წინასწარ აშენებული, რომელიც, ძირითადად, შენდება მშვიდობიან დროს, და სწრაფმშენებარე, რომელიც, ძირითადად, შენდება ომიანობის პერიოდში.

უმარტივესი თავშესაფარი. უმარტივეს თავშესა-





ფრად შესაძლებელია როგორც რელიეფური ფორმისა და წარმონაქმნის, ისე ყველა საინჟინრო ნაგებობის გამოყენება.

ეს არის ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფარებულების ნაწილობრივ დაცვას საჰაერო დარტყმითი ტალღისაგან, შუქური გამოსხივებისა და დანგრეული შენობების ნამტვრევებისაგან, ასევე ამცირებს შემღწევი რადიაციისა და რადიოაქტიური გამოსხივების ზემოქმედებას, გარდა ამისა, იცავს უამინდობისა და სხვა არასასურველი პირობებისაგან.

უმარტივეს თავშესაფრებს (10-40 ადამიანზე) განეკუთვნება შემდეგი საინჟინრო ნაგებობები:

- თხრილები (ღია და გადახურული);
- ტრანშეები (გამაგრებული ხე-ტყის მასალით ან მათ გარეშე);
- სარდაფები და იატაკქვეშეთი (ხე-ტყის მასალისაგან ან სხვა ადგილობრივი მასალებისაგან);
- მიწურები, ფარდულები;
- შენობის ცოკოლი და პირველი სართულები.

ბირთვული აფეთქებისგან უმარტივესი დაცვა:

- თუ ბირთვული აფეთქებისას ადამიანი თავშესაფარში არ არის, ის უნდა დაწვეს მიწაზე, სახით ქვევით; დაცვისათვის უნდა გამოიყენოს ქვის დაბალი ზღუდე, ორმო, ხევი, სარკინიგზო ან საავტომობილო გზებზე დაყრილი ხრეში, ტყის ნარგავები;
- არ შეიძლება შენობის კედლებთან გაჩერება – ისინი შეიძლება ჩამოინგრეს!
- დასხივებით მხედველობის დაზიანებისგან დასაცავად საჭიროა აფეთქებისას თვალების დახუჭვა;
- დარტყმის ტალღის გავლის შემდეგ სასწრაფოდ საჭიროა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მორგება. თუ ეს არაა ხელმისაწვდომი, საჭიროა ნებისმიერი სახის ნიღბით (ცხვირსახოცი, შარფი და ა.შ.) პირისა და ცხვირის დაცვა და ტანსაცმლის დაფერთხვით მტვრის მოშორება;
- ტყე ასუსტებს ბირთვული აფეთქების ყველა ფაქტორს. ის ამცირებს დარტყმის ტალღისა და შემღწევი რადიაციის ძალას, რადიოაქტიურ დაბინძურებას, მაიონებელი გამოსხივების ზემოქმედებას.

მარტივი თავშესაფრები ყველაზე ხელმისაწვდომია. მათი ძირითადი დანიშნულებაა საბრძოლო მოქმედებების დროს კონვენციური იარაღის გამოყენებისა და ბუნებრივი მოვლენებისაგან თავის დაცვა. მსუბუქი თავშესაფარი ასაშენებლად მარტივია და მის გამოყენებას მეტ-ნაკლები ეფექტი აქვს.





მარტივი თავშესაფრის აგება



მიწით გადახურული მარტივი თავშესაფრის ზომები. სიგრძე დამოკიდებულია ადამიანების რაოდენობაზე. 1 ადამიანისთვის განსაზღვრულია 0,5 მ.

ჩაშენებული თავშესაფრები. ჩაშენებული თავშესაფრები შენდება შენობა-ნაგებობების ქვეშ. მათ აპროექტებენ და მშენებლობის პერიოდში ითვალისწინებენ შენობის ნგრევის ფაქტორს. თავშესაფარს აქვს როგორც სავენტილაციო ხაზები, ისე სათადარიგო გასასვლელები, რომლებიც შენობიდან მისი სიმაღლის 2/3-ზე მეტი მანძილით უნდა იყოს დაშორებული.













ჩაშენებულ თავშესაფრებს შესაძლებელია ჰქონდეს ორმაგი დანიშნულება. ამ ტიპის თავშესაფრებში იგულისხმება მეტრო, მიწისქვეშა ავტოფარეხები, საწყობები და სხვა.

სპეციალური ცალკე მდგომი თავშესაფრები. სპეციალური ცალკე მდგომი თავშესაფრები შენდება სპეციალურად მასობრივი დაზიანების იარაღისაგან თავდასაცავად.

რადიაციის საწინააღმდეგო საფარი განსაკუთრებული სპეციალური ცალკე მდგომი თავშესაფარია. მისი დანიშნულებაა ადგილმდებარეობის რადიოაქტიური დასნებოვნების დროს მაიონებელი გამოსხივებისგან შეფარებულების დაცვის უზრუნველყოფა და შესაბამისი რაოდენობის ადამიანების უწყვეტი ყოფნა ორი დღე-ღამის განმავლობაში.

განასხვავებენ რადიაციის საწინააღმდეგო საფრების სამ ჯგუფს:

ა) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებს 200-ჯერ და მეტად;

ბ) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებს 50-დან 200-მდე;

გ) საფრები, რომლებიც რადიაციის დონეს ამცირებს 20-დან 50-მდე.

თავშესაფარს, გარდა რკინის ჰერმეტული კარებისა, უკეთდება (პირველი) რკინის ან ხის კარი (ტამბურში), რომელიც იცავს რადიაციული ნალექისა და მტვრისაგან. თავშესაფარს ჰაერი მიეწოდება რკინაბეტონის ჰაერსადენებით.

თავშესაფრის ძირითად ნაკვეთურში აკეთებენ ორიარუსიან და სამიარუსიან ტახტებს, რომელთა ქვედა იარუსი გამოიყენება როგორც დასაჯდომად, ისე დასაწოლად, ხოლო ზედა იარუსები – დასაწოლად.

როგორც წესი, თავშესაფარს უნდა ჰქონდეს რამდენიმე შესასვლელი (ტევადობიდან გამომდინარე). მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, მოსალოდნელი საფრთხის სიგნალის შემთხვევაში, მოსახლეობის დროულად და შუეფერხებლად მიღება. დიდ თავშესაფრებში ითვალისწინებენ არანაკლებ ორ შესასვლელს.


დამრტყმელი ტალღის მოსაგერიებლად (გასაძლებად) შემოსასვლელი კარი უნდა იყოს მყარი და ჰერმეტული. თავშესაფრის შემოსასვლელი და გასასვლელი კონსტრუქციის ყველაზე სუსტი ადგილებია, ამიტომ მისი დატვირთვის გათვლა 1,5-2,0-ჯერ აღე-

მატება მთლიანი შენობის ნორმატიულ დატვირთვას. შემოსასვლელი ეწყობა ისე, რომ მაქსიმალურად გაუძლოს დამრტყმელ ტალღას. საშიში რადიაციული, ქიმიური და სხვა ნაწილაკებისაგან თავშესაფრის დასაცავად მისი კარი ჰერმეტული უნდა იყოს.

შემოსასვლელი (პირველი) კარი უნდა იღებოდეს გარეთ. ასევე გათვალისწინებულია მეორე კარი, რათა თავშესაფარში მყოფი ადამიანები დაცული იყვნენ დარტყმითი ტალღის ჭარბი წნევის ზემოქმედებისაგან. სივრცეს პირველ და მეორე კარს შორის ეწოდება ტამბური. საფრთხე მოსალოდნელია ნებისმიერ დროს. მოსახლეობას იღებენ ჯგუფებად. იღება პირველი კარი, ტამბური იკეტება და მხოლოდ ამის შემდეგ იღება მეორე, რათა მოულოდნელი აფეთქებისას დაცული იყოს თავშესაფარში მყოფი ადამიანების ჯგუფი.

ასასვლელები – ბეტონის არხები (შახტები) გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი კარების გაღება არ შეიძლება. ისინი, საჭიროების შემთხვევაში, ვითარების დასაზვერად (დაბინძურების ფონის, ხარისხის მონიტორინგისათვის) და ევაკუაციისათვის გამოიყენება.

თავშესაფარში ჰაერის მიწოდება და ფილტრაცია



1 – დარბაზი; 2 – მართვის პუნქტი; 3 – სამედიცინო პუნქტი; 4 – სავენტილაციო ფილტრების კამერა; 5 – სათადარიგო ელკვების ნაკვეთური (დიზელ-გენერატორი); 6 – სანიტარიული კვანძი; 7 – საწვავის საწყობი და ელექტროკარადა; 8 – საკვების საწყობი; 9 – შესასვლელი ტამბურით; 10 – საავარიო გასასვლელი.

ტამბური – პატარა სათავსი შენობის გარეთა კარებთან, იცავს შენობას გარედან შემოსული ცივი ჰაერისაგან.



ჰაერის ფილტრაციის სისტემამ უნდა უზრუნველყოს თავშესაფარში ზედაპირიდან ჰაერის მიწოდება სპეციალური არხებით. თავშესაფარში ზედაპირიდან (დიდი ალბათობით, მოწამლული) შემოსული ჰაერი უნდა გაიწმინდოს. გარდა ამისა, არსებული ჰაერის შესუნთქვის შემდეგ იკლებს ჟანგბადისა და იმატებს ნახშირორჟანგის რაოდენობა, რაც იწვევს ტემპერატურის მატებას, ამიტომ თავშესაფრებში ითვალისწინებენ როგორც ჰაერის მიწოდების, ასევე მის სავენტილაციო სისტემას.

წყალმომარაგება, განათება, გათბობა



თავშესაფრების წყალმომარაგებისათვის იყენებენ არსებულ წყალმომარაგების ქსელებს, საიდანაც მარაგდება აქ დამონტაჟებული ავზები როგორც ტექნიკური, ისე სასმელი წყლით. წყლის ავზების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ყოველდღიურ ნორმას: 6 ლიტრი წყალი თავსაფარში მყოფ ყოველ ადამიანზე. პარალელურად, თუ არსებული წყალსადენები არ ზიანდება და არ არის მათი დაბინძურების საშიშროება, წყალს პირდაპირ წყალსადენებიდან იღებენ (მარაგი რჩება ხელშეუხებლად). საშიშროების შემთხვევაში წყალსადენი იკეტება.

ტუალეტები გათვალისწინებულია ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე. თავშესაფრის განათება უზრუნველყოფილია ქალაქის ელექტროქსელიდან, მისი დაზიანების შემთხვევაში კი – სათადარიგო კვების ბლოკიდან (დიზელ-გენერატორიდან). გათბობა უზრუნველყოფილია არსებული გათბობის ქსელიდან. ზამთრის პერიოდში თავშესაფარში დაშვებულია 10 გრადუსი ტემპერატურა.

მარაგების საწყობი

თავშესაფრებში იქმნება აუცილებელი მარაგების საწყობები: მშრალი ულუფა – 3 დღის მარაგი, აქვეა ქიმიური დაცვის საშუალებების, ჟანგბადის, საწვავის მარაგები.

⚠ ადამიანების თავშესაფარში განაწილება და ქცევის წესები

- უფროსები ბავშვებთან ერთად თავსდებიან ცალკე ნაწილში ან სპეციალურად გამოყოფილ ად-

გილას. თავშესაფრის შევსებისთანავე ყველა კარი იკეტება;



- მოქალაქე ვალდებულია თან იქონიოს სასმელი წყალი (არანაკლებ 2 დღის მარაგი) პოლიეთილენის ბოთლში, ჰიგიენის საშუალებები, საბუთები, მინიმალური რაოდენობის პირადი ნივთები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- აუცილებელია თავშესაფრის პერსონალისა და კომენდანტის ყველა ბრძანების შესრულება;
- აკრძალულია სიგარეტის მოწევა, ხმაური, ნებართვის გარეშე ნავთქურისა და სანთლის ანთება;
- არ შეიძლება თავშესაფარში ადვილად აალებადი და დიდი ზომის ნივთების შეტანა, ცხოველების შეყვანა;
- არ შეიძლება უმიზეზოდ თავშესაფრის განყოფილებებში სიარული;
- დასაწოლად განკუთვნილ ადგილებში ორგანიზებულია მონაცვლეობით დასვენება;
- თავშესაფრიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ თავშესაფრის კომენდანტის მითითებით ან შენობის ავარიული მდგომარეობის შემთხვევაში, როცა ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

⚠ გახსოვდეთ

შესაძლოა შუქური გამოსხივების გამო ტყეში ხანძარი გაჩნდეს! შედარებით ნელა იწვის ნორჩი ტყე. პირველ ყოვლისა, სწორედ ამის გამოყენებაა საჭირო დაცვის საშუალებად.

ძლიერი დარტყმის ტალღა ამტვრევს ხეებს, რის გამოც უმჯობესია დაბალ ბუჩქებთან ყოფნა. თუ ასეთი არ არის, თავი უნდა შეაფაროთ ტყის პირიდან 150-200 მეტრის სიღრმეში.

მოსახლეობის ევაკუაცია



მოსახლეობის ევაკუაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციის ან მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ზონებიდან, ასევე საომარი მოქმედებების ან მისი მიმდებარე რაიონებიდან, მსხვილი ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრებიდან მოსახლეობის ორგანიზებულ გაყვანასა და მათ დროებით განთავსებას უსაფრთხო (საგანგებო სიტუაციის წყაროს დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედების ზონის გარეთ) რაიონებში.

ევაკუაცია ითვლება დასრულებულად, როდესაც



მთელი მოსახლეობა, რომელიც ევაკუაციას ექვემდებარება, გაყვანილია უსაფრთხო რაიონებში.

უსაფრთხო რაიონი წინასწარ შერჩეული უსაფრთხო ტერიტორიაა, რომელიც მომზადებულია ევაკუირებული მოსახლეობის განთავსებისა და მათთვის აუცილებელი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის.

ეს საინტერესოა

საევაკუაციო ღონისძიებები იგეგმება და ტარდება კომბინირებული ხერხით, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ნაწილის უმოკლეს ვადაში ნებისმიერი სახის ტრანსპორტით (საკუთრების ფორმის მიუხედავად, გარდა იმისა, რომელიც დაკავებულია სამხედრო გადაზიდვებით), ხოლო დანარჩენის – ფეხით გაყვანას.

ევაკუირებული მოსახლეობის ფეხით გაყვანა იგეგმება, როგორც წესი, ერთი დღის სავალ მანძილზე (30-40კმ). ამასთან, მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფის (მაგ., სტუდენტების) გაყვანა შესაძლებელია უფრო შორ მანძილებზე. ფეხით ევაკუაციისას უნდა გადაადგილდნენ იმ გზებით, რომლებიც არ არის დაკავებული სამხედრო და საევაკუაციო გადაზიდვებით.

ორგანიზებული გადაადგილებისა და მოხერხებული მართვის მიზნით, ფეხით გადაადგილებულთა კოლონებში რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს 200 ადამიანს.

კოლონის გადაადგილების დაგეგმვისას საშუალო სიჩქარედ მიიჩნევენ 4-5 კმ/სთ-ს, ხოლო დისტანციას კოლონებს შორის – 500 მ-ს. 1-1,5 საათის მოძრაობის შემდეგ დასვენებისა და კოლონის თავმოყრისთვის ინიშნება მცირე შესვენებები 10-15 წუთით. დიდი შესვენება ინიშნება 1-2 საათის ხანგრძლივობით სადღეღამისო ცვლის მეორე ნახევარში.

მოსახლეობის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაყვანაში ჩართული იქნება როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ვაგონები და ნახევარვაგონები. ვინაიდან ევაკუაცია იგეგმება შედარებით მოკლე მანძილებზე, შესაძლებელია გაიზარდოს ვაგონებში ხალხის ჩასხდომის ნორმები.

საავტომობილო ტრანსპორტით ხალხის გადასაყვანად გამოიყენება ავტობუსები, მიკროავტობუსები, ბორტიანი ავტომანქანები და სხვა.

იმ დასახლებული პუნქტებიდან, რომლებიც განლაგებულია ზღვის სანაპიროზე, ნავიგაციის პერიოდში მოსახლეობის ევაკუაციისთვის შეიძლება საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება.

აუცილებლობის (განსაკუთრებულ) შემთხვევაში, შესაბამის მეტეოროლოგიურ პირობებში მოსახლეობის ევაკუაციისთვის შეიძლება საავიაციო ტრანსპორტის (თვითმფრინავი, შვეულმფრენი) გამოყენება.

⚠ ქცევის წესები ევაკუაციის დროს

- თან ვიქონიოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- მოვამზადოთ აუცილებელი ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, ჰიგიენის ნივთები);
- თან ვიქონიოთ არამალფუჭებადი პროდუქტების მარაგი, რომელსაც მომზადება არ სჭირდება, და ყველაზე საჭირო მედიკამენტები;
- ნივთები უნდა ჩავალაგოთ ჩანთაში ან ზურგჩანთაში. მას მივამაგროთ ფურცელი, რომელზეც მითითებული იქნება სახელი და გვარი, საცხოვრებლისა და ევაკუაციის მისამართი;
- უნდა წავიღოთ სხვადასხვა დოკუმენტი, მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა;
- საჭიროა დადგენილ დროს შესაკრებ საევაკუაციო პუნქტში გამოცხადება და რეგისტრაციის გავლა;
- საჭიროა მგზავრობისას დისციპლინისა და ორგანიზებულობის გამოვლენა. არ შეიძლება გაჩერებებზე თვითნებურად ჩასვლა;
- შესაკრებ საევაკუაციო პუნქტში მისულმა ადამიანებმა უნდა შეასრულონ უფლებამოსილი პირების მითითებები.



უსაფრთხო რაიონში მოსახლეობის განთავსების შემდეგ აუცილებელია სამედიცინო და ბაქტერიოლოგიური დაცვის ღონისძიებების ჩატარება, რათა უსაფრთხო რაიონი არ გადაიქცეს ეპიდემიურ კერად.

სამედიცინო დაცვა მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის შესაძლო საფრთხის პროგნოზირებასა და ამის საფუძველზე დამაზიანებელი ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების თავიდან აცილებასა და მაქსიმალურ შემცირებას.



ბაქტერიოლოგიური საშუალებებისგან დაცვა საჭიროა ინფექციური დაავადებების წარმოქმნისა და გავრცელების თავიდან აცილების, დაავადებული ადამიანებისთვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ბაქტერიოლოგიური დაზიანების კერის (ეპიდემიოლოგიური კერის) ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის მიზნით.

ეპიდემიური კერა ხასიათდება დიდი რაოდენობის ინფექციური დაავადებების ან მცირე რაოდენობის

განსაკუთრებულად საშიში ინფექციური დაავადებების წარმოქმნით, გარემოში ისეთი პირობების არსებობით, რომლებიც ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას. ამ პირობებში დაბინძურებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე ცხადდება კარანტინის ან ობსერვაციის რეჟიმები, რომლებიც ითვალისწინებს სარეჟიმო შემზღუდავი ღონისძიებების სისტემას.

ინფექციის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ტერიტორია, რომელზეც გამოცხადებული იყო კარანტინი, ექცევა იზოლაციაში.

პრაქტიკული აქტივობა

ჩამოაყალიბეთ სამუშაო ჯგუფები და გაეცანით საზოგადოების ორ განსხვავებულ პოზიციას. აირჩიეთ ერთ-ერთი და წერილობით დაასაბუთეთ თქვენი არჩევნის მართებულობა.


I პოზიცია. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს მოსახლეობის საინჟინრო დაცვის სისტემების განვითარება – ეს გულისხმობს თანამედროვე თავშესაფრების მშენებლობას, არსებული ნაგებობების გამაგრებასა და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას. მათი აზრით, საგანგებო სიტუაციის დროს, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელია საინჟინრო დაცვის ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც პრევენციულია და საჭიროებისამებრ – შედეგზე ორიენტირებული.

II პოზიცია. საზოგადოების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის უსაფრთხოების მთავარი საფუძველი არის მოქალაქეთა ცოდნა, უნარები და მზადყოფნა. მათი აზრით, ძლიერი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია, თუმცა ძლიერი ინფრასტრუქტურაც კი უფუნქციოა, თუ ადამიანებმა არ იციან, როგორ იმოქმედონ. ამ პოზიციის მხარდამჭერები აღნიშნავენ, რომ მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ საფრთხეების ამოცნობა, ევაკუაციის წესები, არსებული თავშესაფრის გამოყენების პრინციპები, პირველი დახმარების აღმოჩენა და კრიზისის დროს სწორი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს ამ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება და განათლება.

ინვიდუალური დაცვის საშუალებები

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები – საგანი ან საგანთა ჯგუფი, რომლის დანიშნულებაა ერთი ადამიანის რადიოაქტიური, საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებებისაგან, ასევე ბირთვული აფეთქების შუქური გამოსხივებისაგან დაცვა (უსაფრთხოების უზრუნველყოფა).


დანიშნულების მიხედვით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები იყოფა სასუნთქი ორგანოების დაცვისა და კანის დაცვის საშუალებებად.




აირწინაღები

მფილტრავი აირწინაღის მოქმედების პრინციპია ჩასასუნთქი ჰაერის წინასწარ გაწმენდა (გაფილტვრა).

ნებისმიერი აირწინაღი კონსტრუქციულად შედგება კოლოფისა და სახის ნაწილისაგან. გარდა ამისა, აირწინაღის კომპლექტში შედის: გადასატანი ჩანთა და კოლოფი შუშის დაორთქვლის საწინააღმდეგო საშუალებებით (ზოგიერთ შემთხვევაში კი – სალაპარაკო მემბრანებითაც).



გამფილტრავი აირწინაღი
ა – ნიღბიანი. ბ – ჩაფხუტნიღბიანი. 1 – ა – ნიღაბი; ბ – ჩაფხუტ-ნიღაბი;
2 – ფილტრი; 3 – ამოსასუნთქი სარქველი; 4 – სალაპარაკო მოწყობილობა.



მაიზოლირებელი აირწინაღი
1 - ნიღაბი; 2 - რეგენერაციული ვაზნა;
3 - კარკასი; 4 - სასუნთქი ტომარა;
5 - ჩანთა; 6 - სალაპარაკო მოწყობილობა;
7 - გამშვები ხელსაწყო.


სახის დასაცავად გამოიყენება ნიღაბი ან მუზარად-ნიღაბი. ზოგიერთ აირწინაღს აქვს სალაპარაკო მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, აირწინაღის მოხსნის გარეშე ილაპარაკოს. ზოგიერთ მოდელს ასევე აქვს წყლის სმის მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია წყლის დალევა აირწინაღის მოხსნის გარეშე. აირწინაღის სახის ნაწილის დანიშნულებაა გაწმენდილი ჰაერის სასუნთქი ორგანოებისათვის მიწოდება. გარდა ამისა, იგი იცავს სახესა და თვალებს რადიოაქტიური, სახიფათო ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ნივთიერებების მოხვედრისაგან.

აირწინაღის კოლოფის დანიშნულებაა ჩასასუნთქი ჰაერის გაწმენდა რადიოაქტიური, საშიში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებებისგან. მასში მოთავსებულია გააქტიურებული ნახშირი და კვამლსაწინააღმდეგო ფილტრი.

აირწინაღის ნიღბის შერჩევისას , ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში, ზომავენ გარშემოწერილობას საქოჩრიდან ნიკაპამდე, ხოლო ბავშვების აირწინაღს – სახის სიმაღლის (წარბებიდან, ცხვირის ჩაღრმავებიდან ნიკაპის ქვემო ნაწილამდე) მიხედვით. ამ მონაცემებით განსაზღვრავენ მუზარად-ნიღბის ზომებს.

აირწინაღის გამოყენების წინ სწორად უნდა შეარჩიოთ ზომა და დარწმუნდეთ მის გამართულობაში.


ა


ბ

აირწინაღის ზომის შერჩევისას:

ა) თუ აირჩევთ ჩაფხუტნიღბიან აირწინაღს, ა სურათზე ნაჩვენები წესით უნდა გაზომოთ თავის გარშემოწერილობა. ამის მიხედვით შეარჩევთ სათანადო ზომას:

- 63 სმ-მდე – 0 ზომა;
- 63,5-65,5 სმ – პირველი ზომა;
- 66-68 სმ – მეორე ზომა;
- 68,5-70,5 სმ – მესამე ზომა;
- 71 სმ და მეტი – მეოთხე ზომა.

ბ) თუ აირჩევთ ნიღბიან აირწინაღს, ბ სურათზე ნაჩვენები წესით უნდა გაზომოთ სახის სიმაღლე. ამის მიხედვით შეარჩევთ სათანადო ზომას:

- 99-109 მმ-მდე – პირველი ზომა;
- 109-119 მმ-მდე – მეორე ზომა;
- 119 მმ-ზე მეტი – მესამე ზომა.

ნიღბის შერჩევა და აირწინაღის გამართულობის შემოწმება იწყება გარეგანი დათვალიერებითა და ჰერმეტულობის შემოწმებით.

გარეგანი დათვალიერებისას შევამოწმოთ, ხომ არ არის ბზარები და ნახვრეტები ნიღაბსა (ჩაფხუტნიღაბსა) და შემაერთებელ მილზე; ხომ არ არის დაზიანებული ფილტრი.



აირწინაღის ჰერმეტულობის შესამოწმებლად აირწინაღის ნიღაბს (ნიღაბ-მუზარადს) უნდა მოვარგოთ ფილტრი, მოვირგოთ აირწინაღი, ფილტრის კოლოფის ფსკერზე მოთავსებულ ხვრელს გავუკეთოთ რეზინის საცობი (ააფაროთ ხელი) და ღრმად ჩავისუნთქოთ. თუ ნიღაბში ჰაერი არ აღწევს, აირწინაღი ჰერმეტულია.

რესპირატორები

რესპირატორის დანიშნულებაა ადამიანის სასუნთქი ორგანოების სხვადასხვა სახის მტვრისგან დაცვა. იგი წარმოადგენს მფილტრავ ნახევარნიღაბს ორი ჩასასუნთქი და ერთი ამოსასუნთქი სარქვლით, ცხვირზე მომჭერითა და ელასტიკური თასმებით.




შერჩეული რესპირატორი უნდა გაისინჯოს, რისთვისაც ნახევარნიღაბს სახეზე ისე იკეთებენ, რომ ნიკაპი და ცხვირი მოთავსდეს მის შიგნით და ჩამჭერის ბოლოებს ცხვირისკენ მოიჭიმავენ. ნახევარნიღბის სახეზე მორგების შემოწმებისათვის ხელისგულით მჭიდროდ ხუფავენ ამოსასუნთქი სარქვლის დამცავი ეკრანის ხვრელს და მსუბუქად ამოისუნთქავენ. თუ რესპირატორის სახესთან მიკვრის ხაზიდან ჰაერი არ გამოდის და ოდნავ შებერავს ნიღაბს, რესპირატორი მორგებულია ჰერმეტულად; თუ ჰაერი გამოდის, საჭიროა ცხვირზე საჭერის უფრო მჭიდროდ მოჭერა ბოლოებით. გაზომვისა და გასინჯვის შემდეგ რესპირატორი უნდა ჩადოთ პაკეტში და შეინახოთ ან თან იქონიოთ.

რესპირატორები სამი ზომისაა. რესპირატორის საჭირო ზომის დასადგენად უნდა გავიგოთ სახის სიმაღლე. ამის მიხედვით შევარჩევთ სათანადო ზომას:

- 99-109 მმ-მდე არის პირველი ზომა;
- 109-119 მმ-მდე – მეორე ზომა;
- 119 მმ-ზე ზემოთ – მესამე ზომა.



გახსოვდეთ
რესპირატორი გამოიყენება მხოლოდ რადიოაქტიური მტვრისა და ბაქტერიული აეროზოლისგან დასაცავად.





სასუნთქი ორგანოების დაცვის უმარტივეს საშუალებებს განეკუთვნება მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღაბი და ბამბა-დოლბანდის სახვევი. მათი გამოყენება შეიძლება ადამიანის სასუნთქი ორგანოების რადიოაქტიური ნივთიერებებისგან, აეროზოლებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებებისგან დასაცავად.

რადიოაქტიური ნივთიერებებით მოწამლულ ტერიტორიაზე მოხვედრისას, თუ სასუნთქი ორგანოების დაცვის არავითარი საშუალება არ გვაქვს, შეგვიძლია ჩვარი დავასველოთ წყალში (წყლის უქონლობის შემთხვევაში, ნებისმიერი სითხით), მჭიდროდ მივიდოთ ცხვირზე და მხოლოდ ცხვირით ვისუნთქოთ.

სასუნთქი გზების დაცვის მარტივი საშუალებებია ბამბა-დოლბანდის ნიღაბი და ხელთ არსებული საშუალებებისაგან მომზადებული სასუნთქი გზების დასაცავი ნიღბები. ისინი გამოიყენება სასუნთქი გზების რადიოაქტიური მტვრისა და ბაქტერიული აეროზოლებისაგან დასაცავად.

ის იცავს ადამიანის სუნთქვის ორგანოებს. მის დასამზადებლად საჭიროა დოლბანდის 100X50 სმ ზომის ქსოვილი, რომელზეც დებენ 1-2 სმ სიგრძისა და 20 სმ სიგანის ბამბის ფენას. დოლბანდს ორივე გრძელი მხრიდან ბამბის ფენაზე გადმოკეცავენ, მოჭრიან 30-35 სმ ბოლოებს ისე, რომ გამოვიდეს ორი წყვილი შესახვევი.

თვალების დასაცავად იყენებენ მტვერსაწინააღმდეგო დაცვის სათვალეს. ბამბა-დოლბანდის ნიღაბი, როგორც წესი, ერთჯერადია. გამოყენების შემდეგ ნიღაბს ანადგურებენ.

გახსოვდეთ

მომწამვლელი ნივთიერებებისაგან სასუნთქი გზების დასაცავად მარტივი დაცვის საშუალებები არ გამოიყენება.

კანის დაცვის საშუალებები



დანიშნულების მიხედვით, კანის დაცვის საშუალებები პირობითად იყოფა სპეციალურ (ტაბელურ) და სახელდახელო საშუალებებად.

კანის დაცვის სპეციალური საშუალებები ადამიანს იცავს ბაქტერიოლოგიური, ქიმიური მომწამლავი ნივთიერებების წვეთებისა და ორთქლისაგან, ალფა ნაწილაკების ზემოქმედებისაგან და ასუსტებს შუქური გამოსხივების მოქმედებას. დაცვის თვისებების მი-

ხედვით, კანის დამცავ საშუალებებს ყოფენ მაიზოლირებელ და მფილტრავ საშუალებებად.



კანის დამცავი მაიზოლირებელი საშუალებები, ჩვეულებრივ, მზადდება დარეზინებული ქსოვილისაგან. ის გამოიყენება დასნებოვნებულ ადგილას ადამიანების ხანგრძლივად ყოფნისას. კანის დაცვის მაიზოლირებელ საშუალებებს, ძირითადად, იყენებს სამაშველო-საავარიო ოპერაციებში ჩართული პირადი შემადგენლობა დასნებოვნებულ ადგილმდებარეობაზე მუშაობის დროს.

კანის დამცავ მფილტრავ საშუალებებს, ჩვეულებრივ, ამზადებენ ბამბეულის ტანსაცმლისა და საცვლების სახით. ისინი გაჟღენთილია სპეციალური ქიმიური ნივთიერებებით. ასეთ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვეულებრივი ტანსაცმელი (საცვლები, სპორტული კოსტიუმები და სხვა), რომლებიც იჟღინთება სპეციალური პასტით.



კანის დაცვის სახელდახელო საშუალებებს მიეკუთვნება ყოველგვარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომლებსაც ხანმოკლე დროით შეუძლია ადამიანების დაცვა რადიოაქტიური და ბაქტერიოლოგიური აგენტებისაგან.

კანის დაცვისთვის გამოსადეგია მოსასხამი, ლაბადა, სინთეტიკური, სქელი ქსოვილისგან დამზადებული პალტო. გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ გამოსადეგია სპორტული, სამუშაო, სასკოლო კოსტიუმები, განსაკუთრებით კი ტყავის ნაწარმი, შარვალი.

ფეხების დასაცავად კარგია რეზინის ჩექმები ან რეზინის ფეხსაცმელი (ე.წ. კალოში), შეიძლება ტყავის შემცვლელი მასალისგან დამზადებული ჩექმის გამოყენებაც. ხელების დასაცავად საჭიროა რეზინის ან ტყავის ხელთათმანი. საჭიროა ტანსაცმლის სრული ჰერმეტიზაცია: ყველა ღილი/ელვა შეკრული, საყელო – აწეული, ზემოდან კი შემოხვეული უნდა იყოს შარფი ან თავშალი. ხელთათმანებს უნდა შემოუჭიროთ თასმები. შარვალი ჩექმაში ჩატანილი უნდა იყოს, ხოლო ზემოდან – შემოჭერილი თასმა. ქურთუკის ბოლოც შარვალში უნდა იყოს ჩატანილი, გარედან კი – ქამარშემოჭერილი.



ტანსაცმლის გასაჟღენთად უნდა მომზადდეს საპნისა და ზეთის ნარევი. 2 ლიტრ ცხელ წყალში უნდა გაიხსნას 250-300 გ სარეცხი საპონი, დაემატოს 0,5 ლ მინერალური წყალი ან მცენარეული ზეთი. ეს ნარევი უნდა გაცხელდეს და მომზადებული ტანსაცმლის კომპლექტი მასში ჩალაგდეს. ტანსაცმელი შემდეგ მსუბუქად უნდა გაიწუროს და გაშრეს.

სამედიცინო დაცვის საშუალებები

ინდივიდუალური დაცვის სამედიცინო საშუალებების დანიშნულებაა დაზიანების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგად დაშავებული ადამიანებისთვის პროფილაქტიკური და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ინდივიდუალური დაცვის ტაბელურ სამედიცინო საშუალებებს განეკუთვნება ინდივიდუალური აფთიაქი, ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი და ინდივიდუალური ქიმსაწინააღმდეგო პაკეტი.



ინდივიდუალური (სპეციალიზებული) აფთიაქი შეიცავს რადიაციის, ქიმიური მომწამლავი ნივთიერებებისა და ბაქტერიული საშუალებების საწინააღმდეგო და სხვა პროფილაქტიკურ, აგრეთვე პირველი ექიმამდელი დახმარების საშუალებებს. აფთიაქი გამოიყენება თვითდახმარებისთვის და ურთიერთდახმარების აღმოსაჩენად.

ინდივიდუალური აფთიაქები მზადდება ქარხნული წესით და თან ახლავს გამოყენების ინსტრუქცია. მასში შედის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, მომწამვლელი ნივთიერების (ნეიროპარალიზური, მხუთავი გაზების) საწინააღმდეგო, რადიაციისა და ბაქტერიული (ბიოლოგიური) თავდასხმისაგან თავდაპირველი დაცვის საშუალებები.



ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი სპეციალური ნიმუშის სტერილური სახვევია, რომელიც მოთავსებულია დაცულ გარსში და გამოიყენება დაზიანებული ადამიანებისათვის (დაჭრის, დამწვრობის, ტრავმებისა და სხვ.) პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

ინდივიდუალური გადასახვევი პაკეტი შედგება ბინტისა და ორი პატარა ბამბა-მარლის ბალიშისაგან, რომელთაგან ერთი მიკერებულია ბინტის ბოლოზე უძრავად, ხოლო მეორის გადაადგილება შესაძლებელია. დახვეული ბინტი და ბამბა-მარლის ბალიშები შეხვეულია პერგამენტის ქაღალდში. იქვე ჩადებულია ქინძისთავი, რომელიც ნახვევის შესაკვრელად გამოიყენება.

ინდივიდუალური სადეკონტამინაციო პაკეტი – სპეციალური კომპლექტი, რომელიც გამოიყენება კანის, ტანსაცმლისა და პირადი იარაღის გაუვნებლებისათვის/გაწმენდისათვის.

ინდივიდუალური სადეკონტამინაციო პაკეტის კომპლექტში შედის ბოთლი სადეგაზაციო ხსნარით (ჩასახრახნი სახურავით), 4 ბამბა-დოლბანდის ტამპონი, რომლებიც ინახება ჰერმეტულ პაკეტში. თხევადი მომწამლავი ნივთიერების მოხვედრისას ტანის

ღია ნაწილსა და ტანსაცმლზე აუცილებელია უხვად დავასველოთ ტამპონი ბოთლში არსებული სითხით და გადავწმინდოთ კანის დასნებოვნებული ადგილები და ტანსაცმლის ის მონაკვეთები, რომლებიც ახლოსაა კანის ღია ნაწილთან. დამუშავებისას შეიძლება წარმოიშვას წვის შეგრძნება, მაგრამ ეს მალე გაივლის და არ მოქმედებს შრომისუნარიანობაზე. სადეგაზაციო ხსნარი შხამიანია და საშიშია მისი თვალში მოხვედრა.

ინდივიდუალური სადეკონტამინაციო პაკეტის უქონლობისას, ტამპონის ნაცვლად გამოიყენება ჩვეულებრივი დოლბანდი ბამბით. სადეგაზაციო საშუალება შეიძლება დავამზადოთ გამოყენების წინ: წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარისა და მწვავე ნატრიუმის 3%-იანი ხსნარის თანაბარი მინარევებისაგან ან წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარისა და მის 1 ლიტრზე 150გ საკანცელარიო სილიკატური წებოსაგან. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ნიშადურის სპირტი. ასეთ ხსნარებს იყენებენ ისე, როგორც ინდივიდუალური სადეკონტამინაციო პაკეტის ხსნარს.

დაზიანების კერიდან გამოსვლისას ადამიანები აუცილებლად გადიან მთლიან სანიტარიულ დამუშავებას, ხოლო მათ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, დაცვის საშუალებებს გააუსნებოვნებენ.



დავალება

გამოკითხეთ თქვენ ირგვლივ მოქალაქეები, თუ რა იციან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ. მიღებული შედეგების გათვალისწინებით შექმენით საინფორმაციო პროდუქტი (ბლოგი/კედლის გაზეთი/პოსტერი/ბროშურა/რელიზი) და გაუზიარეთ თქვენს თანამოქალაქეებს.

საინფორმაციო პროდუქტის შესაქმნელად გამოიყენეთ შეკითხვები:

- რას ნიშნავს სამოქალაქო უსაფრთხოება და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის?
- შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ინდივიდუალური და სამოქალაქო დაცვის საშუალებები მათი დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით. როგორია მათი როლი? რა რჩევებს მისცემდით თანამოქალაქეებს?
- ივარაუდეთ, როგორ შეიძლება შეიცვალოს სამომავლოდ სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები?

სასარგებლო რესურსები

13. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

იმსჯელეთ

- თუ შესწრებიხართ ფაქტს, როცა ვინმე ცუდად გახდა ან დაშავდა? გაიხსენეთ, რა გააკეთეს გარშემო მყოფებმა?
- რა სიტუაციებში შეიძლება ადამიანს დასჭირდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება?
- ვის მივმართავთ პირველ რიგში, როდესაც ვინმეს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს?
- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა ჩვეულებრივ ექიმთან ვიზიტსა და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას შორის?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ყველამ იცოდეს პირველადი დახმარების მარტივი წესები?

ომების ისტორიამ აჩვენა, რომ ჯარისკაცებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არასაკმარისი ცოდნა მნიშვნელოვნად ზრდის სანიტარიულ დანაკარგებს. ბრძოლის დროს დაჭრილი ადამიანის გადარჩენის ბედი ხშირად პირველ წუთებში წყდება – გადარჩება თუ არა იგი. ამიტომ თანამედროვე არმიებში თითქმის ყველა სამხედროს ასწავლიან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ძირითად წესებს: სისხლდენის შეჩერებას, სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენას, სუნთქვის კონტროლს, დაჭრილის უსაფრთხო გადაყვანასა და სასწრაფო რეაგირებას.

ეს საინტერესოა

სამხედრო კვლევების მიხედვით, ომებში დაღუპულთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე იღუპებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაგვიანების გამო, პირველ წუთებში, სანამ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას მიიღებდნენ. აშშ-ის სამხედრო სამედიცინო კვლევაში აღნიშნულია, რომ ყოველი 10 დაღუპული ჯარისკაციდან დაახლოებით 9 იღუპებოდა საველე ჰოსპიტალში მისვლამდე.

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ დროული პირველი დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილიანობას. ამერიკული სამხედრო მონაცემების მიხედვით, დაჭრილებს, რომლებსაც ადგილზე სწრაფად აღმოუჩინეს პირველი დახმარება, გადარჩენის გაცილებით მაღალი შანსი ჰქონდათ. ერთ-ერთ ანგარიშში წერია, რომ სწორად ჩატარებული პირველი დახმარების შემთხვევაში, გადარჩენის მაჩვენებელი დაახლოებით 90%-ს აღწევდა.

თანამედროვე სამხედრო მედიცინა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასიური სისხლდენის სწრაფ შეჩერებას. კვლევების მიხედვით, ბრძოლის ველზე სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ძლიერი სისხლდენაა. სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობილმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაშავებიდან რამდენიმე წუთში ადგილზე ჩა-

ტარებული პირველი სამედიცინო დახმარება პირდაპირ მოქმედებს გადარჩენის შანსზე, ხოლო პოტენციურად გადასარჩენი დაღუპულების უმეტესობას სისხლდენა და სასუნთქი გზების დაზიანება კლავდა.

ასევე დადგინდა, რომ დაჭრილის დროული ევაკუაცია და სწრაფი დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს დანაკარგებს. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებაზე დაყრდნობილი კვლევები აჩვენებს, რომ თუ მძიმედ დაჭრილი შესაბამის დახმარებას პირველი საათის (ოქროს საათი) განმავლობაში იღებდა, გადარჩენის შანსი ძალიან იზრდებოდა, ხოლო რამდენიმე საათის დაგვიანებისას მკვეთრად მცირდებოდა.

გამოცდილებამ თანამედროვე არმიებს დაანახვა, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცოდნა მხოლოდ სამხედრო ექიმებისთვის არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ დღეს ბევრი ქვეყნის ჯარში თითოეულ სამხედროს ასწავლიან მინიმალურ, აუცილებელ სამედიცინო უნარებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სახით, რადგან ბრძოლის დროს ხშირად პირველი დამხმარე ექიმი კი არა, ახლოს მყოფი თანამებრძოლია.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცოდნა საჭიროა არამხოლოდ სამხედროებისათვის. უბედური შემთხვევა (რაც ადამიანის დაშავებას გულისხმობს) შეიძლება ნებისმიერ დროს/ადგილზე მოხდეს: ქუჩაში, სკოლაში, სახლში, სპორტულ მოედანზე ან ტრანსპორტში. ასეთ დროს ხშირად სწორედ პირველ წუთებში რეაგირებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. სანამ დაწესებულების ექიმი ან სასწრაფო დახმარების ბრიგადა მოვა, დაშავებულის სიცოცხლე შეიძლება იმ ადამიანზე იყოს დამოკიდებული, რომელიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდება.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ზაფხულის მომქანცველი ცხელი დღე იყო. ქუჩაში მიმავალმა შუახნის ქალბატონმა მისგან არცთუ შორ მანძილზე ადამიანთა ხმაურიანი ჯგუფი შენიშნა, რომელიც თითქოს ვიღაც ძირს დაცემული ერთი ადამიანის დახმარებას ცდილობდა.

მან ფეხს აუჩქარა და ჯგუფს მიუახლოვდა. ადგილზე მისულმა დაინახა, რომ მიწაზე ახალგაზრდა იწვა, რომლის დახმარებასაც ჯგუფი უშედეგოდ ცდილობდა. ხალხი დაბნეული და დაძაბული ჩანდა, ვერ ხვდებოდნენ, რა გაეკეთებინათ, ცუდად მყოფი ახალგაზრდა უგონოდ გამოიყურებოდა.

დასახმარებლად მისულმა ქალბატონმა სწრაფად შეაფასა ვითარება. ის მიხვდა, რომ ყოველ წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. მან შეკრებილ მოქალაქეებს ხმამაღლა გამოუცხადა, რომ ის იყო ყოფილი სამხედრო,

ჯარში სამსახურის პერიოდში გავლილი ჰქონდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი და თავის თავზე იღებდა ცუდადმყოფის პირველი დახმარების ორგანიზება-შესრულებას. მან მოითხოვა მოქალაქეებისგან „ცოცხალი ჯაჭვის“ შექმნა ცუდად მყოფი ახალგაზრდას ირგვლივ უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ყოფილმა სამხედრომ შეკრებილთაგან გამოკითხვის გზით თანაშემწედ შეარჩია ერთი ქალბატონი და დაიწყო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდას სუნთქვა უჭირდა და პულსიც შესუსტებული ჰქონდა. ყოფილმა სამხედრომ, „ცოცხალ ჯაჭვში“ მდგომთაგან ერთ-ერთს სასწრაფო დახმარების გამოძახება, ხოლო მეორეს – ბოთლით სასმელი წყლის მოძიება სთხოვა და პაციენტს ჯარში სამსახურისას შესწავლილი უსაფრთხო მდგომარეობა მიაღებინა, რათა სუნთქვა უფრო გამარტივებოდა. შემდეგ თანაშემწეს სთხოვა პაციენტისთვის ყელი გაეთავისუფლებინა ტანსაცმლის შესაკრავისგან და სასმელი წყლით ყელისა და სახის ნაწილები გაეგრილებინა.

რამდენიმე წუთში ახალგაზრდამ ნელ-ნელა თვალები გაახილა და სუნთქვაც დაურეგულირდა. სასწრაფო დახმარების მოსვლისას ექიმებმა აღნიშნეს, რომ პირველ წუთებში ჩატარებულმა ექიმამდელმა დახმარებამ უზრუნველყო დაშავებულის მდგომარეობის დამძიმების თავიდან აცილება.


შეკითხვები

- როგორ დააკავშირებთ ამ შემთხვევას გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებასთან ყოველდღიურ ცხოვრებაში? სად შეიძლება მსგავსი სიტუაცია შეგვხვდეს?
- ახსენით, რატომ იყო მნიშვნელოვანი სწრაფი რეაგირება და მოქმედებების სწორად დაგეგმვა?
- შეადარეთ ერთმანეთთან შემთხვევის დაწყების მომენტი და შემდეგი მდგომარეობა. რა და როგორ შეიცვალა?
- დაასაბუთეთ, რატომ იყო აუცილებელი „ცოცხალი ჯაჭვის“ შექმნა?
- როგორ ფიქრობთ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ მოქალაქეები არ იმოქმედებდნენ დროულად და სწორად?
- რა შეიძლება ისწავლოს საზოგადოებამ ამ შემთხვევიდან მომავალში მსგავსი სიტუაციების უკეთ მართვისთვის?
- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცოდნა?

მნიშვნელოვანია, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცოდეს. ამის კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც შესაბამისი მომზადება გაიარა. ესენი შეიძლება იყვნენ სამხედროები, პოლიციელები, მაშველები, მწვრთნელები, მასწავლებლები და თავად მოსწავლეებიც. ზოგჯერ ძალიან მარტივი მოქმედებაც – სისხლდენის შეჩერება, დაშავებულის სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა, სუნთქვის შენარჩუნება, დაზარალებულის სწორ მდგომარეობაში გადაყვანა ან სასწრაფოს დროული გამოძახება – ადამიანის სიცოცხლეს იხსნის.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ რთულ სიტუაციაში სწრაფად, რათა ექიმის მოსვლამდე დაზარალებულს მაქსიმალურად დავეხმაროთ. წესები მოიცავს ისეთ მოქმედებებსაც, რომლებიც შეიძლება არასრულწლოვანმა და სპეცმომზადების არმქონე პირებმაც შეასრულონ დამხმარეს როლში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზატორის (კომპეტენტური პირის) მითითებით.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება – სწრაფი და სწორი დახმარება ადამიანისათვის, რომლის ჯანმრთებლობას უეცრად დაემუქრა საფრთხე. მისი ბედი ხშირად ჩვენს სწორ მოქმედებაზეა დამოკიდებული. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა რთული არ არის. ზოგჯერ ძალიან მარტივი მოქმედებით შეიძლება გადავარჩინოთ ადამიანის სიცოცხლე, დავეხმაროთ მას ექიმის მოსვლამდე.



შემთხვევის ადგილის დათვალიერება

- შემთხვევის ადგილს უნდა მივუახლოვდეთ სწრაფად და მშვიდად;
- უნდა ვეცადოთ მოკლე დროში მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვებას;



- პირველ რიგში, დავრწმუნდეთ, რომ საფრთხე არც ჩვენ, არც დაშავებულსა და არც თვითმხილველებს არ გვემუქრება;
- სწრაფად შევაფასოთ, რა სახის დახმარება გვჭირდება და რისი გაკეთება შეგვიძლია დამოუკიდებლად;
- ავუხსნათ დაშავებულსა და თვითმხილველებს, რომ ჩვენ შეგვიძლია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა

გარემოება, რომელმაც გამოიწვია დაშავებულის მდგომარეობის დამძიმება, შეიძლება კვლავ მოქმედებს და საფრთხეს ქმნის. ხშირად ძალიან მარტივი ხერხებით შეიძლება გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა:



- არასოდეს ჩავაგდოთ საფრთხეში საკუთარი და დაშავებულის სიცოცხლე და ნუ ვეცდებით გავაკეთოთ ის, რაც აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს;
- თუ არ შეგვიძლია დაშავებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ვეცადოთ, მას საშიშროების წყარო მოვაშოროთ. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, დაზარალებული უსაფრთხო ადგილას გადავიყვანოთ;
- გვახსოვდეს, ზოგჯერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა სპეციალური სამსახურების (პოლიცია, სახანძრო, გაზის სამსახური) გამოძახება.

მას შემდეგ, რაც დავრწმუნდებით გარემოს უსაფრთხოებაში, შეიძლება დაშავებულს აღმოვუჩინოთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

შემთხვევის ადგილზე დაშავებულისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას გამოიყენება სიცოცხლის შენარჩუნების ძირითადი ალგორითმი – DRABC (doctor ABC).

DRABC (doctor ABC) ალგორითმი

D DANGER	R RESPONSIVENESS	A AIRWAY	B BREATHING	C CIRCULATION
გარემოს უსაფრთხოება	ცნობიერების დონის შემოწმება	სასუნთქი გზები	სუნთქვა	ცირკულაცია

D – Danger – ჩვენი და დაშავებულის უსაფრთხოება



- შევაფასოთ გარემოში არსებული საშიშროებები;
- უზრუნველვყოთ ჩვენი და დაშავებულის უსაფრთხოება;
- თუ გარემო საფრთხის შემცველია, გადავიყვანოთ დაშავებული უსაფრთხო ადგილას.

პირველ რიგში, დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიძახოთ გადაუდებელი დახმარების სამსახური (112). შემდეგ დავრწმუნდეთ, რომ საფრთხე არ ემუქრება დაშავებულს. თუ გარემო დაშავებულისთვის საფრთხის შემცველია, ვეცადოთ მოვაშოროთ იგი. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადავიყვანოთ დაშავებული უსაფრთხო ადგილას.

R – Responsiveness – ცნობიერების დონის შემოწმება



ცნობიერებას ამოწმებენ დაშავებულთან უშუალო ფიზიკური და ვერბალური კონტაქტით.

მსუბუქად შევანჯღრიოთ დაშავებული მხრებით, თან შევეკითხოთ: „როგორ ხარ?“ თუ დაშავებული არ რეაგირებს (არ ლაპარაკობს, არ ახელს თვალებს, არ ამოძრავებს სხეულს), ის უგონო მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევაში ვიმოქმედოთ შემდეგი თანმიმდევრობით.

უპირველეს ყოვლისა, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება



A – Airway – სასუნთქი გზები



უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებულის სასუნთქი გზების დახშობის ყველაზე ხშირი მიზეზია ენა. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია თავის უკან გადაწევით, ასევე ქვედა ყბის წინ წამოწევით:

- მოვათავსოთ ერთი ხელი დაშავებულის შუბლზე და გადავუწიოთ თავი უკან;
- მოვათავსოთ მეორე ხელის საჩვენებელი და შუა



თითები ქვედა ყბის ძვლოვან ნაწილზე, ნიკაპთან ახლოს;

- წამოვუწიოთ ქვედა ყბა.

ქვედა ყბა წინ უნდა წამოვუწიოთ თავის უკან გადაწევის გარეშე.

B – Breathing – სუნთქვა

სუნთქვის შესამოწმებლად გამოიყენება „3 ვ“-ს მეთოდი:

- ვუსმენთ სუნთქვას;
- ვგრძნობთ ჰაერის ნაკადს კანზე;
- ვხედავთ გულ-მკერდის მოძრაობას.

მივიტანოთ ყური დაშავებულის სახესთან და 10 წმ-ის განმავლობაში მოვუსმინოთ სუნთქვას. თუ სუნთქვა არ აღენიშნება, გამოვიძახოთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური. თუ დაშავებული სუნთქავს, შევამოწმოთ სისხლის მიმოქცევა – ცირკულაცია.





C – Circulation – ცირკულაცია



შევამოწმოთ, აღენიშნება თუ არა დაშავებულს პულსი საძილე არტერიაზე და კაპილარული ავსება. კაპილარული ავსების შესამოწმებლად თითზე საჭიროა ხანმოკლე ზეწოლა. ზეწოლის შემდეგ გაფერმკრთალებულ კანს არაუმეტეს სამ წამში უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი ფერი. თუ საძილე არტერიაზე პულსი არ არის, შევუდგეთ გულ-ფილტვის რეანიმაციას.

თუ პულსი აღენიშნება, მოვათავსოთ დაშავებული უსაფრთხო პოზაში (პოზიციაში) და სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ყოველ 5-10 წუთში, გადავამოწმოთ პულსი და სუნთქვა.

უსაფრთხო პოზა (პოზიცია)

უგონო მდგომარეობაში მყოფი მოზრდილი დაშავებული, თუ მისი სუნთქვა არის ადეკვატური და საჭიროა სასუნთქი გზების გამავლობის შენარჩუნება, გადავიყვანოთ უსაფრთხო პოზიციაში.





დავდგეთ მუხლებზე დაშავებულთან ახლოს. ჯიბეებიდან ამოვუღოთ მახვილი საგნები. დაშავებულის ხელი, რომელიც ჩვენთან ახლოსაა, მოვათავსოთ ხელისგულით ზემოთ;



ჩვენი ერთი ხელი ჩავჭიდოთ დაშავებულის მეორე ხელს და მივუტანოთ მოპირდაპირე ლოყასთან. ჩვენი თავისუფალი ხელით მოვუხაროთ ფეხი მუხლის სახსარში და გადმოვაბრუნოთ გვერდზე ჩვენკენ;

სხეულის გადმობრუნების შემდეგ დაშავებულის თავი მოვათავსოთ მისივე ხელის მტევანზე, მოვუხაროთ ფეხი მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრებში 90^0-ით; გავწიოთ დაშავებულის მეორე ხელი გვერდზე ისე, რომ სხეულის ქვეშ არ მოჰყვეს.



არ არის რეკომენდებული ჩვილებსა და პატარა ასაკის ბავშვებში!

გულ-ფილტვის რეანიმაცია მოზრდილებში

გახსოვდეთ

გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი საწვრთნელი კურსის გავლა.

ისტორიიდან

1859 წელს, სოლფერინოს ბრძოლის შემდეგ, ათასობით დაჭრილი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე დახმარების გარეშე დარჩა. ამ ფაქტმა შვეიცარიელი ჰუმანისტი ანრი დიუნანი იმდენად შეძრა, რომ მან მოხალისეთა შეკრება დაიწყო. მოგვიანებით სწორედ მისი იდეის საფუძველზე შეიქმნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განვითარებას.


პრაქტიკული აქტივობა

შექმენით სამუშაო ჯგუფები, შემდეგ კი გაეცანით სიტუაციას და აღმოაჩინეთ ის შეცდომები, რომლებიც მოსწავლეებმა დაუშვეს. შემდეგ კი მოიფიქრეთ სწორი და თანმიმდევრული ქმედებები – თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ სიტუაციაში?

ივნისში, მაშინ, როცა ტემპერატურა 35°-ს აღწევდა, სკოლის ეზოში მიმავალი ერეკლე უცებ შეჩერდა, ფერმკრთალი გახდა. რამდენიმე წამში მან თქვა, რომ თავს ცუდად გრძნობდა, თვალებში უბნელდებოდა და შემდეგ მიწაზე დაეცა. მეგობრები მაშინვე მისკენ გაიქცნენ. ერთმა მოსწავლემ გადაწყვიტა, რომ მისთვის სახეზე აუცილებლად უნდა დაესხათ ცივი წყალი და წყლის ბოთლი მოარბენინა. მეორე მოსწავლემ თქვა, რომ „ასეთი რამ ხშირად ხდება“ და გზა გააგრძელა. აგერ ნიკა და ელენეც მოვიდნენ. თანაკლასელმა ნიკამ კი მისი ფეხზე წამოყენება სცადა, რადგან ფიქრობდა, რომ მოძრაობა დაეხმარებოდა. ამ დროს ერეკლე კვლავ დაეცა, შიგადაშიგ თვალებს ახელდა, თუმცა მეგობრების კითხვებს, თუ როგორ გრძნობდა თავს, ვერ პასუხობდა. ამ ფაქტმა მოზარდები კიდევ უფრო დააფიქრა, მათ გადაწყვიტეს ერეკლეს დედისთვის დაერეკათ.

ცნობილია, რომ სიცოცხლე შეუძლებელია ჟანგბადის გარეშე. დაშავებულის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭიროა ჟანგბადი საკმარისი რაოდენობით შედიოდეს ფილტვებში და სისხლის საშუალებით მიეწოდებოდეს სხეულის ყველა ორგანოს. მაგალითად, თუ თავის ტვინს – ორგანოს, რომელიც აკონტროლებს ადამიანის სხეულს – მუდმივად არ მიეწოდება ჟანგბადი, მისი ფუნქციონირება 3-4 წუთში ირღვევა. ჟანგბადის გარეშე დაშავებული სწრაფად

კარგავს გონებას (ცნობიერებას), უჩერდება სუნთქვა და გულისცემა, რასაც, დროული დახმარების გაწევის გარეშე, შესაძლოა მოჰყვეს გარდაცვალება.



გული ჩვენს ორგანიზმში „ტუმბოს“ ფუნქციას ასრულებს და უზრუნველყოფს სისხლის უწყვეტ მოძრაობას, ჟანგბადის გადატანას ტვინსა და სხვა მნიშვნელოვან ორგანოებში.

თუ გულის მუშაობა ჩერდება, საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება – გულის არაპირდაპირი მასაჟი. რადგანაც გულის გაჩერებისას სუნთქვაც არ აღინიშნება, აუცილებელია ხელოვნური ვენტილაცია და გულის არაპირდაპირი მასაჟი ერთდროულად, რათა აღდგეს ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები. გულის არაპირდაპირ მასაჟსა და ხელოვნურ სუნთქვას (ვენტილაციას) უწოდებენ გულ-ფილტვის რეანიმაციას.

„პირით - პირში“ ხელოვნური სუნთქვის ჩატარების მეთოდი

- ხელოვნური სუნთქვის ჩატარება: თითოეული ჩაბერვა უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 1 წამი, ჩაბერვებს შორის 5-6-წამიანი ინტერვალებით (10-12 ჩაბერვა წუთში);
- ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოვაშოროთ ტუჩები მის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაველოდოთ, გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას;
- ყოველი 2 წუთის შემდეგ კვლავ შევამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები.



ხელოვნური სუნთქვის ეფექტურობა

ჩასუნთქვისას სასუნთქ გზებში ხვდება ჰაერი, რომელიც შეიცავს 20-21% ჟანგბადს. ამოსუნთქულ ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა მცირდება 15-16%-მდე, ამიტომ ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისას, მიუხედავად იმისა, რომ დაშავებულის ფილტვებში ჩადის ჩვენ მიერ ამოსუნთქული ჰაერი, მასში









საკმარისი რაოდენობით არის ჟანგბადი.

თუ ცირკულაციის ნიშნები არ შეინიშნება, ე.ი. გული გაჩერებულია და სწრაფად უნდა დავიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი.

გულის არაპირდაპირი მასაჟი

1) დავდგეთ მუხლებზე დაშავებულის გულმკერდის გასწვრივ. მოვძებნოთ დაშავებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი. ამ წერტილის ქვევით მოვათავსოთ ერთი ხელი ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ ხელის მტევნის უკანა ნაწილი. ეს არის ზეწოლის ადგილი;

2) მკერდის ძვალზე მოთავსებულ ხელის მტევანს ზემოდან დავადოთ მეორე ხელი, თითებით კარგად მოვეჭიდოთ და ავწიოთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;

3) გავშალოთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ ჩვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის სწორი კუთხე იყოს. მკერდის ძვალზე ისე დავაწვეთ, რომ ზეწოლის სიღრმე შეადგენდეს 5-6 სმ-ს მოზრდილებში. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მკერდის ძვალს მივცეთ საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას დავითვალოთ: „ერთი, ორი, სამი, ოთხი... 30-მდე“ ისე, რომ 1 წუთში გამოვიდეს 100-120 ზეწოლა მკერდის ძვალზე. ყოველი 30 ზეწოლის შემდეგ აუცილებელია 2 ჩაბერვა, რასაც ვიმეორებთ ხუთჯერ. ამის შემდეგ მოწმდება პულსი და სუნთქვა. პულსის არარსებობის შემთხვევაში, ვიმეორებთ ყველაფერს თავიდან.

გახსოვდეთ

- არ შეიძლება გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარება მაშინ, როდესაც გული მუშაობს, ამიტომ არასოდეს ივარჯიშოთ ერთმანეთზე!
- შემთხვევის ადგილზე ნუ აჰყვებით ემოციებს!
- არ ჩააყენოთ საკუთარი თავი საფრთხეში!
- ძალიან მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოუხმოთ დახმარებას!
- დაშავებულისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისას იმოქმედეთ DRABC ალგორითმის მიხედვით!
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება არ უნდა გახდეს ექიმის გამოძახების დაგვიანების ან ჰოსპიტალიზაციის დაყოვნების მიზეზი!
- ნუ შეეცდებით გააკეთოთ ის, რაც თქვენს შესაძლებლობებს აღემატება!

სისხლდენის შეჩერება

ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი სისხლდენის სწრაფად შეჩერება. არტერიის ან სხვა რომელიმე მსხვილი სისხლძარღვის დაზიანებას შეიძლება ძალიან სწრაფად მოჰყვეს ჰიპოვოლემიური შოკი (სისხლის საერთო მოცულობის დაკარგვა), რაც სასიკვდილოა.

არტერიული სისხლდენის შემთხვევაში, ჭრილობიდან ღია ალისფერი, მოპულსირე სისხლის ნაკადი მაღალი წნევით მოედინება.



ძლიერი სისხლდენის შესაჩერებლად გამოიყენება იმპროვიზებული დამწოლი სახვევი (თუ გარემოება ამის საშუალებას იძლევა), რაც გულისხმობს სახვევსა და ჭრილობას შორის მრავალ შრედ დაკეცილი დოლბანდის ან სხვა ქსოვილის მოთავსებას.

თუ სისხლდენა გრძელდება, გამოიყენება ლახტი. სპეციალური, სტანდარტული ლახტის არქონის შემთხვევაში, ლახტის დამზადებაც შესაძლებელია. ამისთვის გამოიყენება ტანსაცმლის ქსოვილი ან სხვა დრეკადი, მყარი მასალა. იმპროვიზებული ლახტის სიგანე უნდა იყოს 5-6 სმ. ლახტი უნდა დავადოთ კიდურზე ჭრილობიდან 5 სმ-ით მაღლა იქ, სადაც მხოლოდ ერთი ძვალია. იმპროვიზებული ლახტის მოსაჭერად გამოიყენება ნებისმიერი მყარი მასალა და მას წრიულად ვატრიალებთ იქამდე, სანამ სისხლდენა სრულად არ შეწყდება; ბოლოს უნდა დავაფიქსიროთ ღერძი.




შენიშვნა: ლახტის დადება არის რადიკალური ზომა, რომელიც ეფექტურია მხოლოდ კიდურებზე და მას შესაძლოა მძიმე გართულებები მოჰყვეს. ამიტომ ჭრილობაზე ლახტი უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისხლდენა სხვა საშუალებებით ვერ ჩერდება ან გარემო ფაქტორების გამო სხვა მოქმედებებში შეზღუდული ვართ. გამონაკლისია ამპუტაცია, რომელიც ლახტის გამოყენების პირდაპირი ჩვენებაა.

სახვევები

შესრულებული ფუნქციის მიხედვით, შესახვევი საშუალებები არის:

- ჭრილობის მფარავი – ინდივიდუალური შესახვევი პაკეტი.





- დამწოლი – გამოიყენება სისხლდენის შესაჩერებლად.







შეხვევისას უნდა ვეცადოთ, არ გამოვიწვიოთ ან არ გავაძლიეროთ ტკივილი. დაზიანების ადგილზე ბინტი იდება მრავალჯერადი ნახვევით, ე.ი., შესახვევი მასალის შემოვლით. ბინტი ისე უნდა დაიდოს, რომ ყოველ სვლაზე სანახევროდ გადაფაროს წინა სვლაზე გაკეთებული ნახვევი.

თუ დაშავებულს აქვს ორი ჭრილობა, პირველ რიგში, უნდა ვუმკურნალოთ უფრო საშიშს (ძლიერი სისხლდენა, გარეთ გამოსული ორგანოები, ჭრილობის დიდი ზომა და ა.შ.); მეორე ჭრილობისთვის შეიძლება დაგვჭირდეს სახვევის იმპროვიზება. არ ვეცადოთ გამოსული ორგანოების ჩაბრუნებას, მხოლოდ გადავახვიოთ მაქსიმალურად სტერილურად.

მოტეხილობების იმობილიზაცია და არტაშნები

მოტეხილობა შეიძლება იყოს ღია ან დახურული. დახურული მოტეხილობისას კანი დაუზიანებელია. დაზიანებული ადგილის ფორმა შეცვლილია, ნებისმიერი მოძრაობის მცდელობა კი მძაფრ ტკივილს იწვევს. თუ აღინიშნება კანის, კანქვეშა ქსოვილისა და კუნთების დაზიანება, ძვლის ნაწილის ჭრილობიდან გარეთ გამოსვლა, მაშინ მოტეხილობა ღიაა.



დახურული



ღია

მოტეხილობის იმობილიზაცია ანუ დაფიქსირება საჭიროა მოტეხილი ძვლის ბასრი ბოლოებისგან ქსოვილების, კუნთების, სისხლძარღვებისა და ნერვული დაბოლოებების დასაცავად. ეს ამცირებს ტკივილს და უზრუნველყოფს შოკის პრევენციას. დახურული მოტეხილობის შემთხვევაში, იმობილიზებით შესაძლებელია ძვლის გადატეხილი ნაწილების დაცვა, რათა არ განვითარდეს ღია ჭრილობა და დახურული მოტეხილობა არ გადავიდეს ღია მოტეხილობაში, რომელიც შეიძლება იქცეს დაბინძურებისა და ინფექციის წყაროდ.

იმობილიზაციისთვის შესაძლებელია სტანდარტული და იმპროვიზებული საშუალებების გამოყენება. არტაშნის ქვეშ მდებარე ქსოვილის დაზიანების პრევენციისათვის საჭიროა არტაშანს შემოვახვიოთ სახვევი მასალა.











გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვა

დაშავებულს ტანსაცმელი მოვაშოროთ მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც ჭრილობის დამუშავებაა საჭირო, რათა დახმარებისას იგი ჰიპოთერმიისაგან დავიცვათ. ჰიპოვოლემიური დაშავებული (სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში) შეიძლება ძალიან სწრაფად გახდეს ჰიპოთერმიული. არსებობს დაშავებულის სპეციალური შესაფუთი, რომელიც მას გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან იცავს, ჰაერს არ ატარებს, ათბობს სხეულს და უნარჩუნებს მას ტემპერატურას. დარწმუნდით, რომ დაშავებულს თავი დაფარული აქვს.

გარემოს მაღალი ტემპერატურით გამოწვეული საფრთხე სხვადასხვა დაზიანებით მიღებულ საფრთხეზე არანაკლებ საზიანოა. მაღალი ტემპერატურის უარყოფითი გავლენა შესაძლებელია მინიმუმამდე შეამციროს ადამიანის სათანადო რაოდენობით წყლით უზრუნველყოფამ.



გარემოში ჰაერის ტემპერატურის ზომაზე მეტად აწევა იწვევს ორგანიზმში თერმორეგულაციის დარღვევას. ამ დროს ოფლის გამოყოფა შეზღუდულია და შესაძლოა მივიღოთ სითბური დარტყმა. დაშავებული გადაჰყავთ ჩრდილში, უთავისუფლებენ კისრისა და გულმკერდის არეს; გულმკერდის, კისრისა და თავის არეში ადებენ ცივ საფენს (ყინულის გამოყენების შემთხვევაში, ის უშუალოდ არ უნდა ეხებოდეს კანს), ასმევენ წყალს ან მის შემცვლელ სითხეებს (ცივი ხილის წვენები, მინერალური წყალი). .

ჰიპოთერმია – კლინიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სხეულის ტემპერატურის უნებლიე კლებით ნორმალურ ფიზიოლოგიურ საზღვრებს ქვემოთ, როგორც წესი, <35°C (<95°F).

ჰიპოვოლემია – ორგანიზმში ცირკულირებადი სისხლის მოცულობის შემცირება. შესაძლოა განპირობებული იყოს სითხის მიღების შეზღუდვით ან მისი მომეტებული დაკარგვით.

დახმარების დროული გამოძახება

საქართველოში დახმარების დროული გამოძახება შესაძლებელია 112-ზე დარეკვით.

112 არის გადაუდებელი დახმარების სამსახურის ნომერი, რომელზეც უნდა დავრეკოთ მაშინ, თუ გვესაჭიროება:

- პოლიციის გამოძახება;

- სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება;
- სახანძრო-სამაშველო ბრიგადის გამოძახება.

112-ზე დარეკვა უფასოა

112-ზე დარეკვა შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში, საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან, თუ გადაუდებელი დახმარება გვჭირდება; 112-ზე დარეკვისას პირდაპირ უნდა ავკრიფოთ ციფრები 1-1-2 და მაშინვე დავუკავშირდებით ოპერატორს.



როგორ უნდა ვითანამშრომლოთ 112-ის ოპერატორთან:

როდესაც 112-ზე დახმარების სათხოვნელად ვრეკავთ, ოპერატორს უნდა მივაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

სად მოხდა? – ვუთხრათ მისამართი გარკვევით;

რა მოხდა? – აღვწეროთ სიტუაცია.

ჩვენი სახელი და გვარი.

გვახსოვდეს!

უნდა ვისაუბროთ გარკვევით და სანამ ოპერატორი ჩვენთან საუბარს არ დაასრულებს, არ გავთიშოთ ტელეფონი.

დავალება

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ შექმენით თემატური ბარათების ნაკრები, რომელიც დაეხმარება თქვენს თანატოლებს სწორი ქმედებების განხორციელებაში. თითოეულ ბარათზე წარმოადგინეთ:

- შემთხვევის დასახელება;
- ძირითადი ნიშნები;
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ნაბიჯები;
- რა არ უნდა გავაკეთოთ;
- როდის უნდა მივმართოთ 112-ს და სხვა.

სასარგებლო რესურსები





IV თემა

სამხედრო ტოპოგრაფია და ბუნებაში გადარჩენა

14. სამხედრო ტოპოგრაფია ადგილზე ორიენტირების ხერხები მანძილის გაზომვა სხვადასხვა ხერხით

იმსჯელეთ

- როდესაც უცნობ ადგილზე ხვდებით (მაგალითად, სხვა ქალაქში, სხვა სოფელში ან ტყეში), რას აკვირდებით პირველ რიგში? როგორ ადგენთ, საით უნდა წახვიდეთ?
- დასახლებულ პუნქტებში რა მანიშნებლები გეხმარებათ ორიენტირებაში?
- ბუნებაში რა ნიშნები ან ობიექტები შეიძლება დაგვეხმაროს სასურველი მიმართულებით გადაადგილებაში?
- რა ხერხები გახსენდებათ მანძილის გასაზომად?
- რა ხერხები გახსენდებათ ჰორიზონტის მხარეების დასადგენად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ადგილზე ორიენტირებისა და მანძილის გაზომვის ხერხების ცოდნა? სად შეიძლება გამოვიყენოთ მიღებული ცოდნა?



ზოგადად, **ტოპოგრაფია** არის მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირს, მისი გაზომვისა და გეგმაზე ან რუკაზე გამოსახვის ხერხებს. სამხედრო ტოპოგრაფია კი სპეციალური სამხედრო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს ადგილმდებარეობის შესწავლის ხერხებს, მასზე ორიენტირებასა და საველე გაზომვების ჩატარებას. სამხედრო ტოპოგრაფია, როგორც სასწავლო დისციპლინა, ყველა სახეობის ჯარების ოფიცრების, სერჟანტებისა და რიგითი პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯარების სწავლების სხვა დისციპლინებთან, განსაკუთრებით ტაქტიკასთან, საცეცხლე და საინჟინრო მომზადებასთან. სამხედრო ტოპოგრაფია მეთაურებსა და ჯარისკაცებს აძლევს აუცილებელ ტოპოგრაფიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს ჯარების საბრძოლო აქტივობის ამაღლებასა და ბრძოლაში წარმატების მიღწევას.



უცხო ადგილმდებარეობაზე ყოფნისას მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ სად ვიმყოფებით და რომელ მხარეს უნდა ვიმოძრაოთ, რათა საჭირო ობიექტისკენ სვლისას საფრთხეს არ გადავეყაროთ. ამისათვის აუცილებელია შეგვეძლოს ადგილზე ორიენტირება.

ადგილზე ორიენტირება ნიშნავს საკუთარი ადგილსამყოფლის, ჰორიზონტის მხარეების, რელიეფის, ადგილობრივი საგნების, ორიენტირ(ებ)ის მდებარეობის განსაზღვრას. ორიენტირებისთვის მნიშვნელოვანია ადგილზე ორიენტირის შერჩევის უნარი. ორიენტირად შესაძლებელია ნებისმიერი თვალსაჩინო, ნათელი, უძრავი, საერთო ფონიდან გამოყოფილი ადგილობრივი საგნისა და რელიეფის დეტალის ამორჩევა.




ორიენტირების ტიპები

ფართობრივი
დასახლებული პუნქტები, ტყის ცალკეული მასივები, ტბები და სხვ.

ხაზოვანი
გზები, არხები, მდინარეები და სხვ.

წერტილოვანი
ქარხნებისა და ფაბრიკების მილები, გზაჯვარედინები, მთების მწვერვალები და სხვ.

როგორც ვთქვით, ადგილზე ორიენტირების ერთ-ერთი კომპონენტია ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა, ამისათვის კი სხვადასხვა ხერხი არსებობს. მაგალითად, ჰორიზონტის მხარეების დადგენა ციური მნათობების, სპეციალური ხელსაწყოების, ადგილობრივი საგნების, ხელთ არსებული ნივთების, ადგილმდებარეობასთან რუკის შეხამების საშუალებით და სხვა. პრაქტიკულია მზისა და საათის საშუალებით ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრის ხერხების/მეთოდების გამოყენება, რომლებიც ყველამ უნდა იცოდეს. განვიხილოთ ისინი.



არასწორი ორიენტირება

სწორი ორიენტირება

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით ნამდვილ ამბავს და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

ჰადი ნაზარი გამოცდილი მოლაშქრეა. 2025 წელს მისი მიზანი იყო ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალის, კოსციუშკოს მთის, დაპყრობა. 23 დეკემბერს ჰადიმ და მისმა ორმა მეგობარმა (ყველა გამოცდილმა მოლაშქრემ) საბანაკე ადგილი დატოვეს, საკვები და მარაგი ჩაალაგეს და, რა თქმა უნდა, რელიეფიც შეისწავლეს. მათ დაიწყეს ლაშქრობა და სამ დღეში კოსციუშკოს მწვერვალზე ავიდნენ. ჰადის თქმით, ისინი ერთმანეთისგან დისტანციურად გადაადგილდებოდნენ, რასაც ის და მისი მეგობრები აქამდეც ხშირად

აკეთებდნენ ბუნებაში.

26 დეკემბერს, დილით, მოლაშქრეები ბილიკის ბოლო მონაკვეთს დაადგნენ – ჰანელსის შადრევნის 6,5-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც მკაცრი და მოუვლელი მაღალმთიანი ბილიკია და კოსციუშკო ეროვნული პარკის სახიფათო აღმოსავლეთ მონაკვეთზე გადის. ჰადი აღნიშნავს, რომ მის შემთხვევაში ყველა პატარა დაუდევრობამ იჩინა თავი: მას მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვა; ლაშქრობისას მარტო გადაადგილდებოდა; GPS მოწყობილობა და ტელეფონი არ ჰქონდა; როდესაც მივიდა იმ ადგილას, რომელიც, მისი აზრით, გზაჯვარედინი იყო, ნაკლებად ნაცნობი ბილიკი აირჩია. ჰადი მიხვდა, რომ დაიკარგა. მას ორი გეგმა ჰქონდა: ერთი – პირდაპირ გორაკებზე ასვლა, მეორე – გზის მარცხნივ გაგრძელება და მთავარ ბილიკზე დაბრუნება. ჰადი აღნიშნავს, რომ ის გადაადგილებისას ერთ კონკრეტულ გეგმას მაინც არ მიჰყვებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მისი პოვნისთვის საუკეთესო შანსი იყო მაქსიმალურად თვალსაჩინო გამხდარიყო, მან ნაკადულთან ახლოს ადგილი გაასუფთავა და ჯიბეში შენახული სანთებელას გამოყენებით ცაში კვამლის სიგნალი გააგზავნა. მალევე კი შვეულმფრენის ხმაც გაიგო და ფიქრობდა, რომ ნამდვილად მის მოსაძებნად მოვიდნენ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ის იმყოფებოდა ტყეში გაჩენილი ხანძრის მახლობლად და სწორედ ამ ხანძრის ჩასაქრობად მოემართებოდა ის შვეულმფრენი. მაშინ ჰადის პოვნა ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა მოლაშქრემ მომდევნო კვირა მთებში, ბუჩქნარებს შორის ხეტიალში გაატარა, ნაკადულებსა და მდინარეებს მიჰყვებოდა და ნაკრძალში არსებული ნაცნობი ღირსშესანიშნაობების პოვნას ცდილობდა. მისდა საბედნიეროდ, სუფთა წყალი უხვად იყო, საკვებად კი ველურ კენკრას იყენებდა.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში, მისი აზრით, ის აღმოსავლეთით წავიდა, ცდილობდა „ხელახლა წარმოედგინა“ ღირსშესანიშნაობები, გავლილი რელიეფი და ადგილები, რათა ორიენტირება გამარტივებოდა. საბოლოოდ, ის მთის მწვერვალამდე მივიდა, საიდანაც მან რაღაც საოცარი – შენობის სახურავი შენიშნა. ჰადი იხსენებს, რომ ეს იყო ქოხი მოლაშქრეთათვის. საბოლოოდ, ჰადიმ სამი ღამე გაატარა ამ პატარა ქვის ქოხში, ორსართულიან საწოლზე ეძინა და ბუხრის სითბოთი ტკბებოდა.

ქოხში მან ასევე იპოვა მინიშნებები და მითითებები, რომლებიც სხვა მოლაშქრეებმა დატოვეს. დატოვებული მინიშნებების მიზანი იყო დაკარგული ადამიანის გზის გაკვალვაში დახმარება. მეთორმეტე დღეს ჰადი დიდი იმედებით შარლოტის უღელტეხილისკენ გაემართა, თუმცა ძლიერი ქარის გამო გაჩერება მოუწია.

ჰადის ისტორიის დასასრულს მოვლენები ასე განვითარდა: გადაადგილებისას მან მოლაშქრეთა ჯგუფი შენიშნა. იმისათვის, რომ ის შეემჩნიათ, ყვირილი დაიწყო. მართლაც, მისი ხმა გაიგეს მოლაშქრეებმა, მიუახლოვდნენ და ბოლოს პოლიციაც გამოიძახეს. პოლიციის შვეულმფრენმა ჰადი გიჰის ბაზის ბანაკში დააბრუნა, სადაც ის ოჯახსა და მეგობრებს შეხვდა.

შეკითხვები

- რა შეცდომები დაუშვა ჰადიმ და როგორ უკავშირდება ეს მის დაკარგვას?
- შეადარეთ ჰადის მიერ გამოყენებული ორიენტირების მეთოდები (რელიეფის გახსენება, მდინარეებისა და ნაკადულების გაყოლა, ღირსშესანიშნაობების ძიება) თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას. რა უპირატესობები და უარყოფითი მხარეები აქვს თითოეულს?
- დაასაბუთეთ, რომელი გადაწყვეტილება იყო ყველაზე სარისკო და ნაკლებად სარისკო?
- როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ჰადის რომ კომპასი, GPS მოწყობილობა ან მობილური ტელეფონი ჰქონოდა?
- რას ურჩევდით ჰადის – გადაადგილებისას რა გზები და ხერხები უნდა გამოეყენებინა? რატომ?

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციური მნათობების მეშვეობით


ჰორიზონტის ძირითადი მხარეების განსაზღვრა მზის საშუალებით



როგორც ვიცით, დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემო მზის ირგვლივ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ბრუნავს, თუმცა ადამიანს შესაძლებელია მოეჩვენოს, რომ პირიქით – მზე მოძრაობს დედამიწის გარშემო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიართულებით. აქედან გამომდინარე, მზე დილით თითქმის აღმოსავლეთიდან ამოდის, შუადღისით აღწევს ზენიტს და იმყოფება სამხრეთით, ხოლო საღამოს ჩადის თითქმის დასავლეთით. ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრისას დილით, მზის ამოსვლისას, უნდა დავდგეთ ისე, რომ მზე იყოს ჩვენგან მარჯვნივ, შუადღისით – ჩვენს ზურგს უკან, ხოლო საღამოს – ჩვენგან მარცხნივ. შესაბამისად, ჩვენი სახე დილას მიმართული იქნება ჩრდილოეთით, ზურგი კი – სამხრეთით.

შენიშვნა: მზის ამოსვლა და ჩასვლა წელიწადის სხვადასხვა დროს განსხვავდება ერთმანეთისაგან: შუა განედებისთვის ზაფხულობით მზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ამოდის და ჩრდილო-დასავლეთით ჩადის, ზამთრობით კი – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამოდის და ჩრდილო-დასავლეთით ჩადის. გაზაფხულსა და შემოდგომაზე მზე თითქმის აღმოსავლეთიდან ამოდის და თითქმის დასავლეთით ჩადის. ის წელიწადში მხოლოდ ორჯერ ამოდის ზუსტად აღმოსავლეთიდან და ჩადის ზუსტად დასავლეთით, დღე-ღამის ტოლობის დროს.

როგორ განისაზღვრება ჰორიზონტის მხარეები მზის ჩრდილით?



აღნიშნული ხერხი გამოიყენება მზიან ამინდში. ის არის მარტივი, ზუსტი და მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1) დაახლოებით 1-1,5 მ-ის სიგრძის ჯოხი ვერტიკალურად ჩავარჭოთ მიწაში და ჩრდილის ბოლო მოვნიშნოთ ქვით ან რაიმე ხელთ არსებული საგნით. 20 წუთით დაველოდოთ ჩრდილის გადაადგილებას და იმავენაირად მოვნიშნოთ ჩრდილის ბოლოც;

2) ჩრდილის პირველი და მეორე მონიშნული ბოლოები შევაერთოთ სწორი ხაზით. ამით მივიღებთ დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებაზე გამავალ მიახლოებით ხაზს;

3) თუ ისე დავდგებით ხაზზე, რომ ჩრდილის პირველი ნიშნული იქნება ჩვენგან მარცხნივ, მაშინ დანარჩენი მიმართულებების დადგენა მარტივია: ჩვენ წინ იქნება ჩრდილოეთი, მარჯვნივ – აღმოსავლეთი, უკან (ჯოხის მიმართულებით) – სამხრეთი. ეს წესი დედამიწის ნებისმიერ წერტილში უცვლელია.







ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა მთვარის მეშვეობით

არის შემთხვევები, როდესაც ღამით ორიენტირება გვჭირდება. ღამით ორიენტირება შესაძლებელია მთვარის მეშვეობით უღრუბლო ამინდში. მთვარე ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრის ერთ-ერთ კარგ საშუალებად ითვლება. ცის კაბადონზე მთვარის გადაადგილება მკაცრად ემორჩილება ასტრონომიულ კანონზომიერებას – მზის, დედამიწისა და მთვარის ურთიერთგანლაგებას. ამ სამი ასტრონომიული ობიექტის ურთიერთგანლაგება ყოველ 29 დღეში, 12 საათში, 44 წუთსა და 2,82 წამში (სინოდური ღამე) ციკლურად და უცვლელად მეორდება. მთვარის დისკოს სრულ დაბნელებას ახალმთვარეობა ეწოდება, ხოლო მთვარის დისკოს მთლიან განათებას – სავსემთვარეობა. როცა განათებულია მთვარის ზუსტად ნახევარი ნაწილი, იგი ორი ფაზიდან რომელიმეში იმყოფება: პირველ მეოთხედში (როცა მოჩანს მთვარის დისკოს მარჯვენა ნაწილი) ან ბოლო მეოთხედში (როცა მოჩანს მთვარის დისკოს მარცხენა ნაწილი).

ქვემოთ მოცემული ცხრილი გიჩვენებთ მთვარის ფაზებისა და შესაბამისი დროების ჰორიზონტის მხარეებთან ურთიერთკავშირს.

მთვარის ფაზა	დისკოს ხილული ნაწილი	ორიენტირების დრო			შენიშვნა
		19:00	01:00	07:00	
პირველი მეოთხედი		სამხრეთით	დასავლეთით	——	ცაზე მოჩანს საღამოობით
სავსემთვარეობა		აღმოსავ-ლეთით	სამხრეთით	დასავლეთით	
ბოლო მეოთხედი		——	აღმოსავ-ლეთით	სამხრეთით	ცაზე მოჩანს დილაობით

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში მთვარის ფაზები უკუთანმიმდევრობით ეწყობა – მთვარის ფაზები იწყება მაშინ, როცა მოჩანს მისი დისკოს მარცხენა ნაწილი და მთავრდება, როცა მოჩანს დისკოს მარჯვენა ნაწილი.

როგორ განისაზღვრება ჰორიზონტის მხარეები ვარსკვლავების მეშვეობით?



ვარსკვლავები ცის კაბადონზე არათანაბრადაა გაფანტული. ისინი ქმნიან ჯგუფებს, რომლებსაც თანავარსკვლავედები ეწოდება. ცაზე სულ 88 თანავარსკვლავედია. თანავარსკვლავედების დანახვა დამოკიდებულია წელიწადის დროზე, ღამის დროის მონაკვეთსა და იმაზე, თუ დედამიწის რომელ ადგილას იმყოფებით. ეს ცვლილებები დედამიწის მზის გარშემო ბრუნვისა და მთლიანად მზის სისტემის სამყაროს ღერძის გარშემო ბრუნვითაა გამოწვეული. ამ მოვლენის გამო გვეჩვენება, რომ თანავარსკვლავედები ჩვენ გარშემო გადაადგილდება.



ჩრდილო ნახევარსფეროში არსებობს ერთი ვარსკვლავი, რომელიც ყოველ ღამე, მთელი ღამის განმავლობაში, ცის კაბადონზე თითქმის ერთსა და იმავე ადგილასაა. მას ჩრდილოეთის ვარსკვლავი (პოლარული ვარსკვლავი) ეწოდება.

პოლარული ვარსკვლავი ჭეშმარიტი ჩრდილოეთიდან 1^0-ზე ნაკლები კუთხით არის გადახრილი და არ იცვლის თავის ადგილმდებარეობას, რადგან დედამიწის ღერძის ჩრდილოეთ ბოლო მისკენ არის მიმართული. მაშასადამე, ჩრდილოეთი მიმართულების პოვნა ცის კაბადონზე პოლარული ვარსკვლავის მიგნებაზეა დამოკიდებული.

პოლარული ვარსკვლავი „პატარა დათვის“ თანავარსკვლავედში იმყოფება. იგი თანავარსკვლავედის განაპირა ვარსკვლავია. მის საპოვნელად საჭიროა ჯერ „დიდი დათვის“ თანავარსკვლავედის მოძიება,



ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა პოლარული ვარსკვლავის მეშვეობით




ალასკის დროშა

რომელიც „ციცხვის“ (დიდი კოვზის) ფორმით განლაგებული შვიდი კაშკაშა ვარსკვლავისგან არის წარმოდგენილი. შემდეგ „დიდი დათვის“ თანავარსკვლავედის „ციცხვის“ ბოლო ორი განაპირა ვარსკვლავი უნდა იპოვოთ, რომლებსაც მიმთითებლებს უწოდებენ. ამ მიმთითებელი ვარსკვლავების გასწვრივ წარმოსახვით უნდა გაატაროთ სწორი ხაზი და გადაზომოთ მანძილი, რომელიც ამ ვარსკვლავებს შორის მანძილის ხუთმაგ სიგრძეს შეესაბამება. იქვე მდებარე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იქნება პოლარული ვარსკვლავი. იგი „პატარა დათვის“ თანავარსკვლავედის „ციცხვის“ ტარის საწყისი ვარსკვლავია და გარშემო მდებარე ვარსკვლავებს შორის ყველაზე კაშკაშაა. შემდეგ პოლარული ვარსკვლავიდან თქვენი დგომის წერტილისკენ ჰორიზონტზე დაუშვით პერპენდიკულარული წარმოსახვითი ხაზი და მოცემული მიმართულება იქნება ჩრდილოეთის მხარე.

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ადგილობრივი საგნების მეშვეობით (კომპასის გარეშე)

კომპასის უქონლობის შემთხვევაში და მაშინ, როდესაც ცაზე ციური მნათობებიც არ ჩანს, ჰორიზონტის მხარეები შეიძლება განისაზღვროს ადგილობრივი საგნების საშუალებით. ტყეში, თუნდაც ჭაობში, ისეთი „ცოცხალი კომპასები“ არსებობენ, რომლებიც დაგეხმარებიან ჰორიზონტის მხარეების დადგენასა და სწორი გზის პოვნაში. ზოგიერთ მცენარეს აქვს ისეთი გარკვეული მახასიათებლები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ჰორიზონტიის მხარეების დასადგენად, მაგრამ ეს მახასიათებლები ნაკლებად საიმედოა, ვიდრე ციური მნათობის მეშვეობით ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად, ისეთ ამინდში, როდესაც ცა სქელი ღრუბლითაა დაფარული, არ ჩანს არც მზე, არც მთვარე, არც ვარსკვლავები.



ჩიტი ბუდეს იკეთებს სამხრეთ მხარეს

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრის უამრავი ხერხი არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში მხოლოდ ზოგიერთი მათგანია მიღებული. განვიხილოთ ეს ხერხები:


- ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ხის ტოტების განვითარებით;
- ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ხეების

წლოვანების განმსაზღვრელი წრეებით;
- ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა შენობა-ნაგებობებით;
- ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ხელთ არსებული საგნებით.

როგორ განისაზღვრება ჰორიზონტის მხარეები ხეების ტოტების განვითარებით?

ხშირად გვიწევს მოსმენა და წაკითხვა იმ ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა, რომ ხეების ტოტები სამხრეთით უფრო გრძელია და მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ჩრდილოეთით. ეს მახასიათებელი ზოგიერთ შემთხვევაში გვეხმარება ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრაში.

ტყეში ამ ხერხის გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხის ტოტები ტყეში ყველა მიმართულებით და არამხოლოდ სამხრეთით იზრდება, თანაც ხშირ ტყეში ხეები თავიანთი ჩრდილით სხვა ხეებს ფარავენ და ამიტომ მათი გრძელი ტოტები თავისუფალი მიმართულებითაა. ცალკე მდგომი ხის ტოტების კონფიგურაციაც უმეტესად დამოკიდებულია რაიონში გაბატონებულ ქარზე, მზის დაჩრდილვასა და სხვა ფაქტორებზე. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ცალკე მდგომი ხე სრულიად განცალკევებით იზრდებოდა. მართალია, არის შემთხვევები, როცა ზემოთ აღნიშნული კანონზომიერება მართლდება, მაგრამ მსგავსი დაკვირვებებით გადამჭრელი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება.





როგორ განისაზღვრება ჰორიზონტის მხარეები ხეების წლოვანების აღმნიშვნელი წრეებითა და ჭიანჭველების ბუდით?

პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ზოგჯერ ორიენტირება ხეების გადანაჭერზე წლოვანების აღმნიშვნელი წრეებითაც არის შესაძლებელი. მიჩნეულია, რომ გაშლილ ადგილზე წლოვანების აღმნიშვნელ წრეებს შორის დაშორება სამხრეთით უფრო დიდია, ვიდრე ჩრდილოეთით.

აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ყოველთვის სანდო არაა, ხის ტოტების შემთხვევის მსგავსად.

რეალურად, წრეებს შორის დაშორება, ხის ტოტების ზრდის მსგავსად, შემდეგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: რაიონში გაბატონებულ ქარზე, მზის დაჩრდილვაზე და სხვა.




ხის კუნძზე წლოვანების აღმნიშვნელი წრეები




ჭიანჭველების ბუდის აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ ბუდის სამხრეთი მხარე ხშირად უფრო მეტად დამრეცია, ჩრდილოეთი კი – უფრო ციცაბო; შესასვლელსაც, ძირითადად, სამხრეთის მხარეს აკეთებენ.

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა შენობა-ნაგებობების მიხედვით

ჰორიზონტის მხარეების მიხედვით გაორიენტირებულია ტაძრები: ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები. მართლმადიდებლური და ლუთერანული ეკლესიის საკურთხეველი აღმოსავლეთით არის მიმართული, ხოლო მთავარი შესასვლელი და სამრეკლო დასავლეთით მდებარეობს, კათოლიკური ეკლესიის საკურთხეველი კი დასავლეთითაა მიმართული. საქართველოში ებრაული სინაგოგისა და მუსლიმური მეჩეთის ძირითადი კარი ზუსტად ჩრდილოეთისკენაა. ბუდისტური მონასტერი ფასადით სამხრეთისკენაა მიმართული. სოფლის ტიპის დასახლებაში შენობის ხის ფანჯრები სამხრეთ მხარეს უფრო სკდება. შეღებილი სახლის კედლებზე ფერი უფრო მეტად სამხრეთ მხარეს ხუნდება.





ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ხელთ არსებული საგნების მიხედვით

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციფერბლატიანი საათით მზიან ამინდში


ციფერბლატიანი (ისრებიანი) საათით შესაძლებელია ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიახლოებით განსაზღვრა. ეს მეთოდი ემყარება იმას, რომ 13:00 საათზე მზე სამხრეთითაა.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზუსტი სამხრეთის განსაზღვრისთვის უნდა დავდგეთ სახით მზისკენ, დავიჭიროთ საათი ჰორიზონტალურად ისე, რომ საათის მოკლე ისარი მზისკენ იყოს მიმართული. ამ დროს საათის მაჩვენებელ ისარსა და ციფერბლატზე ციფრ 1-იანს შორის მდებარე კუთხის ბისექტრისა (ამ კუთხის შუაზე გამყოფი ხაზი) სამხრეთით იქნება მიმართული.




სამხრეთ ნახევარსფეროში ციფერბლატიანი საათით ჰორიზონტის მხარეების განსასაზღვრად საათი დავიჭიროთ ჰორიზონტალურად ისე, რომ საათის ციფერბლატზე არსებული ციფრი 1-იანი მზისკენ იყოს მიმართული. ამ დროს ციფერბლატის ციფრ


1-იანსა და საათის მოკლე ისარს შორის მდებარე კუთხის ბისექტრისა (ამ კუთხის შუაზე გამყოფი ხაზი) მიმართული იქნება ჩრდილოეთით.




ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციფერბლატიანი საათით მზიან ამინდში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შუადღემდე



ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციფერბლატიანი საათით მზიან ამინდში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შუადღის შემდეგ



ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციფერბლატიანი საათით მზიან ამინდში სამხრეთ ნახევარსფეროში შუადღემდე



ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ციფერბლატიანი საათით მზიან ამინდში სამხრეთ ნახევარსფეროში შუადღის შემდეგ

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ საათი ადგილობრივ დროს უნდა უჩვენებდეს. ეს ხერხი ზუსტ შედეგს არ იძლევა. უზუსტობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საათის ციფერბლატი ჰორიზონტის სიბრტყის პარალელურადაა, ხოლო მზის ხილული ტრაექტორია ჰორიზონტალურ სიბრტყეში მდებარეობს მხოლოდ პოლუსზე. ეს ხერხი ყველაზე ზუსტია ზამთარში, ზაფხულში კი ცდომილებამ შეიძლება 25°-ს მიაღწიოს.

ხელთ არსებული საგნებით ორიენტირების ერთერთი მაგალითი: ვიღებთ ნემსს ან ქინძისთავს. მის ერთ ბოლოს დასამუხტად გავუხახუნებთ შალის მატერიას, შემდეგ ხმელ ფოთოლს ან ქაღალდის ნაგლეჯს წყალში ვდებთ და დამუხტულბოლოიან ნემსს ზედ ვათავსებთ. ნემსი დამუხტული ბოლოთი საყრდენიანად ჩრდილოეთისკენ შემოტრიალდება. ფოთლის ან ქაღალდის ნაცვლად შესაძლებელია პარაფინის საცობის გამოყენება.



ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა ფოთლითა და ნემსით

პრაქტიკული აქტივობა

წარმოიდგინეთ, რომ ახალი თანაკლასელი გადმოვიდა თქვენს კლასში. ის ჯერ კარგად არ იცნობს სკოლის შიდა და გარე სივრცეს, ამიტომ აუხსენით მას გადაადგილების ძირითადი მიმართულებები (ჰორიზონტის მხარეების მიხედვით), აცნობეთ საგანგებო გასასვლელების მდებარეობა და სხვა. ამისათვის შეადგინეთ **მიმანიშნებელი ბარათები:**

ბარათი 1. შიდა გადაადგილება

აღწერეთ, როგორ (რა მიმართულებით) უნდა გადაადგილდეს მოსწავლე:

- კლასიდან დერეფანში;
- დერეფნიდან კიბეებისკენ / სხვა სართულზე;
- შენობიდან ეზოში;
- მიუთითეთ, რას უნდა დააკვირდეს გადაადგილებისას (ორიენტირების ნიშნები).

ბარათი 2. სკოლის შენობის შიგნით ძირითადი ორიენტირები

ჩამოთვალეთ 3-5 ობიექტი, როგორებიცაა:

- კიბე;
- ბიბლიოთეკა;
- ადმინისტრაცია;
- სპორტული დარბაზი.

აღწერეთ:

- როგორ დაეხმარება თითოეული ობიექტი ორიენტირებაში?
- რომელია ყველაზე მარტივად დასამახსოვრებელი და რატომ?

ბარათი 3. სკოლის ეზო და გარე სივრცე

აღწერეთ:

- ეზოს ძირითადი ნაწილები (მაგალითად, სტადიონი, ყვავილნარი);
- რომელი ობიექტები გამოიყენება ორიენტირად (მაგალითად, ხე, მოედანი) და რატომ?

ბარათი 4. საგანგებო სიტუაცია

მიუთითეთ:

- სად არის მთავარი და ალტერნატიული გასასვლელები;
- სად არის განთავსებული საევაკუაციო გეგმა.

ბარათი 5. ზოგადი რჩევები ახალ მოსწავლეს

ჩამოწერეთ:


- 4-5 პრაქტიკული რჩევა სკოლის სივრცეში ორიენტირებისთვის;
- რას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ არ დაიბნეს;
- რა უნდა გააკეთოს, თუ გზა აერია და სხვა.

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით

კომპასი

კომპასი მიმართულების ყველაზე მარტივ და ფართოდ გავრცელებულ საზომ ხელსაწყოს წარმოადგენს, რომლის საშუალებით ადგილმდებარეობაზე მაგნიტურ კუთხეს ზომავენ.

ლინზიანი კომპასი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: **სახურავი, ძირითადი კორპუსი, უკანა სამიზნებელი.**



1) **სახურავი.** კომპასის სახურავი მოძრავ ციფერბლატს იცავს. იგი შედგება:

- სამიზნე ძაფისაგან (წინა სამიზნე);
- ორი მნათი ნიშნულისგან – გამოიყენება ღამით ორიენტირებისთვის.



2) **ძირითადი კორპუსი.** ძირითადი კორპუსი შეიცავს შემდეგ ნაწილებს:


- ცენტრში დამაგრებული მოძრავი ციფერბლატი. იგი თავისუფლად ბრუნავს მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ციფერბლატზე დამაგრებულია მაგნიტური ისარი, E და W ასოები და მნათი ნიშნულები ისრისა და ასოების ღამით გამოსაჩენად. ციფერბლატის მაგნიტური ისარი ყოველთვის ჩრდილოეთ მაგნიტური პოლუსისკენ არის მიმართული. ასო E აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, ხოლო W – დასავლეთისკენ. ციფერბლატზე არის მიმართულების განსასაზღვრი კუთხის საზომი ერთეულების (პრომილე, გრადუსი) ორი სკალა: შავი ფერის გარეთა სკალა არის პრომილეების (წრეწირის 1/6400 სიგრძის რკალის შესაბამისი ცენტრალური კუთხე. ერთი უმცირესი დანაყოფის ფასია 20 პრომილე), წითელი ფერის შიდა სკალა კი – გრადუსების (წრეწირის 1/360 სიგრძის რკალის შესაბამისი ცენტრალური კუთხე. უმცირესი დანაყოფის ფასია 5°);
- მოძრავი ციფერბლატი დაფარულია შუშით, რომელზეც დატანილია უძრავი შავი ხაზი (0°);
- მბრუნავი რგოლი ხუფით, რომელიც მდებარეობს ციფერბლატის შუშის ზემოთ. მასზე დატანილია მნათი ხაზი. მბრუნავი რგოლი ხმოვან მექანიზმს წარმოადგენს, რადგან ბრუნვისას გამოსცემს „წკაპის“ მსგავს ხმას. თითო „წკაპი“ 3°-ია;
- მარყუჟი. ის საჭიროა კომპასის ცენტრში დაჭე-

რის ხერხის გამოყენებისას ხელში კომპასის უსაფრთხოდ დაფიქსირებისთვის, აგრეთვე კომპასის მუშაობის დასრულებისას სახურავის დახურვის შემდეგ დასაფიქსირებლად;

- სამაგრი რგოლი თასმის გასაყრელად გამოიყენება.

3) **უკანა სამიზნებელი.** სამიზნებელი ჩამკეტის ფუნქციას ასრულებს. კომპასის დასახურად მომზადებისას უკანა სამიზნებლის დაკეცვა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აფიქსირებს მოძრავ ციფერბლატს მისი დაცვის მიზნით. იმისათვის, რომ ციფერბლატმა თავისუფლად იბრუნოს, უკანა სამიზნებელი გახსნილი უნდა იყოს დაახლოებით 45°-ის ზემოთ. იგი შედგება:

- კორპუსისგან. გამოიყენება მოძრავი ციფერბლატის დასაფიქსირებლად;
- ლინზისაგან – გამოიყენება ციფერბლატზე ანათვლების კარგად წასაკითხად;
- სამიზნე ჭრილისაგან – გამოიყენება სამიზნე ძაფთან ერთად საგანზე დამიზნებისათვის.



გახსნილ მდგომარეობაში კომპასს ერთ მხარეს აქვს მასშტაბიანი სახაზავი. ახალ კომპასებს აქვს 1:50 000 მასშტაბის სახაზავი.



ეს საინტერესოა

პირველი კომპასი დაახლოებით 2 000 წლის წინ ჩინეთში შეიქმნა. თავდაპირველად იგი მოგზაურობისთვის კი არა, შენობებისა და ქალაქების სწორად განლაგებისთვის გამოიყენებოდა. ძველი ჩინელები ბუნებრივ მაგნიტს – მაგნიტიტს იყენებდნენ, რომელსაც „სამხრეთის მაჩვენებელ ქვას“ უწოდებდნენ. მოგვიანებით კომპასი მეზღვაურებმაც აითვისეს და ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სანავიგაციო გამოგონებად იქცა.



როგორ გამოვიყენოთ და მოვუაროთ კომპასს?

კომპასი სათუთი ხელსაწყოა და სათანადო მოვლას საჭიროებს.

გასინჯვა. კომპასის პირველ გამოყენებამდე საჭიროა მისი დეტალური გასინჯვა. კომპასის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შემოწმებაც აუცილებელია, არის მბრუნავი ციფერბლატი. საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ დასამიზნებელი ძაფი ვერტიკალურია, მინა და სხვა შუშის ნაწილები – მთელი, ციფერბლატზე წარწერები იოლად იკითხება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ციფერბლატი შეუფერხებლად ბრუნავს.

ლითონისა და ელექტრობის ზემოქმედება. ლითონის საგნებსა და ელექტროენერგიის წყაროებს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს კომპასის მუშაობაზე. არამაგნიტური ლითონები და შენადნობები არ ზემოქმედებს კომპასის ჩვენებაზე.

კომპასის სწორი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საგნებიდან დაშორება შემდეგ მანძილებზე:

- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები – 55 მეტრი;
- საველე საარტილერიო იარაღი, სატვირთო მანქანა, ტანკი – 18 მეტრი;
- სატელეგრაფო ან სატელეფონო ხაზები და ეკლიანი მავთული – 10 მეტრი;
- ტყვიამფრქვევი – 2 მეტრი;
- ფოლადის ჩაფხუტი ან შაშხანა – 1/2 მეტრი.

სიზუსტე. გამართული კომპასი ძალიან ზუსტია. საჭიროა მისი პერიოდული შემოწმება. ცნობილი მიმართულების მაგნიტური აზიმუტის გამოყენებით კომპასები 3°-ზე მეტი გადახრით არ გამოიყენება.

დაცვა. გაშლილი კომპასით გადაადგილებისას საჭიროა დარწმუნება, რომ უკანა სამიზნებელი მთლიანად დევს მინის ბუდის რგოლზე. ამ დროს ციფერბლატის ბრუნვა იბლოკება, არ არის ვიბრაცია, შუშა და ლინზა დაცულია.



ლინზიანი კომპასის გამოყენების ხერხები:

1) აზიმუტის განსაზღვრა კომპასის ცენტრში დაჭერის ხერხით. გავხსნათ კომპასი ისე, რომ სახურავი და ძირითადი ნაწილი ერთმანეთის მიმართ ქმნიდეს 180°-ს. გადავწიოთ უკანა სამიზნე უკან ბოლომდე, რათა ციფერბლატმა თავისუფლად იმოძრაოს. შემდეგ ერთ-ერთი ხელის ცერა თითი გავუყაროთ მარყუჟში, ორი თავისუფალი თითით შევქმნათ კომპასისთვის მყარი საყრდენი ისე, რომ შუა თითი აღმოჩნდეს კომპასის ქვემოთ, ხოლო საჩვენებელი თითი გავაყოლოთ კომპასის გვერდს. მეორე ხელის ცერა თითი მოვათავსოთ უკანა სამიზნესა და შუშის ხუფის რგოლს შორის. საჩვენებელი თითი გავაყოლოთ კომპასის მეორე გვერდის გასწვრივ, დანარჩენი თითები კი შემოვახვიოთ მეორე ხელის თითებს; იდაყვები მივიტანოთ სხეულის გვერდებთან და დავიკავოთ მყარად; ამგვარად, კომპასი აღმოჩნდება მკერდის გასწვრივ. აზიმუტის გასაზომად შემოვბრუნდეთ მთელი ტანით ობიექტისკენ ისე, რომ

კომპასის სახურავი მიმართული იყოს უშუალოდ ობიექტისკენ. შემდეგ დავხედოთ კომპასს და წავიკითხოთ შავი უძრავი ხაზის ქვეშ არსებული აზიმუტის მნიშვნელობა.






ამ ხერხს სხვა ხერხებთან შედარებით აქვს შემდეგი უპირატესობები:

- სწრაფი და იოლია;
- გამოიყენება ნებისმიერ ადგილმდებარეობაზე ორიენტირებისას;
- გამოიყენება სათვალისა და იარაღის მოუხსნელად.

2) აზიმუტის განსაზღვრა კომპასის ლოყასთან დაჭერის ხერხით. კომპასის სახურავი ავხადოთ ისე, რომ სამიზნე ძაფი ვერტიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს; შემდეგ უკანა სამიზნე გავხსნათ საჭირო ზომაზე. გავიხედოთ მის ჭრილში ისე, რომ ჭრილსა და წინა სამიზნე ძაფზე გამავალი ხაზი ველზე შერჩეულ ორიენტირს შეუთავსდეს. დავხედოთ ლინზის საშუალებით ციფერბლატს და წავიკითხოთ მაგნიტური აზიმუტის მნიშვნელობა.




შენიშვნა: კომპასის ლოყასთან დაჭერის მეთოდი ძირითადად ზუსტი დამიზნებისას გამოიყენება და იგი უფრო ზუსტია, ვიდრე ცენტრში დაჭერის ხერხი.


3) სასურველ აზიმუტზე კომპასის წინასწარი დაყენება (შერჩეული ორიენტირისკენ/ობიექტისკენ მოძრაობისთვის).

ა) დღისით ან ხელოვნური განათების პირობებში:


- მოვათავსოთ კომპასი ხელის გულზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში;
- ვაბრუნოთ კომპასი მანამ, სანამ სასურველი აზიმუტის მნიშვნელობა („20“ – სურათის მიხედვით) არ მოექცევა შავი უძრავი ხაზის ქვეშ;
- ვაბრუნოთ მბრუნავი რგოლი ხუფით მანამ, სანამ რგოლის შუშის მნათი ხაზი არ გაუსწორდება



საწყისი პოზიცია



წკაპების დათვლა



დაყენება სასურველ აზიმუტზე



კორპუსის მოტრიალება

ჩრდილოეთის მაჩვენებელ მაგნიტურ ისარს. როგორც კი შუშისა და მაგნიტური ისრის მნათი ხაზები გაუსწორდება ერთმანეთს, კომპასი დაყენებული იქნება სასურველ მაგნიტურ აზიმუტზე;

- სასურველ მაგნიტურ აზიმუტზე მოძრაობისთვის გამოვიყენოთ კომპასის ცენტრში დაჭერის ხერხი და ტანით შემოვბრუნდეთ მანამ, სანამ რგოლის შუშისა და ჩრდილოეთის მაგნიტური ისრის მნათი ხაზები ისევ არ გაუსწორდება ერთმანეთს. შემდეგ გადავაადგილდეთ სამიზნე ძაფის მიმართულებით, რომელიც ემთხვევა შავ უძრავ ხაზს, რომლის ქვეშ ციფერბლატზე წერია სასურველი აზიმუტი.

ბ) შეზღუდული ხილვადობის პირობებში:

- მოვაბრუნოთ მბრუნავი რგოლი ხუფით მანამ, სანამ რგოლის მნათი ხაზი შუშაზე დატანილ შავ ხაზს (0°) არ გაუსწორდება;
- გამოვთვალოთ, რა სიდიდით მოვაბრუნოთ მბრუნავი რგოლი შერჩეული ორიენტირის/ობიექტის მიმართულების განსასაზღვრად (ამისათვის სასურველი აზიმუტის მნიშვნელობა გავყოთ სამზე, თუ ის 180°-ზე ნაკლებია; თუ მნიშვნელობა 180°-ზე მეტია, მაშინ 360°-ს გამოვაკლოთ ის და მიღებული შედეგი გავყოთ სამზე. შედეგად მივიღებთ იმ რიცხვს, რამდენჯერაც უნდა შევიგრძნოთ „დაწკაპუნება“ ჩვენ მიერ მბრუნავი რგოლის დატრიალებისას;
- მბრუნავი რგოლი დავატრიალოთ გამოთვლით დადგენილი „წკაპების“ რაოდენობის შესაბამისი სიდიდით. თუ სასურველი აზიმუტის მნიშვნელობა 180°-ზე ნაკლებია, მაგალითად 24°-ია, მაშინ „წკაპების“ საჭირო რაოდენობას 24:3=8 საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით ავითვლით. თუ სასურველი აზიმუტი 180°-ზე მეტია, მაგალითად, არის 330°, მაშინ „წკაპების“ საჭირო რაოდენობას (360-330):3=10 ავთვლით საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით;
- ვაბრუნოთ მბრუნავი რგოლი ხუფით მანამ, სანამ რგოლის მნათი ხაზი არ გაუსწორდება ჩრდილოეთის მაგნიტურ ისარს (ისრის მნათ ნიშნულს). როგორც კი ისინი გაუსწორდება ერთმანეთს, კომპასი დაყენებულია სასურველ მაგნიტურ აზიმუტზე;
- კომპასის სასურველ აზიმუტზე დაყენების შემდეგ გამოვიყენოთ კომპასის ცენტრში დაჭერის ხერხი და ტანით შემოვბრუნდეთ მანამ, სანამ

მბრუნავი რგოლის მნათი ხაზი და ჩრდილოეთის მაგნიტური ისრის მნათი ხაზები ისევ არ გაუსწორდება ერთმანეთს. შემდეგ გადავაადგილდეთ კომპასის ხუფზე მოთავსებული მნათი ნიშნულების მიმართულებით, რომელიც ემთხვევა შუშაზე დატანილ შავ ხაზსა და მის ქვეშ ციფერბლატზე არსებულ სასურველ აზიმუტს.



შენიშვნა: თუ აზიმუტის მნიშვნელობა სამზე სრულად არ იყოფა, მაშინ მიღებული რიცხვი მრგვალდება. თუ აზიმუტის მნიშვნელობა მეტისკენ მრგვალდება, აზიმუტი იზრდება და ობიექტი შერჩეული მიმართულების მარცხნივ ექცევა და – პირიქით.

ისტორიიდან

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში მეზღვაურებისთვის მიმართულებისა და ადგილმდებარეობის სწორად განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბი ატლანტის ოკეანეში მოგზაურობისას აქტიურად იყენებდა კომპასს და აკვირდებოდა ციურ სხეულებს. მოგზაურობის დროს მეზღვაურებმა შენიშნეს, რომ კომპასის ისარი ყოველთვის ზუსტად ჩრდილოეთისკენ აღარ მიუთითებდა, რამაც ეკიპაჟში შიში და დაბნეულობა გამოიწვია. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს მოვლენა დედამიწის მაგნიტურ ველს უკავშირდებოდა.

კომპასი ჰორიზონტის მხარეების დადგენაში ეხმარებოდა მეზღვაურებს, თუმცა ზღვაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არსებობდა – გრძედის ზუსტად განსაზღვრა. სწორედ ამ სირთულემ გამოიწვია 1707 წელს ბრიტანეთის ადმირალ შოუელის ფლოტის კატასტროფა. ეკიპაჟს ეგონა, რომ ისინი საფრანგეთის სანაპიროსთან ახლოს იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში სკილის კუნძულების საშიშ კლდეებთან აღმოჩნდნენ. ოთხი სამხედრო გემი ჩაიძირა და ათასობით მეზღვაური დაიღუპა. ამ შემთხვევამ ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ზუსტი ნავიგაცია და დროის სწორად განსაზღვრა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად XVIII საუკუნეში ინგლისელმა ოსტატმა ჯონ ჰარისონმა შექმნა პირველი საიმედო საზღვაო ქრონომეტრი – განსაკუთრებული სიზუსტის საათი, რომელიც გემზე, მოძრაობისა და ტენიანობის მიუხედავად, სწორ დროს აჩვენებდა. ქრონომეტრის შექმნამ ნავიგაცია ბევრად უსაფრთხო და ზუსტი გახადა და მეზღვაურებს ღია ოკეანეში საკუთარი მდებარეობის უფრო სწორად განსაზღვრის შესაძლებლობა მისცა.

GPS (გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემა)

კომპასის გარდა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ორიენტირების თანამედროვე საშუალება GPS, რომელიც წარმოადგენს თანამგზავრულ სანავიგაციო ელექტრონულ მიმღებს ფართო სანავიგაციო შესაძლებლობებით. ის ფუნქციონირებს გლობალურ სანავიგაციო სისტემაში.





მისი დანიშნულებაა განსაზღვროს:

- ადგილმდებარეობის კოორდინატები;
- სიმაღლე ზღვის დონიდან;
- წნევა;
- დრო;
- მზისა და მთვარის მდებარეობა დღის ნებისმიერ მონაკვეთში და სხვ.

აგრეთვე ხელსაწყოში არსებული ელექტრონული კომპასის მეშვეობით შეუძლია ააგოს მოძრაობის მარშრუტი და განსაზღვროს მიმართულება წერტილებს შორის.

მანძილის გაზომვის ხერხები

მანძილის გაზომვა ნაბიჯებით



ამ მეთოდს, ჩვეულებრივ, ადგილმდებარეობის სქემების შედგენისას, ორიენტირებისა და სხვა ობიექტების რუკაზე ან სქემაზე მონიშვნისას იყენებენ. გაზომვისას, როგორც წესი, წყვილ ნაბიჯს ითვლიან. პირველი ხერხი: ყოველ გავლილ 100 (ას) წყვილ ნაბიჯს ნიშნავენ (რაოდენობის შესაბამის ჩანაწერს აკეთებენ ქაღალდის ფურცელზე ან კენჭს იდებენ ჯიბეში, ან კვანძს აკეთებენ თოკზე და სხვა). როცა მთელ მანძილს გაივლიან, წყვილი ნაბიჯები მეტრებში გადაჰყავთ, რისთვისაც წყვილი ნაბიჯების რაოდენობას ამრავლებენ წყვილი ნაბიჯის სიგრძეზე. საჭიროა საკუთარი წყვილი ნაბიჯის ზომის ცოდნა. ამისათვის ვარჯიშობენ სპეციალურად შერჩეულ მონაკვეთებზე, რომელთა სიგრძეც წინასწარ ცნობილია. სხვადასხვა დახრილობისას ნაბიჯის ზომები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ისინი განსხვავდება აგრეთვე დაღმართსა და აღმართზე ერთი და იმავე დახრილობისას. მეორე ხერხი: ამ ხერხის გამოყენებისას საჭიროა ადამიანმა იცოდეს, რამდენი წყვილი ნაბიჯის ტოლია 100 მეტრი, რაც ასევე ვარჯიშის შედეგად გამომუშავდება. სიარულისას გავლილი საერთო მანძილის გასაგებად ჩაინიშნავენ შესაბამის წყვილ ნაბიჯთა რაოდენობას ისევე, როგორც პირველი ხერხის შემთხვევაშია მოცემული და ამ რაოდენობას გაამრავლებენ 100-ზე.



მანძილის გაზომვის ხერხები ნაბიჯებით

თუ სურთ მანძილის მიახლოებით გაზომვა, წყვილი ნაბიჯის ზომას 1,5 მეტრის ტოლად მიიჩნევენ. ადამიანის ნაბიჯის ზომა დამოკიდებულია მის სიმაღლეზეც. ეს დამოკიდებულება საკმაოდ ზუსტად გამოისახება ფორმულით: d=h:4+0.37, სადაც d ნაბიჯის სიგრძეა მეტრებში, h – ადამიანის სიმაღლე მეტრებში. მაგალითად, თუ ადამიანის სიმაღლე 1,75



ნაბიჯის სიგრძის გამოთვლა საშუალო სიმაღლის ადამიანისთვის

მეტრია, მაშინ ნაბიჯის ზომა იქნება 1,75:4+0,37=0,8 მეტრი. ადგილმდებარეობა და ამინდი ცვლის ნაბიჯების ზომებს, ამიტომ საჭირო ხდება შესწორებები გაზომვებში.

აუცილებელია შემდეგის გათვალისწინება:


- ნაბიჯის სიგრძე იზრდება დაღმართზე, მოკლდება აღმართზე. თუ ჩვეულებრივ პირობებში 100 მეტრის გავლას 97-60 წყვილი ნაბიჯი სჭირდება, აღმართზე ასვლისას ნაბიჯების რაოდენობა შეიძლება იყოს 130 ან მეტი;
- ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა ნაბიჯს ამოკლებს, ზურგის ქარი – ზრდის;
- ქვიშაზე, ხრეშზე, ტალახში ნაბიჯი მოკლდება;
- თოვლზე, წვიმაში ან ლიპ ყინულზე გადაადგილებისას ნაბიჯი მოკლდება;
- ზედმეტი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც ცურავს, ნაბიჯს ამოკლებს;
- ნისლით, წვიმით ან სიბნელით გამოწვეული ცუდი ხილვადობისას ნაბიჯი მოკლდება.






ნაბიჯის სიგრძე სხვადასხვა ტიპის ადგილმდებარეობაზე

წყვილი ნაბიჯი 100 მ-ზე	ადამიანის სიმაღლე		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
ნორმალურ გზაზე	42	40	37
ბუჩქნარიან გზაზე	45	43	40
ხშირ ტყეში	50	46	43
მეჩხერ ტყეში	55	50	46



მდინარის სიგანის გაზომვა სამკუთხედების მსგავსებით (მეორე ნაპირზე გადასვლის გარეშე)

მანძილის გაზომვა ბგერის გავრცელების სიჩქარით



როგორც ცნობილია, ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაერში, დაახლოებით, 330მ/წმ-ის ტოლია, ანუ 3 წამში ბგერა 1 კილომეტრს გადის. ამგვარად, თუ განსაზღვრავთ დროს საბრძოლო იარაღიდან სროლის შედეგად წარმოქმნილი ცეცხლის (სინათლის წყაროს) დანახვის მომენტიდან ცეცხლის თანმხლები ხმის გაგონებამდე, შეგიძლიათ გამოთვალოთ ცეცხლის ადგილამდე მანძილი კილომეტრებში შემდეგი ფორმულით:

$$D = t / 3.$$

D – მანძილი სინათლის წყარომდე (კმ);

t – დრო სინათლის წყაროს დანახვიდან გასხივების თანმხლები ხმის გაგონებამდე (წმ).

მაგალითად, თუ საბრძოლო მასალის ლულიდან გამოვარდნით ან რაიმე ობიექტთან შეჯახებისას მისი აფეთქებით წარმოქმნილი სინათლის წყაროს (ცეცხლის) დანახვიდან 18 წამში გაიგონებთ თანმხლებ ხმას, მაშინ მანძილი სინათლის წყაროს ადგილამდე (18:3) 6კმ იქნება.

ზოგიერთი მონაცემი სხვადასხვა ხერხით საგნამდე (ობიექტამდე) მანძილის განსაზღვრისათვის

იარაღი	დეტალის დასახელება	თვალთვალის მანძილი									
		100	200	300	400	500	600	700	800	900	1000
		რა მანძილს ფარავს									
ავტომატები M4; AKM; AKMC; AK(C) – 74 (У)	სამიზნის დიამეტრი	0,3	0,6	0,9	1,2	1,5	1,8	2,1	2,4	2,7	3
	სამიზნე თამასის ჭრილი	0,6	1,2	1,8	2,4	3,0	3,6	4,2	4,8	5,4	6,0

პირობითი საგნების კუთხური მნიშვნელობები მეათასედებში	
საგნების დასახელება	კუთხური სიდიდე
ცერა თითი	0 – 40 : 0 – 50
საჩვენებელი, შუა და უსახელო თითი	0 – 30 : 0 – 40
ნეკა თითი	0 – 20 : 0 – 25

ადგილმდებარეობაზე პირობითი საგნების ხაზოვანი ზომები მეტრებში	
საგნების დასახელება	ზომები
დაჩოქილი ადამიანი	1,0
მორბენალი ადამიანის საშუალო სიმაღლე	1,5
მსუბუქი ავტომობილის სიმაღლე	1,5

მუჭი	1 – 50
სახაზავის 1 მმ	0 – 02
ფანქარი კუთხვილიანი	0 – 10
ფანქარი მრგვალი	0 – 12
ასანთის ყუთის სიგრძე	0 – 90
ასანთის ყუთის სიგანე	0 – 60
ასანთის ყუთის სისქე	0 – 30
ასანთის ღერის სიგრძე	0 – 75
ასანთის ღერის სისქე	0 – 03
შენიშვნა: ყველა ზემოთ მოცემული საგანი თვალიდან უნდა იყოს დაშორებული 40 სმ-ით.	

სატვირთო ავტომობილის სიმაღლე	2,0
სარკინიგზო ჯიხურის სიმაღლე	4,0
სატვირთო ვაგონის სიმაღლე	3,5 – 4,2
ერთსართულიანი სახლის სიმაღლე	6 – 8
ხის საშუალო სიმაღლე	12 – 15
ქარხნის საკვამლე მილი	30
სატელეგრაფო ბოძებს შორის მანძილი	50
მაღალი ძაბვის ხაზებს შორის დაშორება	100

$$D = \frac{1000\ L}{N}$$

D – მანძილი კონკრეტულ საგნამდე მეტრებში;
L – საგნის ხაზოვანი სიდიდე;
N – კუთხური სიდიდე, რომლითაც ჩანს კონკრეტული საგანი.

მაგალითი: ერთსართულიანი სახლი ჩანს, რომელიც ჩვენგან გარკვეული მანძილითაა დაშორებული. ჩვენგან ფარავს მრგვალი ფანქრის ნახევარს, რომელიც გვიჭირავს თვალიდან 40 სანტიმეტრზე. რამდენი მეტრია მანძილი კონკრეტულ საგნამდე?

პასუხი: მანძილის გასაგებად დაგვჭირდება გამოვიყენოთ ზემოთ მოყვანილი ფორმულა. მას შემდეგ, რაც ვიცით საგნის ხაზოვანი სიდიდე (ორსართულიანი შენობა, 6-8 მეტრი), რომლამდეც გვინდა მანძილის გაზომვა, და კუთხური სიდიდე (0-06 კუთხსაზომის დანაყოფი, რომლითაც იფარება საგანი), ვიყენებთ ქვემოთ მოცემულ ფორმულას.

$$D = \frac{1000 \times L}{N} = \frac{1000 \times 6\text{-}8}{6} = 1000 – 1333 \text{ მეტრი}$$

მანძილის განსაზღვრა საგნამდე (ობიექტამდე) ვიზუალურად და ხმის საშუალებით	
საგნებისა და ობიექტების ხედვის ხარისხი / გამოვლენის თვისებები	**მანძილი მიზნამდე**
გაირჩევა სახის ნაკვთები, ცეცხლსასროლი იარაღის დეტალები	100 მ-მდე
შეიძლება სახის მოხაზულობის გარჩევა	150 მ-მდე
შეიძლება სახის ცალკეული ნაკვთების გარჩევა, ჩანს ხის ფოთლები და გაჭიმული მავთული	200 მ-მდე
ჩანს ადამიანის ხელის მოძრაობა, ფანჯრის ფორმა	400 მ-მდე
ჩანს მოძრავი ადამიანის ფეხის მოძრაობა	600 მ-მდე
ჩანს ცხენის ფეხები და ცალკეული ადამიანის ფიგურა	700 მ-მდე
ჩანს მწყობრით მიმავალ სამხედრო მოსამსახურეთა ფეხის მოძრაობა და ცხენის თავები	800-850 მ-მდე
ჩანს ცალკეული ხეების ტანი	900 მ-მდე
კარგად ჩანს კავშირგაბმულობის ბოძები და კილომეტრული ბოძები გზებზე	1000 მ-მდე
ჩანს თვითმფრინავი მიწაზე	1200 მ-მდე
ჩანს მანქანები	1500 მ-მდე
გაირჩევა ცალკეული ხეები	2000 მ-მდე
ჩანს საკვამლე მილები სახურავებზე	3000 მ-მდე
ჩანს ცალკეული სახლი, გაირჩევა ფანჯრები	4000 მ-მდე
ჩანს ცალკეული სახლების ჯგუფი, ჩანს პატარა დასახლება	5000 მ-მდე
ჩანს ქარხნის მილები	6000 მ-მდე
ჩანს სოფლები და ცალკეული შენობები	8000 მ-მდე
ჩანს სამრეკლოები, დიდი ციხესიმაგრეები და გუმბათები	16-20 კმ-მდე
ლაპარაკი, ხველება, იარაღის გადატენის ხმა, მავთულის გაჭიმვის ხმა	100 მ-მდე
ხმამაღალი საუბარი	200 მ-მდე
ყრუ ხმაური მოძრავი ფეხით მოსიარულეების, გრუნტის გზაზე პალოების ხელით ჩასობის ხმა	300 მ-მდე
ხეების ჩეხვისა და ხერხვის ხმა	400 მ მ-მდე
პალოების ჩასობის ხმა (მექანიკურად), სანგრების თხრის ხმა (ნიჩბების , დარტყმის ხმა ქვაზე ან რკინაზე), სატვირთო მანქანის ძრავას ხმა გრუნტის გზაზე მოძრაობისას, სიგარეტის ცეცხლი	500 მ-მდე
ხის წაქცევის ხმა	800 მ-მდე
სატვირთო მანქანის ძრავას ხმა გზატკეცილზე მოძრაობისას	1000 მ-მდე

რუკები




როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდია ადგილმდებარეობასთან რუკის შეხამება. ამისათვის საჭიროა რუკების ცოდნა.

დედამიწის ზედაპირის შემცირებულ განზოგადებულ გამოსახულებას სიბრტყეზე, შესრულებულს გარკვეული მათემატიკური კანონით (რომელიმე კარტოგრაფიულ პროექციაში) **რუკა** ეწოდება. რუკებზე გამოსახული ადგილმდებარეობის ელემენტებისა და ობიექტების ერთობლიობასა და ცნობებს მათ შესახებ რუკის შინაარსი ჰქვია.

შინაარსის მიხედვით რუკები იყოფა **ზოგადგეოგრაფიულ** და **თემატურ** რუკებად. **ზოგადგეოგრაფიული რუკა** ასახავს ტერიტორიის ძირითად ბუნებრივ და ხელოვნურ ობიექტებს (რელიეფი, მდინარეები, გზები, დასახლებული პუნქტები, საზღვრები და სხვ.) და იძლევა ადგილის საერთო გეოგრაფიულ სურათს. **თემატური რუკები** ასახავს ერთ კონკრეტულ თემას ან მოვლენას, მაგალითად: კლიმატს, მოსახლეობას, ნიადაგებს, ეკონომიკას, მცენარეულობას ან სამხედრო ვითარებას. მისი მიზანია კონკრეტული ინფორმაციის სივრცითი განაწილების ჩვენება.

საშუალო და მსხვილი მასშტაბის (1:500 000, 1:250 000, 1:100 000, 1:75 000 და ა.შ.) ზოგადგეოგრაფიულ რუკებს, რომლებზეც ადგილმდებარეობის ყველა ელემენტი (რელიეფი, ჰიდროგრაფია, მცენარეული საფარი, საგზაო ქსელი და სხვა) არის გამოსახული, **ტოპოგრაფიული** ეწოდება.

ტოპოგრაფიული რუკის მასშტაბი



გამოყენებისა და დანიშნულების მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ტოპოგრაფიული რუკები:


ა) საერთო დანიშნულების რუკები;

ბ) სტრატეგიული დანიშნულების რუკები;

გ) ტაქტიკური დანიშნულების რუკები.


საერთო დანიშნულების რუკები განკუთვნილია მაღალი დონის შტაბებისათვის. მასზე დედამიწის მოცემული ადგილმდებარეობა მაღალი მთებითა და დიდი მდინარეებით (მაგალითად, კავკასიის მთები ჩანს, მდინარე მტკვარი კი – არა) არის დატანილი. საერთო დანიშნულების რუკების მასშტაბები 1:1000 000-ს აღემატება.

ტოპოგრაფიული რუკის მასშტაბი



სტრატეგიული (ოპერატიული) დანიშნულების რუკები ბრიგადის დონის ოპერაციების დაგეგმვისას, საკუთარი და მოკავშირე ძალების განლაგების

ტოპოგრაფიული რუკის მასშტაბები დანიშნულება



დასატანად გამოიყენება. მასზე თავდაცვისა და შეტევის ოპერაციის წერტილები გამოისახება. მასზე შეიძლება დატანილი იყოს ქვედანაყოფების მომარაგების ადგილები და გადაადგილების მარშრუტები. სტრატეგიული (ოპერატიული) დანიშნულების რუკების მასშტაბებია: 1:200 000, 1:250 000, 1:500 000 და 1:1000 000.

ტაქტიკური დანიშნულების რუკები ბატალიონებისა და უფრო მცირე ზომის ქვედანაყოფების ოპერაციების ჩასატარებლად გამოიყენება. მასზე ბატალიონებისა და უფრო მცირე ზომის ქვედანაყოფების მოქმედების ობიექტები და ზღუდეები არის დატანილი. ტაქტიკური დანიშნულების რუკების მასშტაბებია: 1 : 12 500, 1 : 25 000, 1 : 50 000, 1 : 100 000.

კარტოგრაფიული პირობითი ნიშნები


ტოპოგრაფიული რუკები უნდა იყოს აზრობრივად ზუსტი და თვალსაჩინოც. თანამედროვე ტოპოგრაფიული რუკების თვალსაჩინოება ადგილობრივი საგნების სპეციალური პირობითი ნიშნებით გამოსახვითა და ფერადი ბეჭდვით არის მიღწეული.

ტოპოგრაფიულ რუკებზე გამოსახვისათვის გამოიყენება ადგილობრივი საგნების შემდეგი კლასიფიკაცია: დასახლებული პუნქტები, საგზაო ქსელი, კავშირგაბმულობის საშუალებები, ადმინისტრაციული საზღვრები, ჰიდროგრაფია და ცალკეული ადგილობრივი საგნები, რომლებიც მასშტაბში არ გამოისახება.

მოხერხებული წაკითხვისა და დამახსოვრებისათვის ზოგიერთი პირობითი ნიშნის მოხაზულობა გვერდიდან ან ზემოდან ადგილობრივ საგანს მოგვაგონებს. ერთი და იმავე საგნის პირობითი ნიშნები სხვადასხვამასშტაბიან რუკებზე მოხაზულობით დაახლოებით ერთნაირია. ისინი მხოლოდ ზომით განსხვავდებიან.

ადგილობრივი საგნების ყველა პირობითი ნიშანი, თავისი თვისებებისა და დანიშნულების მიხედვით, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მასშტაბური, მასშტაბგარეშე და განმარტებითი.


კარტოგრაფიული პირობითი ნიშნები: მასშტაბური კონტურები




მასშტაბური პირობითი ნიშნებით ისეთი ობიექტები აღინიშნება, რომლებიც რუკის მასშტაბში გამოისახება. ესენია დასახლებული პუნქტები, ტბები, ტყეები, მყინვარები და ა. შ. ე.ი. ისეთები, რომელთა ზომები (სიგრძე, სიგანე, ფართობი) რუკაზე შეიძლება გაიზომოს. თითოეული ასეთი პირობითი ნიშანი კონტურისაგან შედგება.

მასშტაბგარეშე პირობითი ნიშნებით ისეთი ადგილობრივი საგნები აღინიშნება, რომლებიც, მათი მცირე ზომის გამო, რუკის მასშტაბში არ გამოისახება. ასეთებია: შახტები, ჭები, ცალკე მდგომი ხე, პატარა სახლი, გეოდეზიური ნიშნები და სხვა. მასშტაბურ და მასშტაბგარეშე პირობით ნიშნებს შორის შუალედური მდგომარეობა უკავიათ გზებს, ნაკადულებს, წყალგაყვანილობის ქსელს, ელექტროგადამცემ ხაზებსა და სხვებს. ასეთი საგნებისათვის მასშტაბში მხოლოდ სიგრძე გამოისახება. ასეთ პირობით საგნებს **ხაზოვანს** უწოდებენ.

კარტოგრაფიული პირობითი ნიშნები: მასშტაბგარეშე ობიექტები



განმარტებითი პირობითი ნიშნები მასშტაბურ და მასშტაბგარეშე პირობით ნიშნებთან ერთად გამოიყენება. ისინი ადგილმდებარეობის საგნების დამატებით მახასიათებლებსა და მათ ნაირსახეობებს გვაწვდიან. მაგალითად: ტყის კონტურის შიგნით წიწვიანი და ფოთლოვანი ხის ფიგურები გვიჩვენებს ხეების ჯიშს, მდინარეზე ისარი – დინების მიმართულებას, ხოლო განივი შტრიხები რკინიგზის პირობით ნიშანზე – ლიანდაგების რაოდენობას.



რუკის ფერები

ნატოს სტანდარტი. სტანდარტულ ტოპოგრაფიულ რუკაზე გამოიყენება შემდეგი ფერები:

შავი – ხელოვნური (ადამიანის მიერ შექმნილი) ობიექტები, კერძოდ: შენობა-ნაგებობები, გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, სიმაღლეთა ნიშნულები და სხვა;

ლურჯი – ჰიდროგრაფიული ელემენტები: ტბები, ჭაობები, მდინარეები, სადრენაჟო სისტემები და სხვა;


მწვანე – მცენარეული საფარი: ტყეები, ბაღები, ვენახები და სხვა;

ყავისფერი – გზები, რელიეფის ფორმები, წარწერები ჰორიზონტალებზე;

წითელი – ხელოვნური ობიექტები, დასახლებული რაიონები, მთავარი გზები და საზღვრები;

სხვა ფერები – სპეციალური ინფორმაციის ასახვისათვის ზოგჯერ სხვა ფერებიც გამოიყენება. როგორც წესი, ისინი რუკის ჩარჩოს გარე გაფორმებაში, ლეგენდის სახით არის მითითებული.





დავალება

წარმოიდგინეთ, რომ 10-კაციანი ჯგუფისთვის უნდა შეადგინოთ მარშრუტის (თქვენთვის სასურველი მიმართულებით) სქემა/მონახაზი. მარშრუტის შესადგენად გამოიყენეთ შემდეგი მინიშნებები:

მარშრუტის დაგეგმვა	ორიენტირება	ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა
• აირჩიეთ გადაადგილების მიმართულება; • მონიშნეთ მარშრუტზე ძირითადი ადგილები; • დაასაბუთეთ, რატომ არის ეს გზა უსაფრთხო; • მიუთითეთ გასავლელი მანძილი და მანძილის გამოთვლისთვის საჭირო ხერხები; • მიუთითეთ სავარაუდო დრო გადაადგილებისთვის; • მიუთითეთ ძირითადი ბუნებრივი ორიენტირები (მაგალითად, მდინარე, ბილიკი, ქედი) და ა.შ.	აღწერეთ: • როგორ გაიკვლევთ გზას კომპასის გარეშე? • როგორ გაიკვლევთ გზას რუკის გარეშე? • რომელ ბუნებრივ ორიენტირებს გამოიყენებთ? (მაგალითად, მდინარე, ქედი)	მოიფიქრეთ: • როგორ დაადგენთ ჰორიზონტის მხარეებს სპეციალური ხელსაწყოების გარეშე? • აღწერეთ, მინიმუმ, 2 მეთოდი, რომელიც დღისით გადაადგილებისას გამოდგება; • აღწერეთ, მინიმუმ, 2 მეთოდი, რომელიც ღამით გადაადგილებისას გამოდგება.



სასარგებლო რესურსები

15. ბუნებასთან პირისპირ

იმსჯელეთ

- თუ ყოფილხართ ბანაკში ან ბუნებაში რამდენიმე დღით?
- რა ძირითადი წესები გახსენდებათ ბანაკის მოწყობასა და ბუნებაში უსაფრთხოდ ყოფნასთან დაკავშირებით? რატომ არის ეს წესები მნიშვნელოვანი?
- რატომ არის აუცილებელი ვიცოდეთ თავშესაფრის მოწყობის სხვადასხვა ხერხი?
- რა რისკები არსებობს, თუ ცეცხლი არასწორ ადგილას ან არასწორი წესით დავანთეთ?
- რატომ უნდა ვიცოდეთ წყლის მოპოვებისა და გაფილტვრის ხერხები ბუნებაში ყოფნისას?

ბანაკი – კარვების, დროებითი თავშესაფრების, შენობებისა და ნაგებობების კომპლექსი, მასში ადამიანების დასასვენებლად, ღამის გასათევად ან დროებით საცხოვრებლად ღია ცის ქვეშ, დასახლებული ადგილების გარეთ.





ბუნებაში ყოფნისას ადამიანს ესაჭიროება საველე მომზადების საფუძვლების ცოდნა, რაც მას დაეხმარება მაქსიმალური კომფორტის შექმნაში იმ მკაცრ გარემოში, რომელიც მას ბუნებაში ხვდება ნებისმიერი კლიმატური პირობის დროს. ზოგადად, ბანაკი გულისხმობს კარვების, დროებითი თავშესაფრების, შენობება-ნაგებობების გამოყენებას დასვენების, ღამის გათევის ან ხანმოკლე ცხოვრების მიზნით. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ბუნებაში დაბანაკების წესებს, რომლებიც გამოგვადგება ლაშქრობების დროს, ბუნებასთან ადაპტაციისთვის და ა.შ. იმისათვის, რომ ადამიანმა ბუნებაში ყოფნის დროს უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს თავი, აუცილებელია კარგად იცოდეს თავშესაფრების მოწყობა, ექსტრემალურ სიტუაციებში გადარჩენა, კოცონის დანთება, წყლის მოპოვებისა და გაფილტვრის ხერხები და მსგავსი.

ბუნებაში დაბანაკება

თვითგადარჩენისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თავშესაფარი. სიცივეში დგება ჰიპოთერმიის საფრთხე. მარტო ცეცხლით ამ საფრთხეს ვერ შევამცირებთ, რადგან ღია ცის ქვეშ ძნელია სითბოს შენარჩუნება. ერთადერთი გამოსავალია კარგად და სწორად მოწყობილი თავშესაფარი.





ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა საქმე გადარჩენას ეხება, მთავარი და აუცილებელია ვიცოდეთ, სად მოვაწყოთ თავშესაფარი, როგორ ადგილზე დავბანაკდეთ, როგორ გამოვიყენოთ არსებული ნივთები თავშესაფრის ასაგებად, ამინდისა და წელიწადის დროის შესაბამისად, რათა გაიზარდოს გადარჩენის შანსი.

კონკრეტული ადგილმდებარეობის კლიმატი და რელიეფი განაპირობებს თავშესაფრის ტიპს. დღის ნათელ დროს აუცილებელია შემოვიაროთ ადგილმდებარეობა, რათა ვნახოთ შესაბამისი ადგილი ბანაკისთვის, რომელიც შეძლებისდაგვარად დაცული იქნება ქარისგან, წვიმისა და სიცივისგან.

შემთხვევის ანალიზი

გაეცანით შემთხვევას და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დახმარებით.

კლასი ზაფხულის არდადეგებზე ერთდღიანი სალაშქრო-შემეცნებითი გასვლით წავიდა ტყიან მთის ზონაში. წასვლამდე ჯგუფის წევრებმა კარგად შეისწავლეს მოსანახულებელი ადგილები, დაგეგმეს მარშრუტი, თან წაიღეს აუცილებელი ნივთები, რომელთა შორის იყო: პირველი დახმარების ნაკრები, საკვები, წყალი, რუკა და სხვა. ჯგუფში იყვნენ მოსწავლეები, სპორტის მასწავლებელი და გიდი. მათ მდინარის პირას გაშალეს კარვები, მოაწყვეს კოცონის ადგილი და დღის განმავლობაში გარემოს დაკვირვებასა და სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებას ასრულებდნენ.

საღამოს ამინდი მოულოდნელად შეიცვალა – გაძლიერდა ქარი და დაიწყო წვიმა, რასაც თან მოჰყვა ელჭექი. საბანაკე ადგილას გარეთ დატოვებული ნივთები ქარმა მიმოფანტა. ერთ-ერთი კარავი, რომელიც აღმოჩნდა, რომ ცუდად იყო დამაგრებული, თითქმის დაიშალა. ამასობაში ყველას გამოეღვიძა, ჯგუფის ნაწილს უნდოდა სწრაფად დაბრუნებულიყო სოფლის მიმართულებით, რადგან შეშინდნენ, ხოლო სხვები ფიქრობდნენ, რომ სიბნელეში გადაადგილება უფრო საშიში იქნებოდა.

ამ დროს კიდევ ერთი პრობლემა წარმოიშვა – ერთ-ერთ მოსწავლეს ფეხი დაუცდა სველ ქვაზე და მსუბუქად დაუზიანდა ტერფი. ჯგუფში გაჩნდა განსხვავებული მოსაზრებები: ზოგი ამბობდა, რომ დაზიანებული მოსწავლე აუცილებლად უნდა გადაეყვანათ დაბლობში, ზოგი კი თვლიდა, რომ ჯერ პირველი დახმარება უნდა აღმოეჩინათ და მდგომარეობა დაკვირვებით შეეფასებინათ. ცოტა ხანში წვიმამაც გადაიღო, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მათ მიერ შეგროვებული შეშა თითქმის დასველდა და კოცონის დანთებაც გართულდებოდა. ამ ყველაფრის ფონზე, მათგან ერთ მოსწავლეს, საერთოდაც სხვა გეგმა ჰქონდა და ხმამაღლა ამბობდა, რომ რაგ-

ორც კი გათენდებოდა, აუცილებლად მოინახულებდა 5 კილომეტრში არსებულ ჩანჩქერს. დაბნეული ჯგუფის წევრები გადაწყვეტილების წინაშე იდგნენ, თუ როგორ გადაეჭრათ ეს პრობლემები...

შეკითხვები

- შეადარეთ ერთმანეთს ორი გადაწყვეტილება: ღამით სოფლისკენ სწრაფი დაბრუნება და ბანაკში დარჩენა. რომელი არჩევანი მიგაჩნიათ უფრო უსაფრთხოდ და რატომ?
- შეადარეთ დაზიანებულ მოსწავლესთან დაკავშირებით მოქმედების ორი გზა: დაუყოვნებელი ევაკუაცია და ადგილზე პირველი დახმარების აღმოჩენა. რომელ მოქმედებას აირჩევდით და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასეთ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება რთული? რომელი მთავარი პრინციპით იხელმძღვანელებდით მსგავს ვითარებაში? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.
- როგორ და რატომ უნდა იყოს ადამიანი მზად ასეთი ექსტრემალური სიტუაციებისთვის?

ჰიგიენა ბანაკში



ბანაკის მოწყობის შემდეგ საჭიროა სისუფთავის დაცვა რაიმე დაავადების გაჩენისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ბანაკში სისუფთავის დასაცავად გასათვალისწინებელია, რომ:

1. ნაგვის დასაყრელი ადგილი ბანაკიდან და წყლიდან, სულ ცოტა, 100 მეტრის მოშორებით იყოს;

2. აუცილებლად მონიშნოთ ადგილი, საიდანაც სასმელ წყალს იღებთ. მასთან ახლოს არ დაიბანოთ და არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც ამ ადგილს დააბინძურებს;



3. ტუალეტის ადგილი ბანაკიდან 100 მ-ის, ხოლო სასმელი წყლიდან 150 მეტრის დაშორებით იყოს;

4. ბანაკის აშლის შემდეგ ტუალეტის ადგილი სათანადოდ დაიფაროს.

ადგილები, რომლებიც არ გამოდგება დასაბანაკებლად და ქოხის მოსაწყობად:

- მთის მოშიშვლებული მწვერვალები (ასეთ ადგილზე ვერ შევინარჩუნებთ სითბოს);
- ხევების ფსკერი (იქ სინესტეა და შესაბამისად – სიცივე);
- მთის ფერდობის ტერასები, რომლებიც ნესტიანია;
- ქედის განშტოებები, რომლებიც წყლისკენ მიდის





(აქ შეიძლება იყოს ცხოველის ბილიკი);

- წყალთან ახლოს (ბევრი მწერი გვხვდება);
- ამომშრალი მდინარის კალაპოტი (წვიმის დროს წყალმოვარდნის დიდი საფრთხეა);
- განმარტოებულად მდგომი ხის ქვეშ (იზიდავს მეხს);
- ჭიანჭველას ან ბზიკის ბუდეებთან ახლოს.

სად დავბანაკდეთ?

თავშესაფარი უნდა მოვაწყოთ ქარისგან დაცულ ადგილას. კარგია, თუ სასმელი წყლიდან ძალიან არ იქნება დაშორებული. დაბანაკება სასურველია ტყიან მასივში, საიდანაც ხედვის არე ფართოა, ბანაკი კი – შენიღბული. დასაბანაკებლად ყოველთვის ამოვირჩიოთ სამხრეთი ფერდობი (მხარე), რადგან მიწა თბილია და არც სინესტეა, გაზაფხულზე სამხრეთ ფერდობზე თოვლი მალე ლღვება. დაბანაკებამდე შევამოწმოთ, ჩვენი ადგილის ზემოთ არ იყოს ხის ხმელი ტოტი, რომელიც შეიძლება მოტყდეს და დაგვაზიანოს.

თავშესაფრის ტიპები





სახელდახელო თავშესაფარი, რომელიც დიდი ხნით არ გვჭირდება, შეიძლება მოვაწყოთ რელიეფურად ჩაღრმავებულ ადგილას ან გადატეხილი ხის ქვეშ, რომელსაც დროებით შევეფარებით შემდგომ გადაადგილებამდე. არსებობს თავშესაფრის შემდეგი ტიპები:

დათბუნებული ქოხი. ამ ტიპის ქოხები ეწყობა, ძირითადად, ცივ კლიმატურ პირობებში, როცა ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა. ქოხის მოსაწყობად საჭიროა ერთი 3-4 მ სიგრძის, საშუალო სისქის ძელი, 5 ცალი შედარებით წვრილი ძელი და წიწვოვანი ხის (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი და სხვ.) ტოტები. დიდი ძელის ერთი ბოლო ჩავამაგროთ მიწაში, მეორე კი 70-90 სმ-ის სიმაღლის ორკაპზე დავამაგროთ, გადმკვეთი ძელებით შევკრათ კარკასი და წიწვიანი ტოტებით საგულდაგულოდ გადავხუროთ. წიწვები ქოხში ძირს გავაფინოთ, რომ ზედ მოვაწყოთ თბილი საძინებელი. ასეთი ქოხი არ უნდა იყოს მაღალი, რომ სითბო კარგად შეინარჩუნოს. თუ საშუალება იქნება, წინ დავანთოთ პატარა კოცონი და დავდგათ ამრეკლი, რომელიც სითბოს ქოხისკენ მომართავს, ხოლო კვამლს ზევით აუშვებს.

ღია ფარდული. მისი მოწყობა გამართლებულია წელიწადის თბილ დროს, როცა ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსზე მეტია, მაგრამ არის წვიმის საშიშროება. ღია ფარდულები არის როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი დახრის. სახურავის დახრილობა 60 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს, რათა სათანადოდ შეაკავოს წვიმა. ნაკლები დახრილობის შემთხვევაში, თუ კარგი წყალგაუმტარი მასალით არ გადავხურეთ (რაც ნაკლებად ხელმისაწვდომია ასეთ სიტუაციაში), სახურავი გაიჟღენთება და წყალი ჩამოვა.



ღია ფარდულს აუცილებელია გაუკეთდეს დასაწოლი პლატფორმა (შემაღლება). თუ ვიმყოფებით ხშირ ტყეში და დაჭაობებულ, ძალიან ნესტიან ადგილებში, შემაღლებული ადგილი დაგვიცავს არა მარტო სისველისგან, არამედ პარაზიტი მწერებისა და ქვეწარმავლებისაგან.



გამოქვაბული

ბუნებაში თვითგადარჩენისათვის შეიძლება მოვძებნოთ გამოქვაბული, რომელიც საუკეთესო თავშესაფარია ასეთ დროს. ადამიანი უხსოვარ დროში სწორედ გამოქვაბულში ცხოვრობდა. გამოქვაბულის აღმოჩენისას უნდა შევამოწმოთ არის თუ არა ის თავშესაფრად გამოყენებისთვის უსაფრთხო. ამისათვის:



1. აუცილებელია შევამოწმოთ, არის თუ არა რაიმე შიგნით (შევაგდოთ ქვა ან სხვა რამ, ჩვენ კი უსაფრთხო ადგილზე დავდგეთ);

2. დავრწმუნდეთ, გამოქვაბული რომელიმე ცხოველს ხომ არ ეკუთვნის (არის თუ არა ძვლები, ბალანი, ექსკრემენტი). თუ ასეა, არ ღირს ასეთ გამოქვაბულში დარჩენა;

3. დავრწმუნდეთ, ხომ არ არის ქვის ცვენის საშიშროება;

4. შევამოწმოთ, არის თუ არა წყლის მოვარდნის საშიშროება;

5. შევამოწმოთ, აქვს თუ არა მეორე გასასვლელი გამოქვაბულს.



ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიების გატარების შემდეგ შეგვიძლია გამოქვაბულის მოწყობა საცხოვრებლად.



თუ გამოქვაბული უსაფრთხოა, შევამოწმოთ იქ ადამიანის კვალი. თუ ვნახეთ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დანთებული ცეცხლის კვალი, იმას ნიშნავს, რომ ახლოს სადღაც არის სოფელი ან ქალაქი. აუცილებელია მოვძებნოთ, აქვს თუ არა გამოქვაბულს საჰაერო. ამისათვის მის შუაგულში უნდა დავანთოთ



პატარა ცეცხლი და დავაკვირდეთ საით გადაიხრება. თუ სწორი ალია და ზემოთ იწევს, საჰაერო ზემოთ არის; თუ ალი არათანაბრად მოძრაობს, ესე იგი გამოქვაბულს არა აქვს ვენტილაცია. ასეთ შემთხვევაში კოცონი უნდა დავანთოთ მის სიღრმეში, კედელთან ახლოს, რათა კვამლი მაღლა და გარეთ წავიდეს. ვენტილაციის არმქონე გამოქვაბულში ცეცხლი არ უნდა დავანთოთ შესასვლელში ან შუაში, რომ კვამლმა არ შეგვაწუხოს.

თავშესაფრის მოწყობა ზამთარში



ზამთარში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა ნულზე დაბლაა, აუცილებელია საიმედო და თბილი ქოხის მოწყობა ჰიპოთერმიისაგან დასაცავად.

თუ თოვლის საფარი მუხლს ქვევითაა, მაშინ ვაშენებთ დათბუნებულ ქოხს და დამატებით ვათბუნებთ თოვლით.



თუ თოვლის საფარი მუხლს ზევითაა და ტყიან საფარში ვიმყოფებით, შეგვიძლია მოვაწყოთ გადახურული თხრილი. ამისთვის საჭიროა 2 მ სიგრძისა და 1 მ სიგანის თხრილის გაჭრა თოვლში. მასზე კეთდება სახურავი წყალგაუმტარი მასალის ტენტით ან ხის ტოტებით, რომელიც თოვლით იფარება. მეტი სითბოსთვის თხრილში საძინებელი შემაღლებულ ადგილზე უნდა იყოს. თხრილში შესასვლელი ქვემოდან კეთდება. ასეთი ტიპის ქოხში ჰაერის ტემპერატურა 0-დან +5 გრადუს ცელსიუსამდეა დამატებითი გათბობის გარეშე.



იმავე ტიპის ქოხი შეგვიძლია მოვაწყოთ დათოვლილი ნაძვის ან რომელიმე წიწვოვანი ხის ქვეშ. საძინებელი აქაც შემაღლებულზე ეწყობა, ხოლო შესასვლელი – ქვემოდან.



ალპურ ზონაში, სადაც ტყის საფარი არ არის, ვაშენებთ იგლუს. ამისთვის საჭიროა თოვლისგან ბლოკების გამოჭრა, რომლებსაც დავალაგებთ წრიულად, თივის ზვინის მსგავსად. იგლუს დაბალი შესასვლელი უკეთდება, ხოლო საძინებელი – ამაღლებულ ადგილზე. იგლუში დამატებითი გათბობის გარეშე ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთ არასდროს ჩამოვა, გარეთ არსებული დიდი ყინვის მიუხედავად.

იგლუ – თოვლის ბლოკებისგან აგებული მცირე ზომის საცხოვრებელი ან თავშესაფარი, რომელსაც არქტიკის მკვიდრი ხალხები, განსაკუთრებით, ინუიტები, იყენებდნენ ძლიერი სიცივისა და ქარისგან დასაცავად.

ალპურ ზონაში შეიძლება გაიჭრას აგრეთვე იმ ზომის თხრილი, რომ თავისუფლად მოთავსდნენ (დაწვნენ) განსაზღვრული რაოდენობის ადამიანები. სითბოს შესანარჩუნებლად თხრილი აუცილებლად უნდა დაიფაროს თოვლის სქელი ბლოკებით. თხრილში გამოჭრილი კედლები კარგად უნდა გავაპრიალოთ, რათა სისველეს მიმართულება მიეცეს. თხრილში აუცილებელია ჟანგბადის რაოდენობის კონტროლი, რაც შესაძლებელია უბრალო სანთლით. სანთლის ჩაქრობა ჟანგბადის გამოლევის მიმანიშნებელია. ამ დროს აუცილებელია შიგნით მყოფთა გაღვიძება, ჰაერზე გაყვანა და თხრილის ავარიული საჰაეროს გახსნა ცოტა ხნით.



პრაქტიკული აქტივობა

შექმენით მცირე სამუშაო ჯგუფები და გაეცანით რუბრიკას „ისტორიიდან“, გააანალიზეთ ჰანიბალის ალპებზე გადასვლისა და დონერის ექსპედიციის ისტორიული შემთხვევები და უპასუხეთ შეკითხვებს:

- როგორ უკავშირდება ამინდის პირობები თითოეულ შემთხვევაში საბოლოო შედეგებს?
- შეადარეთ ერთმანეთს ჰანიბალისა და დონერის ექსპედიციებში გამოყენებული თავშესაფრის სტრატეგიები. თქვენ რომელ სტრატეგიას გამოიყენებდით და რატომ?
- რა მსგავსება და განსხვავებაა ორივე შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის?
- როგორ ფიქრობთ, რა შედეგი ექნებოდა ჰანიბალის არმიას, თუ პირობები კიდევ უფრო გაუარესდებოდა?
- ნასწავლი მასალისა და პირადი იდეების გათვალისწინებით, რა სტრატეგიას შესთავაზებდით დონერის ექსპედიციის წევრებს?

ისტორიიდან

ჰანიბალის ალპებზე გადასვლა

თოვლიან და ალპურ ზონაში თავშესაფრების მოწყობის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიული მაგალითია ჰანიბალის ალპებზე გადასვლა.

კართაგენელმა სარდალმა ჰანიბალმა თავისი არმიითა და საბრძოლო სპილოებით ალპების გადაკვეთა გადაწყვიტა, რათა რომის წინააღმდეგ ბრძოლა იტალიის ტერიტორიაზე გადაეტანა. ჯარისკაცებს მძიმე პირობებში უწევდათ გადაადგილება – ძლიერი თოვა, ყინვა, ქარბუქი და ვიწრო მთის ბილიკები დიდ საფრთხეს ქმნიდა.

გადარჩენისთვის მებრძოლები დროებით თავშესაფრებს აწყობდნენ კლდეებთან, თოვლისგან დამცავ ბუნებრივ ჩაღრმავებებს იყენებდნენ და ცხოველების ტყავებითა და ტოტებით ქარისგან დამცავ საფრებს ქმნიდნენ. ზოგიერთ ადგილას ისინი თოვლში ღრმულებს თხრიდნენ, რათა ქარის ძალა შეემცირებინათ და სითბო შეენარჩუნებინათ.

ეს ისტორიული მაგალითი აჩვენებს, რომ ალპურ და თოვლიან გარემოში თავშესა-

ფრის სწორად მოწყობა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.

დონერის ექსპედიცია

ალპურ და თოვლიან პირობებში თავშესაფრების მოწყობის წარუმატებელი ისტორიული მაგალითია დონერის ექსპედიცია.

ჯგუფი, რომელსაც ხშირად „დონერის პარტიას“ უწოდებენ, დასავლეთით კალიფორნიისკენ მიემართებოდა და სიერა-ნევადას მთებში ადრეულმა დიდმა თოვლმა მოუსწრო. ისინი იძულებული გახდნენ, ზამთარში მაღალმთიან ზონაში გაჩერებულიყვნენ და იმპროვიზებული ბანაკები და თავშესაფრები აეგოთ ტოტებით, ტილოთი და მცირე ხის მასალით.


თუმცა ძლიერი თოვა, საკვების უკმარისობა და სიცივე იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ თავშესაფრები არასაკმარისი იყო სითბოს შესანარჩუნებლად. ჯგუფმა ვერ შეძლო საკმარისი იზოლაციის შექმნა და რესურსების სწორად გადანაწილება. შედეგად, ექსპედიციის ნაწილი დაიღუპა, ხოლო გადარჩენილებს უკიდურეს პირობებში მოუწიათ დახმარების მოლოდინი.

ეს შემთხვევა ხშირად განიხილება როგორც მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება არასწორი დაგეგმვა და არასაკმარისი თავშესაფარი ალპურ/თოვლიან გარემოში გადარჩენის შანსებს მკვეთრად ამცირებდეს.

კვანძები


საველე სამუშაოების დროს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა შემთხვევაში რომელი კვანძის გამოყენება არის ყველაზე ხელსაყრელი სხვადასხვა საქმის შესასრულებლად. კვანძების ცოდნა მნიშვნელოვანია კარვის დასაჭიმად, თოკების გადასაბმელად, ალპინიზმში, ავტომობილის ბუქსირებისას და სხვ.




აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ ის ძირითადი კვანძები, რომლებიც გამოგვადგება პრაქტიკულად საველე პირობებში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:


მეზღვაურის კვანძი. გამოიყენება ორი ერთნაირი სისქის თოკის გადასაბმელად. იგი ადვილად იკვრება, საიმედოა და ადვილადვე იხსნება.



ბულინი. ეს კვანძი ერთ-ერთი საუკეთესოა რაიმე მყარ საგანზე ჩასაბმელად. ბულინით ჩაბმულ თოკზე თავისუფლად შეგვიძლია მუშაობა, იგი ადვილად იკვრება და იხსნება.




რვიანისებრი ყულფი. ეს ყულფი კეთდება თოკის ბოლოში, გამოიყენება სამთო კარაბინზე და რაიმე ხის ან ლითონის კაუჭზე გამოსაბებად. ადვილად იკვრება და იხსნება, დიდი დინამიკური და სტატიკური დატვირთვის მიუხედავად.





პრუსიკის კვანძი. იგივე მცოცავი კვანძი, გამოიყენება თოკზე ასვლისათვის, თოკის დასაჭიმად ან თოკზე რაიმეს დასაჭიმად.



კვანძზე ხელის მოკიდებისას იგი თავისუფლად დასრიალებს თოკზე, ხოლო თუ ხელს გავუშვებთ, ჩაიკეტება და გაჩერდება.

კარლ პრუსიკის კვანძი

ერთ-ერთი საინტერესო ისტორიული ფაქტი კვანძებზე უკავშირდება ავსტრიელი ალპინისტისა და ავსტრიის ალპური კლუბის პრეზიდენტის, კარლ პრუსიკის სახელს.

1931 წელს მან შექმნა და დაამკვიდრა კვანძი, რომელიც დღეს მთამსვლელობასა და სამაშველო ოპერაციებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უსაფრთხოების ელემენტად ითვლება. იდეა საკმაოდ პრაქტიკული საჭიროებიდან გაჩნდა: იმ დროის ალპინისტებს სჭირდებოდათ ისეთი კვანძი, რომელიც თოკზე თავისუფლად ისრიალებდა, მაგრამ დატვირთვის დროს ავტომატურად „გაიჭედებოდა“ და დაიცავდა ადამიანს ვარდნისგან.

ამ გამოგონებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სამთო-სამაშველო მეთოდები: შესაძლებელი გახდა რთულ ყინულოვან და კლდოვან პირობებში ადამიანის ამოყვანა მხოლოდ თოკებისა და კვანძების დახმარებით, თანამედროვე მექანიკური მოწყობილობების გარეშე.

დღესაც პრუსიკის პრინციპი გამოიყენება როგორც „თვითჩამკეტი უსაფრთხოების სისტემა“ ალპინიზმში, სამაშველო სამუშაოებსა და სპელეოლოგიაში.

ვიკინგი მეზღვაურების კვანძები

ვიკინგების ეპოქაში კვანძები არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ კულტურულად მნიშვნელოვანი ელემენტიც იყო. ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი უკავშირდება ვიკინგების გემების აღჭურვას. მათ ხომალდებზე (დრაკარებზე) იალქნები და თოკები სპეციალური კვანძებით იყო დამაგრებული, რომლებიც სწრაფად იხსნებოდა ძლიერი ქარის ან ბრძოლის დროს.

ვიკინგ მეზღვაურებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ კვანძები, რომლებიც ერთდროულად მტკიცეც და სწრაფად გასახსნელიც იყო, რადგან ჩრდილოეთის ზღვის პირობებში ამინდი მოულოდნელად იცვლებოდა. ისინი იყენებდნენ მარტივ, მაგრამ ეფექტურ „გადასახსნელ კვანძებს“, რათა, საჭიროების შემთხვევაში, იალქანი წამებში მოეშვათ და ქარის მიმართულებაზე სწრაფი რეაგირება ჰქონოდათ.

არქეოლოგიური აღმოჩენები ვიკინგური გემების ნაშთებზე მიუთითებს, რომ მათი თოკების სისტემა საკმაოდ განვითარებული იყო. ისინი იყენებდნენ არა მხოლოდ კვანძებს, არამედ თოკების გადაბმისა და დაჭიმვის რთულ მეთოდებსაც, რაც მათ საშუალებას აძლევდა გრძელი საზღვაო მოგზაურობები დაეგეგმათ ჩრდილოეთ ატლანტიკის ოკეანეში.

ვიკინგების წარმატებული ნავიგაცია ეფუძნება არა მხოლოდ გემის კონსტრუქციას, არამედ კვანძების სწორ ცოდნასაც.

წყლის მოპოვებისა და გაფილტვრის ხერხები

როდესაც ბუნებაში გადაადგილებაზე ან დაბანაკებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ წყლის მოპოვებისა და გაფილტვრის სხვადასხვა ხერხი. როგორც ვიცით, ადამიანის ორგანიზმს სჭირდება წყალი, საკვები, სითბო, თავშესაფარი, მაგრამ ამათგან ყველაზე აუცილებელია წყალი. ზრდასრულ ადამიანს საკვების გარეშე შეუძლია სამი კვირა გაძლოს, ხოლო სასმელი წყლის გარეშე – მხოლოდ სამი დღე. ბუნებაში ყოფნისას არ უნდა დაველოდოთ

წყლის მარაგის ამოწურვას. აუცილებელია მის შევსებამდე ადგილობრივი წყაროებიდან მარაგის აღება სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციისთვის.

ყოველდღიურად ადამიანის ორგანიზმი კარგავს 2-3 ლიტრ წყალს. ფიზიკური დატვირთვისას სითხის დანაკარგი იზრდება სასუნთქი გზებიდან და მთელი სხეულიდან. რადგან ადამიანის ორგანიზმის 70%-ს სითხე შეადგენს, მისი ინტენსიური კარგვა იწვევს გაუწყლოებას, რაც ფატალური შედეგით მთავრდება, ამიტომ აუცილებელია დაკარგული სითხის აღდგენა სასმელი წყლით ან საკვებით, რომელიც წყალს შეიცავს.



⚠ სასმელი წყლის არარსებობისას ორგანიზმიდან სითხის კარგვა უნდა შემცირდეს შემდეგი მეთოდებით:

- წყალი დავლიოთ პატარა ყლუპებით და დიდხანს გავიჩეროთ პირში;
- ვიყოთ ჩრდილში;
- არ ვილაპარაკოთ და ვისუნთქოთ ცხვირით.
- დიდი ხნის უწყლოობის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ დავეწაფოთ წყალს. დავისვენოთ 10-15 წუთით. თუ არის საშუალება, დავიბანოთ ხელები, კისერი, ყელი და შემდეგ დავლიოთ წყალი პატარა ყლუპებით.

წყლის მოპოვება

საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც 2-3 საათის სავალ გზაზე არ შეგვხვდეს სასმელი წყალი. მიუხედავად ამისა, მაინც განვიხილოთ წყლის მოპოვების რამდენიმე ხერხი, რომლებიც გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის ან საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნისას გამოგვადგება.



წვიმის წყლის შეგროვება. წვიმის წყალი ყოვლად უსაფრთხო და სასმელად ვარგისია. მისი შეგროვება შეიძლება როგორც წვიმის დროს, ასევე მის შემდეგაც. თუ წვიმისას ქსოვილის ნაჭერს (მაგალითად, მაისური, ხილაბანდი) დავდებთ სველ ბალახზე და დროდადრო ჩავწურავთ რაიმე ჭურჭელში, მალე მოვაგროვებთ სასმელად ვარგის წყალს.

ასევე, თუ წვიმის დროს ცალკე მდგომ ხეს შემოვახვევთ ქსოვილის ნაჭერს, დროთა განმავლობაში ხიდან ჩამონადენი წყალი ქსოვილის დახმარებით მოგროვდება ჭურჭელში.

კონდენსაცია. ამ მეთოდით წყლის მოპოვება შესაძლებელია შემდეგნაირად: ავიღოთ პოლიეთილენის ტომარა, შევამოწმოთ, უშვებს თუ არა ჰაერს და




შემოვახვიოთ ხის საღ ტოტებს ისე, რომ მაქსიმალურად მეტი ტოტი მოექცეს შიგნით. მცენარიდან აორთქლებული წყალი კონდენსირდება პოლიეთილენის ტომრის კედლებზე და შიგ მოგროვდება. ამ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია მცენარის ჯიშზე – რა რაოდენობით წყალს აორთქლებს ის.

მზის დისტილატორი. ამისათვის საჭიროა ამოვთხაროთ 45-60 სმ სიღრმის კონუსისებრი ორმო და ძირში ჩავდგათ წყლის ჭურჭელი. ორმოს ზემოდან გადავაფაროთ პოლიეთილენი ან რაიმე ჰაერგაუმტარი მასალა, ზემოდან დავგმანოთ ჰერმეტულად და ქსოვილის შუაში დავდოთ პატარა ქვა, რათა პოლიეთილენმა მიიღოს კონუსის ფორმა წვერით ჭურჭლისკენ. მიწიდან აორთქლებული წყალი კონდენსირდება და მოგროვდება ჭურჭელში.








ეს მეთოდი გამართლებულია ისეთ ადგილებში, სადაც დღესა და ღამეს შორის საგრძნობი ტემპერატურული სხვაობაა.



თოვლისა და ყინულის წყალი. ზამთარში ორგანიზმს ისევე სჭირდება სითხე, როგორც ძლიერი სიცხის დროს, რადგან ის სიცივეშიც ბევრ სითხეს კარგავს.

თოვლი და ყინული პოტენციური სასმელი წყალია, მაგრამ მათი პირდაპირ მიღება არ შეიძლება, რადგან ჩნდება ავადმყოფობის საფრთხე. თოვლიცა და ყინულიც უნდა გადნეს და გადაიქცეს სასმელ წყლად. მხოლოდ ამის შემდეგ არის დასაშვები მისი მიღება. გადნობამდე თოვლი კარგად უნდა შევკრათ გუნდად და დროდადრო დავამატოთ. ყინულის გადნობით უფრო მეტ სასმელ წყალს მივიღებთ, ვიდრე იმავე მოცულობის თოვლის გადნობით. თოვლისა და ყინულისგან მიღებულ წყალს აქვს სპეციფიკური გემო, მაგრამ საშიში არ არის.



საგუბრისა და მდინარის წყალი

თუ ადგილმდებარეობაზე რაიმე საგუბარს, ტბას ან თუნდაც მდინარეს მივადგებით, მათგან სასმელი წყლის მოპოვება ადვილი, თუმცა ცოტა შრომატევადია. ტბის პირიდან 5-7 მ-ის მოშორებით ამოვთხა-

როთ ორმო ტბის წყლის დონეზე 20-30 სმ-ით დაბლა და დაველოდოთ რამდენიმე წუთით. კაპილარული მოვლენის საშუალებით, წყალი დინებას დაიწყებს ორმოში და ის თანდათან აივსება. ასე მოპოვებული წყალი უკვე გაფილტრული და სასმელად ვარგისია.

წყლის გაფილტვრა



მღვრიე და ნადგომ წყალს აუცილებლად სჭირდება გაფილტვრა. ყოველთვის მოვერიდოთ გაუფილტრავი და დასნებოვნებული წყლის დალევას საველე პირობებში, თუ ის მთის ან ბუნებრივი თვითნაბადი წყარო არ არის.

წყალსატევის, საგუბრის ან ტბის წყალს აუცილებლად სჭირდება გაფილტვრა და გაუსნებოვნება. ამისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა სპეციალური გასაფილტრი აბები. თუ ასეთი აბები არ გვაქვს, დალევამდე აუცილებელია ასეთი წყალი ვადუღოთ 10-15 წთ. ადუღებით წყლის გაუსნებოვნება ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.



ტალახიან ან მსგავსად დაბინძურებულ წყალს ჯერ გაფილტვრა და შემდეგ გაუსნებოვნება სჭირდება. საველე პირობებში გაფილტვრა შესაძლებელია ორი ხერხით: უხეში გაფილტვრა და ნაწილობრივი გაფილტვრა.



საველე პირობებში შეგვიძლია ავაწყოთ ხელნაკეთი, საკმაოდ მაღალი ხარისხის ფილტრი: ავიღოთ რაიმე ჭურჭელი (პოლიეთილენის ბოთლი) და შიგ თანმიმდევრობით ჩავყაროთ:

1. ქსოვილის ნაჭერი;
2. წმინდად დაფხვნილი ხის ნახშირი;
3. ქვიშა ან წვრილი კენჭები;
4. ხავსი ან ნედლი ბალახი.

მიღებულ ფილტრში რამდენჯერმე გავატაროთ გასაფილტრი წყალი. შეიძლება გაფილტრულმა წყალმა მიიღოს მუქი ფერი, ხის ნახშირის მიზეზით, მაგრამ ეს საშიში არ არის. ადუღების შემდეგ ნახშირი დაილექება და წყალი დაიწმინდება.



ნაკლებად დაბინძურებული წყლის გაფილტვრის ყველაზე სწრაფი მეთოდია უხეში გაფილტვრა. ამ დროს წყალს უბრალოდ ვაცილებთ პატარა მავნე ბინადრებსა და სხვადასხვა მინარევს, რომლებმაც შეიძლება პრობლემა შეუქმნას ჩვენს ჯანმრთელობას. უხეში გაფილტვრა შესაძლებელია შემდეგნაირად: წყლის ჭურჭელს გადავაფაროთ რამდენიმე ფენა ქსოვილი და ისე დავლიოთ. ასევე შეიძლება ქსოვილგადაკრული მილით წყლის პირდაპირ მდინარიდან დალევა.

წყალი, რომელიც საველე გაფილტვრას არ ექვემდებარება

ბუნებაში არსებობს ისეთი წარმომავლობის წყლები, რომლებიც საველე გაფილტვრას არ ექვემდებარება. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი წყლები:

- დასახლებული პუნქტიდან გამომავალი;
- ბლანტი სტრუქტურის მქონე;
- სპეციფიკური სუნის მქონე;
- რძისმაგვარი შეფერილობის.

გაფილტვრას ასევე არ ექვემდებარება ისეთი წყალსატევები და გუბურები, რომელთა გარშემო არ არის მცენარეული საფარი, ზედაპირზე არ შეიმჩნევა მწერების აქტიურობა, ახლომახლო ყრია ცხოველის ძვლები. ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ წყალსატევი დასნებოვნებულია.

კოცონის დანთება და მისი ტიპები



ბუნებაში დაბანაკებისას მეტად მნიშვნელოვანია ცეცხლი. ის გვესაჭიროება როგორც საკვების გასაცხელებლად და მოსამზადებლად, ისე გასათბობად და სველი ნივთების გასაშრობად. ის გვიცავს მწერებისა და ცხოველებისგან, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ცეცხლის დანთების სხვადასხვა მეთოდი წლის ნებისმიერ დროს და დედამიწის ნებისმიერ ადგილას.

ცეცხლის დანთებისას უნდა გავითვალისწინოთ სამი ფაქტორი. ესენია:

- ჰაერი (ჟანგბადი);
- სიმშრალე;
- საწვავი.

ამ ძირითადი კომპონენტებიდან ერთიც რომ გამოვრიცხოთ, ცეცხლი არ გვექნება.

მომზადება კოცონის დასანთებად





კოცონი უნდა დაინთოს ისეთ ადგილას, სადაც იქნება კარგი ვენტილაცია. კოცონისათვის შერჩეული ადგილი ორი მეტრის რადიუსზე კარგად უნდა გასუფთავდეს პატარა ტოტებისგან, ხმელი ბალახისგან მიწის საფრის გამოჩენამდე, რათა შეგვეძლოს ცეცხლის მართვა და გამოვრიცხოთ ხანძრის საშიშროება. წინასწარ უნდა იყოს მომარაგებული შესანთები, აბედი და შესაბამისი რაოდენობის შეშა.

კერა: კოცონი უნდა დაინთოს ქარისგან მოფარებულ ადგილას. არ უნდა დავანთოთ ცეცხლი ხის ძირში, რადგან ჩნდება ხანძრის საშიშროება. თუ მიწა სველია ან დაფარულია თოვლით, აუცილებელია გაიწმინდოს და მოეწყოს ცეცხლის დასანთები კერა ქვებით ან ნედლი ხის მორებით.

თუ მიწა დაჭაობებულია ან იმდენად სველია, რომ მასზე კოცონის დანთება გაგვიჭირდება, კერა შეგვიძლია მოვაწყოთ შემაღლებულ ადგილზე. ასეთ

კერაზე დანთებული კოცონი ადვილად არ ჩაქრება, მაგრამ საჭიროა ყურადღება, რომ არ ჩამოინგრეს კონსტრუქცია.



აბედი – ეს არის ისეთი მასალა, რომელსაც ძალიან ადვილად ეკიდება ცეცხლი. აბედი შეიძლება იყოს: ხმელი თივა ან წიწვი, დენთი, ქაღალდი, ხის ფისი და სხვა.

შესანთები – ეს არის ააღებულ აბედზე დასაწყობი მასალა ცეცხლის მოსაძლიერებლად. ეს შეიძლება იყოს ხის ბურბუშელა, წვრილად დატეხილი პატარა ტოტები, ხმელი გირჩი და სხვა.

ცეცხლის დანთება

ცეცხლის დასანთებად ვიქცევით შემდეგნაირად: მომზადებულ ადგილზე ვდებთ აბედს. ის უნდა იყოს კარგად შეკრული, მაგრამ ისე, რომ ვენტილაცია ეყოს ასაალებლად. აბედზე ვაწყობთ ცოტა შესანთებს, ცეცხლს ვუკიდებთ ქვემოდან, ქარის მიმართულებით, რათა ალი კარგად მოედოს. არ უნდა დავიზაროთ კოცონის საგულდაგულოდ მოწყობა, რათა შემდგომში მისი დანთებისთვის მეტი დრო და ენერგია არ დავხარჯოთ. ნაჩქარევად ცეცხლის დანთება არ შეიძლება. ალის მოძლიერებისთანავე ფრთხილად ჩავამატოთ კოცონში ჯერ შესანთები, ხოლო მერე – შესაბამისი შეშა.











კოცონის ტიპები

წელიწადის დროის, ადგილმდებარეობისა და ამინდის პირობების გათვალისწინებით, საჭიროა სხვადასხვა ტიპის კოცონის დანთება. მაგალითად, წვიმის დროს სხვაგვარი კოცონი უნდა დაინთოს, ყინვის დროს კი – სხვაგვარი.

მონადირის კოცონი: ერთ ლატანზე პერპენდიკულარულად ვაწყობთ სამ ლატანს და წვერში ვუკიდებთ ცეცხლს. ასეთი კოცონი ადვილია მოსავლელად, 6-8 საათი იწვის შეშის შეკეთების გარეშე, საჭიროა მხოლოდ დროდადრო მოკიდებული ლატნების წინ მიწევა. ეს კოცონი კარგია მშრალ, ცივ ამინდში, იქ, სადაც ცოტა შეშაა. კოცონი ადვილად ქრება და ინიღბება. ამისათვის საჭიროა ცეცხლმოკიდებული ლატნები მიწაში ჩავარჭოთ და კოცონი ჩაქრება.



მონადირის კოცონი



კოცონი ვარსკვლავა



კოცონი ჭა

კოცონი ვარსკვლავა: გამოიყენება დიდი ხნით ცეცხლის შესანარჩუნებლად, არ საჭიროებს ბევრ შეშას, მოსახერხებელია ნისლიან ამინდში და საჭმლის მოსამზადებლად, აქვს მცირე ალი და კარგად ინიღბება. ეს კოცონი 4-5 საათი იწვის შეშის დამატებით შეკეთების გარეშე.

კოცონი ჭა: წარმოადგენს ერთმანეთზე ოთხკუთხედად დალაგებული შეშის ერთობლიობას, რომელიც მოგვაგონებს ჭას. ეს კოცონი მოითხოვს ბევრ შეშას, აქვს მაღალი ალი და დიდი სიმხურვალე, კარგად ინთება წვიმიან, ქარიან და თოვლიან ამინდში. საუკეთესოა გასათბობად და რაიმეს გასაშრობად.



ინდური კოცონი



კოცონი თონე



ტაიგური კოცონი

ინდური კოცონი: პირამიდისებურად დაწყობილ შეშას გარშემო ქვებს უწყობენ. ეს კოცონი კარგია გასათბობად, რადგან ქვები დიდხანს ინარჩუნებს სითბოს, საუკეთესოა საკვების მოსამზადებლად, ნაკვერჩხალი დიდხანს რჩება და მეორე დღეს ადვილია მისი ხელმეორედ ანთება. ინდური კოცონი შეუცვლელია შემოდგომის ცივ ამინდში.

კოცონი თონე (პოლინეზიური): ინთება წინასწარ გათხრილ ორმოში, რომელსაც აქვს სავენტილაციო ხვრელი. ეს კოცონი პრაქტიკულად შენიღბულია, დაცულია ქარისა და წვიმისგან, საუკეთესოა საჭმლის მოსამზადებლად.

ტაიგური კოცონი: შეშას პირამიდისებურად ისე აწყობენ, რომ უზრუნველყოფილი იყოს კარგი ვენტილაცია, მაღალი ალი და დიდი სიმხურვალე. ეს კოცონი საუკეთესოა ცივ, წვიმიან და თოვლიან ამინდში, სჭირდება ბევრი შეშა, ათბობს საუკეთესოდ და ძნელია მისი შენიღბვა.

გრძელი კოცონი: ეს არის ორი ან სამი მორი გამაგრებით, რომელსაც მთელ სიგრძეზე უკიდია ცეცხლი. ის არ მოითხოვს ბევრ შეშას, მოვლასა და ყურადღებას. საუკეთესოა ზამთრის ცივ ღამეში ქოხის გასათბობად. გრძელ კოცონს იყენებენ ციმბირში.







საჭირო რჩევები კოცონისათვის

- ცეცხლს არ უნდა შემოვულაგოთ სველი, წყალში ნამყოფი ქვები, რომლებიც იფშვნება. ისინი გახურებისას სკდება და დაგვაზიანებს;
- არ დავანთოთ ცეცხლი დათოვლილი ხის ქვეშ: დავსველდებით და ცეცხლს ჩააქრობს ჩამოცვენილი თოვლი;
- თუ გათბობა გვინდა, არ დავანთოთ დიდი ცეცხლი, პატარა უმჯობესია;
- არ დავანთოთ ცეცხლი მწვანე მინდორზე: დავტოვებთ კვალს და ვავნებთ ბუნებას. ასეთ დროს, ცეცხლის დასანთებ ადგილზე უნდა მოვჭრათ მინდვრის საფარი და დავაფაროთ წასვლისას.

დავალება

სკაუტები ახალგაზრდებისა და ბავშვების გაერთიანებაა, რომლებიც ერთობლივად ეუფლებიან ექსტრემალურ სიტუაციებში გადარჩენის უნარ-ჩვევებს (მაგალითად, კლდეზე ძრომა, კარვების გაშლა, საველე პირობებში საკვების მოპოვება და მომზადება და ა. შ.). წარმოიდგინეთ, რომ სკაუტებს სურვილი აქვთ თქვენს ქალაქთან/დაბასთან/სოფელთან ახლოს, ბუნებაში, სასწავლო ბანაკი მოაწყონ და სურთ თქვენგან რჩევები. ამასთან დაკავშირებით მათ მოამზადეს ხშირად დასმული შეკითხვების ნუსხა და ელოდებიან თქვენგან **წერილობით რეკომენდაციებს.** გაეცანით შეკითხვებს და მოამზადეთ მათთვის გასაგზავნი რეკომენდაციები. სკაუტების შეკითხვებია:

1. როგორ და რატომ უნდა ავირჩიოთ უსაფრთხო ადგილი ბანაკისთვის?

გთხოვთ, აუხსენით რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ (მაგალითად, ამინდი, რელიეფი, წყლის არსებობა, საშიში ბუნებრივი მოვლენა) და რატომ არის თითოეული მნიშვნელოვანი.

2. როგორ უნდა დავანთოთ ცეცხლი უსაფრთხოდ? რატომ?

ახსენით იმ წესების მნიშვნელობა, რომლებიც დაიცავს როგორც ადამიანებს, ისე გარემოს. ამ გარემოსთვის შესთავაზეთ მიზნობრივი კოცონის ტიპები ან ტიპი.

3. რომელი ტიპის თავშესაფრების აგება ვასწავლოთ ახალ სკაუტებს? რატომ?

თავშესაფრებთან დაკავშირებით დაასახელეთ ყველა ის შესაძლებლობა, რაც გარემოსთვის იქნება შესაბამისი და აუხსენით მათი მიზნობრიობა.

4. წყლის მოპოვებისა და გაფილტვრის რომელი ხერხები ვასწავლოთ ახალ სკაუტებს?

თავშესაფრებთან დაკავშირებით ჩამოუთვალეთ ყველა ის შესაძლებლობა, რაც გარემოსთვის იქნება შესაბამისი და დაუსაბუთეთ სუფთა წყლის მოპოვების გზების მნიშვნელობა.

5. როგორ მოვიქცეთ, თუ ჯგუფის წევრი დაიკარგა?

გაუზიარეთ თქვენი რეკომენდაციები: რა უნდა გააკეთოს ჯგუფმა პირველ რიგში? წინასწარ რა პრევენციული გეგმა უნდა ჰქონდეთ მომზადებული? დაკარგულ ჯგუფის წევრს ორიენტირებისთვის რომელი ობიექტები გამოადგება და სხვა.

6. რას გვირჩევთ, დამატებით კიდევ რა ვასწავლოთ მომავალ სკაუტებს ბანაკის ბუნებაში მოწყობასთან დაკავშირებით? რატომ?

სასარგებლო რესურსები

საქართველოს ეროვნული გმირები

გმირობის აღიარებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, თუმცა მისი ფორმა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ისტორიულად გმირად მიიჩნეოდა ადამიანი, რომელიც სამშობლოს, სარწმუნოების, თავისუფლებისა და ხალხის დაცვისთვის განსაკუთრებულ სიმამაცესა და თავგანწირვას ავლენდა. ასეთი აღიარება უმთავრესად საზოგადოებრივ მეხსიერებას, ისტორიულ მატიანეებს, ზეპირ გადმოცემებსა და ეკლესიის პატივისცემას ეფუძნებოდა.

თანამედროვე საქართველოში გმირობის სახელმწიფოებრივი აღიარება სამართლებრივ საფუძველზე ხორციელდება. საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო წოდება – ეროვნული გმირის წოდება – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ენიჭება პირს საქართველოსთვის განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული ქმედებისათვის. თუმცა სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლი მხოლოდ ამ სახელმწიფოებრივი წოდებით არ განისაზღვრება. ყველა, ვინც ქვეყნის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად სიცოცხლე გაწირა ან განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა, თანაბარ პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებს.



გენერალი გიორგი კვინიტაძე



„არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირმშოა ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი. არმია სარკესავით აირეკლავს თავისი ხალხის ყველა კეთილ და მანკიერ თვისებას. მისი ძლიერებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარისხი შეესაბამება ხალხის შინაგანი ძლიერებისა და განვითარების ხარისხს“.

გენერალმა გიორგი კვინიტაძემ ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალები. მან შექმნა სამხედრო სკოლა და აღზარდა იუნკერთა თაობა, რომლებიც სამშობლოს სიყვარულისა და სამხედრო დისციპლინის სიმბოლოდ იქცნენ.

გიორგი კვინიტაძე იყო კაცი, რომელმაც ქართულ სამხედრო საქმეს ევროპული სტანდარტი, დისციპლინა და ღირსება შესძინა. 2021 წლის 26 მაისს მისი ნეშტის გადმოსვენება და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა გენერალ გიორგი კვინიტაძის უდიდესი ღვაწლის აღიარება იყო.

მარო მაყაშვილი



„ქართველი ერი მხნე და გულადი არის, არავის დაანებებს თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობაზე მაღლა სდგას, შეებრძოლება მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდის, შეებრძოლება და ან სიკვდილი, ან გამარჯვება...“

წითელი არმიის შემოჭრის დღეებში 19 წლის სტუდენტი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალების დად და შეუერთდა კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს. 19 თებერვალს ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში. დაკრძალულია ქართველ იუნკრებთან ერთად ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში, დღევანდელი პარლამენტის შენობის ტერიტორიაზე.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი



„მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე ვარ საქართველოს გენერალი!“

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი და შეუცვლელი სამხედრო სტრატეგი, რომლის სახელიც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

მაზნიაშვილი იყო გენერალი, რომლისთვისაც უპირველესი ღირებულება საქართველო იყო და არა პოლიტიკური იდეოლოგია. მან თითქმის შეუძლებელი შეძლო და რამდენიმე ფრონტზე მოიგერია მტერი. მისი სტრატეგიული აზროვნების წყალობით ქართულმა ჯარმა დაიცვა და შეინარჩუნა აფხაზეთი, გურია და აჭარა. მიუხედავად უდიდესი დამსახურებისა, საბჭოთა რეჟიმმა იგი ჯერ გადაასახლა, ხოლო მოგვიანებით, „წითელი ტერორის“ დროს, 1937 წელს, დახვრიტა. მისი საფლავი დღემდე უცნობია, თუმცა მისი სახელი სამხედრო ფიცისა და პატრიოტიზმის სიმბოლოდ იქცა.

გიორგი მაზნიაშვილი იყო კაცი, რომელმაც საკუთარი ნიჭი და სიცოცხლე სრულად შესწირა საქართველოს საზღვრების დაცვას და რომლის გარეშეც დღევანდელი საქართველოს რუკა სულ სხვაგვარი იქნებოდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი



„მრავალჯერ ყოფილა აწიოკებული ჩვენი ქვეყანა, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ ჩვენს წინაპრებს და არ დამორჩილებიან მტერს. მათ ბრძოლა უგრძელებიათ. დღეს ჩვენ გვხვდა წილად, რომ პირველებმა დავიწყოთ ბრძოლა და მთელ ქვეყნიერებას ვაჩვენოთ, რომ საქართველოს თავისუფლება სურს თავის მიწა-წყალზე და არ დაემორჩილება არავითარ მტერს. გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ამ ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებას“.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულ ჯარში იწყებს სამსახურს და თავის გამოცდილებას ახმარს ქართული ჯარის მშენებლობას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იმ დროს წარმოებულ ბრძოლებში. მისთვის მთავარი იყო საქართველოს სამსახურში ყოფნა.

1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. წითელარმიელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩამოაყალიბა შეფიცულთა რაზმი. 1930 წლის 27 ივნისს, საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს, ტუბერკულოზის შედეგად გარდაიცვალა.

ჟიული შარტავა

„ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და, თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ ჟიული შარტავამ 1993 წელს, 27 სექტემბერს, სოხუმის



დაცემის დღეს, როდესაც შენობაში სეპარატისტული და დაქირავებული ძალები შეიჭრნენ, უარი თქვა კაპიტულაციაზე. მისი ტყვედ ჩავარდნა და შემდგომი დახვრეტა იყო არა უბრალოდ ტრაგედია, არამედ კაცის შეგნებული არჩევანი – მომკვდარიყო, როგორც მოქმედი და არა დამარცხებული ლიდერი. ჟიული შარტავა იყო უმაღლესი კლასის სახელმწიფო მოღვაწე, კრიზისების მმართველი და მტკიცე ხელმძღვანელი, რომელმაც აფხაზეთის ომის ყველაზე კრიტიკულ ფაზაში საკუთარი სიცოცხლის ფასად აჩვენა სახელმწიფოებრივი ღირსებისა და ფიცის ერთგულების უმაღლესი სტანდარტი.

გურამ გაბესკირია



სოხუმის მერმა, გურამ გაბესკირიამ, ომის უმძიმეს პირობებშიც კი არ მიატოვა ქალაქი და მოსახლეობა. ალყისა და მუდმივი დაბომბვების მიუხედავად, იგი ბოლო წუთამდე ცდილობდა სამოქალაქო წესრიგისა და ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას სოხუმში. მისი პიროვნული ძალა ყველაზე მკაფიოდ სოხუმის დაცემის დღეს, ტყვედ ჩავარდნის მომენტში გამოჩნდა. როდესაც მოწინააღმდეგე მხარის მებრძოლებმა მას მუხლებზე დაჩოქება მოსთხოვეს: **„დაიჩოქე, პატიება გვთხოვე და შეაგინე ქართველებს!“**, გაბესკირიამ მათ პირში მიახალა ლეგენდარული ფრაზა: **„არასოდეს, სანამ ცოცხალი ვარ!“**

მამია ალასანია



მამია ალასანია იყო უმაღლესი კლასის უშიშროების პოლკოვნიკი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, სამხედრო ნიჭითა და ანალიტიკური აზროვნებით. აფხაზეთის ომის დროს იგი აქტიურად იყო ჩართული რეგიონის თავდაცვის ორგანიზებაში. ალყაში მოქცეულ სოხუმში მან უარი თქვა პოზიციების მიტოვებასა და უსაფრთხო ევაკუაციაზე, რის გამოც ჟიული შარტავასთან ერთად ბოლო წუთამდე იცავდა მინისტრთა საბჭოს შენობას. ქალაქის დაცემის დღეს იგი მოწინააღმდეგემ ტყვედ აიყვანა, თუმცა მტერს არ დანებდა და საკუთარი პრინციპები არ დათმო. მამია ალასანია სეპარატისტებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა გმირულად დახვრიტეს, რითაც მან მომავალ თაობებს სამხედრო ფიცისა და მოვალეობის ერთგულების უმაღლესი სტანდარტი დაუტოვა.

ავთანდილ იოსელიანი



ავთანდილ იოსელიანი პროფესიით გეოფიზიკოსი იყო. 1992 წლის სექტემბერში მან სამსახურიდან ოფიციალური შვებულება აიღო და შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მოხალისედ გაემგზავრა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მისი საბრძოლო გზა იმავე წლის 26 ოქტომბერს ქალაქ ოჩამჩირეში გამართული ოპერაციის დროს ტრაგიკულად დასრულდა. ერთ-ერთი შეტაკებისას, როდესაც მოულოდნელად საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარა თანამებრძოლებისა და აყვანილი ტყვეების სიახლოვეს აღმოჩნდა, მან მყისიერი და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო. იოსელიანმა საკუთარი სხეულით დაფარა აფეთქების ეპიცენტრი. ამ გააზრებული თავგანწირვით მან მინიმუმამდე დაიყვანა ნამსხვრევების რადიუსი, საკუთარი სიცოცხლის ფასად გარშემომყოფები სიკვდილს გადაარჩინა და სამხედრო ჰუმანიზმის უიშვიათესი მაგალითი დატოვა, რადგან საფრთხისგან არა მხოლოდ თავისიანები, არამედ განიარაღებული მოწინააღმდეგეებიც დაიცვა.

გენო ადამია

გენერალ-მაიორი გენო ადამია იყო აფხაზეთის ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მამაცი მხედართმთავარი, 23-ე მექანიზებული ბრიგადის ლეგენდარული მეთაური, რომელმაც საკუთარი ძალებით ჩამოაყალიბა სოხუმის დამცველი ხუთათასიანი მოხალისეთა შენაერთი. იგი ასოცირდება სოხუმის დასაცავად განხორციელებულ თითქმის ყველა წარმატებულ სამხედრო ოპერაციასთან, სადაც თავის ორ ვაჟთან ერთად წინა ხაზზე იბრძოდა. გენერალმა უდიდესი პრინციპუ-

ლობა გამოიჩინა 1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც ქალაქის დაცემის შემდეგაც კი კატეგორიული უარი თქვა დანებებაზე ან უკან დახევაზე. იგი სოხუმის დაცემიდან მეორე დღეს, 28 სექტემბერს, მდინარე კელასურის ხიდთან გმირულად დაიღუპა, როდესაც თანამებრძოლებთან ერთად პოზიციების გასამაგრებლად და ქალაქში ხელახლა შესასვლელად მიემართებოდა. მისი უდიდესი თავგანწირვისა და სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლის დასტურად, მას 2020 წლის 22 სექტემბერს სიკვდილის შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭა.



ზურაბ იარაჯული

„მე მტერს ტყვედ არასდროს ჩავბარდები... სანამ მომკლავენ, რამდენიმეს ხომ მაინც გავიყოლებ“. ზურამ ეს სიტყვები აასრულა...



ქართველი სამხედრო მფრინავი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი ლეიტენანტი. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. მოწინააღმდეგის კოლონაზე შეტევის დროს მისი სუ-25 მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. იარაჯულმა მოახერხა კატაპულტირება, თუმცა ფრონტის ხაზს მიღმა აღმოჩნდა. ის დაიღუპა გუმისთის ტყეში მდევართან შეტაკების დროს მას შემდეგ, რაც უარი განაცხადა დანებებაზე.

ზურაბ იარაჯული სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი ლეიტენანტი და სამხედრო მფრინავი იყო, რომელმაც აფხაზეთის ომის დროს ოცზე მეტი წარმატებული საბრძოლო გაფრენა განახორციელა. სოფელ შრომის დაცვისას მისი სუ-25 მოიერიშე თვითმფრინავი მტერმა ჩამოაგდო, თუმცა მან კატაპულტირება და ფრონტის ხაზს მიღმა, გუმისთის ტყეში გადასვლა მოახერხა. იარაჯულმა, რომელსაც თანამებრძოლებისთვის ადრეც ჰქონდა ნათქვამი, რომ ტყვედ არასოდეს ჩაბარდებოდა, მდევართან უთანასწორო შეტაკებისას ბოლომდე იბრძოლა, უარი თქვა დანებებაზე და გმირულად დაიღუპა.

ზაზა დამენია

ზაზას ნაღმის აფეთქების შედეგად მხედველობა დაუქვეითდა. ოცმეთაურმა ბრძოლიდან გამოსვლა შესთავაზა. ზაზა დამენიამ იუარა.: ***„წიგნის კითხვა არ შემიძლია, მაგრამ მტერს კი ვხედავ და თუ სხვას ვერაფერს შევძლებ, ტყვიას ხომ მაინც გადაგიტენით, ბიჭებო!“***



ზაზა დამენია საქართველოს არმიის კაპრალი იყო, რომელიც ქვეყნის ერთიანობისთვის ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში იბრძოდა, მოგვიანებით კი ვაზიანის კომანდოს ბატალიონში ჩაირიცხა. 2004 წლის აგვისტოში, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს, მისადგომებთან (წვერიახოს მოვლენები), მის სანგარზე მძლავრი შეტევა განხორციელდა. როდესაც მოწინააღმდეგემ სანგარში საბრძოლო ხელყუმბარა ჩააგდო, კაპრალი დამენია მას საკუთარი სხეულით გადაეფარა და ამ მყისიერი თავგანწირვით თანამებრძოლები უცილობელი სიკვდილისგან იხსნა.

გიორგი ანწუხელიძე

„ომში შეიძლება მე მომკლან, მაგრამ საქართველოს ვერაფერს დააკლებენ!“



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე, IV ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონის უმცროსი სერჟანტი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი წამების შემდეგ მოკლეს საოკუპაციო ძალებმა. მისგან დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ფეხი დაებიჯებინა საქართველოს დროშაზე და მიწისთვის ეკოცნა. გიორგი ანწუხელიძემ არც დაიჩოქა და არც საქართველოს დროშას დააბიჯა ფეხი, არც მიწას აკოცა. მისი წამების დროს, რომ ვერ გატეხეს, რამდენიმე გაოცდა კიდეც. „რა მაგარი ვინმეა, უყურებ?“ – ისმის ვიდეოში. როდესაც ვერ გატეხეს, დახვრიტეს. ანწუხელიძე წამებით მოკლეს, რითაც იგი მტრის წინაშე ერის გაუტეხლობისა და სამხედრო ფიცის უზენაეს სიმბოლოდ იქცა.

ალექსანდრე ონიანი



2008 წლის 11 აგვისტოს, „შინდისის ბრძოლაში“ 17 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. საბოლოოდ, მათგან ალყაში ორნი – უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი და კაპრალი რომან ზოიძე დარჩნენ. კაპრალი ზოიძე დაჭრილი იყო და სისხლისგან იცლებოდა, თუმცა ონიანმა, რომელიც ამ დროს სრულიად უვნებლად იყო, თანამებრძოლის მოთხოვნის მიუხედავად, ის არ მიატოვა. როცა უფროსმა სერჟანტმა ალექსანდრე ონიანმა ტყვედ აყვანის საშიშროება იგრძნო, ხელყუმბარით თავი აიფეთქა, მოწინააღმდეგეს არ ჩაბარდა და მისი ცოცხალი ძალაც დააზიანა. მისი თავდადება გახდა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს სამხედრო ღირსება, ერთგულება და თავგანწირვა.

1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციის, „სამხედრო ცენტრი“ 15 წევრს წაუყენა ბრალდებები კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებაში, შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, არალეგალური სამხედრო ორგანიზაციებისა და შეიარაღებული ჯგუფების შექმნაში, ჯაშუშობასა და სახელმწიფო ღალატში.

„სამხედრო ცენტრი“ იყო იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც 1921 წელს, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით შეიქმნა. ის წარმოადგენდა მრავალპარტიული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (დამკომის) სამხედრო ფრთას და დაკომპლექტებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი არმიის მაღალი რანგის, პატრიოტულად განწყობილი ოფიცრებითა და გენერლებით.

ცენტრი ენერგიულად ამზადებდა გეგმას საბჭოთა რეჟიმის დასამხობად. მათ შეიმუშავეს მთიულეთის აჯანყების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც წითელი არმიის ნაწილები მთიან რეგიონში უნდა შეეტყუებინათ, სადაც მათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმი გაანადგურებდა.

1923 წლის 20 მაისს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების ბრალდებით სამხედრო ცენტრის 15 წევრი დახვრიტეს. მათ შორის იყვნენ ქართული სამხედრო ელიტის გამორჩეული წარმომადგენლები:




გენერალი კოტე აფხაზი



გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი



გენერალი გიორგი ხიმშიაშვილი



პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი



გენერალი ვარდენ წულუკიძე



უმცროსი ოფიცერი ნიკოლოზ ზანდუკელი



ივანე ქუთათელაძე (ექიმი-ვეტერინარი)



როტმისტერი ფარნაოზ ყარალაშვილი



იასონ კერესელიძე (პოლიტ. მოღვაწე)



როტმისტერი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი



პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი



მაიორი დიმიტრი ჩრდილელი



პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი



როტმისტერი ლევან (ლელო) კლიმიაშვილი



სიმონ ჭიაბრიშვილი (პოლიტ. მოღვაწე)

2023 წელს, სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ. „სამხედრო ცენტრის“ დახვრეტილ წევრებს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ორდენი მიენიჭათ.

საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მინიჭებული აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება სამხედრო სფეროს მიღმაც მოიპოვეს. მათი ღვაწლი პოლიტიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ეკლესიაში, დიპლომატიასა და საერთაშორისო მხარდაჭერის საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია. ესენი არიან:

ზვიად გამსახურდია




„... ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა... აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა. აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, ყაჩაღობისა და მზაკვრობისა. აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო!“

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ზვიად გამსახურდია საბჭოთა რეჟიმს 1956 წლიდან უპირისპირდება, როდესაც მეგობრებთან ერთად საბჭოთა კავშირის მიერ უნგრეთში სისხლიან ინტერვენციას აპროტესტებს. მისი და მერაბ კოსტავას თაოსნობით 1976 წელს დაფუძნდა „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, რომელიც ანტისაბჭოური იატაკქვეშა ჟურნალ-გაზეთების გამოცემით იყო დაკავებული. 1978 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვასა და დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალურ ნომინანტად წარადგინა. მოცემულ პერიოდში იგი არაერთხელ დააპატიმრეს დისიდენტური მოღვაწეობის გამო.

1990 წელს, მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას. მისი თაოსნობით შეიქმნა პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

მერაბ კოსტავა



„თუ ოდესმე რამეს ვუხსნივართ, ისევ სიყვარულის ძალას და მომავალშიც იგი იქნება ჩვენი სიმაგრე. ქართველმა ხალხმა იცის, რომ სულის სიყვარულის ძალასთან ერთად, სულის უკვდავების იდეაც მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედურ იდეად“.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. მთელი ახალგაზრდობა შეალია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას მის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლთან – ზვიად გამსახურდიასთან – ერთად. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა მრავალგზის იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული და გადასახლებული. ბოლოს გადასახლები-

დან 1987 წელს დაბრუნდა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა ავტოავარიის შედეგად.

ზურაბ ჭავჭავაძე



ქართველი დისიდენტი, 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1987 წელს მერაბ კოსტავასთან ერთად დააფუძნა საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი პირველი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის იდეებით იყო გამსჭვალული. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი მგზავრობდა იმავე ავტომობილით, რომლის ავარიის შედეგადაც დაიღუპა მერაბ კოსტავა. ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალა ავარიიდან 69-ე დღეს საავადმყოფოში.

გრიგოლ ფერაძე



„როდესაც ეკლესია ლოცულობს ან ლაპარაკობს სამშობლოზედ, ის არ ჰგულისხმობს პირველ რიგში ტაძრებს, ან საქართველოს მზეს ან მთებსა და ველებს, არამედ ადამიანს და მის კეთილდღეობას, რომელიც ყველა ამათ ჰქმნის, სდარაჯობს, სულს უდგამს, ინახავს და იცავს“.

თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1921 წლის ოკუპაციის დროს ის სასწავლებლად ევროპაში იმყოფებოდა. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, დევნილი ებრაელების შეფარებისთვის ფაშისტებმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაზით გაგუდეს.

მიხეილ (მიხაკო) წერეთელი



„ჩვენ გვინდა თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება, რათა გავაგრძელოთ ჩვენი იძულებით შეწყვეტილი ისტორია. ეს ისტორია შესაძლოა ისე ვერ წარიმართოს, როგორც ევროპელებთან, მაგრამ თუ ჩვენ ევროპული სტილის აზროვნებასა და შრომას შევეჩვევით, ეს დააჩქარებს ჩვენს სვლას განვითარებისკენ.“

ქართველი მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ლინგვისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. 1918-1919 წლებში იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სამუდამოდ მოუწია სამშობლოს დატოვება.

ექვთიმე თაყაიშვილი



„სამშობლოსთვის მებრძოლნო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის მტერია, ის ჩვენი ყველას მტერია და ამათ უფლებას ვერ მივსცემთ, ილაშქრონ ჩვენს წინააღმდეგ...“

ისტორიკოსი, არქეოლოგი. ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ათეულობით წლების განმავლობაში პატრონობდა საქართველოს ეროვნულ განძს, რომელიც სწორედ მისი დამსახურებით გადაურჩა დაკარგვასა და გაფანტვას და საბოლოოდ საქართველოს დაუბრუნდა.

ამბროსი ხელაია




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წლებში. იბრძოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რის გამოც 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, 1921 წლიდან, აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1922 წელს იგი დააპატიმრეს და 1925 წლამდე იმყოფებოდა მეტეხის ციხეში, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მას ეკუთვნის პატიმრობის დროს წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: **„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“** გარდაიცვალა 1927 წლის 29 მარტს.

მიხა ხელაშვილი



ქართველი სახალხო პოეტი, 1920-იანი წლების ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილე და „შეფიცულთა რაზმის“ წევრი. გავრცელებული ვერსიით, საკუთარ დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში, მოკლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობრებმა: ლევან გარსევანიშვილმა, ლუკა მარცვალაშვილმა და ვახტანგ რაზიკაშვილმა. სხვა ვერსიით, დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს. დაკრძალულია ჩარგლის სოფლის სასაფლაოზე.

ჯონ მაკკეინი



„ამერიკელებს უნდა აინტერესებდეთ საქართველო, პატარა და მოშორებული ქვეყანა, რადგან ისტორია ხშირად პატარა და მოშორებულ ქვეყნებში იწერება“. თავისუფლების დაცვისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე მინიშნებით, 2008 წელს სენატორმა თქვა, რომ „დღეს ყველანი ქართველები ვართ“.

ამერიკელი სენატორი. საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში საქართველოსთვის გამოჩენილი თანადგომისთვის.

ლეხ კაჩინსკი



„საქართველოს უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარეშე არ შედგებოდა დამოუკიდებელი და მშვიდობიანი ევროპა და არ იქნებოდა უსაფრთხო სამყარო“.

პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი. საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში საქართველოსთვის გამოჩენილი თანადგომისთვის.

დამატებითი რესურსები



საქართველოს
თავდაცვის სამინისტრო

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

9 789941 889479